გაბრიელ გარციელიანი

ოქროს თევზი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაბრიელ ტროეპოლსკი

შავყურა თეთრი ბიმი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი პირველი

ორნი ერთ ოთახში

გულსაკლავად და თითქოს უიმედოდ იწყებდა წკმუტუნს, თან აქეთ-იქით დაბაჯბაჯებდა _ დედას ეძებდა. მაშინ პატრონი კალთაში ჩაისვამდა და პირში რძით სავსე საწოვარას ჩასჩრიდა.

აბა, სხვა რა უნდა გაეკეთებინა ერთი თვის ლეკვს, თუ ცხოვრებისა ჯერ არაფერი გაეგებოდა, დედა კი, მიუხედავად ხვეწნა-მუდარისა, არსად ჩანდა. ჰოდა, პირველ ორ დღეს ცდილობდა, დროდადრო გულსაკლავი კონცერტები გაემართა, თუმცა პატრონის ხელზე იძინებდა რძით სავსე ბოთლთან ჩახუტებული.

მაგრამ მეოთხე დღეს პაწაწინა ლეკვი უკვე მიეჩვია პატრონის ხელების სითბოს. ლეკვები ძალიან მალე ეჩვევიან ალერსს.

თავისი სახელი ჯერ არ იცოდა, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ ზუსტად დაადგინა, რომ ბიმი ერქვა.

ორი თვის რომ გახდა, გაოცებით შეხედა საგნებს: ლეკვისთვის მეტისმეტად მაღალ საწერ მაგიდას, კედელზე კი _ თოფს, სანადირო ჩანთას და გრძელთმიანი ადამიანის სახეს. ყოველივე ამას ძალიან მალე მიეჩვია. უკვე აღარც ის აოცებდა, რომ კედელზე დაკიდებული ქალის სახე არ ინძრეოდა: რაკი არ ინძრეოდა, მაშ, საინტერესოც არ არისო. თუმცა ცოტა მოგვიანებით ზოგჯერ შეხედავდა და იფიქრებდა: ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს, ადამიანის სახე თითქოს ფანჯრიდან რომ იცქირებაო.

მეორე კედელი უფრო საინტერესო იყო: მთლიანად რაღაც ძელაკებისაგან შედგებოდა, პატრონს შეეძლო თითოეული ძელაკი ამოეღო და ისევ თავის ადგილას დაედო. ოთხი თვისა რომ შეიქნა, უკვე თათებზე დადგა, დამოუკიდებლად მისწვდა კედელს, კბილებით ძელაკი გამოიღო და შეეცადა გამოეკვლია, რა იყო, მაგრამ ძელაკი რატომღაც აშრიალდა და ბიმს კბილებში ერთი ფურცელი ქაღალდი ჩაუტოვა. ამ ქაღალდის დაფლეთა მეტისმეტად სასეირო იყო.

_ ეს რა ამბავია? _ დაუცაცხანა პატრონმა. _ არ შეიძლება! _ და ცხვირი რამდენჯერმე წიგნზე წააკვრევინა, _ ბიმ, არ შეიძლება, არ შეიძლება!

ასეთი შეგონების შემდეგ ადამიანსაც კი არ მოუნდება წიგნის კითხვა, მაგრამ ბიმს, ნურას უკაცრავად; ის დიდხანს ყურადღებით მისჩერებოდა წიგნებს, თავს ხან ერთსა და ხან მეორე მხარეს ხრიდა. ბოლოს, ეტყობა, გადაწყვიტა: რაკი ეს არ შეიძლება, მოდი, მეორეს ავიღებო. მივიდა, ჩუმად ჩააფრინდა ერთი წიგნის ყდას და დივანქვეშ შეათრია, იქ ჯერ ერთი კუთხე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოაღეჭა ყდას, შემდეგ მეორე. მერე ამ საქმიანობამ ისე გაიტაცა, საბრალო წიგნი შუა ოთახში გამოათრია და თამაშითა და ხტუნვა-ხტუნვით დაუწყო ფლეთა.

აი, მაშინ კი გაიგო, რა იყო «მტკივა» და რა იყო «არ შეიძლება». პატრონი წამოდგა და მკაცრი ხმით დაუყვირა:

_ არ შეიძლება! _ თან ყურით მოსწია, _ შე სულელო, შენ ხომ დამიხიე. _ მერე ისევ გაიმეორა: _ არ შეიძლება! წიგნების დახევა არ შეიძლება! _ და კიდევ ერთხელ მოსწია ყურით:

ბიმი აწკმუტუნდა, ოთხივე თათი მაღლა ასწია. იწვა გულაღმა, პატრონს მისჩერებოდა და ვერ გაეგო, რა ხდებოდა.

_ არ შეიძლება! არ შეიძლება! _ განზრახ იმეორებდა პატრონი, თან ისევ და ისევ დრუნჩში ჰკრავდა წიგნს, მაგრამ დასჯით კი აღარ სჯიდა. შემდეგ ხელში აიყვანა, ეფერებოდა და სულ ერთსა და იმავეს ეუბნებოდა: _ არ შეიძლება, ბიჭო, არა, სულელო! _ მერე დაჯდა და კალთაში ჩაისვა.

აი, ასე, მეოხებით, ყრმობაშივე მიიღო ბიმმა შეგონება პატრონისაგან. ბიმმა ხელი აულოკა, თან ყურადღებით მიაჩერდა სახეში. ლეკვს უკვე უყვარდა, როცა პატრონი ელაპარაკებოდა. მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ორი სიტყვა ესმოდა: «ბიმი» და «არ შეიძლება». მიუხედავად ამისა, მაინც რა საინტერესო სანახავი იყო, როგორ ეფინებოდა შუბლს ჭაღარა თმა, როგორ მოძრაობდნენ კეთილი ტუჩები და როგორ ეხებოდა ბალანს თბილი, მოალერსე თითები. სამაგიეროდ, ბიმს ზუსტად შეეძლო გაერკვია, პატრონი მხიარულ გუნებაზე იყო თუ მოწყენილი, უჯავრდებოდა თუ აქებდა, ეძახოდა თუ აგდებდა.

პატრონი კი ზოგჯერ მოწყენილი იყო. მაშინ ხან თავის თავს ელაპარაკებოდა, ხან ბიმს მიმართავდა:

_ აი, ასე ვცხოვრობთ, სულელო. იმას რატომ მისჩერებიხარ? _ ამ დროს პატრონი ქალის პორტრეტზე უთითებდა, _ ის, ჩემო ძმაო, მოკვდა, აღარ არის, არა... _ ხელს უსვამდა ბიმს და მტკიცე ხმით ეუბნებოდა: _ ეჰ, შე სულელო, შენა, ჯერ არაფერი გაგეგება.

მაგრამ პატრონი მხოლოდ ნაწილობრივ იყო მართალი, რადგან ბიმს ესმოდა, რომ ახლა თამაშს არ დაუწყებდნენ და სიტყვები _ «სულელო» და «ბიჭო» _ მას ეხებოდა. ასე რომ, როცა მისი დიდი მეგობარი სულელს ან ბიჭს ეძახდა, მაშინვე მისკენ გარბოდა. და რაკი ხმის კილოს ითვისებდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ უჭკვიანესი ძაღლი დადგებოდა.

მაგრამ განა მარტო ჭკუა განსაზღვრავს ძაღლის მდგომარეობას მის თანამოძმეთა შორის? სამწუხაროდ, არა. გარდა გონებრივი მონაცემებისა, ბიმს ყველაფერი რიგზე როდი ჰქონდა.

ნამდვილად ჯიშიანი მშობლების შვილი იყო, სეტერებისა, რომელთაც მთელი საგვარეულო ჰქონდათ. ყოველ მის წინაპარს პირადი ბარათი, მოწმობა ჰქონდა. პატრონს შეეძლო, ამ ანკეტების მიხედვით, ბიმის არა მარტო პაპისა და ბებიის მამებისა და დედების, არამედ, თუკი მოისურვებდა, მათი პაპის პაპებისა და ბებიის ბებიების ამბავი გაეგო. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, კარგია. მაგრამ ბიმს, ყველა მის ღირსებასთან ერთად, ჰქონდა ერთი ნაკლი, რომელმაც შემდგომში დიდი გავლენა იქონია მის მომავალზე: თუმ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცა იგი შოტლანდიური სეტერების ჯიშისა იყო (სეტერ-გორდონი), მაგრამ ფერი კი სრულიად არატიპიური ჰქონდა, _ აი, ამაში იყო საქმე. მონადირე ძაღლების სტანდარტის მიხედვით, სეტერ-გორდონი უნდა იყოს აუცილებლად შავი, რომელსაც ბზინვარე ლურჯი ყორნის ფრთისფერი დაჰკრავს. ამასთან, მას უნდა ჰქონდეს მკაფიო მოჟღალო-მოწითალო ფორეჯები, თეთრი ტალები კი, თუ ასეთ ძაღლებს სტანდარტით გაუთვალისწინებელ ალაგას აქვთ, დიდ მანკად ეთვლებათ. ბიმი კი სწორედ ასეთი დაიბადა: ჟღალ-ფორეჯებიანი თეთრი სხეული ჰქონდა, მხოლოდ ცალი ყური და ცალი ფეხი ჰქონდა შავი, ყორნის ფრთისფერი; მეორე ყური კი _ ბაცი მოყვითალო-მოჟღალო. ასეთი რამ გასაკვირიც კია: ყველაფრით სეტერ-გორდონი იყო, ფერით კი _ სულ სხვა. ალბათ, რომელიღაც მეტად შორეულმა წინაპარმა იჩინა ბიმში თავი. და, აი, მშობლები გორდონები იყვნენ, ის კი _ ჯიშით ალბინოსი.

ისე კი, ასეთი სხვადასხვა ფერის ყურებითა და ფორეჯებით, დიდი, ჭკვიანი მუქი წაბლისფერი თვალებით, ბიმი სიმპათიურად გამოიყურებოდა, იქნებ უფრო ჭკვიანადაც, ანდა, ასე ვთქვათ, ბრძნულად, ჩაფიქრებულად, ვიდრე ჩვეულებრივი ძაღლები. სიმართლე რომ თქვას კაცმა, ასეთ სიფათს დრუნჩსაც ვერ უწოდებ, იტყვი, ძაღლის სახეაო. მაგრამ კინოლოგიის კანონების მიხედვით ამ კონკრეტულ შემთხვევაში თეთრი ფერი გადაშენების ნიშნად ითვლება. ყველაფრით ლამაზი იყო, მაგრამ ბეწვის სტანდარტების მიხედვით, საეჭვო, მანკიერიც კი. აი, ასეთი უბედურება სჭირდა ბიმს.

რა თქმა უნდა, ბიმს არ ესმოდა, რომ უიღბლო დაიბადა, რადგან ბუნება არავის არჩევინებს მშობლებს. ბიმს, უბრალოდ, ასეთ რამეზე ფიქრის უნარი არც დაჰყოლია. ის ცხოვრობდა და ჯერჯერობით ხარობდა.

მაგრამ პატრონი წუხდა, ფიქრობდა: მისცემდნენ თუ არა ბიმს საგვარეულო სიგელს, რომელიც განამტკიცებდა მის მდგომარეობას მონადირე ძაღლთა შორის; თუ არ მისცემდნენ, სამუდამოდ განკიცხული დარჩებოდა. ეს მხოლოდ ექვსი თვის ასაკში გაირკვეოდა, როცა ლეკვი (ისევ და ისევ კინოლოგიის კანონების მიხედვით) უკვე ეგრეთ წოდებულ ჯიშიან ძაღლს დაემსგავსებოდა.

ბიმის დედის პატრონმა უკვე გადაწყვიტა, წუნი დაედო თეთრი ლეკვისათვის, ესე იგი, დაეხრჩო, მაგრამ გამოჩნდა ერთი ობროდი, რომელსაც დაენანა ასეთი ლამაზი ცხოველი. სწორედ ეს ობროდი იყო ახლა ბიმის ბატრონი, კაცს ლეკვის თვალები მოეწონა, ჭკვიანი თვალები აქვსო, _ თქვა. ახლა კი დადგა საკითხი, მისცემდნენ თუ არა ბიმს საგვარეულო სიგელს.

ამასობაში პატრონი შეეცადა გაერკვია, საიდან ჰქონდა ეს ანომალია ლეკვს. გადაქექა ნადირობასა და მეძაღლეობაზე დაწერილი ყველა წიგნი, რომ ცოტათი მაინც დაახლოებოდა ჭეშმარიტებას და თავის დროზე დაემტკიცებინა, ბიმი არაფერ შუაშიაო. სწორედ ამიტომ დაიწყო სქელტანიან საერთო რვეულში გადმოწერა სხვადასხვა წიგნებიდან ყველაფრისა, რასაც კი შეეძლო დაემტკიცებინა, რომ ბიმი სეტერების ჯიშის ნამდვილი წარმომადგენელი იყო. ბიმი უკვე მისი მეგობარი გახდა, მეგობარს კი შველა უნდა. რომ არ ეშველა, ბიმს არც ერთ გამოფენაზე არ დააჯილდოებდნენ და ოქროს მედლებით მკერდდამშვენებული ვერ ივლიდა: რა ოქრო ძაღლიც უნდა ყო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფილიყო ნადირობის დროს, ჯიშიანი ძაღლების სიიდან მაინც ამოშლიდნენ. მაინც რა უსამართლობა ხდება ამქვეყნად!

პატრონის ჩანაწერები

უკანასკნელი თვეების განმავლობაში ბიმი შეუმჩნევლად შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში და იქ მტკიცე ადგილი დაიკავა. რით შემაყვარა თავი? გულკეთილობით, უსაზღვრო ნდობითა და ალერსით _ გულში ჩამწვდომი გრძნობებით, თუ, რა თქმა უნდა, მათში მლიქვნელობა არ ურევია, რასაც შემდეგში შეუძლია ყველაფერი სიყალბედ აქციოს _ სიკეთეც, ნდობაც და ალერსიც. საშინელი თვისებაა მლიქვნელობა. ღმერთმა გვაშოროს, მაგრამ ბიმი ჯერ პატარა და საყვარელი ლეკვია. ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული.

უცნაურია, რომ ახლა ზოგჯერ ისეთ რამეს ვამჩნევ ჩემს თავს, რაც ადრე არ შემიმჩნევია. მაგალითად, თუ სადმე ვნახავ სურათს, რომელზედაც ძაღლი ხატია, მაშინვე მის ფერსა და ჯიშს ვაქცევ ყურადღებას. როგორც ჩანს, მაწუხებს საკითხი: მისცემენ თუ არა ბიმს სიგელს.

რამდენიმე დღის წინ სამხატვრო მუზეუმში გამოფენაზე ვიყავი. იქ მაშინვე ყურადღება მივაქციე ბასანოს სურათს (მე-16 საუკ.) «მოსე წყალს ადენს კლდეს». წინა პლანზე დახატულია ძაღლი _ მეძებარი ჯიშის ნამდვილი პროტოტიპი, მაგრამ ძაღლი უცნაური ფერისაა: ტანი თეთრი აქვს, თეთრი საღარით გაპობილი დრუნჩი კი _ შავი, ყურებიც შავი, ცხვირი _ თეთრი. მარცხენა მხარზე შავი ტალი აქვს, უკანა თეძოც _ შავი, დატანჯულია და გამხდარი, ჯამიდან ხარბად სვლეპავს დიდი ხნის ნანატრ წყალს. მეორე ძაღლი გრძელბეწვიანია, მასაც შავი ყურები აქვს, წყურვილისაგან ქანცგამოლეულს თავი პატრონის კალთაში ჩაუდვია და მორჩილად ელოდება წყალს.

იქვეა მამალი კურდღელი, მარცხნივ _ ორი ბატკანი.

რა უნდოდა ეთქვა მხატვარს იმით, რომ ძაღლი ადამიანთა შორის მოათავსა პირველ პლანზე? ალბათ, ის, რომ ადამიანებს უძველესი დროიდან უყვარდათ ძაღლები, უბედურების დროსაც კი არ ტოვებდნენ მათ, დაღუპვის პირას მყოფნიც კი, ამიტომ ძაღლებიც მათი ერთგულნი, მათთვის თავდადებულნი რჩებოდნენ და მზად იყვნენ, მათთან ერთად დაღუპულიყვნენ.

ბასანოს სურათი სამას წელზე მეტისაა. ნუთუ ბიმის შავი და თეთრი ფერი იმ დროიდან მოდის? შეუძლებელია. თუმცა, ბუნება ბუნებაა. მაგრამ არა მგონია, ამან მოხსნას ბიმს ბრალდება მისი ტანისა და ყურების შეფერადების ანომალიის გამო. რადგან, რაც უფრო ძველი იქნება მაგალითები, მით უფრო მეტად შესწამებენ მას ატავიზმსა და არასრულყოფილებას.

არა, სხვა რამე უნდა მოიძებნოს, მაგრამ თუ რომელიმე კინოლოგი მომაგონებს ჟ. ბასანოს სურათს, ბოლოს და ბოლოს, შეიძლება უბრალოდ ვუთხრა: რა შუაშია აქ ბასანოს სურათზე დახატული შავი ყურები?

მოდი, მოვძებნოთ მაგალითები, რომლებიც დროით უფრო ახლოს არის ბიმთან.

*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამონაწერი მონადირე ძაღლების სტანდარტებიდან:

«სეტერ-გორდონები გამოყვანილია შოტლანდიაში, ჯიში ჩამოყალიბდა მე-19 საუკ. მეორე ნახევრის დასაწყისს... თანამედროვე შოტლანდიურმა სეტერებმა შეინარჩუნეს თავისი ღონე და სიდიდე, ამასთან, შეიძინეს სისწრაფე. ძაღლები მშვიდნი, თვინიერნი, დამჯერნი და უწყინარნი არიან. ადრე და უფრო ადვილად იწყებენ ნადირობას. მათ წარმატებით იყენებენ ჭაობებსა და ტყეში ნადირობისას... მათთვის დამახასიათებელია გარკვეული, მშვიდი, მაღალი ნაბული, რომლის დროსაც თავი ჯიდაოს დონეზე დაბლა არ უჭირავთ...»

*

მოვიყვანოთ ადგილები შესანიშნავი წიგნების _ «მონადირის კალენდარი» და «რუსეთის თევზების» _ ავტორის ლ. პ. საბანეევის ორტომეულიდან «ძაღლები»:

«თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სეტერების ჯიშს დასაბამი მისცა მონადირე ძაღლების ყველაზე ძველმა რასამ, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე იღებდა, ასე ვთქვათ, შინაურ აღზრდას, მაშინ არ გაგვიკვირდება, რომ სეტერები ძაღლებს შორის წარმოადგენენ თითქმის ყველაზე კულტურულ და ინტელიგენტურ ჯიშს».

ასე! მაშ, ბიმი ინტელიგენტური ჯიშის ძაღლია. ეს უკვე შეიძლება გამოგვადგეს.

*

საბანეევის იმავე წიგნიდან:

«1847 წ. პერლენდმა დიდი მთავრის მიხეილ პავლეს ძისათვის მისართმევად ინგლისიდან ჩამოიყვანა იშვიათი ჯიშის ორი შესანიშნავი ლამაზი სეტერი... ძაღლები არ იყიდებოდა და ისინი გაცვალეს ცხენში, რომელიც 2000 მანეთი ღირდა...»

დახე! საჩუქრად მოჰყავდა, ოცი ყმის ფასი კი აუღია. მაგრამ ეს ხომ ძაღლების ბრალი არ არის? ან რა შუაშია აქ ბიმი? არა, ეს არ გამოდგება.

*

ახლა მოვიყვანოთ ადგილი თავის დროზე ცნობილი ბუნების მოყვარულის, მონადირისა და ძაღლების მცოდნის ს. ვ. პენსკის წერილიდან ლ. პ. საბანეევისადმი:

«ყირიმის ომის დროს მე ვნახე ორი ძალიან კარგი სეტერი, ერთი ეკუთვნოდა სუხოვო-კობილინს, «კრეჩინსკის ქორწინების» ავტორს, მეორე კი, მოყვითალო-მოჩალისფრო _ რიაზანში მცხოვრებ მხატვარ პეტრე სოკოლოვის ოჯახს».

აი, ეს უკვე საქმესთან ახლოსაა. დახე: მაშინ სატირიკოსსაც კი ჰყოლია სეტერი. მხატვარს კი _ მოყვითალო-მოჩალისფრო. იქნებ იმათი სისხლი გირევია, ბიმ? ნეტავი! მაგრამ შავი ყური რატომღა გაქვს? გაუგებარია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

*

იმავე წერილიდან:

«წითელი ჯიშის სეტერები ჰყავდა მოსკოვის სასახლის ექიმს ბერსს. მან ერთ-ერთი წითელი ძუკნა შეაჯვარა განსვენებულ იმპერატორ ალექსანდრე ნიკოლოზის ძის შავ სეტერთან. როგორი ლეკვები დაყარა იმ ძაღლმა ან რა იქნენ, არ ვიცი. ვიცი მხოლოდ, რომ ერთ-ერთი მათგანი გაზარდა თავის სოფელში გრაფმა ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოიმ».

სდექ! იქნებ იმისი შთამომავალი ხარ? თუ შავი ფერი და ყური ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის ძაღლისაგან გამოგყვა, ჯიშის დამადასტურებელი სიგელის გარეშეც ბედნიერი ძაღლი ყოფილხარ, ბიმ, ყველაზე ბედნიერი ძაღლი მთელ ქვეყანაზე. დიდ მწერალს ძაღლები უყვარდა.

*

კიდევ ერთი ადგილი იმავე წერილიდან:

«იმპერატორის შავი ხვადი ვნახე ილინსკში სადილის შემდეგ, რომელზედაც ხელმწიფეს მიპატიჟებული ჰყავდა მოსკოვის მონადირეთა საზოგადოების გამგეობის წევრები. ის იყო ძალიან დიდი და მეტად ლამაზი ძაღლი. ჩინებული თავი ჰქონდა, მშვენიერი ფერი, მაგრამ სეტერის ჯიშისა ძალიან ცოტა რამ ეცხო, თანაც ფეხები მეტად გრძელი ჰქონდა. ერთი ფეხი კი _ სრულიად თეთრი. ამბობენ, თითქოს ეს სეტერი განსვენებულ ხელმწიფეს ვიღაც პოლონელმა პანმა მიართვა. ხმები დადიოდა, ხვადი მაინცდამაინც ჯიშიანი არ იყოო».

გამოდის, რომ პოლონელმა პანმა იმპერატორი გააცურა? ასეთი რამ შეიძლება ძაღლების ფრონტზედაც მომხდარიყო. ოჰ, ეს იმპერატორის შავი ხვადი! თუმცა, აქვე, გვერდით მოედინება ბერსის ყვითელი ძუკნას სისხლი, იმ ძუკნასი, რომელსაც «განსაცვიფრებელი ყნოსვა და საოცარი საზრიანობა ჰქონდა». მაშასადამე, ბიმ, თუ ფეხი იმპერატორის შავი ხვადი ძაღლისა გამოგყვა, შეიძლება მთლიანად უდიდესი მწერლის ძაღლის შორეული ჩამომავალი იყო... მაგრამ, არა, ბიმკა, ვერ მოგართვეს! მოდი, იმპერატორის ძაღლზე სიტყვაც არ დავძრათ. არ ყოფილა, მორჩა და გათავდა. ეგღა გვაკლია! რაღა გვრჩება შესაძლებელი კამათის დროს ბიმის დასაცავად?

გასაგები მიზეზების გამო, მოსე უნდა გამოვრიცხოთ. სუხოვო-კობილინიც გამორიცხულია დროითაც და ფერის მიხედვითაც. რჩება ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი: ა) დროით ის ყველაზე უფრო ახლოა; ბ) დიდი მწერლის ძაღლის მამა იყო შავი, დედა კი _ წითელი. ყველაფერი შესაფერია, მაგრამ მამა, შავი მამა ხომ იმპერატორისაა! აი, რა აფერხებს საქმეს.

გინდ ასე ატრიალე, გინდ ისე, ბიმის შორეული ნათესავების ძებნაზე ხმა არ უნდა ამოვიღოთ. მაშინ კინოლოგები, როგორც წესია, ბიმის დედ-მამიდან დაიწყებენ რკვევას; საგვარეულოში კი თეთრი სეტერი არ არის მოხსენიებული, ჰოდა, ამინ! ტოლსტოი მათთვის არაფერ შუაშია. მართალნიც არიან. ყველას შეუძლია თავისი ძაღლის წარმოშობა დიდი მწერლის ძაღლს დაუკავშიროს, მერე კი თვით პატრონისთვისაც სულ ადვილია, ლ. ნ. ტოლსტოის დაუკავშიროს თავისი ჩამომავლობა. მართლაც, რამდენი ტოლსტოი გაჩნდა ჩვენში _ კაცი ვერ დაითვლის.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუმცა საწყენია, მაგრამ ჩემი გონება უკვე მზად არის მიეჩვიოს იმ აზრს, რომ ბიმი ამორიცხულია ჯიშიანი ძაღლების სიიდან. ეს ძალიან ცუდია. ერთი რამ რჩება: ბიმი ინტელიგენტი ძაღლების ჯიშისაა.

*

_ ცუდია, ცუდი, ბიმ, _ ამოიოხრა პატრონმა, კალამი გვერდზე გადადო და მაგიდის უჯრაში ჩატენა საერთო რვეული.

ბიმმა თავისი სახელი რომ გაიგონა, საგებლიდან წამოდგა, დაჯდა და თავი შავი ყურისაკენ გადახარა, თითქოს მხოლოდ მეორე, ჟღალ-ყვითელი ყურით უსმენდა პატრონს. ამ დროს ბიმი ძალიან სიმპათიური იყო. მთელი თავისი გარეგნობით ამბობდა: «კარგი ხარ, კარგი, ჩემო კეთილო მეგობარო, გისმენ. რა გინდა?»

ბიმის ასეთმა კითხვამ პატრონი მაშინვე გაამხიარულა და უთხრა:

_ ყოჩაღ, ბიმ! ერთად ვიცხოვროთ, ჯანდაბას საგვარეულო სიგელი. კარგი ძაღლი ხარ. კარგი ძაღლები ყველას უყვარს. _ კალთაში ჩაისვა, ბეწვზე ხელს უსვამდა და ეუბნებოდა: _ კარგი ხარ, მაინც კარგი ხარ, ბიჭო.

ბიმი თბილად და მყუდროდ გრძნობდა თავს. ის მაშინვე მიხვდა და სამუდამოდ დაიმახსოვრა, რომ «კარგია» მოფერებას, მადლიერებასა და მეგობრობას ნიშნავს. და ბიმს ჩაეძინა. რა მისი საქმეა, ვინ არის მისი პატრონი? მთავარია, რომ კარგია და ახლობელი.

_ ეჰ, შე შავყურავ, შენა, შე იმპერატორის ფეხო, _ ჩუმად თქვა პატრონმა და ბიმი ფრთხილად დააწვინა საგებელზე.

დიდხანს ფანჯარასთან იდგა და მუქიასამნისფერ ღამეს მისჩერებოდა. შემდეგ ცოლის პორტრეტს შეხედა და ჩაილაპარაკა:

_ ხედავ, ცოტა გულს მომეშვა. უკვე მარტო აღარა ვარ. _ მან ვერ შეამჩნია, რომ მარტოობისას მიეჩვია ხმამაღლა ლაპარაკს: ხან «მას» ელაპარაკებოდა, ხან _ თავის თავს, ახლა კი ბიმსაც. _ უკვე მარტო აღარა ვარ, _ გაუმეორა პორტრეტს.

ბიმს კი ეძინა.

*

აი, ასე ცხოვრობდნენ ისინი ერთად, ერთ ოთახში. ბიმი ჯანმრთელი იზრდებოდა. ძალიან მალე გაიგო, რომ პატრონს ივან ივანიჩი ერქვა, ჭკვიანი ლეკვი გამოდგა, საზრიანი. ნელ-ნელა იმასაც მიეჩვია, რომ არაფრის ხელის ხლება არ შეიძლება, ადამიანებსა და საგნებს მხოლოდ უნდა უყურო და, საერთოდ, არაფერი არ შეიძლება, თუ ამის ნებას პატრონი არ მოგცემს. ამნაირად, «არ შეიძლება» გახდა ბიმის ცხოვრების მთავარი კანონი, ივან ივანიჩის თვალები, კილო, ხელების მოძრაობა, მკვეთრი ბრძანება და საალერსო სიტყვები _ მისი ცხოვრების სახელმძღვანელო. უფრო მეტიც, დამოუკიდებლად რამის გაკეთება არავითარ შემთხვევაში პატრონის სურვილის საწინააღმდეგო არ უნდა ყოფილიყო. სამაგიეროდ, ბიმი თანდათან ხვდებოდა, რა სურდა ზოგჯერ მის მეგობარს. აი, მაგალითად, ივან ივანიჩი ფან-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯრის წინ დგას და შორს იცქირება. იცქირება და ფიქრობს, ფიქრობს. მაშინ ბიმიც გვერდით მიუჯდება, ისიც იცქირება და ფიქრობს. ადამიანმა არ იცის, რაზე ფიქრობს ძაღლი, ძაღლი კი მთელი თავისი გარეგნობით გამოხატავს: «ახლა ჩემი კეთილი მეგობარი მაგიდას მიუჯდება, აუცილებლად მიუჯდება. ცოტა ხანს აქეთ-იქით ივლის, შემდეგ დაჯდება და თეთრ ქაღალდზე პატარა ჯოხს აცაცუნებს, ჯოხი კი ოდნავ ჩურჩულს დაიწყებს. ეს დიდხანს გაგრძელდება, ამიტომ მეც გვერდით მივუჯდები». შემდეგ ბიმი ცხვირს ჰკრავს პატრონის თბილ ხელისგულს და პატრონი ეტყვის:

_ აბა, ბიმკა, მოდი, ვიმუშაოთ. _ და, მართლაც, სამუშაოდ დაჯდება.

ბიმკაც მის ფეხთან მოიკალათებს, ანდა, თუ ეტყვიან «ადგილზეო», კუთხეში მივა, საგებელზე წამოწვება და დაელოდება, დაელოდება პატრონის შეხედვას, სიტყვას, ხელის მოძრაობას. თუმცა, რამდენიმე ხნის შემდეგ შეუძლია თავისი ადგილი მიატოვოს და აცოდვილოს მრგვალი ძვალი, რომლის გაკვნეტა შეუძლებელია. რამდენიც გინდა, ილესე კბილები, მხოლოდ პატრონს ხელი არ შეუშალო. მაგრამ როცა ივან ივანიჩი სახეზე ხელებს აიფარებს და იდაყვებით მაგიდას დაეყრდნობა, მაშინ ბიმი მიდის მასთან, სხვადასხვაფერყურებიან თავს კალთაში ჩაუდებს და გაინაბება: იცის, პატრონი ხელს გადაუსვამს. იცის, რომ მეგობარს რაღაც უჭირს. ივან ივანიჩი კი მადლობას ეტყვის:

_ გმადლობ, ძვირფასო, გმადლობ, ბიმ. _ და ისევ თეთრ ქაღალდზე აჩურჩულებს იმ თავის პატარა ჯოხს.

ასე იყო სახლში.

მაგრამ ასე არ იყო მინდორში, სადაც ორივენი ყველაფერს ივიწყებდნენ. იქ შეიძლებოდა სირბილი, ნავარდი, პეპლების დევნა, ბალახში კოტრიალი _ ყველაფერი ნებადართული იყო. მაგრამ აქაც, როგორც კი ბიმი რვა თვისა გახდა, ყველაფერი პატრონის ბრძანებას დაემორჩილა: «წადი... წადი» _ შეგიძლია ითამაშო. «უკან!» _ სავსებით გასაგებია. «დაწექი!» _ ესეც აბსოლუტურად ნათელია. «ჰოპ!» _ გადახტი. «ეძებე!» _ ყველის ნაჭრები მოძებნე. «გვერდით!» _ პატრონის გვერდით იარე, მხოლოდ მარცხენა მხარეს. «ჩემკენ!» _ თუ სწრაფად მიხვალ პატრონთან, შაქრის ნატეხს მიიღებ». ამას გარდა, ბევრი სხვა სიტყვა გაიგო ბიმმა, ვიდრე წლისა გახდებოდა. მეგობრებს სულ უფრო და უფრო ესმოდათ ერთმანეთისა, უყვარდათ ერთმანეთი და ტოლებივით ცხოვრობდნენ ადამიანი და ძაღლი.

მაგრამ ერთხელ ისეთი რამ მოხდა, რამაც ბიმის ცხოვრება შეცვალა და რის გამოც რამდენიმე დღეში მომწიფდა. ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ ბიმმა უეცრად პატრონს საოცარი ნაკლი აღმოუჩინა.

ეს ასე იყო: ბიმი ბეჯითად და მონდომებით დარბოდა, მინდორში მიმობნეულ ყველის ნაჭრებს ეძებდა. უცბად ბალახის, ყვავილების, თვით დედამიწისა და მდინარის სურნელებაში შემოიჭრა ჰაერის უჩვეულო და ამაღელვებელი ნაკადი _ რომელიღაც ფრინველის სუნი, ეს სუნი სულ არ ჰგავდა იმ ჩიტების სუნს, რომელთაც ბიმი იცნობდა _ ნაირ-ნაირი ბეღურების, მხიარული წიწკანების, ბოლოქანქარებისა და დანარჩენი წვრილფეხობისა, რომელთა დაწევა არც კი უნდა სცადო (რამდენჯერმე სცადა). რაღაც უცნობი სუნი იდგა, რაც სისხლს უმღვრევდა ძაღლს. ბიმი შეჩერდა და ივან ივა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნიჩს მიხედა. ის კი სულ სხვა მხარეს წავიდა, ვერაფერი შეამჩნია. ბიმი გაოცდა, მეგობარი ვერაფერს გრძნობდა. მაშ, საპყარი ყოფილა! მაშინ ბიმმა გადაწყვიტა, ისე მოქცეულიყო, როგორც თვითონ სურდა: ფრთხილი ნაბიჯით პირდაპირ უცნობი რამისაკენ გასწია, ივან ივანიჩს აღარ უყურებდა, სულ უფრო და უფრო ნელა ადგამდა ნაბიჯს, თითქოს თითოეული თათისათვის არჩევდა ადგილს, რომ ფეხი არაფრისთვის წამოედო, ბალახი არ აეშრიალებინა. ბოლოს ბიმი მარჯვენა წინა ფეხის ძირს დაუშვებლად ერთ ადგილას გაშეშდა, თითქოს გაქვავდაო. თითქმის ოსტატი მოქანდაკის მიერ შექმნილ ძაღლის ქანდაკებას დაემსგავსა. აი, ის პირველი ნაბული! თავდავიწყებამდე მისული ნადირობის ვნების პირველი გაღვიძება. მაგრამ ამ დროს პატრონი ჩუმად მივიდა და ხელი გადაუსვა ათრთოლებულ ბიმს.

_ კარგია, კარგია, ბიჭო, კარგი. _ და საყელურში ჩასჭიდა ხელი. _ წინ... წინ...

ბიმს კი წინ წასვლა არ შეეძლო, ძალა არ ჰყოფნიდა.

_ წინ... წინ... _ საყელურით ეწეოდა ივან ივანიჩი.

და ბიმი წავიდა! ნელა, ფეხაკრებით! სულ ცოტაღა დარჩა უცნობამდე, თითქოს სადღაც იქვე იყო, გვერდით. მაგრამ უცბად გაისმა მკვეთრი ბრძანება:

_ წინ!!!

ბიმი გავარდა. ხმაურით აფრინდა მწყერი. ძაღლმა გაიწია და... რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გამოეკიდა.

_ უკან! _ დაუყვირა პატრონმა.

მაგრამ ბიმს არაფერი ესმოდა, თითქოს დაყრუვდა.

_ უკან! _ და გაისმა სასტვენის ხმა. _ უკან! _ და ისევ სასტვენის ხმა.

ბიმი მანამდე მიქროდა, ვიდრე მწყერი თვალს არ მიეფარა; შემდეგ კი მხიარული დაბრუნდა უკან. მაგრამ ნეტავ ეს რას უნდა ნიშნავდეს? პატრონი წარბშეკრულია, მკაცრად იცქირება, არ ეფერება. ყველაფერი ნათელია, მის მეგობარს ყნოსვა არ ჰქონია! საბრალო მეგობარი... ბიმმა ძალიან ფრთხილად აულოკა ხელი, ამით თითქოს გულის ამაჩუყებელი სიბრალული გამოხატა თავისი უახლოესი არსების საოცარი მემკვიდრეობითი არასრულფასოვნებისადმი.

პატრონმა უთხრა:

_ სხვა რამეს ფიქრობ, სულელო. _ შემდეგ უფრო მხიარულად თქვა: აბა, ბიმ, ახლა კი ნამდვილად დავიწყოთ, როგორც საჭიროა. _ ძაღლს საყელური მოხსნა და მეორე (უფრო უხერხული) ჩამოაცვა, თანაც გრძელი საბელი ჩააბა. _ ეძებე!

ახლა ბიმი მხოლოდ მწყრის სუნს ეძებდა, სხვას არაფერს. ივან ივანიჩი კი იქით ეწეოდა, საითაც ფრინველმა გადაინაცვლა. ბიმს არ ესმოდა, რომ მისმა მეგობარმა დაინახა, სად დაჯდა მწყერი იმ სამარცხვინო დევნის შემდეგ (პატრონი, რა თქმა უნდა, ყნოსვით ვერაფერს გრძნობდა, მაგრამ დანახვით კი ხედავდა).

და, აი, ისევ ის სუნი! ბიმი ღვედს ვერ გრძნობს, ძებნის არეს ავიწროებს, ყნოსავს, ყნოსავს, ყნოსავს, ასწია თავი და ახლა მაღლა ჰაერს ყნოსავს... ისევ ნაბული! მზის ჩასვლის ფონზე ის საოცრად ლამაზია (ამ სილამაზის შეგ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რძნება ყველას როდი შეუძლია). მღელვარებისაგან აკანკალებულმა ივანიჩ-მა საბელის ბოლო მაგრად დაიხვია ხელზე და ძაღლს ჩუმად უბრძანა:

_ წინ!.. წინ!..

ბიმი იქით წავიდა, საითაც პატრონი ანიშნებდა, და ერთხელ კიდევ შე-ჩერდა.

_ წინ!!!

ბიმი ისევ ისე გაქანდა, როგორც პირველად. მწყერი ახლა ფრთების ტკა-ცანით აფრინდა. ბიმი წინანდებურად უჭკუოდ გამოედევნა ფრინველს, მაგ-რამ... საბელი მოსწიეს და უკან დაახევინეს.

_ უკან!!! _ დაუყვირა პატრონმა. _ არ შეიძლება!!!

ბიმი უკან გადმოქანდა და დაეცა. მას არ ესმოდა, რატომ ექცეოდნენ ასე, და ისევ მწყრისაკენ იწევდა.

_ დაწექი!

ძაღლი დაწვა.

და ისევ ყველაფერი გამეორდა, ამჯერად უკვე მეორე მწყრის დევნისას, მაგრამ ახლა ბიმმა საბელის მოჭიმვა უფრო ადრე იგრძნო, ვიდრე პირვე-ლად, ბრძანებისთანავე დაწვა და მღელვარების, აღტყინების, ამასთან, მწუ-ხარებისა და სევდისაგან აკანკალდა: ყველაფერი ეს ზედ ეწერა მას ცხვირი-დან დაწყებული _ კუდამდე. ასე რომ, კისერი ეტკინა! ატკინა არა მარტო სასტიკმა, საძაგელმა საბელმა, არამედ მჩხვლეტავმა ეკლებმაც, რომლებიც საყელურზე შიგნიდან იყო დამაგრებული.

_ აი, ასეა საქმე, ბიმკა. რა გაეწყობა, ასეა საჭირო. _ ეუბნებოდა ივან ივა-ნიჩი, თან ეფერებოდა და ხელს უსვამდა.

ამ დღიდან იქცა ბიმი ნამდვილ მონადირე ძაღლად. ამავე დღიდან მიხ-ვდა ბიმი, რომ მხოლოდ მას, მხოლოდ მას შეუძლია გაიგოს, სად არის ფრინველი, და რომ მისი პატრონი უმწეოა, ცხვირი კი მხოლოდ შესახედაო-ბისთვის აქვს. დაიწყო ნამდვილი წვრთნა, რასაც საფუძვლად ედო სამი სიტყვა: «არ შეიძლება», «უკან», «კარგია».

შემდეგ? შემდეგ კი _ ეჰ! _ შემდეგ თოფია! გასროლა. მწყერი დამდუღ-რულივით ეცემა ძირს. მისი დაწევაც თურმე საჭირო არ ყოფილა, მხოლოდ უნდა იპოვო, ფრთით აიღო და დაწვე, დანარჩენი კი მეგობრის საქმეა. თა-ნასწორუფლებიანი თამაში იყო: პატრონს ყნოსვა არ ჰქონდა, ძაღლს _ თო-ფი.

ასეთი თბილი მეგობრობა და ერთგულება ორივესთვის ბედნიერებად იქცა, რადგან ერთმანეთისა ესმოდათ და იმაზე მეტს არ სთხოვდნენ ურთი-ერთს, რის მოცემაც შეეძლოთ. აი, რა არის საფუძველი მეგობრობისა.

*

ორი წლის ასაკში ბიმი ჩინებული მონადირე ძაღლი დადგა, გულმიმ-ნდობი და პატიოსანი. უკვე ასიოდე სიტყვა ესმოდა, ნადირობასა და სახ-ლთან დაკავშირებული. ივან ივანიჩი რომ ეტყოდა: «მომიტანე» _ მიუტან-და, «ჯამი მოიტანე!» _ იმასაც მიუტანდა, «სკამზე დაჯექი!» _ დაჯდებოდა: ეს კიდევ რაა! თვალებზე ატყობდა: თუ პატრონი კარგი თვალით მისჩერე-ბოდა ვინმეს, ეს ვინმე იმ წუთიდანვე ბიმისთვისაც ნაცნობი იყო; თუ ცუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დად შეხედავდა, ძაღლი ზოგჯერ შეუღრენდა კიდევაც; ლაქუცსაც გრძნობდა უცხო კაცის ხმაში (ალერსიან ლაქუცს), მაგრამ არასოდეს არავისთვის უკბენია, თუნდაც კუდზე დაედგათ ფეხი. ღამით ყეფით აფრთხილებდა პატრონს, რომ მათ კოცონს უცხო უახლოვდებოდა, მაგრამ კბენით კი არ უკბენია არავისთვის. ასეთია ინტელიგენტური ჯიშის ძაღლი.

რაც შეეხება ინტელიგენტურობას, უნდა ითქვას, რომ ბიმმა ასეთი რამეც კი იცოდა (ისწავლა, თავისი ჭკუით მიხვდა): კარებზე უნდა დაეფხაჭუნებინა, რომ გაეღოთ. ზოგჯერ ივან ივანიჩი ავად ხდებოდა, სასეირნოდ ვერ მიჰყავდა და მარტოს უშვებდა. ბიმი ცოტას ირბენდა, მოისაქმებდა, როგორც წესია, მერე შინისაკენ გამოეშურებოდა, უკანა თათებზე შედგებოდა, მუდარით აწკმუტუნდებოდა; კარი გაიღებოდა, პატრონი ფლოსტების მძიმე ფლატუნით გამოივლიდა წინკარს, შეხვდებოდა, მიუალერსებდა და ისევ ლოგინში ჩაწვებოდა. ეს მაშინ, როცა ივან ივანიჩი, ხნიერი კაცი, ავად გახდებოდა ხოლმე (ავადმყოფობით კი სულ უფრო და უფრო ხშირად ავადმყოფობდა, რასაც ბიმი ამჩნევდა).

ბიმმა მტკიცედ შეითვისა: კარზე თუ დააფხაჭუნებ, უეჭველად გაგიღებენ; კარი იმისთვის არსებობს, რომ ყველას შეეძლოს შინ შესვლა: ითხოვე და შეგიშვებენ. ასეთი იყო ძაღლის მტკიცე რწმენა.

მხოლოდ ის არ იცოდა ბიმმა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რამდენი მწუხარება და გულგატეხილობა მოჰყვებოდა ასეთ გულუბრყვილო მიმნდობლობას; არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ არსებობს კარები, რომლებიც, რაც უნდა უფხაჭუნო, არ გაიღება.

რა მოხდება შემდეგში, ვინ იცის, მაგრამ ჯერჯერობით კი ერთი რამ დაგვრჩა სათქმელი: ბიმი, ძაღლი, რომელსაც საოცარი ყნოსვა ჰქონდა, ბოლოს მაინც საეჭვო ჯიშის ძაღლად დარჩა, საგვარეულო არ მისცეს. ორჯერ წაიყვანა ივან ივანიჩმა გამოფენაზე, ორჯერვე შეუფასებელი დატოვეს. მაშასადამე, მისი ჯიშის ძაღლების წრიდან განდევნილი იყო და მაინც ბიმი ჩამომავლობით უნიჭო ვინმე არ გახლავთ, ნამდვილი ძაღლია: რვა თვისამ დაიწყო ფრინველზე ნადირობა. მერედა როგორ! მინდა მჯეროდეს, რომ კარგი მომავალი ელოდება.

თავი მეორე
გაზაფხულის ტყე

მეორე სეზონზე, როცა ბიმი მესამე წელიწადში გადადგა, ივან ივანიჩმა მას ტყე გააცნო. ტყის გაცნობა ძალიან საინტერესო იყო ძაღლისთვისაც და მისი პატრონისთვისაც.

ველებსა და მინდვრებში ყველაფერი ნათელი, გასაგებია: იქ სივრცეა, ბალახი, ჯეჯილი, პატრონი მუდამ ჩანს, ეძებე, იპოვე, ნაბული გააკეთე და ელოდე ბრძანებას. რა მშვენიერებაა! აქ ტყეში კი, სულ სხვა საქმეა.

ადრეული გაზაფხული იდგა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პირველად რომ მოვიდნენ, საღამო ხანი იყო, ხეებს შორის კი, თუმცა ფოთოლი ჯერ არ გამოსულიყო, უკვე ბინდდებოდა. ქვემოთ ყველაფერი ჩამუქებული იყო: ხეებიც, შარშანდელი მუქი ყავისფერი ფოთლებიც, ბალახების ყავისფერ-რუხი გამხმარი ღეროებიც, ასკილის ნაყოფიც კი, შემოდგომაზე მუქლალისფერი, ახლა, გამოზამთრების შემდეგ, ყავის მარცვლებს დამსგავსებოდა.

მსუბუქი ნიავი ოდნავ არხევდა მეჩხერ შიშველ ტოტებს. ისინი წვეროებით ეხებოდნენ ერთმანეთს, თითქოს ამოწმებდნენ, ცოცხალია თუ არაო. ხის კენწეროები ოდნავ ირხეოდნენ _ შეუფოთლავი ხეებიც კი ცოცხლებს ჰგავდნენ. ყველაფერი საიდუმლოდ მოჩურჩულე და მძაფრსურნელოვანი იყო: ხეებიც, ფეხქვეშ გაფენილი რბილი, ტყის მიწის საგაზაფხულო სურნელით გაჟღენთილი ფოთლებიც და ივან ივანიჩის ფრთხილი და ჩუმი ნაბიჯებიც. მისი ფეხსაცმელიც ფაჩაფუჩობდა, კვალსაც უფრო მძაფრი სურნელება სდიოდა, ვიდრე მინდვრად. ყოველი ხის უკან უცნობი, იდუმალი რაღაც იმალებოდა. ამიტომ იყო, რომ ბიმი მხოლოდ ოციოდე ნაბიჯით შორდებოდა ივან ივანიჩს. გავარდებოდა წინ, გაიქცევ-გამოიქცეოდა აქეთ-იქით და ისევ უკან მორბოდა, სახეში მისჩერებოდა და თითქოს ეკითხებოდა: «ჩვენ აქ რა გვინდაო».

_ ვერ გაგიგია, რა ხდება, არა, ბიმ? _ ხვდებოდა ივან ივანიჩი. _ გაიგებ, გაიგებ, ბიმკა. ცოტა მოიცადე. _ აი, ასე დადიოდნენ და ერთმანეთს აკვირდებოდნენ.

მაგრამ, აი, ერთ განიერ მდელოზე შეჩერდნენ, ორი განაკაფის შესაყარზე. გზა ოთხივე მხარეს მიდიოდა. ივან ივანიჩი თხილის ბუჩქს ამოეფარა, დასავლეთისკენ მიბრუნდა და მაღლა დაიწყო ცქერა. ბიმიც იქით იცქირებოდა და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ცდილობდა მიხვედრილიყო, რა იყო იქ დასანახავი.

ზემოთ ჯერ კიდევ სინათლე იყო, აქ, ქვემოთ კი, სულ უფრო და უფრო ბნელდებოდა. ტყეში ვიღაცამ გაიშრიალა და მიჩუმდა. ისევ გაიშრიალა და ისევ მიჩუმდა. ბიმი ივან ივანიჩის ფეხს მიეკრა, _ ასე ეკითხებოდა პატრონს: «იქ რა არის ან ვინ არის? იქნებ წავიდეთ, ვნახოთ?»

_ კურდღელია, _ ძლივს გასაგონად თქვა ივან ივანიჩმა. _ ყველაფერი კარგადაა, ბიმ, კარგად. კურდღელია. დაე, ირბინოს.

რაკი «კარგადაა», მაშასადამე, ყველაფერი რიგზე ყოფილა. «კურდღელი» _ ესეც გასაგებია: ბევრჯერ, როცა ბიმი მხეცუნას კვალს წააწყდებოდა, ამ სიტყვას უმეორებდნენ. ერთხელ კი თვითონ კურდღელიც ნახა, შეეცადა კიდეც, დასწეოდა, მაგრამ სასტიკი საყვედური დაიმსახურა და დასაჯეს, არ შეიძლებაო!

მაშ, ასე, სადღაც ახლოს გაიშრიალა კურდღელმა. მერე რაღა მოხდება?

უეცრად მაღლა ვიღაც უჩინარი და უცნობი ახორხორდა: «ხორ-ხორ! ...ხორ-ხორ! ხორ-ხორ!...» ხრიალი პირველად ბიმმა გაიგონა და შეკრთა. პატრონიც შეკრთა. ორივენი მაღლა იცქირებოდნენ, მხოლოდ მაღლა... უეცრად მეწამულ-მოლურჯო დაისის ფონზე, განაკაფის გასწვრივ, ფრინველი გამოჩნდა. პირდაპირ მათკენ მოფრინავდა, დროგამოშვებით ისე გაჰკიოდა, თითქოს ფრინველი კი არა, პატარა მხეცუნა მოფრინავს და მოხორხორებსო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ მაინც ფრინველი იყო. დიდი ჩანდა, ფრთები კი სრულიად უხმაურო ჰქონდა (ამ მხრივ არც მწყერს ჰგავდა, არც გნოლს, არც იხვს). ერთი სიტყვით, ზემოთ უცნობი რაღაც მოფრინავდა.

ივან ივანიჩმა თოფი მოიმარჯვა. ბიმიც მაშინვე დაწვა და თვალს არ აშორებდა ფრინველს. თოფის გასროლა ტყეში ისეთი მკვეთრი და ძლიერი იყო, როგორც ბიმს აქამდე არასოდეს გაეგონა. ექომ ტყეს გადაუარა და სადღაც შორს მიჩუმდა.

ფრინველი ბუჩქებში ჩავარდა, მაგრამ მეგობრებმა მალე იპოვეს. ივან ივანიჩმა წინ დაუდო ბიმს და უთხრა:

_ იცნობდე, ძმაო: ტყის ქათამია, _ ერთხელ კიდევ გაუმეორა: _ ტყის ქათამი.

ბიმი ყნოსავდა და თათით უსინჯავდა ფრინველს ნისკარტს. შემდეგ დაჯდა ათრთოლებული და გაოცებისაგან წინა თათებს მოუსვენრად აცეცებდა. რა თქმა უნდა, თავის თავს ელაპარაკებოდა: «ასეთი ცხვირი ჯერ არ მინახავს. აი, ცხვირი ამას ჰქვია!»

ტყე კი ოდნავ შრიალებდა, მაგრამ თანდათან მშვიდდებოდა და ერთბაშად გაყუჩდა კიდეც, თითქოს ვიღაც უხილავმა ხეების ზემოთ განიერი ფრთები უკანასკნელად აიქნია და თქვა: კმარა შრიალიო. ტოტები გაშეშდნენ, ხეები თითქოს იძინებდნენ, მხოლოდ ზოგჯერ თუ შეკრთებოდნენ ბინდში.

კიდევ სამმა ტყის ქათამმა გადაიფრინა, მაგრამ ივან ივანიჩმა აღარ ესროლა. თუმცა უკანასკნელი ფრინველი არ დაუნახავთ სიბნელეში, მხოლოდ მისი ხმა მოესმათ, მაგრამ ბიმი გაოცებული იყო: რატომ არ ესროლა პატრონმა მათ, რომლებიც კარგად მოჩანდნენ. აი, რა აღელვებდა ძაღლს, ივან ივანიჩი კი, ეტყობა, უბრალოდ, ან მაღლა იცქირებოდა, ანდა თავდახრილი უგდებდა ყურს სიჩუმეს. ორივენი დუმდნენ.

აი, როდისაა სიტყვა ზედმეტი ადამიანისთვისაც და, მით უმეტეს, ძაღლისთვის!

მხოლოდ ბოლოს, წასვლის წინ, ივან ივანიჩმა ჩაილაპარაკა:

_ კარგია, ბიმ! სიცოცხლე ხელახლა იწყება. გაზაფხულია.

ბიმი პატრონის კილოზე მიხვდა, რომ მეგობარი კარგ გუნებაზე იყო, და მუხლებში ატაკა ცხვირი, თან კუდი გააქიცინა: კარგია, რა თქმა უნდაო.

...მეორედ აქ გვიან დილით მოვიდნენ, მაგრამ უთოფოდ.

არყის ხის სურნელოვანი დაბერილი კვირტები, ხის ფესვების ძლიერი სუნი, ახლად აღმოცენებული ბალახის უნაზესი სურნელების ნაკადი, _ ყოველივე ეს საოცრად ახალი და წარმტაცი იყო. მზე ტყის ყოველ კუნჭულში აღწევდა, გარდა ფიჭვნარისა, მაგრამ ისიც აქა-იქ დაესერა მის ოქროსფერ სხივებს: სიჩუმე იდგა. აჰ, რა კარგია გაზაფხულის დილის სიჩუმე ტყეში!

ამჯერად ბიმს უფრო გაბედულად ეჭირა თავი: ყველაფერი კარგად ჩანდა (იმდღევანდელივით როდი ბნელოდა), ამიტომ აქეთ-იქით დაქროდა, თუმცა პატრონს თვალს არ აშორებდა. ყველაფერი ჩინებულად მიდიოდა.

ბოლოს ბიმს შორიდან ტყის ქათმის სუნი ეცა. ფრინველის სუნი იკრა თუ არა, კლასიკური ნაბული გააკეთა. ივან ივანიჩმა უბრძანა: «წინო!» მაგრამ თოფი არ ჰქონდა, რა უნდა ესროლა! ფრინველის აფრენის დროს კი, რო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გორც წესია, უბრძანა, დაწოლილიყო, სრულიად გაუგებარი იყო, ხედავდა პატრონი რამეს თუ ვერა! ბიმი ცალი თვალით მას უყურებდა მანამდე, ვიდრე არ დარწმუნდა ხედავსო.

მეორე ტყის ქათმის აფრენის დროსაც ასე მოხდა. მაშინ კი ბიმმა სცადა, წყენა ოდნავ მაინც გამოეხატა: ამას ამჟღავნებდა მისი დაძაბული გამოხედვა, განზე გაქცევა, დაუმორჩილებლობის ცდა, ერთი სიტყვით, უკმაყოფილება თანდათან მწიფდებოდა და გამოსავალს ეძებდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ბიმი ჩვეულებრივი ეზოს ძაღლივით გამოეკიდა აფრენილ მესამე ტყის ქათამს. მაგრამ ტყის ქათამს დიდხანს ვერ სდევ: ტოტებს შორის გაიელვებს და გაქრება. ბიმი უკმაყოფილო დაბრუნდა, თანაც დასაჯეს კიდეც. რა გაეწყობა, _ მოშორებით დაწვა და ღრმად ამოიოხრა (ძაღლებს ასეთი რამე კარგად გამოსდით).

ბიმი ყველაფერს გადაიტანდა, რომ ამას კიდევ სხვა წყენაც არ დართვოდა. ძაღლმა ამჯერად კიდევ ერთი ნაკლი აღმოუჩინა პატრონს: მას წარყვნილი ყნოსვა ჰქონდა, უამისოდაც ყნოსვა აკლდა, ახლა კი...

აი, როგორ იყო.

ივან ივანიჩი გაჩერდა, მიიხედ-მოიხედა და ჰაერი დაყნოსა. შემდეგ ხესთან მივიდა, ჩაცუცქდა და ფრთხილად გადაუსვა თითი პაწაწინა ყვავილს (ივან ივანიჩისათვის სრულიად უსუნო იყო, ბიმისათვის კი საშინლად ყარდა). ნეტავ რა ნახა ამ ყვავილში: მაგრამ ივან ივანიჩი იჯდა და იღიმებოდა. ბიმმა, რა თქმა უნდა, თავი ისე დაიჭირა, თითქოს ისიც კარგად იყო, ნასიამოვნები გახლდათ, მაგრამ მხოლოდ პიროვნების პატივსაცემად მოიქცა ასე, სინამდვილეში კი ძალზე გაოცებული იყო.

_ შეხედე, შეხედე, ბიმ! _ შესძახა ივან ივანიჩმა და ძაღლს დრუნჩი ყვავილისაკენ დაახრევინა.

ამის ატანა კი ბიმს აღარ შეეძლო, და დრუნჩი გვერდზე გასწია. შემდეგ მაშინვე განზე გადგა და მინდორზე დაწვა. მთელი მისი გარეგნობა ერთ რამეს გამოხატავდა: «მიდი, მიდი, ყნოსე ეგ შენი ყვავილიო». აზრთა სხვაობა ურთიერთდამოკიდებულების სასწრაფო გამორკვევას თხოულობდა, მაგრამ პატრონი აღტაცებული შესცინოდა ბიმს. ესეც საწყენი იყო. «ერთი ამას დამიხედეთ, როგორ იცინის».

პატრონი კი ისევ ყვავილს მიუბრუნდა:

_ გამარჯობა, მეკვლე!

ბიმი ნამდვილად მიხვდა, რომ სიტყვა «გამარჯობა» მისთვის არ უთქვამთ.

ძაღლს, თუკი შეიძლება ასე ითქვას, გულში ეჭვი შეეპარა. აი ასეთი რამ მოხდა იმ დღეს. მხოლოდ შინ მისვლის შემდეგ თითქოს აღდგა დამოკიდებულება. მაგრამ ბიმისათვის ეს დღე მარცხიანი გამოდგა: ფრინველს მიაგნეს და არ ესროლეს, თვითონ მოისაზრა, დაედევნა ტყის ქათამს და დასაჯეს, ის ყვავილიც რას წარმოადგენდა ასეთს? არა, ძაღლის ცხოვრება მაინც ძაღლურია, რადგან იგი სამი «ვეშაპის» ჰიპნოზს ემორჩილება. ესენია: «არ შეიძლება», «უკან», «კარგია».

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მხოლოდ არც ერთმა არ იცოდა, არც ივან ივანიჩმა და არც ბიმმა, რომ ოდესმე ეს დღე, თუკი მას გაიხსენებდნენ, მეტისმეტად ბედნიერად მოეჩვენებოდათ.

პატრონის ჩანაწერები

იმ დროს, როცა ჯერ კიდევ არ გაშლილან ახლად გაღვიძებული კვირტები, ზამთარში გადანაკაფ სევდამორეულ ჯირკებს ამონაყარი ჯერ არა აქვთ და მხოლოდ იცრემლებიან, როცა შიშველი ტოტებიც არ შრიალებენ და მხოლოდ ფრთხილად ელამუნებიან ერთმანეთს, ზამთრის სიმძიმილით დაქანცულ ტყეს უეცრად თეთრყვავილას სურნელება მოეფინა, ის ოდნავ იგრძნობოდა, მაგრამ ეს იყო სურნელება გამოღვიძებული ბუნებისა და ამიტომ მთრთოლვარე და სასიხარულო იყო, თუმცა ოდნავ საგრძნობი. ვიხედები აქეთ-იქით, ის კი თურმე აქვეა, ჩემ გვერდით. დგას დედამიწაზე ყვავილი, ცისფერი ზეცის პაწაწინა წვეთი, უბრალო და გულღია მაცნე სიხარულისა და ბედნიერებისა მათთვის, ვისთვისაცაა ეს დაწესებული და გასაგები. მაგრამ ყველასათვის, ბედნიერისთვისაც და უბედურისთვისაც, იგი ახლა ცხოვრების მშვენებაა და სილამაზე.

აი, ასეა ჩვენ შორისაც (ადამიანებს შორის): არიან სუფთა გულის უბრალო ადამიანები, «შეუმჩნეველნი» და «პატარები», მაგრამ მათ უზარმაზარი გული აქვთ, სწორედ ისინი ამშვენებენ ცხოვრებას რადგან ისინი იტევენ ყველაფერს, რაც კი კაცობრიობაში საუკეთესოა _ სიკეთეს, უბრალოებას, ნდობას. ჰოდა, თეთრყვავილაც ასევეა _ იგი დედამიწაზე დაცემულ ცის წვეთსა ჰგავს...

რამდენიმე დღის შემდეგ (გუშინ) მე და ბიმი ისევ იმ ალაგას ვიყავით. ცამ დედამიწას ათასობით ცისფერი წვეთი მოაპკურა. ვეძებ, აქეთ-იქით ვიცქირები, სად არის ის პირველი მეკვლე, ყველაზე გამბედავი? მგონი, ეს უნდა იყოს. ის არის თუ არა, არ ვიცი. უკვე ისე ბევრი ყვავილია, მისი პოვნა და შემჩნევა შეუძლებელია: მის შემდეგ ამოსულებში აირია, დაიკარგა. პატარა კია, მაგრამ ვაჟკაცია, ჩუმია, ისეთი შეუპოვარი, რომ კაცს ეგონება, უკანასკნელ სუსხს სწორედ მისი შეეშინდა, მოტყდა და გარიჟრაჟზე ტყის პირას თრთვილის უკანასკნელი თეთრი დროშა გამოფინაო. ცხოვრება წინ მიდის.

...ბიმისათვის ყველაფერი ეს გაუგებარია. პირველად ეწყინა კიდეც, იეჭვიანა. თუმცა, ბევრი ყვავილიც რომ ამოვიდა, მაშინაც არ აქცევდა მათ ყურადღებას. დაგეშვის დროს ცუდად ეჭირა თავი: უთოფობამ ცუდ გუნებაზე დააყენა. ჩვენ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ვდგავართ, მაგრამ ძალიან, ძალიან ახლობლები ვართ. ბუნება ყველაფერს მტკიცე კანონის მიხედვით ქმნის: ურთიერთაუცილებლობის კანონით. ეს კანონი ყველა საფეხურზე მოქმედებს _ უმარტივესიდან დაწყებული _ მაღალგანვითარებულ ცხოვრებამდე... ბიმი რომ არ ყოფილიყო, განა ასეთ საშინელ მარტოობას გავუძლებდი?

...როგორი აუცილებელი იყო ჩემთვის ჩემი მეუღლე! იმასაც უყვარდა თეთრყვავილები. წარსული სიზმარსა ჰგავს...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იქნებ აწმყოც სიზმარია? სიზმარი ხომ არ არის ზაფხულის გუშინდელი ტყე, ცისფრად მოკიაფე მიწა? რა გაეწყობა: ცისფერი სიზმრები ღვთაებრივ-სამკურნალო წამალია, თუმცა, დროებითი. რა თქმა უნდა, დროებითი. რადგან მწერლებიც კი მხოლოდ ცისფერ სიზმრებს რომ ქადაგებდნენ, უფერულებს გვერდს უქცევდნენ; ადამიანებს აღარ ააღელვებდათ მომავალი, რადგან აწმყოს მარადიულად ჩათვლიდნენ მომავალშიაც. დროში განწირულობის ხვედრი სწორედ ის არის, რომ აწმყო მხოლოდ წარსულად უნდა იქცეს. ადამიანს არ ძალუძს, ბრძანოს: «მზეო, შესდექ!» დრო შეუჩერებელია და ულმობელი. ყველაფერი დროსა და მოძრაობაშია. ის კი, ვინც მხოლოდ მყარ ცისფერ სიმშვიდეს ეძებს, უკვე მთლიანად წარსულშია, _ იქნება იგი თავის თავზე მზრუნველი ახალგაზრდა თუ მიხრწნილი მოხუცი _ ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. ცისფერს თავისი ბგერა აქვს, იგი ჟღერს, როგორც სიმშვიდე, თავდავიწყება, მაგრამ მხოლოდ დროებითი, მხოლოდ სულის მოსათქმელი; ასეთი წუთის ხელიდან გაშვება არ შეიძლება.

მე რომ მწერალი ვიყო, უეჭველად ასე ვიტყოდი:

«ო, მოუსვენარო ადამიანო! დიდება შენ, ვინც მარად ფიქრობ და იტანჯები მომავლისათვის! თუ სულით დასვენება მოგინდეს, ადრე გაზაფხულზე წადი ტყეში, თეთრყვავილებთან მიდი და შენ იხილავ სინამდვილის მშვენიერ სიზმარს. წადი ჩქარა! რამდენიმე დღის შემდეგ თეთრყვავილები შეიძლება აღარც იყოს და შენც ვეღარ დაიმახსოვრებ ჯადოსნურ სანახაობას, რომელიც ბუნებამ გიბოძა. წადი, დაისვენე. თეთრყვავილები ბედნიერებას მოასწავებსო, _ ამბობს ხალხი».

...ბიმი კი გდია და სძინავს. სიზმარს ხედავს: ფეხებს აქნევს, ალბათ, სიზმარში სადღაც გარბის. თეთრყვავილების სურნელება ყელში ამოსდის: ცისფერს რუხად ხედავს (ასეა მოწყობილი ძაღლის მხედველობა). ბუნებამ თითქოს სინამდვილის გამმუქებელი შექმნა. მიდი და დააჯერე საყვარელი მეგობარი, რომ ისიც ადამიანის თვალთახედვით იცქირებოდეს. თავიც რომ წააგდებინო, მაინც თავისებურად დაინახავს ყველაფერს. სავსებით დამოუკიდებელი ძაღლია.

თავი მესამე
ბიმის პირველი მტერი

გავიდა ბიმისათვის მხიარული, ბედნიერი ივან ივანიჩთან მეგობრობით სავსე ზაფხული. მინდორსა და ჭაობებში უთოფოდ სეირნობა, მზიანი დღეები, ბანაობა, მდინარის პირას გატარებული მშვიდი საღამოები _ ამაზე მეტი რა უნდა უნდოდეს რომელიც გინდათ ძაღლს? ნამდვილად არაფერი.

ვარჯიშისა და დაგეშვის დროს ისინი მონადირეებსაც ხვდებოდნენ ხოლმე. გაცნობა სწრაფად ხდებოდა, რადგან ყოველ მათგანს ძაღლი ახლდა. სანამ პატრონები მოახერხებდნენ გაცნობას, ძაღლები ერთმანეთისაკენ გარბოდნენ და მოკლედ საუბრობდნენ ძაღლურ ენაზე _ მზერითა და სხვადასხვა მოძრაობით.

_ «შენ ვინა ხარ, ხვადი თუ ძუ?» _ ეკითხებოდა ბიმი და ახალ ნაცნობს სათანადო ადგილებს უყნოსავდა (პროფორმისათვის, რა თქმა უნდა).

www.PDF.ChiaturaINFO.GE

_ «თვითონ ხომ ხედავ, რას მეკითხები», _ პასუხობდა ძუ.

_ «როგორ ცხოვრობ?» _ მხიარულად ეკითხებოდა ბიმი.

_ «ვმუშაობთ! _ წკმუტუნით პასუხობდა ძუ და თან კეკლუცად შეხტებოდა ოთხივე ფეხზე.

ამის შემდეგ პატრონებთან გარბოდნენ და ხან ერთსა და ხან მეორეს მოახსენებდნენ თავიანთი გაცნობის ამბავს. მერე კი, როცა ორივე მონადირე ბუჩქის ან ხის ჩრდილში დაჯდებოდა სასაუბროდ, ძაღლები იმდენს დარბოდნენ, ენა პირში აღარ ეტეოდათ. მაშინ ისინიც პატრონების გვერდით დაწვებოდნენ და უსმენდნენ მათ ხმადაბალ, გულითად საუბარს.

სხვა ადამიანები, გარდა მონადირეებისა, ბიმისათვის ნაკლებ საინტერესონი იყვნენ: ისინი მხოლოდ ადამიანები იყვნენ, მეტი არაფერი. კარგები არიან, მაგრამ მონადირეები ხომ არ არიან!

აი, ძაღლები კი სხვადასხვაგვარებია.

ერთხელ მინდორში ერთ პატარა გაბურძგნილ ძაღლს შეეყარა, ბიმზე ორჯერ პატარა იყო, შავი. თავდაჭერილად მიესალმნენ ერთმანეთს, ყოველგვარი კეკლუცობის გარეშე. რა დროს კეკლუცობა იყო, ახალმა ნაცნობმა ძუმ ასეთი შემთხვევისათვის ჩვეულებრივ შეკითხვებზე ზანტად გააქნია კუდი და უპასუხა:

_ «მშია».

პირიდან თაგვის სუნი ამოსდიოდა. ბიმმა დასუნა და გაოცებით ჰკითხა:

_ «თაგვი შეჭამე?»

_ «შევჭამე, _ უპასუხა ძუმ. _ მშია». და ლერწმის თეთრი, კორძებიანი ფესვის ღრღნა დაიწყო.

ბიმსაც უნდოდა გაესინჯა ლერწმის ფესვი, მაგრამ ძუმ არ დაანება, ისევ გაიმეორა:

_ «მშია».

ბიმმა მოიცადა, ვიდრე ძუ ყველაფერს შეჭამდა, მერე სთხოვა, გამომყევიო. ძუ დაუყოვნებლივ ძუნძულით გაჰყვა. ძუ გაბურძგნილი, მაგრამ სუფთა იყო (ჩანდა, ბანაობა უყვარდა, როგორც ძაღლების უმრავლესობას, რის გამოც ზაფხულში უსახლკარო ძაღლებიც კი სუფთანი არიან). ბიმმა მიუყვანა პატრონს, შორიდან რომ თვალს ადევნებდა მათ გაცნობას, მაგრამ ბურძგნია ერთბაშად არ მიენდო უცხო კაცს და მოშორებით ჩაცუცქდა, მიუხედავად იმისა, რომ ბიმი ხან პატრონთან მიირბენდა, ხან _ მასთან, ეძახდა, ამშვიდებდა. ივან ივანიჩმა ზურგჩანთა მოიხსნა, ძეხვი ამოიღო, პატარა ნაჭერი ჩამოათალა და ბურძგნიას გადაუგდო.

_ ჩემკენ, ბურძგნია, ჩემკენ.

ნაჭერი ძაღლისაგან სამიოდე მეტრის დაშორებით დაეცა. ძაღლი ფრთხილად წამოვიდა ნაჭრისაკენ, მისწვდა, შეჭამა და იქვე დაჯდა. შემდეგი ნაჭრის გულისთვის კიდევ უფრო ახლოს მიიწია. მერე კი უკვე ივან ივანიჩის ფეხებთან ჭამდა, მოფერების უფლებაც კი მისცა, მხოლოდ, ცოტა არ იყოს, შიშნარევად. ბიმმა და ივან ივანიჩმა მას ძეხვის მთელი რგოლი შეაჭამეს: პატრონი ბურძგნიას ძეხვის ნაჭრებს უყრიდა, ბიმი კი არ ეცილებოდა. ჩვეულებრივი ამბავია: ძაღლს რომ ნაჭერს გადაუგდებენ, ახლოს მოვა, მეორეზე, _ კიდევ უფრო ახლოს, მესამესა და მეოთხეზე შენს ფეხებთან აღმოჩ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნდება და ერთგულად გემსახურება. ასე ფიქრობდა ივან ივანიჩი. მან ბურ-ძგნია გასინჯა. თავზე ხელი მოუთათუნა და თქვა:

_ ცხვირი ცივი აქვს, მაშასადამე, ჯანმრთელია, ეს კარგია. _ და ორთავეს უბრძანა: _ მიდი, მიდიო!

ბურძგნიას ასეთი სიტყვები არ ესმოდა, მაგრამ როცა ნახა, ბიმი ბალახში დაბზრიალდა, მოისაზრა, რომ იმასაც უნდა ერბინა. და, რა თქმა უნდა, ძაღ-ლების ისეთი თამაში გაიმართა, რომ ბიმს დაავიწყდა კიდეც, რისთვის იყო აქ მოსული. ივან ივანიჩი ამის წინააღმდეგი არ იყო და სტვენა-სტვენით გა-ნაგრძობდა გზას.

ქალაქამდე ბურძგნია უყოყმანოდ მისდევდა მათ. მაგრამ ქალაქის გარე-უბნებში მოულოდნელად გზის პირას დაჯდა და ფეხი არ მოიცვალა. ეძახ-დნენ, ეპატიჟებოდნენ, მაგრამ ამაოდ. ასე იჯდა ფეხმოუცვლელად და მხო-ლოდ თვალს აყოლებდა მათ. ივან ივანიჩი შეცდა _ ყველა ძაღლს როდი მოქრთამავ სატყუარათი.

ბიმმა არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა, რომ ბურძგნიასაც პატრო-ნები ჰყავდა; რომ ის პატრონები საკუთარ პატარა სახლში ცხოვრობდნენ. მაგრამ მთელი ქუჩა დაანგრიეს, ბურძგნიას პატრონებს კი მეხუთე სარ-თულზე მისცეს კეთილმოწყობილი ბინა.

ერთი სიტყვით, ბურძგნია ბედის ანაბარა მიატოვეს. მაგრამ ძაღლმა მი-აგნო იმ ახალ სახლსაც და პატრონის კარსაც, იქ კი სცემეს და გამოაგდეს. ჰოდა, მარტოდმარტო დარჩა. ქალაქში მხოლოდ ღამით დადიოდა, როგორც ყველა მაწანწალა ძაღლი. ივან ივანიჩი ყველაფერს მიხვდა, მაგრამ ბიმს ხომ ვერაფერს გააგებინებდა. ბიმს კი არამც და არამც არ უნდოდა ბურძგნიას მი-ტოვება: სულ უკან იხედებოდა, ჩერდებოდა, ივან ივანიჩს მისჩერებოდა, მაგრამ ივან ივანიჩი არხეინად მიდიოდა.

მას რომ სცოდნოდა, რომ მწარე ბედი ისევ შეახვედრებდა ერთმანეთს ბურძგნიასა და ბიმს, მას რომ ისიც სცოდნოდა, სად და როდის მოხდებოდა ეს, ასე მშვიდად არ განაგრძობდა გზას. მაგრამ მომავალი ადამიანისთვისაც უცნობია.

*

... მესამე ზაფხულმა გაიარა. ბიმისათვის კარგი იყო ეს ზაფხული, არც ივან ივანიჩისათვის იყო ცუდი. ერთხელ პატრონმა ფანჯარა დახურა და თქვა:

_ ყინავს, ბიმკა, პირველი ყინვაა.

ბიმმა ვერ გაიგო. წამოდგა და სიბნელეში ცხვირი დაატაკა ივან ივანიჩის მუხლს, ამით გააგებინა: «ვერ მივხვდიო».

ივან ივანიჩმა კარგად იცოდა ძაღლების ენა, _ თვალებისა და მოძრაო-ბის ენა. სინათლე აანთო და ბიმს ჰკითხა:

_ არ გესმის, სულელო? _ შემდეგ გასაგებად აუხსნა: ხვალ ტყის ქათმებ-ზე წავალთ სანადიროდ, ტყის ქათმებზე.

ო, ეს სიტყვა ბიმმა იცოდა! ახტა და ნიკაპზე აუსვა ენა მეგობარს.

_ ხვალ სანადიროდ მივდივართ, სანადიროდ, ბიმ!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რა ამბავი შეიქნა, ბიმი დატრიალდა, თავის კუდს სწვდა და ციბრუტივით დაბზრიალდა. შემდეგ დაჯდა, ივან ივანიჩს სახეში მიაშტერდა და წინა თათების დაძენძილი ბეწვი აუკანკალდა. ეს ჯადოსნური სიტყვა _ «ნადირობა» _ ბიმისთვის ბედნიერების ნიშანი იყო, მაგრამ პატრონმა ბრძანა:

_ ახლა კი დავიძინოთ! _ სინათლე გამორთო და დაწვა.

ღამის დარჩენილი ნაწილი ბიმმა პატრონის საწოლთან გაატარა. იწვა, მაგრამ რა დააძინებდა! თვითონ ივან ივანიჩიც ხან თვლემდა, ხან ეღვიძებოდა, გათენებას ელოდა.

დილით ერთად ჩაალაგეს ზურგჩანთა, ზეთი მოაცილეს თოფის ლულებს, მსუბუქად ისაუზმეს (სანადიროდ წასვლის წინ მაძღრისად ჭამა არ შეიძლება), სავაზნე გასინჯეს, ადგილი შეუნაცვლეს მის ბუდეებში ჩაწყობილ ვაზნებს. სამუშაო ბევრი იყო, დრო კი _ ცოტა. ბიმი სულ უკან დასდევდა ივან ივანიჩს. სამზარეულოში შევიდოდა, იქ მიჰყვებოდა, საკუჭნაოში გავიდოდა, ისიც ფეხდაფეხ მისდევდა. ივან ივანიჩმა ზურგჩანთიდან კონსერვის ქილა რომ ამოიღო (ცუდად იდო) ბიმმა აიღო და უკან ჩადო. ვაზნებს რომ სინჯავდა, ბიმი თვალს ადევნებდა (არაფერი შეეშალოსო), ამას გარდა, ბიმს ხანდახან თოფის შალითისთვის ცხვირი უნდა მიეჭირა (თოფი ადგილზეაო?). დროდადრო ამ ყველაფერს ისიც ემატებოდა, რომ ასეთ გაწამაწიაში მღელვარებისაგან ყურს უკან მოეფხანებოდა ხოლმე, ჰოდა, თათი ხომ უნდა აეწია და მოეფხანა (ჭირსაც წაუღია მისი თავი)! ამის დრო კი არ იყო, ისედაც უაღრესად ბევრი საქმე ჰქონდათ.

როგორც იქნა, მოემზადნენ. ბიმი აღტაცებული იყო, მაშ რა იქნებოდა! პატრონს უკვე მონადირის ქურთუკი ეცვა, მონადირის ჩანთა მხარზე ჰქონდა გადაკიდებული, თოფიც ჩამოიხსნა.

_ სანადიროდ, ბიმ! სანადიროდ, _ გაიმეორა ივან ივანიჩმა. «სანადიროდ, სანადიროდ!» _ თვალებით ამბობდა აღტაცებული ბიმი, თან წკმუტუნებდა მთელ ქვეყნიერებაზე ერთადერთი მეგობრისადმი მადლობისა და სიყვარულის გრძნობით აღვსილი.

სწორედ ამ დროს შემოვიდა კაცი. ბიმი მას იცნობდა _ ეზოში შეხვედრია, მაგრამ ნაკლებსაინტერესოდ მიაჩნდა, ყურადღების ღირსად არ თვლიდა. კაცი სქელი იყო, მოკლე ფეხები და ფართო სახე ჰქონდა. მან ხრინწიანი ბოხი ხმით თქვა:

_ ესე იგი, გამარჯობათ! _ სკამზე დაჯდა და სახე ხელსახოცით მოიწმინდა. _ ასე... მაშ, სანადიროდ მიბრძანდებით, არა?

_ დიახ, სანადიროდ, _ უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა ივან ივანიჩმა. _ ტყის ქათამზე მივდივარ სანადიროდ.

_ აჰ... სანადიროდ..,. მაშასადამე, ცოტა უნდა მოიცადოთ.

ბიმი ყურადღებით და გაოცებით მისჩერებოდა ხან პატრონს, ხან სტუმარს. ივან ივანიჩმა თითქმის გაბრაზებით თქვა:

_ არ მესმის, გამაგებინეთ, რა გნებავთ?

ამ დროს ბიმმა, ჩვენმა ალერსიანმა ბიმმა, ჯერ ოდნავ დაიღრინა, შემდეგ კი უეცრად დაიყეფა. ასეთი რამ არასოდეს მომხდარა, რომ სახლში, თანაც სტუმრისათვის შეეტიოს. სტუმარს არ შეშინებია, თითქმის სრულიად გულგრილი დარჩა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

_ ადგილზე! _ ასევე გაჯავრებით თქვა ივან ივანიჩმა.

ბიმი დაემორჩილა: საგებელზე დაწვა, თავი თათებზე დადო და სტუმარს მიაჩერდა.

_ დახე! შენი ესმის, ასეე... მაშასადამე, მცხოვრებლებსაც სადარბაზოში ისე უყეფს, როგორც, ვთქვათ, მელიებს?

_ არასოდეს, არასოდეს და არავის უყეფს. ეს პირველად მოუვიდა, პატიოსნებას გეფიცებით, _ აღელდა ივან ივანიჩი; თანაც გაჯავრდა: _ სხვათა შორის, მელიებთან არავითარი საქმე არა აქვს.

_ ა-ჰა, მოდი, საქმეზე ვილაპარაკოთ, _ თქვა სტუმარმა.

ივან ივანიჩმა ჩანთა მოიხსნა და ქურთუკი გაიხადა.

_ გისმენთ.

_ ესე იგი, ძაღლი გყავთ, _ დაიწყო სტუმარმა, _ მე კი... _ ამ დროს ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო, _ საჩივარი მაქვს თქვენი ძაღლის თაობაზე, _ და ქაღალდი ივან ივანიჩს მიაწოდა.

კითხვის დროს ივან ივანიჩი ღელავდა. ეს რომ შეამჩნია, ბიმმა უნებართვოდ მიატოვა თავისი ადგილი და ფეხებთან დაუჯდა პატრონს, თითქოს მისი დაცვა სურსო, სტუმარს კი აღარც უყურებდა, თუმცა ფხიზლად კი იყო.

_ სისულელეები მოუჩმახავს, _ თქვა ივან ივანიჩმა უკვე მშვიდად. _ სისულელეა. ბიმი ალერსიანი ძაღლია, არავისთვის უკბენია და არც უკბენს, არც აწყენინებს, ინტელიგენტური ძაღლია.

_ ხე-ხე-ხე! _ მუცელი აათახთახა სტუმარმა და უდროო დროს დააცემინა ცხვირი, _ უ-უ, სულელო! _ ალერსით მიუბრუნდა ბიმს.

ბიმმა კიდევ უფრო მეტად შეაქცია მხარი, მაგრამ მიხვდა, რომ საუბარი მას ეხებოდა, და ამოიოხრა.

_ ასე არჩევთ საჩივრებს? _ ჰკითხა უკვე სრულიად დაწყნარებულმა ივან ივანიჩმა სტუმარს, და გაიღიმა. _ ვისაც უჩივიან, იმას აკითხებთ საჩივარს. ისედაც დაგიჯერებდით: თქვენს სიტყვას ვენდობოდი.

ბიმმა სტუმარს თვალებში სიცილის ნაპერწკალი შეამჩნია. სტუმარმა თქვა:

_ ჯერ ერთი, ასეა დადგენილი, მეორეც _ საჩივარი, თქვენზე კი არა, ძაღლზეა. ძაღლს კი საჩივარს არ წავაკითხებთ, _ და გაეცინა.

პატრონმაც ჩაიცინა. ბიმს კი არც გაღიმებია: იცოდა, მასზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ რას ლაპარაკობდნენ, ამას კი ვერ მიხვედრილიყო: მეტად გაუგებარი სტუმარი ბრძანდებოდა. სტუმარმა ბიმისაკენ გაიშვირა თითი და თქვა:

_ ძაღლი უნდა მოიშოროთ, _ და კარისაკენ გაიქნია ხელი.

ბიმი მიხვდა, რომ მისგან მოითხოვდნენ, გარეთ გასულიყო, მაგრამ ერთი ხელისდადებითაც კი არ მოშორებია პატრონს.

_ მომჩივანს დაუძახეთ. მოვილაპარაკოთ, იქნებ საქმე მოვაგვაროთ, _ სთხოვა ივან ივანიჩმა.

სტუმარი მოულოდნელად გავიდა და მალე ქალი შემოიყვანა.

_ აი, მაშასადამე, მოგიყვანე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბიმი ამ ქალსაც იცნობდა: დაბალი იყო, მყვირალა და ქონმოდებული. სხვა მოცლილ ქალებთან ერთად დილიდან საღამომდე ეზოში მერხზე იჯდა, ერთხელ ბიმმა ხელიც კი აულოკა (მარტო მისი კი არა, მთელი კაცობრიობის სიყვარულით), ქალმა იკივლა, ღია ფანჯრებისკენ მიბრუნდა და ხმამაღლა დაიწყო ყვირილი. ბიმი ვერ მიხვდა, რატომ ყვიროდა ეს დედაკაცი, მაგრამ შეეშინდა, გაიქცა და თავისი ბინის კარს დაუწყო ფხაჭნა. ამაზე მეტი ბრალი ამ ქალის წინაშე მას არ ჰქონდა. და, აი, ეს ქალი შემოვიდა. რომ იცოდეთ, რა დაემართა ბიმს! ის ჯერ პატრონის ფეხს მიეკრა, მაგრამ პატრონმა რომ ხელი გადაუსვა, კუდი ამოიძუა, თავის საგებელზე დაწვა და ქვეშ-ქვეშ დაუწყო ცქერა დედაკაცს. მას არ ესმოდა ქალის სიტყვები. ქალი კი კაჭკაჭივით ტარტარებდა და სულ თავის ხელს აჩვენებდა ივან ივანიჩს. ქალის მოძრაობასა და ბრაზიან გამოხედვაზე ბიმი მიხვდა: იმისთვის უჯავრდებოდნენ, რომ იმას არ აულოკა ხელი, ვისთვისაც უნდა აელოკა. ბიმი ახალგაზრდა იყო, ამიტომ ყველაფერი როდი ესმოდა. იქნებ ასეც ფიქრობდა: «დამნაშავე ვარ, მაგრამ ახლა რაღა გაეწყობაო», ყოველ შემთხვევაში, თვალებში ასეთი რამ უკრთოდა.

მხოლოდ იმას ვერ მიმხვდარიყო, რომ ტყუილად სდებდნენ ბრალს.

_ კბენა უნდოდა! კბე-ნა!!! თითქმის მიკბინა კიდეც!

ივან ივანიჩმა სიტყვა გააწყვეტინა და პირდაპირ ბიმს მიმართა:

_ აბა, ბიმ, ფლოსტები მომიტანე.

ბიმმა სიამოვნებით შეუსრულა თხოვნა და მის ფეხთით დაწვა. ივან ივანიჩმა მონადირის ფეხსაცმელი გაიხადა და ფეხი ფლოსტებში წაყო.

_ ახლა ფეხსაცმელი წაიღე.

ბიმმა ესეც შეუსრულა: ჯერ ერთი ფეხსაცმელი წაიღო ტანსაცმლის საკიდართან, მერე მეორე.

თვალებდაჭყეტილმა დედაკაცმა ხმა ვეღარ ამოიღო, სტუმარმა ძაღლი შეაქო:

_ ყო-ჩაღ! ერთი ამას უყურეთ, რაები სცოდნია! _ და თითქმის მტრულად გადახედა ქალს. _ კიდევ თუ იცის რამე?

_ დაბრძანდით, დაბრძანდით, _ სთხოვა ივან ივანიჩმა დედაკაცს.

ქალი დაჯდა, ხელები წინსაფარქვეშ ამოიდო. პარტონმა ბიმს სკამი დაუდგა და უბრძანა:

_ ბიმ! ახტი!

ბიმს გამეორება არ სჭირდებოდა. ახლა ყველანი სკამებზე ისხდნენ. ქალმა ტუჩზე იკბინა. სტუმარი კმაყოფილებით აქნევდა ფეხს და თან ამბობდა:

_ კარგად აკეთებს, კარგად, კარგად.

პატრონმა კი თავის ბიმს ეშმაკურად მოუჭუტა თვალი და უთხრა:

_ აბა, თათი მომეცი, _ და ხელი გაუწოდა.

ძაღლმა თათი მისცა.

_ ახლა კი, სულელო, ხელი ჩამოართვი სტუმარს, _ და სტუმარზე მიუთითა.

სტუმარმა ხელი გაუწოდა.

_ გამარჯობა, ძმაო, გამარჯობა, მაშასადამე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბიმმა ყველაფერი ელეგანტურად გააკეთა, როგორც წესი და რიგია.

_ არ მიკბენს? _ ფრთხილად იკითხა ქალმა.

_ რას ბრძანებთ! _ გაოცდა ივან ივანიჩი. _ ხელი გაუწოდეთ და უთხარით: «თათი მომეცი-თქო».

ქალმა, მართლაც, ხელი წინსაფარქვეშიდან გამოიღო და ბიმს გაუწოდა, თან გააფრთხილა:

_ მხოლოდ არ მიკბინო.

კაცი ვერ წარმოიდგენს, ამ დროს რა მოხდა! ბიმი თავისი საგებლისკენ გახტა, მაშინვე მოგერიებითი პოზიცია დაიკავა: გავით კუთხეს მიებჯინა და პატრონს მიაშტერდა. ივან ივანიჩი მივიდა, საყელურში ხელი მოჰკიდა და მომჩივან ქალთან მიიყვანა.

_ თათი მიეცი, თათი...

მაგრამ ბიმმა თათი არ მისცა, თავი მიაბრუნა და იატაკს ჩააშტერდა. პირველად იყო, რომ პატრონს არ დაემორჩილა. ძაღლი დამნაშავესავით, პირქუშად, ფეხათრევით წავიდა კუთხისაკენ.

მერე უნდა გენახათ, რა ამბავი დატრიალდა! დედაკაცი გამხმარ ჭრიალასავით აჟღრიალდა:

_ ეს რა შეურაცხყოფა მომაყენე! _ უყვიროდა ივან ივანიჩს. _ ვიღაც ქეციანი ძაღლი არაფრად აგდებს საბჭოთა ქალს! _ ქალი ბიმზე უთითებდა და განაგრძობდა: მე მაგას... მე მაგას... დამაცადოს!

_ გეყოფა! _ მოულოდნელად შეუტია სტუმარმა. _ მაშასადამე, სულ ტყუილი მოგიროშავს. არც უკბენია და არც უფიქრია ეკბინა, სიკვდილივით ეშინია შენი.

მაშინ სტუმარმა ერთი სიტყვა უთხრა:

_ ჰაიტ! _ და ივან ივანიჩს მიმართა: _ ამისთანებთან მხოლოდ ასე შეიძლება ლაპარაკი. _ მერე ისევ დედაკაცს მიუბრუნდა: _ ერთი ამას დამიხედეთ! «საბჭოთა ქალი»... გასწი აქედან! _ დაუყვირა. კიდევ რომ ატეხო ასეთი აყალმაყალი, შეგარცხვენ, თავს მოგჭრი. წადი! _ და მის თვალწინ დახია საჩივარი.

სტუმრის ბოლო სიტყვა ბიმმა მშვენივრად გაიგო. ქალი კი ხმაამოუღებლივ, ამაყად თავაწეული გავიდა ოთახიდან, არავისთვის შეუხედავს, თუმცა ბიმი თვალს არ აშორებდა. ძაღლი ამის შემდეგაც დიდხანს მისჩერებოდა კარს, მიუხედავად იმისა, რომ ქალის ფეხის ხმაც მიწყდა.

_ მეტისმეტად უხეშად მოექეცით... _ უთხრა სტუმარს ივან ივანიჩმა.

_ მაგასთან სხვანაირად არ შეიძლება: მთელ ეზოს ააქოთებს. რაკი ვამბობ, მაშასადამე, ვიცი. აი, სად მასხედან ეს ჭორიკანა და ჩხუბისთავი დედაკაცები, _ სტუმარმა ქეჩოზე დაიკრა ხელი, _ საქმე არა აქვს, ჰოდა, ცდილობს, ვინმეს უკბინოს. ამისთანებს რომ ნება მისცე, ყველაფერს თავდაყირა დააყენებენ ამ სახლში.

ბიმი თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა სტუმარს, ყურს უგდებდა მის ინტონაციას და ძალიან კარგად ხვდებოდა, რომ სტუმარი და მასპინძელი ერთმანეთის მტრები არ იყვნენ, პირიქით, აშკარად ჩანდა, ერთმანეთს პატივს სცემდნენ. სანამ ისინი საუბრობდნენ, ბიმი სულ აკვირდებოდა მათ, მაგრამ რაკი მთავარი დაადგინა, დანარჩენები უკვე აღარ აინტერესებდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბოლოს სტუმართან მივიდა და მის ფეხებთან დაწვა. ამით თითქოს სურდა ეთქვა: «ბოდიშს ვიხდიო».

პატრონის ჩანაწერები

დღეს ჩემთან იყო სახლმმართველი, ძაღლზე შეტანილ საჩივარს ირკვევდა. ბიმმა გაიმარჯვა. თუმცა, ჩემმა სტუმარმაც სოლომონ ბრძენივით განსაჯა ეს საქმე. ხალასი ნიჭია, თვითნაბადი!

მაშ, თავდაპირველად რატომ შეუღრინა ბიმმა? აჰა, მივხვდი! სტუმრისათვის ხელი არ ჩამომირთმევია, წარბშეკრული შევხვდი (ნადირობა გადამადებინა), ბიმი კი ძაღლის ბუნების შესაბამისად მოიქცა: პატრონის მტერი ჩემი მტერიცაა. ამ შემთხვევაში მე უნდა მრცხვენოდეს და არა ბიმს. ლაპარაკის კილოს, სახის გამომეტყველებისა და ხელების მოძრაობის აღქმის საოცარი უნარი აქვს! ეს ყოველთვის უნდა ვიქონიო მხედველობაში.

ამის შემდეგ საინტერესო საუბარი გაიმართა ჩემსა და სახლმმართველს შორის. ბოლოს მან «შენობით» დამიწყო ლაპარაკი.

_ შენაო, _ მითხრა, _ მხოლოდ ეს წარმოიდგინე, რომ ჩემს სახლში ას ორმოცდაათი ბინაა, ოთხ-ხუთ უსაქმურ, ჭორიკანა ქალს კი ისეთი ამბავი შეუძლია ატეხოს, ყველას სიცოცხლე გაუმწაროს. ყველა იცნობს და ყველას ეშინია მათი, ჩუმ-ჩუმად წყევლიან კიდეც. ცუდ მდგმურს ფეხისადგილიც კი შეუძახებს ხოლმე. ღმერთს გეფიცები! ყველაზე საშიში მტერი ვინა მყავს? ის, ვინც არაფერს აკეთებს. ჩვენში, ჩემო ძმაო, შეიძლება არ იმუშაო და ხეთქო. ჩვენ შორის რომ დარჩეს, აქ რაღაც ვერ არის კარგად, ვერა. მაშასადამე... შეიძლება, შეიძლება, არ იმუშაოს კაცმა. დიახ! აი, შენ, მაგალითად, რას აკეთებ?

_ ვწერ, _ ვუპასუხე, თუმცა ვერ მივხვდი, ხუმრობდა თუ სერიოზულად მელაპარაკებოდა (ხუმარა კაცებმა ზოგჯერ იციან ასე ლაპარაკი).

_ ეგ რა სამუშაოა! ზიხარ, არაფერს აკეთებ და, ალბათ, ამაში ფულს გაძლევენ!

_ მაძლევენ, მაგრამ ცოტას ვიღებ _ დავბერდი, პენსიით ვცხოვრობ, _ ვუპასუხე მე.

_ პენსიამდე რას აკეთებდი?

_ ჟურნალისტი ვარ, გაზეთებში ვმუშაობდი, _ ახლა კი ცოტ-ცოტას შინ ვმუშაობ, რაღაც-რაღაცეებს ვწერ:

_ წერ? _ მოწყალედ შემეკითხა სტუმარი.

_ ვწერ.

_ მაშ, რაკი ეგრეა საქმე, მიდი, წერე... რა თქმა უნდა, გეტყობა, ცუდი კაცი არ უნდა იყო, მაგრამ... ხედავ რა ხდება?! საქმეც ეს არის. მეც პენსიას ვიღებ, ას მანეთს, მაგრამ სახლმმართველად ხომ ვმუშაობ, უფასოდ ვმუშაობ, იცოდე. მუშაობას მიჩვეული ვარ. მთელი ჩემი სიცოცხლე ხელმძღვანელ პოსტებზე მიმუშავია, ნომენკლატურიდან არასოდეს ამოვუშლივარ და არც დავუქვეითებივარ. ბოლოს კი ამიგდეს: მაქვეითებდნენ, მაქვეითებდნენ და მაქვეითებდნენ. უკანასკნელად პატარა ქარხანაში ვმუშაობდი... პენსიაზე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაც იქიდან გამიშვეს. პერსონალური კი არ მომცეს: მცირეოდენი დაბრკოლება შემხვდა... ყველა ვალდებულია იმუშაოს. მე ასე მგონია.

_ მაგრამ მეც ხომ ძნელი სამუშაო მაქვს, _ ვცდილობდი, თავი მემართლებინა.

_ რა, წერა? სისულელეა. ახალგაზრდა რომ იყო, შენც მოგივლიდი, მაგრამ რაკი პენსიონერი ხარ... ისე კი, უსაქმურ ახალგაზრდობას ჩემს სახლში არ ვაჭაჭანებ, გუდა-ნაბადს ავუკრავ ხოლმე: ან იმუშავე, ან აქედან მოუსვიმეთქი.

ის, მართლაც, უსაქმურობის რისხვაა ჩვენს სახლში. მგონი, ახლა მთელი მისი ცხოვრების აზრი ის არის, რომ სული ამოხადოს ზარმაცებს, ჭორიკანებს და უსაქმურებს. სამაგიეროდ, უკლებლივ ყველას არიგებს, ჭკუას ასწავლის, რასაც დიდი სიამოვნებით სჩადის, მაგრამ მისთვის იმის დამტკიცება, რომ წერაც საქმეა, შეუძლებელი აღმოჩნდა: ამ საკითხში ან ეშმაკობდა და ხუმრობის კილოთი ლაპარაკობდა, ანდა შემწყნარებლობას იჩენდა (ჯანდაბას, ჯერჯერობით წეროს, ამაზე უარესი უქნარებიც არიანო).

წასვლისას გული უკვე სიკეთით ჰქონდა სავსე. აღარ ეშმაკობდა, ბიმს ხელი გადაუსვა და უთხრა:

_ შენ კი იცხოვრე აქ, მაშასადამე... მაგრამ იმ დედაკაცს ნუ გადაეკიდები. _ მერე მე მომიბრუნდა და მითხრა: _ კარგად იყავი. წერე, მეტს რას გააკეთებ, რაკი ეგრეა საქმე.

ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით. ბიმმა კუდის ქიცინითა და სახეში ცქერით მიაცილა კარამდე. მან ახალი ნაცნობი შეიძინა: პაველ ტიტიჩ რიდაევი, შინაურობაში კი «პალტიტიჩი».

სამაგიეროდ, მტერიც გაუჩნდა: დედაკაცი, ადამიანთა შორის ერთადერთი, ვისაც ის არ ენდობოდა; ძაღლმა იგრძნო, რომ ცილისმწამებელი იყო.

მაგრამ დღევანდელი ნადირობა ჩაგვეშალა. ასე ხდება: კაცი სასიხარულო დღეს ელოდება და უსიამოვნებას კი გადაეყრება ხოლმე. რა გაეწყობა, ხდება.

თავი მეოთხე
გაყვითლებული ტყე

რამდენიმე დღის შემდეგ ორივენი დილაადრიანად გამოვიდნენ სახლიდან. ჯერ ტრამვაით იმგზავრეს, ვაგონის ბაქანზე იდგნენ, ვაგონის მძღოლი ქალი ივან ივანიჩისა და ბიმის ნაცნობი აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, ბიმი ალერსიანად ეგებებოდა ქალს, როცა იგი ისრის გადასაყვანად ჩამოდიოდა ვაგონიდან. მძღოლმა ყურზე ხელი მოუთათუნა, მაგრამ ძაღლმა ხელი არ აულოკა, მხოლოდ აცმუკდა და მიწაზე კუდით დააკაკუნა.

ქალაქგარეთ უკვე ავტობუსით მიდიოდნენ, ადრე იყო და ავტობუსში მხოლოდ ხუთი-ექვსი კაცი იჯდა, მძღოლმა რაღაც ჩაიბუზღუნა, «ძაღლი» და «არ შეიძლებაო» _ იმეორებდა. ბიმი ადვილად გაერკვა, რომ მძღოლს არ სურდა მათი წაყვანა და ეს ცუდი ამბავი იყო, _ მძღოლსა და პატრონს სახეზე შეატყო. ერთი მგზავრი მათ გამოექომაგა, მეორე კი _ მძღოლს. ბიმი დი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დი ინტერესით ადევნებდა თვალს ამ შეხლა-შემოხლას. ბოლოს მძღოლი მანქანიდან ჩამოვიდა. კიბესთან პატრონმა ხელში ყვითელი ქაღალდი ჩაუდო, შემდეგ ბიმთან ერთად ისევ ავტობუსში ავიდა, დაჯდა და სევდიანად ამოიოხრა: «ეჰ-ჰე-ჰე!»

ბიმმა დიდი ხანია შეამჩნია, რომ ხალხი ერთმანეთში ცვლიდა ქაღალდებს, რომელთაც რაღაც გაურკვეველი სუნი ჰქონდა. ერთხელ იგრძნო, რომ ერთ-ერთ ქაღალდს, მაგიდაზე რომ იდო, სისხლის სუნი ასდიოდა. ძაღლმა ცხვირი ჰკრა, რომ პატრონის ყურადღება მიექცია, მაგრამ პატრონმა ყურიც არ შეიბერტყა (მას ხომ ყნოსვა არ უვარგოდა), მხოლოდ ერთსა და იმავეს გაიძახოდა: «არ შეიძლება», «არ შეიძლებაო», და ფული მაგიდაში ჩაკეტა. ზოგ ფულს, როცა ჯერ კიდევ ახალია, პურის, ძეხვის, საერთოდ, მაღაზიის სუნი ასდის, მაგრამ უმრავლესობას კი _ ხელებისა. ადამიანებს ის უყვართ და ხან ჯიბეში ინახავენ, ხან მაგიდაში, როგორც პატრონი. თუმცა ასეთი საქმეებისა ბიმს არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ადვილად მიხვდა: როგორც კი პატრონმა მძღოლს ასეთი ქაღალდი მისცა, მაშინვე დამეგობრდნენ. იმას კი ვერ მიხვდა, რატომ ამოიოხრა პატრონმა: რაც იქიდან ჩანდა, როგორი ყურადღებით შეხედა თვალებში ივან ივანიჩს. ერთი სიტყვით, ქაღალდების მაგიურ ძალაზე ბუნდოვანი წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რადგან ეს ძაღლის ჭკუისათვის მიუწვდომელია. მან არ იცოდა, რომ ოდესმე ეს ქაღალდები საბედისწერო როლს ითამაშებდა მის ცხოვრებაში.

გზატკეცილიდან ტყემდე ფეხით იარეს.

ივან ივანიჩი ტყის პირას შეჩერდა დასასვენებლად, ბიმმა კი იქაურობა მიათვალიერ-მოათვალიერა. ასეთი ტყე არასოდეს ენახა. კაცმა რომ თქვას, ტყე იგივე იყო, ისინი აქ გაზაფხულზეც იყვნენ, ზაფხულშიაც სასეირნოდ, მაგრამ ახლა ირგვლივ ყველაფერი გაყვითლებული და მეწამული ფერისა იყო. გეგონებოდათ, ყველაფერი იწვოდა და მზესთან ერთად ანათებდა.

ხეებმა ეს-ეს არის დაიწყო ტანთ გახდა. ფოთლები ჰაერში ფარფატებდა და უხმაუროდ, ნარნარად ცვიოდა მიწაზე. სიგრილე და სიმსუბუქე იგრძნობოდა, კაცი მხიარულ გუნებაზე დგებოდა, შემოდგომის ტყის სურნელება სრულიად განსაკუთრებულია, განუმეორებელი, მდგრადი და სუფთა, იმდენად, რომ ბიმს დიდ მანძილზე სცემდა პატრონის სუნი. ტყის თაგვის სიახლოვე შორიდანვე იგრძნო, თუმცა მის კვალს არ გაჰყვა (ნაცნობი უმნიშვნელო რამ იყო!), რომელიღაც ცოცხალი არსების სუნი ისე ეცა შორიდან ცხვირში, რომ უცბად შეჩერდა. ახლოს რომ მივიდა, მაშინ კი ყეფა აუტეხა ეკლიან ბურთს.

ივან ივანიჩი ჯირკიდან წამოდგა, და ბიმთან მივიდა.

_ არ შეიძლება, ბიმ! არ შეიძლება, სულელო. ამას ზღარბი ჰქვია. უკან! _ და ბიმი თან წაიყვანა.

გამოდის, რომ პატარა მხეცი _ ზღარბი, _ ძალიან კარგი ცხოველია, მისი ხელის ხლება არ შეიძლება.

ახლა ივან ივანიჩი ისევ ჩამოჯდა ჯირკზე და ბიმსაც უბრძანა, მჯდარიყო. მერე ქუდი მოიხადა, გვერდით დადო, მიწაზე, და ფოთლებს დააცქერდა. თან ტყის სიჩუმეს მიუგდო ყური. რა თქმა უნდა, იღიმებოდა! ის ახლა ისეთი იყო, როგორც ყოველთვის _ ნადირობის წინ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბიმიც სმენად იყო გადაქცეული.

მოფრინდა კაჭკაჭი. თავხედურად აკაჭკაჭდა და გაფრინდა. ტოტიდან ტოტზე ხტომით მოახლოვდა ჩხიკვი, კატასავით დაიჩხავლა და ისევ ტოტიდან ტოტზე ხტომით წავიდა. აი, პატარა ნარჩიტა, ის სულ აქვეა, ახლოს: «შვით, შვით! შვით, შვითო!» _ გაიძახის, მაგრამ რას უზამ! ხარაბუზას ტოლია და ისიც _ მეც ნახირ-ნახირო! _ გაიძახის, თითქოს ესალმება ყველას.

სხვა ყველაფერი დუმდა.

და, აი პატრონი ადგა, თოფი შალითიდან ამოიღო, დატენა, ბიმი აღელდა. ივან ივანიჩმა ალერსიანად მოუცაცუნა თავზე ხელი. ამან უფრო მეტად ააღელვა ბიმი.

_ აბა, ბიჭო, მიდი... ეძებე!

ბიმი წავიდა! ხეებს შორის დაძვრებოდა, მიწას ზამბარასავით ეკვროდა, თითქმის უხმაუროდ მიდიოდა. ივან ივანიჩი ნელა მიჰყვა. მას სიამოვნებას ჰგვრიდა მეგობრის მუშაობა. ახლა ტყემ მთელი თავისი სილამაზით მეორე პლანზე გადაინაცვლა, მთავარი იყო ბიმი, მოხდენილი, აღგზნებული, მსუბუქად მიმავალი. ზოგჯერ ივან ივანიჩი მიიხმობდა ხოლმე, უბრძანებდა, დაწექიო, რომ ძაღლი დამშვიდებულიყო, ნადირობაში ჩართულიყო. მალე ბიმი თანაბარი ნაბიჯით, საქმის ცოდნით წავიდა. სეტერის მუშაობა უდიდესი ხელოვნებაა. აი, იგი მსუბუქად მინავარდობდა თავაწეული, მას არ სჭირდება თავის დახრა, იგი სუნს ზემოთ გრძნობს, ამ დროს აბრეშუმივით ფაფუკი ბეწვი შემოხვევია მის ნატიფ კისერს, სწორედ იმიტომ არის ასე ლამაზი, რომ თავი მაღლა უჭირავს, ღირსეულად, დამაჯერებლად და მგზნებარედ.

ასეთ დროს ივან ივანიჩს თავი ავიწყდებოდა; მას ავიწყდებოდა ომი, ავიწყდებოდა განვლილი ცხოვრების გასაჭირი და თავისი სიმარტოვე. შვილი კოლიაც, მისი სისხლი და ხორცი, სასტიკმა ომმა რომ შეიწირა, თითქოს აქვე იყო. მამამისი მკვდარსაც კი სიხარულს ანიჭებდა. ისიც ხომ მონადირე იყო! მკვდრები ცოცხლებთან რჩებიან, რჩებიან მათთან, ვისაც ისინი უყვართ, ეს არის მხოლოდ, რომ ისინი არ ხუცდებიან და ცოცხლების გულში მარად ახალგაზრდები რჩებიან. ასე იყო ახლაც: ჭრილობამ ივან ივანიჩის გულში პირი შეიკრა, მაგრამ მუდამ სტკიოდა, ნადირობის დროს კი ყოველგვარი სულიერი ტკივილი ცოტა უმსუბუქდებოდა. ნეტავ იმას, ვინც მონადირედ დაიბადა.

და, აი, ბიმმა ნაბიჯი შეანელა. თანდათან შეავიწროვა ძებნის არე, ერთი წამით შეჩერდა და ნელ-ნელა, ფეხაკრეფით წავიდა წინ. რაღაც კატისებური იყო მის მსუბუქ, ფრთხილ, ნარნარ მოძრაობაში. ახლა მას თავი ტანის გასწვრივ ეჭირა. სხეულის ყოველი ნაწილი, გრძელი ბეწვით დაფარული კუდის ჩათვლით, სუნის ნაკადისკენ ჰქონდა მიმართული. ნაბიჯი... და წინ მიიწევს მხოლოდ ცალი თათი. კიდევ ნაბიჯი და მეორე თათი ერთი წამით ქვავდება ჰაერში, შემდეგ კი უხმაუროდ ეშვება მიწაზე. ბოლოს, წინა მარჯვენა თათი, როგორც თითქმის ყოველთვის ხდება ხოლმე, ჰაერში ქვავდება.

უკანიდან ჩუმად მოვიდა თოფმომარჯვებული ივან ივანიჩი: ახლა ორი ქანდაკება იდგა: ადამიანისა და ძაღლისა. ტყე დუმდა. ოდნავ ირხეოდნენ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არყის ხის ოქროსფერი ფოთლები, რომლებიც მზის სხივებში ცურავდნენ. თავიანთი მამისა და წინაპრის, უზარმაზარი მუხის გვერდით მიყუჩებულიყვნენ ახალგაზრდა მუხები. უხმაუროდ თრთოდნენ ვერხვზე შერჩენილი რუხ-ვერცხლისფერი ფოთლები. ჩამოცვენილ ფოთლებზე კი იდგა ძაღლი _ ბუნებისა და მომთმენი ადამიანის ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილება. ძაღლს არც ერთი კუნთი არ უთრთოდა! ასეთ წუთებში ბიმი ნახევრად მკვდარს ჰგავდა, მისი ასეთი მდგომარეობა კი აღტაცებით გამოწვეულ ტრანსს მოგაგონებდათ. აი, რა არის კლასიკური ნაბული გაყვითლებულ ტყეში.

_ წინ, ბიჭო...

ბიმმა ტყის ქათამი ააფრინა.

გასროლა.

ტყე შეტოკდა, აშრიალდა და უკმაყოფილო, ნაწყენი ექოთი უპასუხა ამ ხმას. მუხნარისა და ვერხვნარის საზღვარზე მდგარი ხე თითქოს შეშინდა, შეკრთა. მუხებმა გოლიათებივით ამოიოხრეს. იქვე მდგარმა ვერხვმა ფოთლები ჩამოყარა.

ტყის ქათამი ქვასავით ჩამოვარდა. ბიმმა ყველა წესის დაცვით მიართვა იგი პატრონს. პატრონმა მიუალერსა, მადლობა გადაუხადა ლამაზი მუშაობისათვის, ფრინველი ხელისგულზე დაიდო, დახედა და ჩაფიქრებით თქვა:

_ ეჰ, რა საჭირო იყო...

ბიმი ვერ მიხვდა და ივან ივანიჩს სახეში მიაჩერდა, მან კი განაგრძო:

_ მხოლოდ შენთვის, სულელო, შენთვის. ისე კი, არ ღირს...

ბიმა ვერც ახლა გაიგო. ასეთი რამის გაგება მას არ შეეძლო. მაგრამ, როგორც ბიმს მოეჩვენა, ივან ივანიჩი მთელი ნადირობის დროს ბრმასავით «აცდენდა», ძაღლი ძალზე უკმაყოფილო დარჩა, როცა პატრონმა სულ არ ესროლა ერთ-ერთ ტყის ქათამს. სამაგიეროდ, უკანასკნელი ერთბაშად ჩამოაგდო.

შინ რომ დაბრუნდნენ, უკვე ბნელოდა, ორივენი დაღლილები იყვნენ, გული სიკეთითა და ურთიერთსიყვარულით ჰქონდათ სავსე. ბიმმა, მაგალითად, თავის ადგილას დაძინება არ მოინდომა, საგებელი გამოათრია, ივან ივანიჩის საწოლთან მიიტანა და მის გვერდით გაიშხლართა, იატაკზე. ამაში ის აზრი იყო, რომ «ადგილზე» მისი გაგდება არ შეიძლებოდა, რადგან «ადგილი» აქ მოათრია. ივან ივანიჩი ყურში სწვდა და კისერზე ხელი მოუთათუნა. როგორც ჩანდა, მეგობრობა სამუდამო უნდა ყოფილიყო.

ღამით კი ივან ივანიჩი რატომღაც კვნესოდა, დგებოდა, აბებს ყლაპავდა და ისევ წვებოდა. ბიმი ჯერ დაძაბული უგდებდა ყურს და მისჩერებოდა მეგობარს, შემდეგ მივიდა და ლოგინიდან ჩამოშვებული ხელი აულოკა.

_ ნამსხვრევი... ნამსხვრევი, ბიმკა... მაწუხებს, ცუდად ვარ, ბიჭო, _ თქვა ივან ივანიჩმა და ხელი გულზე მიიდო.

სიტყვა «ცუდი» ბიმმა დიდი ხანია ძალიან კარგად იცოდა. სიტყვა «ნამსხვრევი» კი უკვე რამდენჯერმე გაიგონა, ეს სიტყვა არ ესმოდა, მაგრამ ძაღლური ალღოთი ხვდებოდა, რომ შემაშფოთებელი, ცუდი და შემზარავი იყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა: დილით, სეირნობის შემდეგ, ივან ივანიჩი მაგიდას მიუჯდა, ჩვეულებისამებრ, წინ თეთრი ფურცელი დაიდო და ზედ პატარა ჯოხი ააჩურჩულა.

პატრონის ჩანაწერები

გუშინ ბედნიერი დღე გავატარე. ყველაფერი ისე იყო, როგორც საჭიროა: შემოდგომა, მზე, გაყვითლებული ტყე, ბიმის მოხდენილი მუშაობა და მაინც რაღაც მძიმე, უსიამოვნო გრძნობა დამრჩა. ნეტავ რატომ?

ავტობუსში ბიმმა აშკარად შეამჩნია, როგორ ამოვიოხრე და, ცხადია, ვერ გაიგო, რა მჭირდა. ძაღლს, საერთოდ, არ შეუძლია წარმოიდგინოს, რომ მძღოლს ქრთამი მივეცი. ძაღლს ეს ფეხებზე ჰკიდია, მე კი? რა განსხვავებაა _ მანეთი მივეცი მცირე «საქმეში» თუ ოცი _ დიდში, ანდა ათასი _ ამაზე დიდში? სულ ერთია, სირცხვილია, თითქოს სინდისსა ჰყიდდე წვრილმანებზე. რა თქმა უნდა, ბიმი გაცილებით დაბლა დგას ადამიანზე და ამიტომ ამას ვერასოდეს მიხვდება.

იმასაც ვერ მიხვდა, რომ ეს ქაღალდები და სინდისი ზოგჯერ ერთმანეთთან უშუალო დამოკიდებულებაშია! მაგრამ რა სულელი ვარ! ძაღლს იმაზე მეტს ხომ ვერ მოსთხოვ, რაც მას შეუძლია. ძაღლის გაადამიანება არ შეიძლება.

გარდა ამისა, ფრინველის მოკვლა დამენანა. ეს ალბათ, სიბერის ბრალია. ყველაფერი ისე კარგი იყო ირგვლივ, და ამ დროს მკვდარი ფრინველი... მე ვეგეტარიანელი არა ვარ, არც ფარისეველი, რომელიც მოკლული პირუტყვის ტანჯვას აღწერს და სიამოვნებით კი ჭამს მის ხორცს, მაგრამ ერთი აღთქმა მაქვს დადებული, რომელსაც სიკვდილამდე არ ვუღალატებ: ნადირობისას მხოლოდ ერთ ან ორ ტყის ქათამს მოვკლავ, მეტს არა. ყველაფერს ისა ჯობს, არც ერთი არ მოვკლა, მაგრამ მაშინ ბიმი სანადიროდ აღარ ივარგებს და იძულებული ვიქნები, სხვისი მოკლული ფრინველი ვიყიდო. არა, ეს არ შემიძლია... ნეტავ ვის მივმართავ? ვისა და საკუთარ თავს! ხანგრძლივი მარტოობის დროს პიროვნების გაორება გარდაუვალია. საუკუნეების მანძილზე კაცს ამისგან ძაღლი იხსნიდა ხოლმე.

მაგრამ მაინც გუშინდელს აქეთ რამ დამიმძიმა გული? ან ვითომ მარტო გუშინდელს აქეთ? იქნებ რაღაც აზრი დამეკარგა? მაშ ასე, გადავხედოთ გუშინდელ დღეს: ბედნიერებისაკენ სწრაფვა და ყვითელი მანეთიანი; გაყვითლებული ტყე და მოკლული ფრინველი. რა არის ეს? იქნებ საკუთარ სინდისთან მორიგება?

სდექ! აი რა აზრი გამისხლტა გუშინ! მორიგება კი არა, სინდისის ქენჯნა და გულისტკივილი იმათ მიმართ, ვინც უმიზნოდ კლავს, ვინც კარგავს ადამიანობას. წარსულიდან, წარსულის მოგონებიდან მოდის და სულ უფრო და უფრო მეუფლება ფრინველებისა და ცხოველებისადმი სიბრალული.

მახსენდება:

მონადირეთა საზოგადოების გამგეობამ მავნებელ ფრინველად აღიარა კაჭკაჭი. ეს დადგენილია თითქოს ბიოლოგების დაკვირვებებს ეყრდნობო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და და ყველა მონადირე ისე ხოცავდა კაჭკაჭებს, რომ სინდისის ქენჯნას არ განიცდიდა. ასეთივე დადგენილება გამოვიდა ქორ-მიმინოსა და მგლებზე-დაც, მათაც სპობდნენ. მგლები ხომ თითქმის მთლიანად ამოხოცეს. მგლის მოკვლაში იძლეოდნენ სამას მანეთს (ძველი ფულით), კაჭკაჭისა და ძერას ფეხებში კი, რომლებსაც მონადირეთა კავშირში წარადგენდნენ, არ ვიცი, ხუთ თუ ორმოცდაათ კაპიკს.

მაგრამ უცბად ახალი დადგენილება გამოვიდა, რომლითაც ძერაცა და კაჭკაჭიც სასარგებლო ფრინველებად არიან გამოცხადებული, მათი განადგურება აკრძალულია. მათ მოსასპობად გამოსული მკაცრი დადგენილება შეიცვალა მათ დასაცავად გამოსული ასეთივე მკაცრი დადგენილებით.

ახლა მხოლოდ ერთი ფრინველი დარჩა, რომელიც კანონგარეშეა გამოცხადებული _ ეს არის რუხი ყვავი _ ჩიტების ბუდეს ანადგურებსო (ამასვე აბრალებდნენ კაჭკაჭსაც). სამაგიეროდ, არავინ სჯის მათ, ვინც მომწამლავი ქიმიკატებით სპობს სტეპისა და ტყე-სტეპის ფრინველებს. მავნებლებისაგან ტყისა და მინდვრების დაცვისას ჩვენ ვსპობდით ფრინველებს, მათი მოსპობით კი ვსპობდით... ტყეს. ნუთუ დამნაშევე რუხი ყვავია, მუდმივი სანიტარი და ადამიანთა საზოგადოების თანამგზავრი?

მიდი, მიდი, ყველაფერი რუხ ყვავს დააბრალე! _ ეს არის ყველაზე ელემენტარული თავის მართლება დამნაშავეებისა.

ხანგრძლივი ცდები სიკვდილზე _ საშინელებაა. პატიოსანი ბიოლოგები და მონადირეები უკვე ეწინააღმდეგებიან ამას. ბრძოლა ფრინველების და ტყეების დასაცავად საერთაშორისო ხასიათს იღებს.

ავიმაღლე კი ხმა თავის დროზე ამ ცდების წინააღმდეგ? არა. და ეს ქენჯნის ჩემს სინდისს. რა უფერული და უმწეო იქნებოდა ჩემი ხმა ახლა, დაგვიანებით რომ მეთქვა:

«გადაარჩინეთ რუხი ყვავი _ ადამიანის საცხოვრებელი ადგილების ჩინებული გამსუფთავებელი; იხსენით იგი განადგურებისაგან, რადგან ყვავი გვეხმარება ჩვენ გარშემო მდებარე ადგილების სიბინძურისაგან გასუფთავებაში, ისევე როგორც სატირიკოსი ასუფთავებს საზოგადოებას სულიერი უსუფთაობისაგან. სწორედ ამისათვის გადაარჩინეთ იგი; რა ვუყოთ, რომ, ცოტაოდენ ჩიტის კვერცხს იპარავს! რუხი ყვავიც ხომ იმიტომ არსებობს, რომ ჩიტებმა იცოდნენ ბუდის წესიერი აგება. გადაარჩინეთ ეს მოუსვენარი, დამცინავი, ერთადერთი ფრინველი, რომელიც იმდენად გულუბრყვილოდ თავხედია, რომ შეუძლია ხიდან პირდაპირ პირში მიახალოს ადამიანს: «ყვა-ა!» (წადი აქედან, სულელო!), მაგრამ წახვალთ თუ არა, ძირს ჩამოფრინდება და დამცინავი ყრანტალით ისევ მიადგება აყროლებულ ხორცის ნაჭერს, რომელსაც არც ერთი ძაღლი პირს არ დააკარებს: გადაარჩინეთ რუხი ყვავი _ ფრინველთა სამყაროს სატირიკოსი! ნუ გეშინიათ მისი. ერთი შეხედეთ, როგორ ერთსულოვნად უნისკარტებენ და აძევებენ მას პატარა მერცხლები იმ ადგილიდან, სადაც უიმისოდაც სისუფთავეა. ის კი გესლიანი ყრანტალით გასცილდება ხოლმე მათ და მიეშურება იმ მხარეს, სადაც მძორის სუნი დგას. გადაარჩინეთ რუხი ყვავი».

უსუსური და დაუსაბუთებელი გამოვიდოდა ჩემი სიტყვა, მაგრამ, დაე, ეს ასე დარჩეს ამ რვეულში, რომელშიც ბიმის ამბავი წერია. ახლა ავდგები

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ყდაზე პირდაპირ დავაწერ: «ბიმი». აქ ყველაფერი მხოლოდ ჩემთვის იქნება ჩაწერილი. ამ რვეულში წერა ხომ იმისთვის დავიწყე, რომ ბიმის სახელი გადამერჩინა; ბიმისა, რომელიც მხოლოდ იმაში იყო დამნაშავე, რომ დაიბადა, მაგრამ ეს ჩემი ჩანაწერები სულ უფრო და უფრო ფართოვდება, და რვეულში იწერება არა მარტო ბიმის, არამედ ჩემი ამბავიც. ჩემს ნაწერებს ალბათ, არავინ დაბეჭდავს: აბა, ვის აინტერესებს, «ძაღლისა და ჩემი ამბის» კითხვა? არავის. მინდა კოლცოვის ლექსი ჩავწერო:

Пишу не для мгновенной славы:
Для развлеченьяБ для забавы,
Для милых искренных друзей,
Для памяти минувших дней.

...ბიმი კი დღისითაც წევს; ბევრი იმუშავა, გაყვითლებული ტყის მაცოცხლებელი სურნელით დათვრა.

აჰ, გაყვითლებული ტყე, გაყვითლებული ტყე! აი, ბედნიერების ერთი პატარა ნაჭერი. აი, ადგილი, სადაც შეგიძლიათ იფიქროთ. მზით განათებულ შემოდგომის ტყეში ადამიანი გულწრფელი ხდება.

თავი მეხუთე
ალყა მგლის ხევში

შემოდგომის ერთ დღეს ივან ივანიჩთან მოვიდა კაცი, რომელსაც თოფისა და ძაღლის სუნი ასდიოდა. თუმცა მონადირის აბგა-აბჯარი არ ჰქონდა და ჩვეულებრივი, არასაინტერესო ადამიანის ტანსაცმელი ეცვა, ბიმს მაშინვე ეცა ტყის ნაზი სურნელებაც და ფეხსაცმელზე შერჩენილი შემოდგომის ფოთლის არომატიც, ხელებზე კი თოფის ნაკვალევი შეამჩნია. რა თქმა უნდა, ბიმმა ყოველივე ეს გამოხატვა იმით, რომ სტუმარს ყნოსავდა, პატრონს მისჩერებოდა და კუდს ენერგიულად აქიცინებდა. თუმცა პირველად ნახა ეს კაცი, მაგრამ მაშინვე, ყოველგვარი ყოყმანისა და ეჭვის გარეშე, თავის ამხანაგად ჩათვალა.

რადგან სტუმარმა იცოდა ძაღლების ენა, ალერსიანად უთხრა:

_ მიცანი, მიცანი, ყოჩაღ, კარგია, კარგი, _ თავზე ხელი მოუთათუნა და მტკიცედ და გასაგებად უბრძანა: _ დაჯექ!

ბიმმა შეასრულა ბრძანება _ დაჯდა და მოუთმენლად დაიწყო ფეხების ფათური. ის ყურს უგდებდა საუბარს და პატრონსა და სტუმარს თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა.

მასპინძელმა სტუმარს ხელი ჩამოართვა. ორივეს კეთილზე კეთილი თვალები ჰქონდა.

«ჩინებულია!» _ თქვა ბიმმა და დაიწკმუტუნა.

_ ჭკვიანი ძაღლია, _ თქვა სტუმარმა და ბიმს გადახედა.

_ კარგია, უკეთესი არ იქნება! _ დაუდასტურა ივან ივანიჩმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აი, ასე ილაპარაკა სამივემ ცოტა ხანს, შემდეგ კი სტუმარმა ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო, გაშალა, თითი გააყოლა და დაიწყო ლაპარაკი:

_ აი, აქ... აქ, შუაგულ მგლის ხევში ვყმუოდი, ხუთმა მიპასუხა: სამი წლისაც არ იყო, ორი კი დიდია. ერთი ჩემი თვალით ვნახე. უ-უ, რა მგელი იყო!

ბიმმა იცოდა პატრონის სიტყვა, რომელსაც იგი ფრინველის ძებნისას ამბობდა ხოლმე: «აქ-აქ-აქ», ამიტომ ყურები ცქვიტა. მაგრამ როცა გაიგონა სიტყვა «მგელი»! თვალები დაჭყიტა: «მგელი» ნიშნავდა სუნს, ტყის ძაღლის სუნს, რომელმაც ოდესღაც შეაკრთო ბიმი, როცა პატრონი შიშის მომგვრელად ერთსა და იმავეს იმეორებდა და ნადირის კვალზე მიუთითებდა: «მგელი! ეს მგელია, ბიმ». ჰოდა, ახლაც მონადირემ იგივე თქვა: «რა მგელი იყო!»

სტუმარი წავიდა. წასვლისას ბიმსაც გამოეთხოვა.

ივან ივანიჩი დაჯდა და ვაზნებს დაუწყო დატენა; შიგ ტყვიის დიდ მარცვლებს დებდა, თან კარტოფილის ფქვილს აყრიდა.

ღამით ბიმს მშვიდად ეძინა.

გათენებას კარგა ხანი უკლდა, რომ ქუჩაში გამოვიდნენ და კუთხეში დადგნენ. ივან ივანიჩმა თოფიც წამოიღო. მონადირეებით სავსე დიდი მანქანა მოვიდა. მონადირეები გადახურულ ძარაში ისხდნენ სკამებზე, ხმას არ იღებდნენ, საზეიმოდ გამოიყურებოდნენ. ივან ივანიჩმა ჯერ ბიმი შესვა, მერე კი თვითონაც ძარაზე ავიდა. გუშინდელმა მონადირემ ივან ივანიჩს უთხრა:

_ ე-ე! ბიმი რატომ წამოგიყვანია!

_ მგელზე ნადირობისას ძაღლებს რა უნდათ? ჩამოსვით! _ მკაცრად თქვა ვიღაცამ. _ აყეფდება და მორჩა, ნადირობა ჩაგვეშლება.

_ ხმას არ ამოიღებს, _ თითქოს ბოდიშს იხდისო, ისე თქვა, ივან ივანიჩმა, _ ის ხომ მეძებარი არ არის.

მას რამდენიმე კაცი შეეპასუხა, მაგრამ ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ წუხანდელმა სტუმარმა თქვა:

_ გეყოფათ, კმარა, ბიმთან ერთად მარქაფში დაგაყენებთ. იქ ერთი ადგილია, ივან ივანიჩ: ყოფილა შემთხვევა, რომ მგელს სწორედ იმ ადგილას ალმები გაურღვევია მდინარის ტოტთან.

ბიმი მიხვდა, მისი წაყვანა არ სურდათ. ისიც სთხოვდა მეზობლებს, მაგრამ იმ სიბნელეში აბა ამას ვინ გაიგებდა? და მაინც ბოლოს მანქანა ადგილიდან დაიძრა.

მზე უკვე ამოსული იყო, როცა ნაცნობი მეტყევის კორდონთან შეჩერდნენ. ყველანი ჩუმად, ხმაამოუღებლად ჩამოვიდნენ მანქანიდან, ისევე როგორც ბიმი. შემდეგ დიდხანს იარეს დაწალიკებულებმა ტყის ნაპირას. არავინ ეწეოდა, არ ახველებდა, ფეხს ფრთხილად ადგამდნენ ძაღლივით. აქ ყველამ იცოდა, საით, ვინ და როგორ უნდა წასულიყო. არ იცოდა მხოლოდ ბიმმა, მაგრამ ისიც აჩრდილივით ფეხდაფეხ მისდევდა პატრონს. ივან ივანიჩი არ გაჩერებულა. ძაღლს ისე მოუთათუნა ყურზე ხელი, თითქოს ამით სურდა ეთქვა: კარგია, კარგი, ბიმ.

ყველაზე წინ, როგორც მეთაური, მიდიოდა გუშინდელი სტუმარი მონადირე. და, აი, მან ხელი ასწია. წამსვე ყველა შეჩერდა. სამნი, რომლებიც წინ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იყვნენ, კატასავით შეიპარნენ ტყეში და მალე დაბრუნდნენ. ახლა მეთაურმა ქუდი ასწია და წინ გაიქნია. ამ ნიშანზე მონადირეთა ნახევარი გაჰყვა მას, მათ შორის ყველაზე უკან მიდიოდნენ ივან ივანიჩი და ბიმი. ასე რომ, ბიმი უკანასკნელი იყო; იმაზე ჩუმად, აბა, ვინ ივლიდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ივან ივანიჩმა თასმა ჩააბა.

მეთაურის უხმო ბრძანებით, პირველი, რომელიც მას მისდევდა, ბუჩქს ამოეფარა და გაქვავდა. მალე ასევე გაქვავდა მუხნართან მეორეც, შემდეგ მესამე. ამგვარად ყველამ სათითაოდ დაიკავა თავისი ადგილი. მეთაურთან დარჩნენ მხოლოდ ივან ივანიჩი და ბიმი. ახლა ისინი უფრო ფრთხილად მიდიოდნენ, ვიდრე წინათ. ბიმმა დაინახა, რომ გზის გასწვრივ გაჭიმული იყო კანაფი. მასზე კი ალისფრად მოელვარე ქსოვილის ნაჭრები ეკიდა. მაგრამ, აი, მეთაურმა ბიმსაც და ივან ივანიჩსაც ადგილი მიუჩინა, თვითონ კი უკან წავიდა.

ყურმახვილ ბიმს ესმოდა მისი ფეხის ხმა, თუმცა ადამიანებს ეგონათ, რომ ის არავის ესმის. ძაღლმა ისიც გაიგონა, რომ მეთაურმა დანარჩენი მონადირეებიც წაიყვანა, მაგრამ ისე შორს, რომ ბიმსაც კი აღარაფერი ესმოდა.

სიჩუმე ჩამოვარდა. შემზარავი, დაძაბული სიჩუმე. ბიმი ამას იმითაც გრძნობდა, თუ როგორ გაქვავდა პატრონი, როგორ აუცახცახდა მუხლი, როგორ უხმაუროდ გადახსნა თოფი, შიგ ვაზნები ჩააწყო და ისევ გაქვავდა.

ისინი ხშირად კვრინჩხით დაფარული ნაღვარევის გვერდით, თხილის ბუჩქს ამოფარებულნი იდგნენ. გარშემო კი დადუმებული უღრანი მუხნარი იდგა. თითოეული ხე დევგმირსა ჰგავდა! მათ შორის აღმოცენებული ხშირი ამონაყარი კი კიდევ უფრო მეტად თვალსაჩინოს ხდიდა საუკუნოვანი ტყის არაჩვეულებრივ ძლიერებას.

ბიმი სმენად გადაიქცა: ის უძრავად იჯდა და იჭერდა სუნს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერაფერს გრძნობდა, რადგან ჰაერი უძრავი იყო, ამიტომ მოუსვენრობას იჩენდა. მცირეოდენი ნიავის დროსაც კი ყოველთვის იცოდა, რა იყო იქ, წინ, ის სტრიქონებივით კითხულობდა სუნის ნაკადს, მაგრამ ახლა, როცა ქარი არ ქროდა, თანაც ასეთ ტყეში, განა შეეძლო დამშვიდებით ჯდომა, მით უმეტეს, რომ მისი კეთილი მეგობარიც აქვე იდგა და ღელავდა.

და უცბად დაიწყო.

სასიგნალო გასროლამ დაფლითა სიჩუმე. ექომ ხან იქ, ხან აქ და ხან ძალიან შორს დაიგუგუნა. თითქოს ტყის გუგუნს ასდევსო. შორს, ძალიან შორს გაისმა მეთაურის ხმაც:

_ მიდი-ი-ი! ოჰო-ჰო-ჰო-ჰო-ჰოო!

ივან ივანიჩი ბიმისკენ დაიხარა და ძლივს გასაგონად უბრძანა:

_ დაწექი!

ბიმი დაწვა. იწვა და კანკალებდა.

_ ოჰო-ჰო-ჰო-ჰო-ჰო-ო! _ ღრიალებდნენ მარეკები.

სიჩუმე ახლა უცნობ, ყურთასმენის წამღებ ველურ ხმებად იქცა. ატყდა ხეებზე კაკუნი, ჭრიალა ატკაცუნდა (მისი ხმა სასიკვდილოდ განწირული კაჭკაჭების ხმას ჰგავდა). ყვირილით, ხმაურითა და ჰაერში სროლით მოაბიჯებდა მარეკების წრე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და, აი... ბიმს ეცა ჭაბუკობიდან ნაცობი სუნი: მგელი! ის ოდნავ, სულ ოდნავ მიეკრა პატრონის ფეხს! თათებზე წამოიმართა და კუდი გაფშიკა. ივან ივანიჩი ყველაფერს მიხვდა.

ორივემ დაინახა: ალმების გვერდით, ტყვიისათვის მიუწვდომელ მანძილზე, მგელი გამოჩნდა. ფართო ნაბიჯით მოძუნძულებდა, თავი დაეღუნა, კუდი შეშის ნაპობივით ეკიდა. გამოჩნდა თუ არა, იმწამსვე მიიმალა, მაგრამ სროლის ხმაც იმავე წამს გაისმა. მას მეორე მოჰყვა.

ტყე გუგუნებდა, თითქმის გაბოროტებით შფოთავდა.

კიდევ ერთი გასროლის ხმა გაისმა, ახლა უკვე სულ ახლოს. ყვირილი სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა. სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა უზარმაზარი ბებერი მგელი. ნაღვარევის მხრიდან მოვიდა, კვრინჩხი ფარავდა, ალმები რომ დაინახა, ერთბაშად შეჩერდა, თითქოს რაღაცას წააწყდაო, მაგრამ აქ, ნაღვარევზე, ალმები უფრო მაღლა ეკიდა, ვიდრე მთელ ხაზზე. ხალხის ხორხოცი კი უახლოვდებოდა. მგელი რაღაც გაუბედავად, თითქმის დუნედაც კი გაძვრა ალმებს ქვეშ და ივან ივანიჩისა და ბიმისაგან თხუთმეტ მეტრზე აღმოჩნდა. აი, მან რამდენიმე ნახტომი გააკეთა, მაგრამ ამასობაში ადამიანმაც და ძაღლმაც შეამჩნიეს, რომ დაჭრილი იყო: სისხლის ლაქა ფერდს მოსდებოდა, პირი მოწითალო დუჟით ჰქონდა მოსვრილი.

ივან ივანიჩმა გაისროლა.

კისერგაშეშებული მგელი ერთბაშად მთელი ტანით ოთხივ ფეხზე შეხტა, სროლის ხმისკენ შემოტრიალდა და დადგა. ფართო, ძლიერი შუბლი, ჩასისხლიანებული თვალები და დაკრეჭილი კბილები ჰქონდა. პირიდან მოწითალო დუჟი ჩამოსდიოდა, მაგრამ მაინც არ იყო შესაბრალისი. თავისუფლების მოყვარული ნადირი ლამაზი იყო. არა, ის მშიშარა არ გახლდათ, არა, მას არც ახლა სურდა დაცემულიყო, იგი ისევ ამაყი მხეცი იყო, მაგრამ მაინც დაეცა, ერთხანს ნელა ატოკებდა ფეხებს, შემდეგ გაყუჩდა, დამშვიდდა.

ბიმმა ვერ აიტანა ეს სანახაობა, წამოხტა და ნაბული გააკეთა. ნეტა გენახათ, რა ნაბული! ბალანი აეშალა, ქეჩოზე კი თითქმის ყალყზე დაუდგა, კუდი ფეხებშუა მოექცა: ეს იყო გაბოროტებული მშიშარას საზიზღარი ნაბული მისივე ძმის, ძაღლების ამაყი მეფის წინააღმდეგ, რომელიც უკვე მკვდარი ეგდო და ამიტომ უვნებელი იყო, თუმცა _ თავისი სულითა და სისხლით _ საშიში. ბიმს სძულდა ძმა თვისი. მას ადამიანისა სჯეროდა, მგელს კი _ არა; ბიმს ეშინოდა ძმისა, მგელს კი სასიკვდილოდ დაჭრილსაც არ ეშინოდა მისი.

ყვირილი სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა. კიდევ გაისროლეს, მეორე ლულიდანაც გაისროლეს. ეტყობა, რომელიღაც გამოცდილი მგელი წრის გვერდით მიძუნძულებდა, შეიძლება უკანასკნელ წუთში, მაშინ, როცა ადამიანებმა სიფხიზლე დაკარგეს და უკვე ერთმანეთს უახლოვდებოდნენ, გაარღვია კიდეც ალყა, ბოლოს ამონაყარიდან გამოჩნდა მთავარი მონადირე, იგი ივან ივანიჩთან მივიდა, ბიმს დააცქერდა და თქვა:

_ ერთი ამას უყურე! ძაღლსაც რომ არა ჰგავს: ნადირია, ნამდვილი ნადირი. ორმა კი წრე მაინც გაარღვია და გაიქცა. ერთი დაჭრილია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ივან ივანიჩი ხელს უსვამდა ბიმს, ეფერებოდა, ელაპარაკებოდა, ძაღლი კი (თუმცა ბალანი ისევ ისე დაულაგდა), ენაგადმოგდებული ერთ ადგილას ტრიალებდა და ზურგს აქცევდა ხალხს. მერე, როცა ორივე მონადირე მგლის ლეშისაკენ წავიდა, ბიმი არ გაჰყვა. პირიქით, ყველა წესი დაარღვია, თასმა აითრია, ოცდაათიოდე მეტრზე გავიდა, დაწვა, თავი ფოთლებზე დადო და ციებიანივით აცახცახდა. ივან ივანიჩი რომ მივიდა, შეამჩნია, ძაღლს თვალები ჩასისხლიანებული ჰქონდა. ნამდვილი მხეცი იყო.

_ ეჰ, ბიმკა, ცუდად ხარ? რა თქმა უნდა, ცუდად. ასეა საჭირო, ბიჭი, ასე.

_ იცოდე, ივან ივანიჩ, მგლით შეიძლება მეძებარი ძაღლი დაიღუპოს: ტყის შიში ექნება. ძაღლი მონაა, მგელი კი _ თავისუფალი ნადირი, _ თქვა მეთაურმა.

_ ეგ კი ეგრეა, მაგრამ ბიმი უკვე ოთხი წლისაა _ დიდი ძაღლია, ტყით ვერ შეაშინებ. სამაგიეროდ, ტყეში, სადაც მგლები იცის, ერთი ნაბიჯითაც არ მოგშორდება: კვალს წააწყდება თუ არა, განიშნებს: «მგლები»!

_ მართალია, მგლები წიწილებივით ახრჩობენ მეძებრებს, მაგრამ ამას კი ახლა, არა მგონია, რამე დაუშავონ: მგლის სუნი თუ იკრა, გვერდიდან არ მოგშორდება.

_ აი, ხედავ! წლამდე არ უნდა შეაშინო მგლით. ისე კი, რა გაეწყობა! ესეც განიცადოს.

ივან ივანიჩმა ბიმი წაიყვანა, მეთაური კი მოკლულ მგელთან დარჩა და მარეკებს დაელოდა.

როცა ყველა მონადირემ კორდონზე მოიყარა თავი, თითო ჭიქა გადაკრეს და გამხიარულებულნი და აღგზნებულნი ახმაურდნენ, ბიმმა მოშორებით, განმარტოებით მოიკალათა ღობის ძირას და იწვა მარტოკა პირქუში, თვალებდაწითლებული, მგლის სუნით გაოგნებული და მოწამლული. ეჰ, ბიმს რომ სცოდნოდა, ბედი ერთხელ კიდევ მოიყვანდა ამავე ტყეში!

მასთან მეტყევე მივიდა, კორდონის უფროსი, ჩაცუცქდა,ზურგზე ხელი გადაუსვა.

_ კარგი ძაღლია, კარგი. ჭკვიანი, მთელი ნადირობის დროს ერთხელაც არ დაუყეფია, არც აყმუვლებულა.

აქ ყველას უყვარდა ძაღლები.

მაგრამ როცა მონადირეები ავტომანქანაში ჩასხდნენ და ივან ივანიჩმა ბიმიც შიგ ჩასვა, ბალანაშლილმა და აწკავწკავებულმა ძაღლმა კატასავით ისკუპა ძარადან: არ სურდა, სამ მკვდარ მგელთან ერთად ყოფილიყო.

_ ოჰო! ამას იქით აღარ დაიკარგება, _ თქვა მეთაურმა.

უცნობი მსუქანი მონადირე უკმაყოფილოდ ჩამოვიდა კაბინიდან და მძიმედ აძვრა ძარაში, ივან ივანიჩი და ბიმი კი კაბინაში ჩასხდნენ.

*

შემდეგში სულ რამდენიმეჯერ წავიდნენ ტყის ქათამზე სანადიროდ, მაგრამ ბიმი, როგორც ყოველთვის, ჩინებულად მუშაობდა. თუმცა საკმარისი იყო მგლის სუნი ეკრა, რომ ნადირობას მაშინვე თავს ანებებდა, პატრონს ფეხზე მიეკვროდა და აღარ შორდებოდა. ასეთი საქციელით იგი მკაფიოდ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გამოხატავდა სიტყვა «მგელს». და ეს კარგი იყო, მგლებზე ნადირობის შემდეგ კი უფრო მეტად შეუყვარდა ივან ივანიჩი და მისი ძალა იწამა. ბიმს სჯეროდა ადამიანის კეთილი გულისა. დიდი სიკეთეა რწმენა და სიყვარული. ამ რწმენის გარეშე ძაღლი, ძაღლი კი არა, თავისუფალი მგელია, ანდა (რაც ამაზე უარესია) მაწანწალა მყეფარი. ყოველი ძაღლი ამ ორი შესაძლებლობიდან ერთ-ერთს არჩევს იმ შემთხვევაში, თუ პატრონის რწმენა დაეკარგა და თვითონ მიატოვა იგი, ანდა თუ გააგდეს, მაგრამ ვაი იმ ძაღლს, რომელიც დაკარგავს საყვარელ მეგობარ ადამიანს, იგი მუდამ მის ძებნასა და ლოდინში იქნება. ამ შემთხვევაში ვერც თავისუფლებისმოყვარე მგლად გადაიქცევა და ვერც მაწანწალა მყეფარად, არამედ იგი სიკვდილამდე დარჩება დაკარგული მეგობრის ერთგულ, ეულ ძაღლად.

ძვირფასო მკითხველო, მე არ გიამბობთ მრავალთაგან არც ერთ ნამდვილ ამბავს, რომლებიც მოგვითხრობენ ისეთ ერთგულებაზე, მრავალ წელს რომ გრძელდება და ძაღლის სიკვდილით მთავრდება. მე მხოლოდ შავყურა ბიმის ამბავს მოგიყვებით.

თავი მეექვსე
მეგობართან გამოთხოვება

ერთხელ, ერთ-ერთი ნადირობის შემდეგ, ივან ივანიჩი შინ დაბრუნდა, ბიმს საჭმელი აჭამა და საწოლში ჩაწვა. არც უვახშმია, არც სინათლე ჩაუქრია. იმ დღეს ბიმმა გვარიანად იმუშავა, ამიტომ მალე დაეძინა და არაფერი გაუგია. მაგრამ შემდეგ დღეებში ძაღლმა შეამჩნია, რომ პატრონი დღისით სულ უფრო და უფრო ხშირად წვებოდა, რაღაცაზე ნაღვლობდა და ზოგჯერ ტკივილისაგან უეცრად დაიკვნესებდა ხოლმე. ერთ კვირაზე მეტი ბიმი მარტო სეირნობდა _ იქვე ახლოს თუ გავიდოდა თავის საჭიროებაზე. შემდეგ ივან ივანიჩი ჩაწვა. ძლივძლივობით თუ მივიდოდა კარამდე, რომ გარეთ გაეშვა ან შემოეშვა ბიმი. ერთხელ მეტისმეტად გულსაკლავად დაიკვნესა ლოგინში. ბიმი მივიდა, საწოლთან დაჯდა, ყურადღებით შეხედა სახეში და გაჭიმულ ხელზე ჩამოადო თავი. ძაღლმა დაინახა, რომ პატრონს სახე გაფითრებოდა, თვალები ამოღამებოდა, გაუპარსავი წვერი წამოწვეტოდა. ივან ივანიჩმა ბიმს გადმოხედა და დასუსტებული ხმით უთხრა:

_ აბა, რა ვქნათ ახლა, ბიჭი?.. ცუდადა ვარ, ბიმ, ცუდად. ნამსხვრევები.... ნამსხვრევი გულზე მაწვება, ცუდად ვარ, ბიმ.

ისეთი უჩვეულო ხმა ჰქონდა, რომ ბიმი აღელდა, აწრიალდა, კარს ფხაჭნა დაუწყო, თითქოს ეძახდა: «ადექი, წამოდი, წამოდიო». ივან ივანიჩს კი განძრევისა ეშინოდა. ბიმი ისევ დაჯდა მის გვერდით და ჩუმად დაიყმუვლა.

_ მოდი, ვსინჯოთ, ბიმკა, _ ძლივძლივობით ამოილუღლუღა ივან ივანიჩმა და ფრთხილად წამოჯდა. ცოტა ხანს იჯდა საწოლზე, შემდეგ ფეხზე წამოდგა, ცალი ხელი გულზე მიიდო, მეორით კედელს მიეყრდნო და ნელ-ნელა წავიდა კარისაკენ. ბიმი გვერდით მიჰყვებოდა, ის თვალს არ აშორებდა მეგობარს, ერთხელ რა არის, ერთხელაც კი არ აუქიცინებია კუდი. თითქოს სურდა ეთქვა: «აი, ეს კარგია. წავიდეთ, წავიდეთ, ნელ-ნელა წავიდეთ».

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კიბის ბაქანზე ივან ივანიჩმა მეზობლის ზარი დარეკა და როცა გოგონა ლუსია გამოვიდა, რაღაც უთხრა. გოგონა თავის ოთახში შევარდა და მოხუცი დედაკაცი სტეპანოვნა გამოიყვანა. როგორც კი ივან ივანიჩმა მოხუცს იგივე სიტყვა _ «ნამსხვრევი» _ უთხრა, ქალი აფუსფუსდა, ხელში ხელი მოჰკიდა და ისევ მის ოთახში შეიყვანა.

_ უნდა იწვეთ, ივან ივანიჩ, უნდა იწვეთ. აი, ასე, _ თქვა მან, როცა ივან ივანიჩი ისევ გულაღმა დაწვა. _ უნდა იწვეთ. მხოლოდ და მხოლოდ იწვეთ. _ დედაკაცმა მაგიდიდან გასაღები აიღო და სწრაფად წავიდა, თითქმის გაიქცა; ქალი ბებრულად მიცუნცულებდა.

რა თქმა უნდა, ბიმმა სამჯერ გამეორებული სიტყვა _ «იწვეთ» _ ისე მიიღო, თითქოს იგი მასაც ეხებოდა, საწოლის გვერდით დაწვა და თვალი კარს მიაშტერა. პატრონის სამწუხარო მდგომარეობა, სტეპანოვნას მღელვარება და ისიც, რომ ქალმა მაგიდიდან აიღო გასაღები, აშფოთებდა ბიმს.

მალე მოესმა, რომ გასაღები კლიტეში შეუყარეს, საკეტმა გაიჩხაკუნა, კარი გაიღო, წინკარში ლაპარაკის ხმა გაისმა და სტეპანოვმა შემოვიდა. ქალს სამი თეთრხალათიანი უცნობი შემოჰყვა _ ორი ქალი და ერთი მამაკაცი. მათ სხვა, ჩვეულებრივი ადამიანის სუნი კი არ ასდიოდათ, არამედ იმ ყუთისა, კედელზე რომ ეკიდა და პატრონი მხოილოდ მაშინ ხსნიდა, როცა ამბობდა: «ცუდადა ვარ, ბიმ, ცუდად».

მამაკაცმა მტკიცე ნაბიჯი გადმოდგა საწოლისაკენ, მაგრამ...

ბიმი მხეცივით დაეძგერა, მკერდზე თათები მიაბჯინა და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ორჯერ დაუყეფა.

«გასწი, გასწი აქედან!» _ დაუყვირა უცნობს ბიმმა.

მამაკაცმა ხელი ჰკრა ძაღლს და უკან გადაქანდა, ქალები წინკარში გაცვივდნენ, მთელი სხეულით ათრთოლებული ბიმი კი საწოლის გვერდით დაჯდა; ეტყობოდა, სიცოცხლეს გასწირავდა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი პატრონისათვის და ასეთ ძნელ დროს ახლოსაც არ მიაკარებდა ამ უცხო ხალხს.

კარში გაჩერებულმა ექიმმა თქვა:

_ ეს რა ძაღლი ყოფილა! რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?

მაშინ ივან ივანიჩმა ხელით მიიხმო ბიმი, ოდნავ გადმობრუნდა და თავზე ხელი გადაუსვა, ბიმი კი ცალი მხარით პატრონს მიეკრა და კისერი, სახე და ხელები აულოკა.

_ მოდით, _ ჩუმად თქვა ივან ივანიჩმა და ექიმს შეხედა.

ექიმი მივიდა.

_ მომეცით ხელი.

ექიმმა ხელი მისცა.

_ გამარჯობათ.

_ გაგიმარჯოთ, _ უთხრა ექიმმა.

ბიმმა ცხვირი მიადო ექიმის ხელს, რაც ძაღლის ენაზე ნიშნავდა: «რა გაეწყობა! ეგრე იყოს: ჩემი მეგობრის მეგობარი ჩემი მეგობარიც არის».

საკაცე შემოიტანეს. ზედ ივან ივანიჩი დააწვინეს.

მან ძლივს ჩაილაპარაკა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

_ სტეპანოვნა... მიხედეთ ბიმს, ძვირფასო, დილდილაობით გარეთ გაუშვით. მალე დაბრუნდება ხოლმე... ბიმი დამელოდება. _ მერე ბიმს მიმართა: _ მელოდე... მელოდე.

ბიმმა ეს სიტყვა იცოდა: ივან ივანიჩი მაღაზიასთან ეტყოდა ხოლმე: «იჯექი და მელოდე», ნადირობისას, ზურგჩანთასთანაც ამასვე ეუბნებოდა: «იჯექი და მელოდე». ახლა ძაღლმა დაიწკმუტუნა და კუდი ააქიცინა, რაც ამას ნიშნავდა: «ო, ჩემი მეგობარი დაბრუნდება! მიდის, მაგრამ მალე დაბრუნდება».

ეს კი იყო, ამას მხოლოდ ივან ივანიჩი მიხვდა, დანარჩენებმა ვერაფერი გაიგეს, ბიმმა მათ ეს თვალებზე შეატყო... მერე საკაცესთან დაჯდა და ზედ თათი ჩამოდო. ივან ივანიჩმა თათზე ხელი მოუჭირა.

_ მელოდე, ბიჭო, მელოდე.

პატრონს თვალებიდან კურცხალი გადმოუვარდა, ასეთი რამ ბიმს არასოდეს ენახა.

როცა საკაცე წაიღეს და საკეტმა გაიჩხაკუნა, ის კართან დაწვა, წინა თათები გაჭიმა, თავი გვერდზე მიაბრუნა და იატაკზე დადო; ძაღლები ასე მაშინ წვებიან, როცა რამე სტკივათ ანდა გულზე სევდა აწვებათ; ყველაზე ხშირად ასეთ მდგომარეობაში კვდებიან ხოლმე.

მაგრამ ბიმი სევდისაგან არ მომკვდარა, როგორც მოკვდა ის ძაღლი, მრავალი წლის განმავლობაში თავის ბრმა პატრონს რომ დაატარებდა. ის ძაღლი თავისი პატრონის საფლავის გვერდით დაწვა, კეთილი ადამიანების მიერ მიტანილ საჭმელს პირიც არ დააკარა და მეხუთე დღეს მზის ამოსვლისას მოკვდა. ეს ტყუილი არ გეგონოთ, მართალია. რადგან მონადირეებმა ძაღლის ასეთი ერთგულებისა და სიყვარულის ამბავი იციან, იშვიათად თუ რომელიმე იტყვის ძაღლზე: «სული გააცხო», «მოკვდაო», _ ამბობენ.

არა, ბიმი არ მოკვდა. ბიმს უბრძანეს: «დამელოდეო». მას სჯეროდა, რომ მეგობარი მოვიდოდა. რამდენჯერ ყოფილა: ეტყოდა, «დამელოდეო», და აუცილებლად მოვიდოდა.

ლოდინი! აი, ეს არის ახლა ბიმის ცხოვრების მიზანი.

მაგრამ რა მძიმე იყო მისთვის იმღამინდელი მარტოობა, რა გულსაკლავი! რაღაც ისეთი ხდებოდა, რაც სხვა დროს არ მომხდარა... ხალათებს უბედურების სუნი ასდიოდა. და ბიმს სევდა მოაწვა.

შუაღამისას, როცა მთვარე ამოვიდა, მარტოობა აუტანელი გახდა. პატრონის გვერდითაც რომ იყო, მაშინაც კი აწუხებდა მთვარე, მას თვალები აქვს. ამ მკვდარი თვალებით მისჩერებოდა ძაღლს, უსიცოცხლო, ცივი შუქით ანათებდა ხოლმე და ბიმი ამ დროს ბნელ კუნჭულში იმალებოდა. ახლა კი მისი გამოხედვა თავზარს სცემდა, პატრონი არსად ჩანდა. და, აი, შუაღამისას ბიმი აყმუვლდა, აყმუვლდა, როგორც ყმუიან ძაღლები უბედურების წინ. მას სჯეროდა, ვიღაც გაიგონებდა მის ყმუილს. ვინ იცის, იქნებ მის პატრონსაც გაეგონა.

მოვიდა სტეპანოვნა.

_ რა იყო, ბიმ, რა იყო, ჰა? ივან ივანიჩი არ არის, არა? ვაი, ვაი, რა ცუდია.

ბიმმა არც გამოხედვით და არც კუდის ქნევით არ უპასუხა, ის მხოლოდ კარს მისჩერებოდა. სტეპანოვნამ შუქი აანთო და წავიდა. ძაღლს გულზე მო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეშვა _ მთვარემ თითქოს უკან დაიხია და დაპატარავდა. ბიმმა ნათურის ქვეშ მოიკალათა, მთვარისაკენ ზურგშექცევით, მაგრამ მალე ისევ კართან დაწვა: უნდა ელოდოს.

დილით სტეპანოვნამ ბიმს ფაფა მოუტანა და ჯამში ჩაუსხა, მაგრამ ძაღლი არც კი წამოდგა. ასე იქცეოდა ის ძაღლიც, ბრმას რომ დაატარებდა: ისიც არ დგებოდა, როცა საჭმელს მიუტანდნენ ხოლმე.

_ დახე, რა მოსიყვარულე ყოფილა. საოცარია. აბა, წადი, გაისეირნე, ბიმ. _ ქალმა კარი გააღო. _ წადი, გაისეირნე.

ბიმმა თავი ასწია, ყურადღებით შეხედა მოხუცს. სიტყვა «სეირნობა» მისთვის ნაცნობი იყო _ იგი თავისუფლებას ნიშნავდა. «წადი, წადი, გაისეირნე» კი _ სრულ თავისუფლებას. ბიმმა იცოდა, რა იყო თავისუფლება: გააკეთე ყველაფერი, რის ნებასაც პატრონი გაძლევს. მაგრამ იგი რომ შინ არ არის და მაინც ეუბნებიან: «წადი, გაისეირნეო»? აბა, ეს რა თავისუფლებაა?

სტეპანოვნამ არ იცოდა, როგორ უნდა მოჰქცეოდა ძაღლებს, არ იცოდა, რომ ისეთებს, როგორიც ბიმია, უსიტყვოდაც ესმით ადამიანისა, ის სიტყვები კი, რომლებიც მათ იციან, იტევენ მრავალსა და თან შემთხვევის შესაფერისად _ სხვადასხვა რამეს. ქალმა გულუბრყვილოდ უთხრა:

_ რაკი ფაფა არ გინდა, წადი, რამე მოძებნე. შენ ხომ ბალახიც გიყვარს, ალბათ, სანაგვეშიაც იპოვი რამეს (თავისი გულუბრყვილობით მან არ იცოდა, რომ ბიმი სანაგვეებს ახლოსაც არ ეკარებოდა). წადი მოძებნე.

ბიმი წამოდგა, გამოფხიზლდა კიდეც. რას ნიშნავს «ეძებე»? რა უნდა ეძებოს? «ეძებე» ნიშნავს: ეძებე ყველის დამალული ნაჭერი, ეძებე გარეული ფრინველი, ეძებე დაკარგული ან დამალული ნივთი. «ეძებე» ნიშნავს ბრძანებას, მაგრამ რა უნდა ეძებოს, ეს გარემოებაზეა დამოკიდებული, საქმის ვითარებაზე. ახლა კი რა უნდა ეძებოს?

ყველაფერი ეს მან სტეპანოვნას ანიშნა თვალით, კუდით, წინა თათების მოუსვენარი ცაცუნით, მაგრამ დედაკაცმა სრულიად ვერაფერი გაიგო და გაუმეორა:

_ წადი, გაისეირნე, ეძებე!

ბიმი კარს მივარდა. ელვასავით ჩაირბინა მეორე სართულიდან და ეზოში გავარდა. პატრონი უნდა ეძებოს, პატრონი! აი, რა არის საძებნელი _ მეტი არაფერი. მან ასე გაიგო სტეპანოვნას სიტყვა. აი, აქ იდგა საკაცე, დიახ, აქ. აი, თეთრხალათიანი ადამიანების კვალი, რომელსაც უკვე ძლივს ასდის მათი სუნი. ავტომანაქანის კვალი. ბიმმა წრე შეკრა, შიგ შევიდა (ყველაზე უნიჭო ძაღლიც კი ასე მოიქცეოდა), მაგრამ კვალი იგივე იყო. ბიმი მას მიჰყვა, ქუჩაში გავიდა, მაგრამ კუთხესთან მივიდა თუ არა, კვალი მაშინვე დაკარგა: იქ მთელ გზას ისეთივე რეზინის სუნი ასდიოდა. ადამიანის ნაკვალევი სხვადასხვაგვარია, თანაც მრავალი, ავტომანქანების ნაკვალევი კი ერთმანეთში ირევა და ყველა ერთნაირია. მაგრამ ის მისთვის საჭირო კვალი, ეზოდან კუთხესთან უხვევდა, მაშასადამე, ბიმიც იქით უნდა წასულიყო.

ბიმმა ჯერ ერთ ქუჩაზე გაირბინა, შემდეგ მეორეზე, მერე სახლთან დაბრუნდა, მოირბინა ადგილები, სადაც ის და მისი პატრონი სეირნობდნენ ხოლმე, მაგრამ ივან ივანიჩის კვალი არსად ჩანდა. შორიდან კუბოკრული ქუდი დაინახა, იმ კაცს გამოეკიდა, მაგრამ ის სულ სხვა ვინმე იყო. კარგად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ დააკვირდა, დაადგინა, ასეთივე კუბოკრული ქუდი ბევრს ეხურა. აბა, საიდან უნდა სცოდნოდა, რომ ამ შემოდგომაზე მხოლოდ კუბოკრულ ქუდებს ყიდდნენ და ამიტომ ყველას მოსწონდა. წინათ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, იმიტომ, რომ ძაღლები ყოველთვის ყურადღებას აქცევენ და იმახსოვრებენ ადამიანის წელს ქვემოთ ტანსაცმელს. ეს მას მგლისაგან მოჰყვება, ბუნებისაგან, მრავალი საუკუნისაგან. ასე, მაგალითად, როცა ადამიანს ხშირი ბუჩქი წელამდე ფარავს, მელია ვერ ამჩნევს მას, მით უმეტეს, მაშინ, თუ ადამიანი არ იძვრის და ქარს მისგან სუნი არ მოაქვს. ასე რომ, ბიმმა მოულოდნელად ამაში რაღაც შორეული აზრი დაინახა: წელს ზემოთ ძებნა უსარგებლოა, რადგან თავები შეიძლება ფერით ერთნაირი იყოს, ერთმანეთს მიმსგავსებული.

უღრუბლო დღე იდგა. ზოგიერთ ქუჩაზე ფოთლები ლაქებივით ეფინა ქვაფენილზე. ზოგან კი მთლიანად დაეფარათ, ასე რომ, პატრონის კვალის მცირეოდენი ნაწილიც კი რომ შეხვედროდა, ბიმი იგრძნობდა მას. მაგრამ არსად არაფერი ჩანდა.

შუადღისათვის ბიმი სასოწარკვეთილებამ მოიცვა. და უცბად საკაცის კვალს წააწყდა: ის აქ იდგა, ამ ადგილას, შემდეგ ასეთივე სუნის ნაკადი გვერდიდანაც წამოვიდა, ძაღლი ისე მიჰყვა ამ სუნს, როგორც გაკვალულ გზას. კარის ზღურბლს თეთრხალათიანი ადამიანების სუნი უდიოდა. ბიმმა კარზე მიაფხაჭუნა. კარი თეთრხალათიანმა გოგონამ გაუღო და შეშინებული გადახტა უკან, მაგრამ ბიმი ყოველნაირი ხერხით მიესალმა და ეკითხებოდა ჩემი პატრონი აქ ხომ არ არისო.

_ გასწი, გასწი აქედან! _ იყვირა გოგომ და კარი დახურა. შემდეგ კარი ისევ გამოაღო და ვიღაცას გასძახა: _ პეტროვ! გააგდე ძაღლი, თორემ შეფი შავ დღეს დამაყენებს, აყვირდება, ეს რა ამბავია, აქ საძაღლეა თუ «სასწრაფო დახმარებაო!» გააგდე!

გარაჟიდან შავხალათიანი კაცი მოვიდა. ძაღლს ფეხები დაუბაკუნა და გაუბრაზებლად დაუყვირა (თითქოს მოვალეობის გამო, ცოტა ზანტადაც კი):

_ მე ვიცი შენი! გასწი! გასწი აქედან!

ისეთი სიტყვების მნიშვნელობა, როგორიც არის: «შეფი», «საძაღლე», «გააგდე», «შავ დღეს დამაყენებს», და მით უმეტეს, «სასწრაფო დახმარება», _ ბიმს არ ესმოდა, გაგონებითაც არასოდეს გაეგონა, მაგრამ კილოსა და განწყობილებასთან შეხამებული სიტყვები _ «წადი» და «გასწი» _ მშვენივრად გაიგო. ასეთ რამეში ბიმი არ მოტყუვდებოდა. მცირე მანძილზე გაიქცა, დაჯდა და კარს მიაჩერდა. ადამიანებს რომ სცოდნოდათ, რას ეძებდა ბიმი, დაეხმარებოდნენ, თუმცა მისი პატრონი აქ არ მოუყვანიათ, პირდაპირ საავადმყოფოში წაიყვანეს. მაგრამ რა გაეწყობა, თუ ძაღლებს ესმით ადამიანებისა, ისინი კი ყოველთვის როდი უგებენ ძაღლებს და თვით ერთმანეთსაც კი, თუმცა, ბიმისათვის ასეთი ღრმა აზრები მიუწვდომელი იყო: გაუგებარი იყო ისიც, რატომ არ უშვებდნენ კარში, რომელსაც იგი პატიოსნად, გულდანდობილად და გულმართლად უფხაჭუნებდა, და რომლის იქითაც, ალბათ, მისი მეგობარი უნდა ყოფილიყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბიმი საღამომდე იჯდა იასამნის ფოთოლებდამჭკნარ ბუჩქთან. მოდიოდნენ მანქანები, იქიდან გადმოდიოდნენ თეთრხალათიანი ადამიანები და ვიღაცები მოჰყავდათ ხელით, ანდა გვერდით მოჰყვებოდნენ. ხანდახან ავტომანქანიდან გადმოჰყავდათ საკაცეზე დაწვენილი კაცი, მაშინ ბიმი მიუახლოვდებოდა საკაცეს, დასუნავდა და, როცა დარწმუნდებოდა, ის არ იყო, უკან ბრუნდებოდა. ვუღაცამ მოუტანა ძეხვის ნაჭერი, ძაღლმა პირიც კი არ დააკარა; ვიღაცას უნდოდა საყელურში მოეკიდა ხელი _ ბიმი გაექცა. იმ შავხალათიანმა ძიამაც კი რამდენჯერმე გვერდით ჩაუარა, გაჩერდა, თანაგრძნობით შეხედა და ფეხები არ დაუბაკუნა. ძაღლი გაქვავებული იჯდა, არავის არაფერს ეუბნებოდა. ბიმი ელოდა.

დაბინდებისას გაახსენდა: ვაითუ პატრონი უკვე შინ არისო?! და მსუბუქი ნაბიჯით გაიქცა.

ქალაქში გარბოდა ლამაზი, კარგად მოვლილი, კრიალაბეწვიანი შავყურა თეთრი ძაღლი. მის დანახვაზე ყოველი კეთილი მოქალაქე იტყოდა: «აჰ, რა კარგი სანადირო ძაღლიაო!»

ბიმმა მშობლიურ კარზე მიაფხაჭუნა, მაგრამ არავინ გაუღო, მაშინ ძაღლმა მის ზღურბლთან მოიკალათა, არც ჭამა უნდოდა, არც სმა. საერთოდ, არაფერი უნდოდა. ნაღველი მოაწვა.

კიბის ბაქანზე სტეპანოვნა გამოვიდა.

_ მოხვედი, შე საწყალო, შენა?

ბიმმა მხოლოდ ერთხელ გააქნია კუდი («მოვედი»).

_ ჰოდა, მოდი, ივახშმე. _ ქალმა დილანდელი ფაფიანი ჯამი მიუდგა.

ბიმმა საჭმელს პირი არ დააკარა.

_ ვიცოდი, თვითონ იშოვიდი. ჭკუის კოლოფი ხარ, დაიძინე, _ და ქალმა კარი მიიხურა.

იმ ღამეს ბიმი უკვე აღარ ყმუოდა. მაგრამ კარს არ მოშორებია: ისევ ელოდა!

დილით კი კვლავ აწრიალდა. უნდა ეძებოს, ეძებოს მეგობარი! ამაშია მთელი მისი ცხოვრების აზრი. და როცა სტეპანოვნამ გარეთ გაუშვა, პირველად თეთრხალათიან ადამიანებთან გაიქცა. მაგრამ ამჯერად ვიღაც მსუქანი მამაკაცი ყველას უყვიროდა და ხშირად იმეორებდა სიტყვას «ძაღლი». ბიმს ქვებს ესროდნენ. მაგრა ისე ესროდნენ, რომ არ მოხვედროდა. ჯოხსაც უქნევდნენ. ბოლოს ძალზე მტკივნეულად გადაუჭირეს გრძელი სახრე. ბიმი გვერდზე გახტა, დაჯდა, ცოტა ხანს იჯდა და, ეტყობა, გადაწყვიტა: ჩემი პატრონი აქ არ უნდა იყოს, თორემ ასე მწარედ რატომ მცემდნენ და გამაგდებდნენო. თავი დახარა და იმ ადგილს გაშორდა.

ქალაქის ქუჩებში მიდიოდა უპატრონო, მოწყენილი და სულ არაფრისთვის გულნატკენი ძაღლი.

აი, იგი აბობოქრებულ ქუჩაზე გავიდა. იქ უამრავი ხალხი მიდი-მოდიოდა, ყველანი სადღაც მიიჩქაროდნენ, ზოგჯერ რამდენიმე სიტყვას თუ ეტყოდნენ ერთმანეთს. ხალხის ნაკადი დაუსრულებლად სადღაც მიედინებოდა. ბიმს უეჭველად გაუელვა აზრმა: «იქნებ აქ გაიაროს?!» და ყოველგვარი ლოგიკის გარეშე, ჩრდილში დაჯდა, კუთხეში, ჭიშკართან ახლოს, და თვალთვალი დაიწყო, უყურადღებოდ არავის ტოვებდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბიმმა შეიტყო, რომ ყველა ადამიანს ავტომანქანის ბოლის სუნი სდის და ამ სუნში აღწევს სხვადასხვა სიმძაფრის სხვა სურნელებაც.

აი, მოდის მაღალი, გამხდარი კაცი, გაცვეთილი დიდი ფეხსაცმელი აცვია და ბადურათი ისეთივე კარტოფილი მოაქვს, როგორიც პატრონს მოჰქონდა ხოლმე. გამხდარ კაცს კარტოფილი მოაქვს, თამბაქოს სუნი კი უდის. სწრაფი ნაბიჯით მოდის, ჩქარობს, თითქოს ვიღაცას მისდევს. მაგრამ ეს მხოლოდ მოეჩვენა _ ყველა ვიღაცას მისდევს, ყველა რაღაცას ეძებს, როგორც საველე გამოცდის დროს, თორემ ქუჩაში რატომ უნდა გარბოდნენ, კარებში შერბოდნენ, გამორბოდნენ და ისევ გარბოდნენ?

_ სალამი, შავყურა! _ ჩამოსძახა გამხდარმა.

«გამარჯობა», _ პირქუშად უპასუხა ბიმმა, მიწას კუდი გაუსვა, მაგრამ ხალხისთვის თვალი არ მოუშორებია.

აი, იმ კაცს კომბინეზონიანი ადამიანი მისდევს, მას სველი კედლის სუნი უდის. თავით ფეხამდე თითქმის რუხ-თეთრია. წვერჯაგრიანი გრძელი თეთრი ჯოხი მოაქვს და მძიმე აბგა.

_ შენ აქ რას დამჯდარხარ? _ ჰკითხა კაცმა ბიმს. _ პატრონს ელოდები თუ დაიკარგე?

_ «დიახ, ველოდები», _ უპასუხა ბიმმა და წინა თათები აამოძრავა.

_ რაკი ეგრეა, აი, შენ, _ აბგიდან პარკი ამოიღო, ბიმს წინ კანფეტი დაუდო და შავ ყურზე ხელი მოუთათუნა._ ჭამე, ჭამე, (ბიმი არც მიჰკარებია კანფეტს). გაწვრთნილი ხარ, ინტელიგენტი! სხვისი თეფშიდან არ შეჭამ, არა? _ თქვა კაცმა და გზა განაგრძო. ნელა, მშვიდად მიდოდა. სხვებს არა ჰგავდა.

სხვებისთვის არ ვიცი, ბიმისთვის კი ეს კაცი კარგია! მან იცის, რა არის «ელოდე», მან თქვა: «ელოდეო», იგი მიუხვდა ბიმს.

აი, მოდის მსუქანი, ძალიან მსუქანი კაცი, ხელში სქელი ჯოხი უჭირავს, სქელი შავი სათვალე უკეთია და სქელი საქაღალდე მოაქვს; ყველაფერი, ყველაფერი სქელი აქვს. ისეთი ქაღალდის სუნი უდის, როგორზედაც პატრონი პატარა ჯოხს აჩურჩულებდა ხოლმე. და, მგონი, იმ ყვითელი ქაღალდებისაც, რომელსაც პატრონი ყოველთვის ჯიბეში იდებდა, კაცი ბიმთან შეჩერდა და თქვა:

_ ფუჰ, ამასაც მოვესწარით: ძაღლები პროსპექტზე თარეშობენ.

პატარა ჭიშკრიდან ცოცხიანი მეეზოვე გამოვიდა და მსუქან კაცს გვერდში ამოუდგა. მსუქანი კი მეეზოვეს მიუბრუნდა, ბიმზე მიუთითა და განაგრძო:

_ ხედავ? შენს ტერიტორიაზეა, ხომ?

_ ვხედავ, როგორ ვერ ვხედავ, _ უპასუხა მეეზოვემ: ცოცხი ამოატრიალა და ზედ დაეყრდნო.

_ ხედავ... ვერაფერსაც ვერ ხედავ, _ თქვა სქელმა ბრაზიანად, _ კანფეტსაც კი არ ხეთქვას _ მოყირჭებული აქვს. ამის შემდეგ როგორ უნდა იცხოვროს კაცმა?! _ ჩანდა, კაცს ბრაზი ახრჩობდა.

_ შენც ნუ იცხოვრებ, რა, _ უთხრა მეეზოვემ და გულგრილად დაუმატა: _ დახე, როგორ გამხდარხარ, შე საწყალო, შენა.

_ შეურაცხყოფას მაყენებ! _ დაიღრიალა მსუქანმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სამი ბიჭი გაჩერდა, ხან მსუქანს მისჩერებოდნენ, ხან ბიმს, და რატომღაც იღიმებოდნენ.

_ რა გაცინებთ, რა გაცინებთ? მე ვეუბნები, ძაღლი-მეთქი... ათასობით ძაღლია, თითოზე რომ ორი-სამი კილო ხორცი იანგარიშო, დღეში ორი-სამი ტონა ხორცი დასჭირდებათ. გესმით, ეს რა გამოდის?

ერთ-ერთმა ბიჭმა სიტყვა შეუბრუნა:

_ სამ კილოს აქლემიც ვერ შეჭამს.

მეეზოვემ აუღელვებლად შეუსწორა:

_ აქლემი ხორცს არა ჭამს. _ მოულოდნელად ცოცხი მოიმარჯვა და მსუქანის ფეხებთან დაატრიალა, _ გვერდზე გადექი, მოქალაქევ! აბა! რა გითხარი!

მსუქანმა გადააფურთხა და წავიდა. ის სამი ბიჭიც სიცილით გაუდგა გზას. მეეზოვემ მაშინვე დაგვას თავი დაანება, ზურგზე ხელი გადაუსვა ბიმს, ცოტა ხანს გაჩერდა და უთხრა:

_ იჯექი, ელოდე, მოვა. _ დაჭიშკარში შევიდა.

მთელი ამ აურზაურიდან ბიმმა მარტო სიტყვები «ხორცი» და «ძაღლი» კი არ გაიგო, ხმის კილოსაც ჩასწვდა. მთავარი კი ის იყო, რომ ყველაფერი ნახა, ეს კი სრულიად საკმარისია, რომ ჭკვიანმა ძაღლმა გაიგოს: მსუქანი ცუდად ცხოვრობს, მეეზოვე კი _ კარგად; ერთი ავია, მეორე _ კეთილი. აბა, ბიმზე უკეთ ვინ იცის, დილაადრიან ქუჩებში მხოლოდ მეეზოვეები ცხოვრობენ და მათ უყვართ ძაღლები. მეეზოვემ რომ მსუქანი გააგდო, ნაწილობრივ მოეწონა კიდეც. ისე კი, ამ შემთხვევითმა, უბრალო ამბავმა მხოლოდ მწუხარება გაუქარვა ბიმს, თუმცა, შეიძლება სასარგებლოც კი გამოდგა იმ მხრივ, რომ ბუნდოვნად მიხვდა, ადამიანები სხვადასხვანაირები არიან: შეიძლება კარგებიც იყვნენ და ცუდებიც. რა გაეწყობა, ამის ცოდნაც სასარგებლოა, _ ვიტყოდით ჩვენ, მაგრამ ჯერჯერობით ბიმისთვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა _ ამისთვის არ ეცალა; თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა მიმავალ ხალხს.

ზოგიერთ ქალს მწვავე, აუტანელი სუნი ჰქონდა, როგორც შროშანებს, როგორც იმ პატარა თეთრყვავილებს, რომელებიც აბრუებენ ყნოსვას და რომელთა ახლოს ბიმს ყნოსვა ეკარგებოდა. ასეთ შემთხვევაში ძაღლი თავს გვერდზე სწევდა და რამდენიმე წამს არ სუნთქავდა. ქალთა უმრავლესობას ტუჩები იმ ფერისა ჰქონდა, რა ფერის ალმებიც მგლებზე ნადირობის დროს ნახა. ბიმს არც ასეთი ფერი მოსწონდა, ისევე როგორც ყველა ნადირს, ძაღლებსა და ხარებს კი _ განსაკუთრებით. თითქმის ყველა ქალს ხელით რაღაც მოჰქონდა. ბიმმა შეამჩნია, რომ დატვირთული კაცები იშვიათად ხვდებოდა, ქალები _ კი ხშირად.

...ივან ივანიჩი კი არა და არ ჩანდა.

ეჰ, ჩემო მეგობარო! ნეტავ სადა ხარ?!

ხალხი მიდი-მოდიოდა. ბიმს ხალხში ყოფნით სევდა ცოტა არ იყოს, გაუქარვდა, გაეფანტა, და კიდევ უფრო ყურადღებით იცქირებოდა წინ, იქნებ მოდისო. დღეს ბიმი აქ დაელოდება. დაელოდება!

მის გვერდით შეჩერდა სახედაღარული, თვალებგადმოკარკლული, სქელტუჩამოვარდნილი, ცხვირპაჭუა კაცი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

_ ეს რა საძაგლობაა! _ შესძახა მან (ხალხი შეჩერდა). _ ირგვლივ გრიპია, ეპიდემია, კუჭის კიბო, აქ კი, უყურეთ, რა ამბავია! _ ყვიროდა და ხელისგულით უჩვენებდა ბიმზე. _ აქ, შუაგულ ხალხში, მშრომელებში, სნეულების ცოცხალი წყარო დამჯდარა!

_ არა, ყველა ძაღლი როდია სნეულების წყარო. შეხედეთ, რა საყვარელი ძაღლია, _ სიტყვა შეუბრუნა ახალგაზრდა ქალმა.

ცხვირპაჭუამ თავით ფეხამდე შეათვალიერა ქალი და აღშფოთებით ზურგი შეაქცია.

_ რა ველურობაა! რა ველური ვინმე ხართ, მოქალაქე. _ მიმართა მან ახალგაზრდა ქალს.

და, აი... აჰ, რატომ არ არის ბიმი ადამიანი! ამ დროს მოვიდა სწორედ დედაკაცი, «საბჭოთა ქალი», ცილისმწამებელი. ბიმს ჯერ შეეშინდა, მაგრამ შემდეგ აიჯაგრა და მოგერიებითი პოზიცია მიიღო. ქალი კი ხალხს მიუბრუნდა და აკაკანდა:

_ ველურობაა და მეტი არაფერი, ამ ძაღლმა მიკბინა. მიკ-ბი-ნა! _ და ხელი ხალხისაკენ გაიშვირა, რომ ყველას დაენახა.

_ სად გიკბინათ? _ ჰკითხა პორტფელიანმა ჭაბუკმა._ გვაჩვენეთ.

_ დაიკარგე, შე ლაწირაკო შენა! _ დაუტატანა ჭაბუკს ქალმა და ხელი დამალა.

ცხვირპაჭუას გარდა ყველას გაეცინა.

_ ინსტიტუტში ეგ გასწავლეს, საზიზღარო? კარგად კი აღუზრდიხარ, ზედ გეტყობა! _ დაეტაკა ქალი სტუდენტს. _ შენ რა, საბჭოთა ქალს არ მიჯერებ? მერე რაღას იზამ, ჰა?! საით მივდივართ, ძვირფასო მოქალაქენო, საით? ან იქნებ საბჭოთა ხელისუფლება აღარ გვყავს.

ჭაბუკი გაწითლდა და აფეთქდა:

_ ნეტავ დაგანახვათ, რასა ჰგავხართ სხვის თვალში, ამ ძაღლისა შეგშურდებოდათ. _ დედაკაცისაკენ ნაბიჯი გადადგა და დაუყვირა: _ შეურაცხყოფის უფლება ვინ მოგცათ?

თუმცა ბიმი ამ სიტყვების მნიშვნელობას ვერ მიხვდა, მაგრამ მეტის მოთმენა აღარ შეეძლო: დედაკაცისაკენ გადახტა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა შეუყეფა და ოთხივე თათი მიწას მიაჭირა, რომ ზედმეტი რამე არ ჩაედინა (შედეგებზე უკვე პასუხს აღარ აგებდა). რა გაეწყობა, თუმცა ინტელიგენტია, მაგრამ მაინც ხომ ძაღლია.

ქალი აღრიალდა.

_ მილი-ცია! მილი-ცია!

სადღაც სასტვენის ხმა გაისმა, ვიღაც გზადაგზა იძახდა:

_ გაიარეთ, მოქალაქენო, გაიარეთ! თქვენს საქმეს მიხედეთ! _ ეს მილიციელი იყო (აღელვების მიუხედავად, ბიმმა კუდიც კი გააქიცინა). _ ვინ ყვიროდა? თქვენ? _ მიმართა მილიციელმა დედაკაცს.

_ დიახ, ეგ _ დაადასტურა სტუდენტმა.

საქმეში ცხვირპაჭუა ჩაერია.

_ ნეტავ რას უყურებთ, რას აკეთებთ? _ აუყვირდა მილიციელს, _ ძაღლები, ძაღლები დაწანწალებენ სამხარეო ქალაქის პროსპექტზე!

_ ძაღლები! _ ყვიროდა დედაკაცი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

_ და, აი, ასეთი პითეკანთროპები! _ იძახდა სტუდენტიც,

_ შეურაცხყოფა მომაყენა! _ თითქმის ქვითინებდა ქალი.

_ მოქალაქენო, და-ი-შალეთ! თქვენ, თქვენ და თქვენ კი მილიციაში გამომყევით, _ უთხრა მილიციელმა დედაკაცს, ჭაბუკს და ცხვირპაჭუას.

_ ძაღლი არა?! _ შესძახა დედაკაცმა._ პატიოსანი ხალხი მილიციაში მიგყავთ, ძაღლი კი...

_ არ წამოვალ, _ მოკლედ მოუჭრა ჭაბუკმა.

მოვიდა მეორე მილიციელი.

_ რა ამბავია, რა მოხდა?

შლაპიანმა და ჰალსტუხიანმა კაცმა მართებულად და დინჯად განუმარტა:

_ აი, ამ ცხვირმოუხოცავ სტუდენტს არ სურს მილიციაში წასვლა, არ ემორჩილება. ესენი ორივენი მისდევენ, ეს კი არ ემორჩილება, უძალიანდება. ასე არ შეიძლება, რაკი მიჰყავხარ, უნდა წაჰყვე. რა ვუყოთ, რომ... _ ყველას ზურგი შეაქცია და ცერა თითით ყურის ჩიჩქნა დაიწყო, თითქოს სასმენი ხვრელის გაფართოება სურსო. ცხადია, ეს იყო ნიშანი მისი მტკიცე რწმენისა, საკუთარი აზრის სიმტკიცისა და კიდევ იმისა, რომ იგი უეჭველად ყველა აქ დამსწრე ადამიანზე მაღლა იდგა, თვით მილიციელზედაც კი.

მილიციელებმა ერთმანეთს გადახედეს და მაინც სტუდენტი თან წაიყვანეს. მათ ბაჯბაჯით გაჰყვნენ ცხვირპაჭუა და დედაკაციც, ხალხი დაიშალა. ისინი უკვე ყურადღებას არ აქცევდნენ ძაღლს, გარდა იმ საყვარელი გოგონასი. გოგონა ბიმთან მივიდა, ხელი გადაუსვა, მაგრამ ბოლოს ისიც მილიციელებს გაჰყვა, თვითონ გაჰყვა,_ როგორც დაასკვნა ბიმმა. ძაღლმა თვალი გააყოლა, ერთ ადგილას ატოკდა, შემდეგ გამოეკიდა და მის გვერდით წაძუნძულდა.

ადამიანი და ძაღლი მილიციაში მიდიოდნენ.

_ ვის ელოდები, შავყურა? _ ჰკითხა შეჩერებულმა ქალმა.

ბიმი მოწყენილი დაჯდა და თავი ჩაკიდა.

_ გეტყობა, გშია, საყვარელო. გაჭმევ, დაიცა, გაჭმევ, შავყურა!

უკვე რამდენჯერმე დაუძახეს ბიმს «შავყურა». ოდესღაც პატრონიც ასე ეძახდა ხოლმე: «ეჰ, შე შავყურა, შენა!» დიდი ხნის წინათ დაუძახა ასე, ბავშვობაში. «ნეტავ სად არის ჩემი მეგობარი?» _ გაიფიქრა ბიმმა და მოწყნილი და სევდიანი ისევ გოგონას გაჰყვა.

მილიციაში ერთად შევიდნენ. იქ უკვე გაჰკიოდა დედაკაცი, ცხვირპაჭუა ღრიალებდა, სტუდენტი, თავჩაქინდრული, ხმაამოუღებლად იდგა, მაგიდას კი უცნობი მილიციელი უჯდა და მტრულად მისჩერებოდა სამივეს.

გოგონამ თქვა:

_ დამნაშავე მოვიყვანე. _ და ბიმზე მიუთითა. _ ძალიან საყვარელი ძაღლია. თავიდანვე ვნახე და გავიგონე ყველაფერი, ეს ჭაბუკი, _ მან სტუდენტისაკენ გადააქნია თავი, _ სრულიად უდანაშაულოა.

ქალი დამშვიდებით ყვებოდა და ხან ბიმზე მიუთითებდა, ხან იმ სამთაგან ერთ-ერთზე. ცხვირპაჭუა და დედაკაცი ცდილობდნენ შეეწყვეტინებინათ. მაგრამ მილიციელი მკაცრად აჩერებდა. ცხადად ჩანდა, მეგობრულად ექცეოდა გოგონას. ბოლოს გოგონამ ხუმრობით იკითხა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

_ ხომ მართალს ვამბობ, შავყურა? _ მერე მილიციელს მიუბრუნდა: _ მე დაშა მქვია, _ მერე ისევ ბიმს უთხრა: _ დაშა ვარ, დაშა, გაიგე?

ბიმმა მთელი არსებით გამოხატა, რომ პატივს სცემდა გოგონას.

_ აბა, ჩემთან მოდი, შავყურა, ჩემთან! _ დაუძახა მილიციელმა.

ბიმმა იცოდა ეს სიტყვა: «ჩემთან». კარგად იცოდა და მივიდა მილიციელთან.

მილიციელმა კისერზე ოდნავ წამოუტყაპუნა, საყელური გაუსინჯა, ნომერი ნახა და რაღაც ჩაიწერა, ბიმს კი უბრძანა:

_ დაწექი!

ბიმი დაწვა, როგორც წესია: უკანა ფეხები ქვეშ მოიქცია, წინა წინ გასწია, თავი ოდნავ გვერდზე დახარა და თვალი თვალში გაუყარა მოსაუბრეს.

ახლა მილიციელი ჩასძახოდა ტელეფონით ყურმილში.

_ მონადირეთა კავშირია?

«ნადირობა!» _ შეკრთა ბიმი. «ნადირობა!» ნეტავ ეს რას უნდა ნიშნავდეს აქ?

_ მონადირეთა კავშირია? მილიციიდან. ნახეთ ოცდაოთხი ნომერი. სეტერი... როგორ თუ არ არის? ეგ შეუძლებელია. კარგი ძაღლია, გაწვრთნილი... ქალაქის საბჭოში? კარგი, _ მან ყურმილი დადო და ისევ აიღო, იგი ვიღაცას ეკითხებოდა, თან წერდა, მოსაუბრის ნათქვამს ხმამაღლა იმეორებდა: _ სეტერი... გარეგანი მემკვიდრეობითი დეფექტებით, ჩამომავლობის სიგელი არა აქვს, პატრონი ივან ივანიჩ ივანოვი, პროეზჟაიას ქუჩა, ორმოცდაერთი, გმადლობთ. _ მერე გოგონას მიუბრუნდა: _ ყოჩაღი ქალი ყოფილხართ, პატრონი ვიპოვეთ.

ბიმმა ხტომა დაიწყო, მილიციელს მუხლში ჰკრა ცხვირი, დაშას კი ხელი აულოკა და თვალებში მიაჩერდა, შიგ თვალებში, როგორც იციან ხოლმე მხოლოდ ჭკვიანმა, ალერსიანმა და მიმნდობმა ძაღლება, ის ხომ მიხვდა, რომ ლაპარაკობდნენ ივან ივანიჩზე, მის ძმასა და მეგობარზე, ღმერთზე, _ როგორც ამ შემთხვევაში ადამიანი იტყოდა. მღელვარებისაგან ბიმი თრთოდა.

მილიციელი ცხვირპაჭუასა და დედაკაცს მიუბრუნდა და მკაცრად ჩაიბურტყუნა:

_ წადით, ნახვამდის!

ცხვირპაჭუა ადუდღუნდა:

_ ეს იყო სულ? აბა, ამის შემდეგ რა წესრიგი უნდა იყოს? ხალხს თავი ააშვებინეს.

_ წადი, წადი, პაპა, ნახვამდის, დაისვენე.

_ სადაური შენი «პაპა» ვარ? მამად გერგები. ზრდილობიანი სიტყვა-პასუხიც კი დაგავიწყდათ, მამაძაღლებო, აი, ასეთების აღზრდას კი აპირებთ, სულ თავზე უსვამთ ხელს, _ მიუთითა მან სტუდენტზე. _ ეს კი, ცოტა დაიცადეთ! _ ჰამო! _ და შეგჭამთ. _ და ცხვირპაჭუამ ძაღლივით დაიყეფა.

ბიმმა, რა თქმა უნდა, ყეფითვე უპასუხა.

მორიგეს გაეცინა:

_ შეხედეთ, მამილო, ძაღლმა გაგიგოთ, თანაგიგრძნოთ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დედაკაცი შეაკრთო ორმაგმა ყეფამ _ ძაღლისამ და ადამიანისამ _ და კარებისაკენ დაიხია ყვირილით:

_ მე მიყეფს, მე! მილიციაში კი საბჭოთა ქალს არ იცავენ!

ბოლოს, როგორც იქნა, წავიდნენ.

_ მე? დამაკავებთ? _ პირქუშად იკითხა სტუდენტმა.

_ მილიციას უნდა დაემორჩილოთ ხოლმე, ჩემო კარგო. რაკი გეძახიან, უნდა წახვიდე. ასეთია წესი.

_ წესი? აბა, ეს რა წესია, რომ ფხიზელი კაცი ქურდივით წაიყვანოთ მილიციაში. იმ დედაკაცისათვის თხუთმეტი დღე-ღამე უნდა მიგეცათ.... თქვენ კი! _ ეს თქვა, ბიმს ყურზე ხელი მოუთათუნა და წავიდა.

ახლა ბიმს უკვე აღარაფერი ესმოდა: ცუდი ხალხიც აგინებდა მილიციას და კარგიც, მილიციელი კი ითმენდა, თანაც იღიმებოდა; როგორც ჩანდა, ასეთ რამეს ჭკვიანი ძაღლიც ვერ მიხვდებოდა.

_ თქვენ წაიყვანთ? _ ჰკითხა დაშას მილიციელმა.

_ მე წავიყვან, შინ, შავყურა, შინ.

ახლა ბიმი წინ მიდიოდა, ზოგჯერ დაშას მოუბრუნდებოდა, შეხედავდა და დაუცდიდა; მას შესანიშნავად ესმოდა სიტყვა «შინ» და ამიტომ ახლა სწორედ შინ მიჰყავდა ქალი. ხალხმა ვერ მოისაზრა, რომ ძაღლი თვითონ დაბრუნდებოდა შინ. მათ ეგონათ, უჭკუო ძაღლი იყო, მხოლოდ დაშა მიხვდა ყველაფერს, მხოლოდ ქერათმიანი გოგონა დაშა, რომელსაც ფიქრმორეული ალერსიანი თვალები ჰქონდა, ძაღლი თავიდანვე მიენდო ამ თვალებს. ბიმმა გოგონა თავის კართან მიიყვანა. გოგონამ დარეკა. პასუხი არავინ გასცა. კიდევ ერთხელ დარეკა. ამჯერად მეზობელთან. კარი სტეპანოვნამ გააღო. ბიმი მიესალმა; ის დღეს უფრო მხიარულ გუნებაზე იყო, ვიდრე გუშინ, ძაღლი ამბობდა: «დაშა მოვიდა. დაშა მოვიყვანე» (სხვანაირად ვერ ახსნიდით ბიმის საქციელს, როცა ხან სტეპანოვნას გადახედავდა ხოლმე, ხან დაშას).

ქალები ჩუმად საუბრობდნენ, საუბარში ივამ ივანიჩს და «ნამსხვრევს» ახსენებდნენ. შემდეგ სტეპანოვნამ კარი გააღო. ბიმი თვალს არ აშორებდა დაშას და შინ ეპატიჟებოდა. დაშამ კი, პირველ ყოვლისა, ჯამი აიღო, დასუნა და თქვა:

_ დამჟავებულა, _ ფაფა სანაგვე ვედროში ჩაასხა, ჯამი გარეცხა და ისევ იატაჯზე დადგა. _ ახლავე მოვალ, მელოდე, შავყურა.

_ ბიმი ჰქვია, _ გაუსწორა სტეპანოვნამ.

_ მელოდე, ბიმ. _ და დაშა გავიდა.

სტეპანოვნა სკამზე დაჯდა, ბიმიც მის პირდაპირ ჩაცუცქდა, თან ერთთავად კარს მისჩერებოდა.

_ საზრიანი ძაღლი ხარ, _ დაიწყო სტეპანოვნამ. _ მარტოკა დარჩი, მაგრამ ხედავ, გესმის, გულით ვინ გეკიდება, აი, მე, ბიმკა, ამ სიბერეში შვილიშვილთან ერთად ვცხოვრობ. მშობლები ციმბირში წაუვიდნენ და ბავშვი ჩემთან დატოვეს. კარგია, რომ შვილიშვილს ვუყვარვარ.

სტეპანოვნა ბიმს მიმართავდა, მაგრამ საკუთარ თავთან კი იოხებდა გულს. ასე იციან ზოგჯერ ადამიანებმა: როცა გულს ვერავისთან მოიფხანენ, ძაღლს, საყარელ ცხენს ანდა მარჩენალ ძროხას მიმართავენ. ჭკვიანი ძაღლე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბი კი ადვილად ცნობენ უბედურ ადამიანებს და თანაგრძნობით ეკიდებიან მათ. ამ შემთხვევაში მდგომარეობა ორმხრივი იყო: სტეპანოვნა შესჩიოდა მას, თავის გულის ნადებს უზიარებდა, ძაღლი კი წუხდა, იტანჯებოდა იმის გამო, რომ თეთრხალათიანმა ადამიანებმა მისი მეგობარი წაიყვანეს. ამ დღის ყველა უსიამოვნებამ მხოლოდ ცოტათი გაუქარვა ბიმს ტკივილი, ახლა კი ეს ტკივილი უფრო მეტი სიმწვავით იგრძნო. სტეპანოვნას სიტყვებში მან ორი ნაცნობი სიტყვა გაარჩია: «კარგია» და «ჩემთან», რომელიც დედაკაცმა გულთბილი სევდით წარმოთქვა. რა თქმა უნდა, ბიმი მასთან მივიდა, თავი კალთაში ჩაუდო, სტეპანოვნამ კი თვალებთან ცხვირსაცოხი მიიტანა.

დაშამ რაღაც გამოხვეული მოიტანა. ბიმი ჩუმად მიუახლოვდა, იატაკზე დაწვა, ცალი თათი გოგონას ფეხსაცმელზე დაადო, თავი კი მეორე თათზე ჩამოდო; ამით მან გამოთქვა: «გმადლობო».

დაშამ ქაღალდიდან ორი კატლეტი და ორი კარტოფილი ამოიღო, ჯამში ჩადო და ბიმს უთხრა:

_ ჭამე!

ბიმი საჭმელს არ მიეკარა, თუმცა სამი დღე იყო, პირში ლუკმა არ ჩასვლოდა. დაშა თავზე ხელს უთათუნებდა და ალერსიანად ეუბნებოდა:

_ ჭამე, ბიმ, ჭამე.

დაშას რბილი ხმა ჰქონდა, თბილი, წყნარი და თითქოს მშვიდიც; ხელები _ თბილი, ნაზი, ალერსიანი, მაგრამ ბიმმა პირი არ დააკარა კატლეტს. დაშამ პირი გაუღო ძაღლს და შიგ კატლეტი ჩაუდო. ბიმს პირში ეკავა იგი და გაოცებით მისჩერებოდა დაშას, ამასობაში კატლეტი თავისით ჩაუცურდა ძაღლს სასაში. ასევე დაემართა მეორესაც, კარტოფილსაც იგივე მოუვიდა.

_ ძალად უნდა აჭამოთ, _ უთხრა დაშამ სტეპანოვნას. _ პატრონი ენატრება, ამიტომ არა ჭამს.

_ რას ამბობ! _ გაიოცა სტეპანოვნამ. _ ძაღლი თვითონ იპოვის საჭმელს, რამდენი დაწანწალებს, შიმშილით კი არ იხოცებიან.

_ რა ვქნათ? _ ჰკითხა დაშამ ბიმს. _ ასე თუ მოიქეცი, ხომ დაიღუპები!

_ არ დაიღუპება, _ დარწმუნებით თქვა სტეპანოვნამ. _ ასეთ ჭკვიან ძაღლს რა დაღუპავს, დღეში ერთხელ სალაფავს მოვუხარშავ, რა გაეწყობა, სულიერია.

დაშა რაღაცაზე ჩაფიქრდა, შემდეგ ბიმს საყელური მოხსნა.

_ ვიდრე საყელურს არ მოვიტან, გარეთ არ გაუშვათ. ხვალ დილით, ათი საათისათვის მოვალ... სად არის ახლა ივან ივანიჩი?

ბიმი შეტოკდა: ი მ ა ს ახსენებდნენ!

_ თვითმფრინავით მოსკოვში წაიყვანეს. გულის მძიმე ოპერაცია სჭირდება. გულის გვერდით ხომ ნამსხვრევი უზის.

ბიმი დაიძაბა!.. «ნამსხვრევი», ისევ «ნამსხვრევი». ეს სიტყვა ავის მომასწავლებელია. მაგრამ რაკი ივან ივანიჩზე ლაპარაკობენ, მაშ, სადღაც უნდა იყოს. ენდა ეძებოს, ეძებოს!

დაშა წავიდა. სტეპანოვნაც. ბიმი ისევ მარტო დარჩა ღამით. ახლა იგი ზოგჯერ ჩასთვლემდა ხოლმე, მხოლოდ რამდენიმე წუთით, და ყოველთვის სიზმარში ივან ივანიჩს ხედავდა _ შინ არ ნადირობის დროს. მაშინ ფეხზე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წამოხტებოდა, მიიხედ-მოიხედავდა, ოთახში გაივლ-გამოივლიდა, კუთხეებს დასუნავდა, სიჩუმეს ყურს მიუგდებდა და ისევ კართან დაწვებოდა. სახრისაგან დატოვებული ნაიარევი ძალიან სტკიოდა, მაგრამ მის დიდ მწუხარებასა და გაურკვეველ ფიქრთან შედარებით, ეს სულ უმნიშვნელო რამ იყო.

უნდა ელოდოს, ელოდოს, კბილი კბილს დააჭიროს და ელოდოს.

თავი მეშვიდე
ძებნა გრძელდება

იმ დილით ბიმი თითქმის ტიროდა. მზე უკვე ფანჯარას ასცდა, მასთან კი არავინ მოდიოდა. ყურს უგდებდა სადარბაზოს მობინადრეთა ფეხის ხმას, რომლებიც კიბეზე ადი-ჩამოდიოდნენ. ყველა ფეხის ხმა ნაცნობი იყო, მ ი ს ი კი არა და არ ისმოდა. ბოლოს დაშას ფეხსაცმლის ბაკიბუკი მოესმა. ის არის, ის! ბიმმა ხმა მიაწვდინა ქალს. მისი ძახილი ადამიანის ხმით რომ გამოეხატათ, ნიშნავდა: «მესმის, შენა ხარ, შენ, დაშა!»

_ ახლავე, ახლავე, _ შემოსძახა ქალმა და სტეპანოვნას კარზე დააკაკუნა.

ორივენი ბიმთან შევიდნენ. ძაღლი თითოეულს ცალ-ცალკე მიესალმა, შემდეგ კარს მივარდა, დადგა, თავი ქალებისაკენ მიაბრუნა და კუდის ქნევით სთხოვა: «გამიღეთ, უნდა ვეძებო».

დაშამ საყელური გაუკეთა, მთელ სიგანეზე თითბრის ჟეტონი-ფირფიტა ჰქონდა მიმაგრებული. ზედ წარწერა იყო ამოკაწრული: «ჰქვია ბიმი, პატრონს ელოდება. კარგად იცის თავისი სახლი. ბინაში მარტო ცხოვრობს. ადამიანებო, ნუ აწყენინებთ». დაშამ წარწერა სტეპანოვნას წაუკითხა.

_ რა კეთილი ყოფილხარ! _ ხელები გაშალა სტეპანოვნამ._ მაშასადამე, ძაღლები გყვარებია.

დაშამა ხელი გადაუსვა ბიმს და უჩვეულოდ უპასუხა:

_ ქმარმა მიმატოვა, ბიჭი მომიკვდა... უკვე ოცდაათი წლისა ვარ. ბინას ვქირაობდი. ახლა კი მივდივარ აქედან.

_ მარტოხელა ყოფილხარ, აჰ, შე საბრალო, შენა! _ აქოთქოთდა სტეპანოვნა. _ ეგ ხომ...

მაგრამ დაშამ მოუჭრა:

_ ახლა წავალ. _ კართან მისულმა კი დაუმატა: _ ჯერ ნუ გამოუშვებთ, არ გამომეკიდოს.

ბიმმა სცადა დაშასთან ერთად კარში გასულიყო, მაგრამ ქალმა კარს მოაშორა და სტეპანოვნასთან ერთად გარეთ გავიდა.

ერთი საათის შემდეგ ბიმი აწკმუტუნდა, შემდეგ კი ისევ სევდიანად აყმუვლდა, ხალხი რომ იტყვის ხოლმე: «ძაღლივით მინდა ავყმუვლდეო».

სტეპანოვნამ გარეთ გაუშვა (დაშა ახლა, ალბათ, შორს იყო);

_ წადი, წადი. საღამოთი სალაფავს მოგიმზადებ.

ბიმმა ყურადღება არ მიაქცია არც მის სიტყვებს, არც თვალებს, გიჟივით ჩამოგორდა ძირს და გარეთ გავარდა. ეზოში მიირბინ-მოირბინა, მერე ქუჩაში გავიდა, ცოტა ხანს ერთ ადგილას იდგა, თითქოს რაღაცაზე ფიქრობდა, და ერთმანეთის მიყოლებით სხვადასხვა სუნის კითხვას შეუდგა; იმ დროს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იგი ყურადღებასაც არ აქცევდა იმ ხეებს, რომლებზედაც მის თანამოძმეებს თავიანთი ხელწერა დაეტოვებინათ, და რომელთა წაკითხვა სავალდებულოა თავისი თავის პატივისმცემელი ყველა ძაღლისათვის.

მთელი დღის განმავლობაში ბიმმა ივან ივანიჩის ნიშანწყალიც კი ვერ აღმოაჩინა. დაბინდებისას, ყოველი შემთხვევისთვის, ქალაქის ახლად აშენებული რაიონის პარკში შეიარა. იქ ოთხი ბიჭი ბურთს თამაშობდა. ბიმი ცოტა ხანს იჯდა, იქაურობა დაზვერა, რამდენზედაც ყნოსვა ეყო, და წასვლა დააპირა, მაგრამ თორმეტიოდე წლის ბიჭუნა ამხანაგებს ჩამოშორდა, მასთან მივიდა და ცნობისმოყვარეობით ჩააჩერდა.

_ ვისი ხარ? _ ისე ჰკითხა, თითქოს ბიმს შეეძლო ეპასუხა.

ბიმი პირველ ყოვლისა მიესალმა ბიჭს: კუდი გააქიცინა, მაგრამ თავი სევდიანად ხან ერთ მხარეს გადახარა, ხან მეორე მხარეს. მისალმების გარდა, ეს ნიშნავდა კითხვას:

« შენა? შენ რა კაცი ხარ?»

ბიჭი მიხვდა, რომ ჯერჯერობით ძაღლი მთლიანად არ ენდობოდა, თამამად მივიდა მასთან და ხელი გაუწოდა.

_ გამარჯობა, შავყურა.

როცა ბიმმა თათი გაუწოდა, ბიჭმა დაიყვირა:

_ ბიჭებო! აქეთ, აქეთ!

ბიჭებმა მოირბინეს, მაგრამ ცოტა შორს დადგნენ.

_ შეხედეთ, რა ჭკვიანი თვალები აქვს! _ თქვა აღტაცებით პირველმა ბიჭმა.

_ იქნებ ნასწავლია? _ იკითხა თითისტოლა ჩაპუტკუნებულმა ბიჭმა. _ ტოლია, ტოლკა, უთხარი რამე, ვნახოთ გაიგებს თუ ვერა.

მესამემ, ყველაზე დიდმა, ავტორიტეტულად განაცხადა:

_ ნასწავლია, ხედავ, საყელურზე ფირფიტაც კი აქვს მიმაგრებული.

_ სულაც არ არის ნასწავლი, _ არ დაეთანხმა გამხდარი ბიჭი. _ ნასწავლი რომ იყოს, ასეთი გამხდარი და მოწყენილი არ იქნებოდა.

მართლაც, უპატრონოდ მიტოვებული ბიმი საშინლად გახდა და ძველი იერი აღარ ჰქონდა: მუცელი გალასტვოდა, დიდი ხნის დაუვარცხნელი ბეწვიც აჩეჩოდა. ზურგზე კი, ოდესღაც რომ უბრწყინავდა, ფერი დაჰკარგოდა. მწუხარება და შიმშილი ძაღლსაც აუშნოებს.

ტოლიკმა შუბლზე ხელი დაადო ბიმს, ბიმმა კი ყველა შეათვალიერა და სრული ნდობა გამოუცხადა. ამის შემდეგ ყველანი რიგრიგობით ეფერებოდნენ ბიმს, ისიც წინააღმდეგობას არ უწევდა. მაშინვე კეთილი დამოკიდებულება დამყარდა, სრული ურთიერთგაგების ვითარებაში კი გულითად მეგობრობამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია. ტოლიკმა ხმამაღლა წაიკითხა თითბრის ფირფიტაზე ამოკაწრული წარწერა და შესძახა:

_ ბიმი ჰქვია! მარტოკა ცხოვრობს! ბიჭებო, შია. აბა, შინ გაიქეცით და მოუტანეთ, ვისაც რა შეუძლია.

ბიმი ტოლიკთან დარჩა, ბიჭები კი აქეთ-იქით გაიქცნენ. ახლა ბიჭი მერხზე დაჯდა, ბიმი კი მის ფეხთან დაწვა და ღრმად ამოიოხრა.

_ ალბათ ცუდ დღეში ხარ, ბიმ? _ ჰკითხა ბიჭმა და ძაღლს თავზე ხელი გადაუსვა._ სად არის შენი პატრონი?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბიმმა ბიჭის ფეხსაცმელს ცხვირი მიადო და გაიტრუნა. ბიჭები მალე დაბრუნდნენ. ჩაპუტკუნებულმა ღვეზელი მოიტანა, დიდმა _ ძეხვის ნაჭერი, გამხდარმა _ ორი ბლინი. ყველაფერი ცხვირთან დაუწყვეს ბიმს, მაგრამ მან არც კი დასუნა.

_ ავადაა, _ თქვა გამხდარმა, _ ვინ იცის, იქნებ გადამდები ავადმყოფობაც სჭირს. _ და უკან დაიხია.

ჩაპუტკუნებულმა რატომღაც შარვალზე გაიწმინდა ხელები და განზე გადგა. დიდმა ძეხვის ნაჭერი ცხვირზე მოუსვა ბიმს და მტკიცედ დაასკვნა:

_ არ ჭამს, არ უნდა.

_ დედამ მითხრა, ყველა ძაღლი ავადმყოფიაო, _ ისევ შეშფოთდა ჩაპუტკუნებული. _ ეს კი ნამდვილად მძიმედ არის ავად.

_ ჰოდა, გასწი აქედან, _ გაჯავრებით ჩაიბურტყუნა ტოლიკმა. _ შენი ფეხი არ ვნახო აქ... «ავად არის»... ავადმყოფ ძაღლებს მეძაღლეები იჭერენ. ამას კი, აი, როგორი ფირფიტა აქვს გაკეთებული.

გონივრულმა დასაბუთებამ იმოქმედა: ბავშვები ისევ გარს შემოერტყნენ ბიმს. ტოლიკმა თავისკენ მოჭიმა საყელური. ბიმი დაჯდა. ტოლიკმა ფაფუკი ტუჩი გადმოუბრუნა და იქ, სადაც კბილები მთავრდება, დაინახა ნახვრეტი; მან ძეხვს ლუკმა მოაგლიჯა და იმ ნახვრეტში ჩასჩარა, ბიმმა გადაყლაპა. კიდევ მოგლიჯა ლუკმა და ბიმმა ისიც გადაყლაპა. ასე შეჭამა მთელი ძეხვი, რასაც დამსწრენი დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ. ყველანი გულისყურით ადევნებდნენ თვალს ამ ამბავს. ხოლო პუტკუნა, როგორც კი ბიმი ძეხვის ნაჭერს გადაყლაპავდა, თვითონაც გადაყლაპავდა ხოლმე, თუმცა პირში არაფერი ედო: ბიჭი თითქოს ეხმარებოდა ბიმს. ღვეზელის ლუკმები კი ბიმს ვერა და ვერ ჩასჩარეს პირში, რადგან მაშინვე იფშვნებოდა. მაშინ ბიმმა, როგორც იქნა, თვითონ აიღო ღვეზელი, მუცელზე დაწვა, ღვეზელი თათებზე დაიდო, უყურა, უყურა და შეჭამა, აშკარად ტოლიკის პატივისცემით. ბიჭს ისეთი ალერსიანი ხელები და ისეთი თბილი, ოდნავ სევდიანი თვალები ჰქონდა და ისე ეცოდებოდა ბიმი, რომ ძაღლმა მის გულითად სითბოს ვერ გაუძლო. წინათაც განსაკუთრებულად ექცეოდნენ ბავშვებს, ახლა კი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ პატარა ადამიანები ყველანი კარგები არიან, დიდები კი _ სხვადასხვაგვარნი _ მათ შორის ცუდებიც გვხვდებიან. მას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო სცოდნოდა, რომ პატარა ადამიანები შემდეგში დიდები ხდებიან და თანაც სხვადასხვაგვარნი. მაგრამ რა ძაღლის საქმეა იმაზე ფიქრი, თუ რატომ გამოდიან შემდეგში პატარა ადამიანებიდან დიდი ცუდი ადამიანები, ისეთები, როგორებიც არიან ის დედაკაცი და ცხვირპაჭუა. მან, უბრალოდ, ტოლიკის ხათრით შეჭამა ღვეზელი, მორჩა და გათავდა. ამან შვება აგრძნობინა, ამიტომ იყო, რომ, ღვეზელს ბლინებიც მიაყოლა. მთელი კვირის განმავლობაში მეორედ ჭამა.

ბიმის დანაყრების შემდეგ პირველმა ტოლიკმა ამოიღო ხმა:

_ ვსინჯოთ, გავიგოთ, რა იცის.

გამხდარმა თქვა:

_ ცირკში როცა უნდათ, ცხოველი ახტუნონ, ამბობენ: «ჰოპ!»

ბიმი წამოდგა და ყურადღებით შეხედა ბიჭს, თითქოს შეეკითხა: «რაზე გადავხტეო».

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ორმა ბიჭმა ქამრის ბოლოებს ჩასჭიდა ხელი, ტოლიკმა კი ბრძანება გასცა:

_ ბიმ! ჰოპ!

ბიმი ადვილად გადახტა უბრალო ბარიერზე. ყველანი აღტაცებულები დარჩნენ. პუტკუნამ გარკვევით უბრძანა:

_ დაწექი!

ბიმი დაწვა (სიამოვნებით, რაკი ეგრე გნებავთ).

_ დაჯექი, _ სთხოვა ტოლიკმა (ბიმი დაჯდა) _ მომეცი! და ქუდი გადაუგდო.

ბიმმა ქუდიც მოუტანა. აღტაცებული ტოლიკი მოეხვია ძაღლს, ბიმიც, თავის მხრივ, ვალში არ დარჩა და სახე აულოკა.

რა თქმა უნდა, ბიმმა შვება იგრძნო ამ პატარა კაცუნების საზოგადოებაში. მაგრამ ამ დროს მოვიდა ვიღაც ძია, ხელში პატარა ჯოხს ათამაშებდა. ისე ჩუმად მოადგა ბიჭებს, რომ ბიჭებმა ვერც კი შეამჩნიეს, ვიდრე არ შეეკითხა:

_ ვისია ეგ ძაღლი?

კაცს მედიდური შესახედაობა ჰქონდა, რუხი, ვიწროფარფლებიანი ქუდი ეხურა, ჰალსტუხის ნაცვლად რუხი ბანტი ჰქონდა გაკეთებული. რუხი პიჯაკი და რუხ-თეთრი შარვალი ეცვა. მოკლე ჭაღარა ჰქონდა, სათვალე ეკეთა. ძაღლისათვის თვალი არ მოუშორებია, ისე ჰკითხა ბავშვებს:

_ მაშ, ვისია ეს ძაღლი, ბავშვებო?

დიდმა ბიჭმა და ტოლიკმა ერთხმად უპასუხეს:

_ არავისი, _ თქვა ერთმა გულუბრყვილოდ.

_ ჩემია, _ დაძაბულად თქვა ტოლიკმა, _ ახლა, ამწუთას ჩემია.

ტოლიკს ბევრჯერ უნახავს რუხი ძია: ის მედიდურად, მარტოდმარტო დასეირნობდა ხოლმე პარკის გარშემო. ერთ დღეს ძაღლიც კი მოჰყავდა, ძაღლი არ მოჰყვებოდა, უკან-უკან იხევდა. ერთხელ კი ბავშვებთან მივიდა და ჩააცივდა, თამაშიც არ იცით ისე, როგორც ძველად იცოდნენ, უზრდელობიცა ხართ, სწორად არ გზრდიან. თქვენი ბედნიერებისათვის ჯერ კიდევ სამოქალაქო ომში იბრძოდა ხალხი, თქვენ კი ამას არ აფასებთ. არც არაფერი იცით, ყოველივე ეს კი სირცხვილია და თავლაფდასხმაო.

იმ შორეულ დღეს, როცა ეს ბატონი ჭკუას არიგებდა ბავშვებს, ტოლიკი ცხრა წლისა იყო. ამჟამად თორმეტისა, მაგრამ ეს ძია ახსოვს. ტოლიკი მერხზე იჯდა, ბიმი გულში ჰყავდა ჩაკრული და ამ მედიდურ კაცს უთხრა _ ჩემიაო.

_ მაინც როგორაა: არავისია თუ ამისი? _ ჰკითხა კაცმა ბიჭებს და ტოლიკზე მიუთითა.

_ ფირფიტა აქვს მიკრული, _ უდროო დროს ჩაერია პუტკუნა.

კაცი ბიმთან მივიდა, ყურზე ხელი მოუთათუნა და ფირფიტაზე ამოკაწრული წარწერის კითხვა დაიწყო.

ბიმმა თითქოს იგრძნო, ნამდვილად იგრძნო: კაცს ძაღლების სუნი ასდიოდა, თუმცა რაღაც შორეული სუნი იყო. ძაღლმა თვალებში შეხედა და მაშინვე არ დაუჯერა არც მის ხმას, არც შემოხედვას და არც სუნს. არ შეიძლება, რომ კაცმა ასე უბრალოდ შეისრუტოს სხვადასხვა ძაღლების სურნე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლება. ბიმი ტოლიკს მიეკრა, ცდილობდა, კაცს მოშორებოდა, მაგრამ კაცი, არ ეშვებოდა.

_ ტყუილის თქმა არ შეიძლება, ბიჭო, _ უსაყვედურა კაცმა ტოლიკს. _ წარწერის მიხედვით, ძაღლი სხვისია. გრცხვენოდეს, ბიჭო. შენ რაო, მშობლებმა მიგაჩვიეს ტყუილს? როცა გაიზრდები, როგორიღა იქნები?! ეჰ-ჰე-ჰე! _ ჯიბიდან საბელი ამოიღო და ძაღლს საყელურში ჩააბა.

ტოლიკმა საბელს ჩაავლო ხელი და დაიყვირა:

_ ხელი არ ახლოთ! არ მოგცემთ!

კაცმა ტოლიას ხელი მოიშორა.

_ ვალდებული ვარ, დანიშნულების ადგილას მივიყვანო. შეიძლება ოქმის შედგენაც გახდეს საჭირო. იქნებ ამისი პატრონი ალკოჰოლს გადაჰყვა. ასეთ შემთხვევაში ძაღლს ჩამოართმევენ. თანამდებობა მაქვს ასეთი _ ყველაფერი პატიოსნად, ადამიანურად უნდა გავაკეთო. დიახ, ვიპოვი მის ბინას, შევამოწმებ, სწორია თუ არა.

_ ფირფიტას არ ენდობით? _ საყვედურით უთხრა თითქმის ატირებულა ტოლიკმა.

_ ვენდობი, ბიჭებო, ვენდობი. სავსებით ვენდობი, მაგრამ.... _ თითი ასწია და დამრიგებლის ტონით, თითქმის საზეიმო ხმით თქვა: _ ნდობით უნდა ენდო, მაგრამ შემოწმებით მაინც უნდა შეამოწმო! _ და წაიყვანა ჩვენი ბიმი.

ბიმი არ მიჰყვებოდა, ტოლიკისკენ იყურებოდა, ხედავდა, რომ ნაწყენი ბიჭი ტიროდა, მაგრამ რა გაეწყობოდა! კუდამოძუებული გაჰყვა იმ კაცს. ძაღლი მიწას ჩასჩერებოდა, თავის თავს არა ჰგავდა, მთელი თავისი შესახედაობით გამოხატავდა: «აი, ასეთია ძაღლის ცხოვრება, როცა მას პატრონი არა ჰყავს». კარგი იქნებოდა, იმ კაცისთვის ბარძაყზე ეკბინა და გაქცეულიყო, მაგრამ ბიმი ინტელიგენტი ძაღლი გახლდათ: წაიყვანე, სადაც მიგყავს.

იმ ქუჩაზე, სადაც ისინი მიდოიდნენ, ახალი სახლები იდგა, მთლად ახალთახალი, ყველა რუხი იყო და იმდენად ერთნაირი, რომ ბიმიც კი დაიბნეოდა. ერთ-ერთი ასეთი ტყუპისცალივით სახლის მესამე სართულზე ავიდნენ. კიბეზე რომ ადიოდნენ, ბიმმა შეამჩნია, კარიც ყველა ერთნაირი იყო.

ნაცრისფერკაბიანმა ქალმა გაუღო კარი.

_ ისევ მოიყვანე? ღმერთო ჩემო!

_ ნუ დუდღუნებ! _ მკაცრად შეაწყვეტინა კაცმა. მერე ბიმს საყელური მოხსნა და ქალს უჩვენა: _ აჰა, დახედე, ქალმა სათვალე გაიკეთა და ფირფიტას დახედა, კაცი კი განაგრძობდა: _ არაფერი გაგეგება: მთელს რესპუბლიკაში ძაღლების ნიშნების ერთადერთი კოლექციონერი ვარ, ეს ფირფიტა კი ნივთია! მეხუთასე ნიშანია.

ბიმს არაფერი ესმოდა, სრულიად არაფერი, არც ერთი ნაცნობი სიტყვა არ გაუგონია, არც ნაცნობი მოძრაობა დაუნახავს _ სრულიად არაფერი. აი, კაცს ძაღლის საყელური უჭირავს ხელში, წინკარიდან ოთახში შევიდა და იქიდან დაიძახა:

_ ბიმ, ჩემთან!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბიმმა იფიქრა, იფიქრა და ფრთხილად შევიდა ოთახში. მიიხედ-მოიხედა და კართან დაჯდა _ კაცთან არ მივიდა. სუფთა კედელზე ეკიდა ხავერდგადაკრული დაფები, ზედ კი ძაღლის ნიშნები იყო დამაგრებული: ნომრები, ჟეტონები, რუხი და ყვითელი მედლები, რამდენიმე ლამაზი თასმა და საყელური, რამდენიმე გაუმჯობესებული ალიკაპი და ძაღლის ყოველდღიური სხვა საჭურველი, ძაღლის გასაგუდი კაპრონის მარყუჟიც კი, რომლის მნიშვნელობა ბიმს, რა თქმა უნდა, არ ესმოდა. ადამიანიც კი ვერ მიხვდებოდა, სად იშოვა იგი კოლექციის პატრონმა, ბიმისათვის კი მხოლოდ ჩვეულებრივი კანაფი იყო.

ბიმი ყურადღებით ადევნებდა თვალს კაცს, რომელმაც ფრთხილად შეატრიალა ხელში მისი საყელური, ბრტყელტუჩათი მოხსნა ფირფიტა და ერთ-ერთი დაფის შუაგულში დაამაგრა, ასევე მოექცა ნომერს, შემდეგ საყელური ისევ ბიმს ჩამოაცვა და უთხრა:

_ კარგი ძაღლი ხარ.

სწორედ ასე ეუბნებოდა მას ოდესღაც პატრონიც, მაგრამ ახლა ბიმმა ნათქვამი არ დაიჯერა. იგი წინკარში გავიდა, კართან დაჯდა და ამით ანიშნა კაცს: «გამიშვი! მე აქ რა მესაქმებაო».

_ გაუშვი, _ უთხრა ქალმა. _ ნეტავ რისთვის მოათრიე? ქუჩაში მოგეხსნა, რაც გინდოდა.

_ არ შეიძლებოდა _ ბიჭები ამეკიდნენ. არც ახლა შეიძლება: იმ ბიჭებმა რომ ნახონ, ფირფიტა აღარა აქვს, შეიძლება მიჩივლონ... ასე რომ, გათენებამდე აქ დარჩეს. იწექი! _ უბრძანა მან ბიმს.

ბიმი კართან დაწვა: რა გაეწყობოდა! ყმუილი რომ მოერთო, თავი მოეგიჟიანებინა, ამ უცხო კაცს სცემოდა, მაშინვე გაუშვებდნენ, მაგრამ ბიმმა იცოდა ლოდინი. თანაც ქანცი გამოელია; ისე დაიღალა, რომ უცხო კართანაც კი ცოტა ხნით ჩასთვლიმა, თუმცა მოუსვენრად კი ეძინა.

ეს იყო პირველი ღამე, რომ ბიმი შინ არ დაბრუნებულა. ეს მაშინ იგრძნო, როცა გამოფხიზლდა და ერთბაშად ვერ მიხვდა, სად იყო. როცა მიხვდა, მაშინ კი დანაღვლიანდა. სიზმარში ისევ ივან ივანიჩი ნახა; როგორც კი ჩაიძინებდა, მაშინვე მას ხედავდა, გაღვიძებისას კი მისი ხელების სითბოს გრძნობდა, რაც ჯერ კიდევ პატარაობიდანვე ახსოვდა. «სად არის ახლა ჩემი კარგი, კეთილი მეგობარი? სად?» საშინლად წუხდა. მარტოობა მძიმეა და მას ვერსად გაექცევი. აქ კიდევ ეს კაცი ხვრინავს, როგორც მწევრის ბრჭყალებში მოქცეული კურდღელი. ამასთან, ყველა ამ ხავერდის დაფას მკვდარი ძაღლების სუნი ასდის. სევდა უფრო მეტად მოაწვა და ბიმი აწკმუტუნდა. შემდეგ ორჯერ ოდნავ შეჰყეფა, ოდნავ წაიყმუვლა კიდეც, როგორც მეძებარმა იცის, როცა კურდღლის კვალს მისდევს, ბოლოს ვეღარ მოითმინა და გაბმით აყმუვლდა.

«ოჰ-ჰო-ჰო! ვაი! ვაი-ვაი, ხალ-ხო, _ ტიროდა ძაღლი. _ აღარ შემიძლია, მიმძიმს უმეგობროდ, მიმძიმს. გამიშვით, გამიშვით მის საძებნელად. ვაი, ვაი, ხალ-ხო, ვაი!»

კაცი წამოხტა, სინათლე აანთო და ბიმს ჯოხი დასცხო, სცემდა და თან სისინებდა:

_ გაჩუმდი, გაჩუმდი, შე უჯიშო! მეზობლებს ესმით, ესეც შენ! ესეც შენ!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბიმი დარტყმას იცილებდა, ინსტინქტურად თავს არიდებდა და ადამიანივით კვნესოდა: «ჰო... აჰ... ჰ... ხრ..., რ... ოჰ...»

მაგრამ ბოროტმა ადამიანმა დრო იხელთა და თავში ჩასცხო ჯოხი. ბიმმა რამდენიმე წუთით გონება დაკარგა, თათები გაასავსავა, მაგრამ მალე მოვიდა გონს, კარს მოშორდა, ზურგით კედელს მიეკრა და კბილები დაკრიჭა. თავის სიცოცხლეში პირველად დაკრიჭა კბილები.

კაცმა უკან დაიხია:

_ დახე! მიკბენს ეს ოხერი... _ თქვა და კარი ფართოდ გააღო.

ბიმს ისიც არ სჯეროდა, რომ კარი მართლა გაიღო, არ სჯეროდა მაშინაც, როცა კაცი ეუბნებოდა:

_ წადი, წადი, ბიმ, ისეირნე, წადი ცუგა, წადი.

ცემის შემდეგ არ სჯეროდა ამ ალერსიანი, შემპარავი კილოსი, ამ პირფერობისა და მლიქვნელობისა. ო, ლაქუცი ცემის შემდეგ ბიმის ახალი აღმოჩენა იყო. დედაკაცი და ცხვირპაჭუა, უბრალოდ, ცუდი ადამიანები იყვნენ. ის კი... ეს კაცი ბიმს უკვე სძულდა, სძულდა! ძაღლი კარგავდა ადამიანისადმი რწმენას. დიახ, სწორედ ასე იყო.

ბიმმა კისერი წაიგრძელა, კბილები დაკრიჭა და... კაცისაკენ წავიდა, წავიდა ხმაამოუღებლად, ნელა და გულდაჯერებით. კაცი კედელს აეკრა.

_ შენ რაო? რაო?!

ღამის პერანგის ამარა ქალი კაცს უყვიროდა:

_ ეგ გინდოდა, არა? გიკბენს!

ბიმმა დაინახა, რომ საზარელ ადამიანს შეეშინდა მისი, ძალიან შეეშინდა, ამან გული გაუმაგრა, გადახტა და მტერს, რომელიც შეეცადა გასცლოდა, უკანალზე უკბინა და გაღებულ კარში გავარდა. ბიმი გარბოდა, პირში ადამიანის ხორცის გემო ჰქონდა, რომელიც მთელი მისი არსებით ეზიზღებოდა. არა, ბიმს თავი უბედურად და საცოდავად არ მიაჩნდა, პირიქით, ახლა ის მამაცი იყო, სიმამაცე კი ყოველთვის უთავსდება სიამაყესა და საკუთარი თავის ღირსების გრძნობას; ეს გრძნობა ქრცვინსაც კი აღეძვრის ხოლმე.

განთიადის ბურუსში ქუჩა-ქუჩა დარბოდა ბიმი, თუმცა საყელური ეკეთა, მაგრამ ნომერი «24» კი აღარ ჰქონდა. სიჩქარეში პირველად იქით კი არ გასწია, საითაც საჭირო იყო, ანუ, ქალაქისაკენ, არამედ, პირიქით: ქალაქგარეთ გარბოდა (ამას იქით სახლები აღარ იყო). მერე უკან დაბრუნდა და ერთნაირი სახლების ამავე ლაბირინთში მოხვდა. იტრიალა, იტრიალა და ისევ იმ სახლთან მივიდა, საიდანაც გამოვარდა. ახლა კი საჭირო მიმართულებით გაძუნძულდა, რაშიც მას ადამიანისათვის ნაკლებად ცნობილი სრულიად კანონზომიერი გარემოება შველოდა: გუშინ აქეთკენ რომ მოჰყავდათ, ერთ-ერთ კუთხეში რომელიღაც მისი მოძმის ხელწერის სუნი ეცა, მეორეში _ მეორისა. ახლა კი, როცა მისთვის ნაცნობი ამ ნიშნებით მეორე კუთხეს მიაღწია, საჭირო გეზი აიღო. ჭეშმარიტად ჩინებული ყნოსვა უნდა ჰქონდეს ცხოველს, რომ არათუ იპოვოს აქ სახლი, არამედ გააღწიოს კიდეც აქედან, ბიმს ჩინებული ყნოსვა და სამაგალითო საზრიანობაც ჰქონდა.

გათენებისას მან თავის სახლთან მიირბინა, მშობლიურ კარს მიადგა და მიუფხაჭუნა. პასუხი არ იყო, ერთხელ კიდევ მიუფხაჭუნა _ კარს უკან სიჩუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მე სუფევდა. მთავარი კი ის იყო, რომ კართან ივან ივანიჩის კვალი არ ჩანდა. გარდა ამისა, ძალიან ადრე იყო და გამთენიის ტკბილ ძილში მყოფ სტეპანოვნას არ შეეძლო ბიმის ძახილი გაეგონა. ძაღლი კართან დაჯდა ჩაფიქრებული.

ცემის შემდეგ ყველაფერი სტკიოდა, თავში რაღაც უკაკუნებდა, გული ძალზე ერეოდა, არაქათი აღარ ჰქონდა, მაგრამ მაინც თავისი მეგობრის საძებნელად გაეშურა. აბა, ბიმის გარდა, ვინ მოძებნიდა?

ქალაქში გარბოდა შესახედავად სასოწარკვეთილი, მაგრამ ერთგული და გაუბედავი ძაღლი.

თავი მერვე

შემთხვევა რკინიგზის ისარზე

დღე დღეს მისდევდა. ბიმი მათ უკვე ვერ ამჩნევდა. მთელი ქალაქი კუთხე-კუნჭულ შემოიარა და ყველა მის წვრილმანს გაეცნო. ახლა წინასწარ არჩეული მარშრუტით დადიოდა. ხალხი რომ დაჰკვირვებოდა, ბიმის დანახვაზე შეეძლო საათები გაესწორებინა. პარკთან რომ გამოჩნდებოდა, ხუთი საათი იყო, სადგურთან _ ექვსი, ქარხანასთან _ რვის ნახევარი, გამზირზე _ თორმეტი, მარცხენა ნაპირზე _ დღის ოთხი საათი, და ასე შემდეგ.

ადამიანთა შორის ახალი ნაცნობებიც გაუჩნდა. ბიმმა დაადგინა, რომ ხალხის უმრავლესობა კეთილია, მაგრამ ასეთები უხმოდ მიაბიჯებდნენ, ცუდები კი ბევრს ლაყბობდნენ. მან იპოვა ადამიანები, რომლებსაც ზეთისა და რკინის სუნი ასდიოდათ (წინათ ასეთებს თითო-თითოს ხვდებოდა). ესენი ყოველდღიურად დილის რვა საათზე ნაკადივით შედიოდნენ ჭიშკარში, იქიდან კი _ ჯიხურის კარში.

აქ ისინი ჭკებივით ლაქლაქებდნენ, ასე რომ, მათი ლაპარაკის გარჩევა არ შეიძლებოდა, თუმცა ეს არც აინტერესებდა ძაღლს. ის ამ ნაკადის მოშორებით ჯდებოდა, უცქეროდა და ელოდა.

_ ეი, შავყურა! სალამი! _ ესალმებოდა ყოველ დილით ლურჯკომბინეზონიანი ბიჭი, რომელიც ბიმს საკუთრივ მისთვის მოტანილ საჭმელს დაუდებდა ხოლმე.

_ ცოცხალი ხარ? გამარჯობა! _ და ძაღლს ადამიანურ, კეთილ, უხეშ, მაგრამ თბილ თათს გაუწვდიდა.

ზოგი უხმოდ გაუწვდიდა ხელს, მიესალმებოდა და ისევ თავისი გზით წავიდოდა. აქ არავის არასოდეს უწყენინებია ბიმისათვის.

ბიმმა თანდათან ისწავლა ხალხის გარჩევა. აი, მაგალითად, ხშირად ხვდება ხოლმე ფაშფაშა ქალი, ფეხები ბოთლებს მიუგავს, ყოველთვის კმაყოფილია, მხნე, სახეგაბადრული, მაგრამ ბიმს რომ დაინახავს, კატასავით წაიფრუტუნებს, გადააფურთხებს, სურსათით სავსე პარკს აფუებულ მკერდთან მიიტანს და ყოველთვის ერთსა და იმავეს იმეორებს.

_ ფუი, რა საძაგლობაა! ნუთუ არ შეიძლება, ყველა ძაღლი დაახრჩონ, რომ კაცს ნერვები არ აუშალონ? ესეც შენი «ჩემი მილიცია მიცავს!» დიახ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როგორ არა! მიცავს... აქ ყოველ ძაღლს შეუძლია დღისით-მზისით ქვედატანი ჩაგხადოს. მილიციას რა ენაღვლება. მილიციისათვის იგივე ვართ, რაც ძაღლისათვის _ მეხუთე ფეხი.

რადგან ქალი ერთსა და იმავეს იმეორებდა, ბიმმა ძაღლური გულუბრყვილობით გადაწყვიტა, რომ ქალს მეხუთე ფეხი ერქვა. ერთი რამ კი ზუსტად იცოდა: მასთან მისვლა არ შეიძლებოდა. რა ვუყოთ, რომ გარდა მეტსახელისა, მისი ნალაპარაკებიდან ვერაფერს იგებდა. სამაგიეროდ, ყურთასმენა და მხედველობა ჰქონდა, ამიტომ იყო, რომ წესად გაიხადა: ასეთებს არ გაჰკარებოდა, საერთო არაფერი ჰქონოდა მათთან. შემდეგ მან, როგორღაც, დაიწყო (ყნოსვით ხომ არა?) გარჩევა იმისა, ვის უნდა მორიდებოდა და გვერდი აექცია. ადამიანთა დიდი უმეტესობა კეთილი იყო, ბოროტები კი _ ერთეულები, მაგრამ კეთილებს ბოროტებისა ეშინოდათ. ბიმს კი _ არა, არ ეშინოდა, მაგრამ მათთვის არ ეცალა. ადამიანთა ცნობა და გარჩევა ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა, ძაღლური თვალთახედვით კი, იგი უკვე აღარ იყო რაღაც კოკობზიკა დილეტანტი და იდეალისტი, რომელიც მზად არის, ყოველ გამვლელს კუდი უქიცინოს.. ამ მოკლე ხანში ბიმი ძალიან გახდა, მაგრამ სერიოზულ ძაღლად იქცა, მას ცხოვრების მიზანი ჰქონდა: უნდა მოეძებნა და დალოდებოდა.

და, აი, ერთხელ, დილაადრიან, როცა ერთ-ერთი ტროტუარის სუნს იკვლევდა, სიხარულისაგან დარეტიანდა. ცოტა ხანს გაჩერდა, მერე ჩაიფრუტუნა და ცოფიანი ძაღლივით უგზო-უკვლოდ, ბრმასავით გაქანდა. კაცს შეიძლება ასე მოსჩვენებოდა, ნამდვილად კი იგი ახალ კვალს მისდევდა: აქ გაუვლია დაშას! ეს-ეს არის აქ ყოფილა.

კვალმა სადგურზე მიიყვანა. შიგ შესვლა შეუძლებელი იყო: ხალხი, ხალხი, უთვალავი ხალხი ირეოდა, ქუჩაშიც კი, რომელიღაც სარკმელთან, ერთმანეთს აწვებოდნენ, ყვიროდნენ, იმ მეძებრებივით ქშინავდნენ, დაჭერილ კურდღელს რომ გლეჯენ და აღარც მათრახისა ეშინიათ და აღარც ბუკისა. ასეთ ვითარებაში შეუძლებელი გახდა დაშას კვალის მიგნება _ კვალი გაქრა. მაშინ ბიმმა სადგურს შემოუარა და ბაქანზე გავიდა. აქ ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იდგა ბორბლებიანი პატარა, გრძელი სახლების კარებთან. არც ღრიალებდნენ, არც მუჯლუგუნს ჰკრავდნენ ერთმანეთს, პირიქით, ეხვეწებოდნენ და კოცნიდნენ ერთმანეთს, ერთ ადგილას, ერთ-ერთი სახლის კართან, ცეკვავდნენ კიდეც. ბიმისთვის არავის ეცალა, ამიტომ იგი თავისუფლად დაძვრებოდა და დაძაბული ყნოსავდა ბაქანს.

უეცრად ერთ-ერთ კართან დაშას სუნი ეცა, ბიმმა კარის ზღურბლისაკენ გაიწია, მაგრამ ქალმა, რომელსაც გულზე დიდი ჟეტონი ჰქონდა დამაგრებული, გამოაგდო. ბიმმა ახლა ფანჯრებს დაუწყო სუნვა. თან შიგნით იყურებოდა. შემდეგ შეამჩნია, რომ პატარა სახლში უკანასკნელად ორი თეთრხალათიანი ქალი შევიდა. ძაღლმა მათკენ გაიწია, მაგრამ ამ დროს სახლები ნელ-ნელა დაიძრა. ბიმი ფანჯრებს მივარდა, მის ძაღლურ გონებაში თითქოს სავსებით სწორი დასკვნები გაკეთდა: დაშა იქ არის, თეთრხალათიანი ხალხიც, მაშასადამე, შეიძლება ივან ივანიჩიც იქ იყოს. შეიძლება! იქნებ თეთრხალათიანმა ადამიანებმა წაიყვანეს!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და საბრალო ბიმი, ახლა კი უკვე ნამდვილად უბედური ბიმი, მსუბუქად აედევნა პატარა სახლს. იგი მისდევდა სახლს და თან მის ფანჯრებში იცქირებოდა. სწორედ ამ დროს დაინახა დაშამ.

_ ბიმ! ბი-იმ! _ დაიყვირა ქალმა, _ საყვარელო ბიმ! ჩემს გასაცილებლად მოხვედი? ჩემო კეთილო ბიმ! ბი-იმ! ბი-იიი...

მისი ხმა თანდათან მიწყდა, პატარა სახლი გარბოდა და ბიმი, თუმცა ძალიან ცდილობდა, მაინც უკან რჩებოდა.

შემდეგ ცოტა ხანს უკანასკნელ სახლს მისდევდა, ვიდრე თვალს არ მოეფარა, მერე იმავე გზას მიჰყვებოდა, რადგან არსაით არ უხვევდა. დიდხანს მირბოდა და ბოლოს რელსებს შორის დაეცა სულშეხუთული. ბიმს ოთხივე თათი გაეჭიმა, ძლივს სუნთქავდა და ჩუმად წკმუოდა. აღარავითარი იმედი აღარ ჰქონდა, არსად წასვლა აღარ უნდოდა, ვერც შეძლებდა და, საერთოდ, აღარაფერი უნდოდა, სიცოცხლეც კი.

როცა ძაღლები იმედს კარგავენ, ისინი იხოცებიან ბუნებრივად, ჩუმად, უდრტვინველად, ტანჯვით, რაც ქვეყნისათვის უხილავია. მაგრამ არც ბიმის საქმეა და ვერც მისი გონება მისწვდება, რომ ქვეყნიერებაზე იმედის ერთი ნაპერწკალი მაინც თუ არ დარჩა, ადამიანს სასოწარკვეთილება მოკლავს. ბიმისათვის ყველაფერი უფრო მარტივი იყო: შიგნით ყველაფერი საშინლად სტკიოდა, მეგობარი კი არსად ჩანდა, ეს იყო და ეს. როგორც უტოლოდ დარჩენილი გედი იკლავს თავს: ცაში ადის და იქიდან ქვასავით ენარცხება მიწას, როგორც საყვარელი ერთადერთი არსების დამკარგავი წერო, გართხმული და ფრთაგაშლილი, განუწყვეტლივ ყივის და მთვარეს სიკვდილსა სთხოვს, ისე იწვა ბიმიც, ბურანში თავის ერთადერთ ერთგულ მეგობარს ხედავდა და მზად იყო, ყველაფერი ჩაედინა, ოღონდ პატრონი ეპოვა, თუმცა ამ მზადყოფნას ვერ გრძნობდა. ახლა იგი დუმდა. არ არსებობს კაცი, რომელსაც გაეგონოს, როგორ კვდება ძაღლი. ძაღლები უხმოდ იხოცებიან

აჰ, ახლა რომ ბიმს რამდენიმე ყლუპი წყალი მისცა! ისე კი, ალბათ, ვეღარასოდეს წამოდგებოდა, რომ...

მასთან ქალი მივიდა. ქალს დაბამბული პიჯაკი და ასეთივე შარვალი ეცვა, თავზე შალი ჰქონდა მოხვეული. ღონიერი, დიდი ქალი იყო. ეტყობოდა, თავდაპირველად იფიქრა, რომ ბიმი მკვდარი იყო. დაიხარა, შემდეგ დაიჩოქა და ყური მიუგდო _ ბიმი ჯერ კიდევ სუნთქავდა. იმდენად დასუსტდა მეგობართან განშორების შემდეგ, რომ ასე არ უნდა ედევნა მატარებლისათვის, ეს უგუნურება იყო. მაგრამ ასეთ შემთხვევაში რა მნიშვნელობა აქვს გონებას, თუნდ ადამიანის გონებასაც კი! ქალმა ორივე ხელით ზემოთ აუწია თავი ბიმს.

_ რა მოგივიდა, შავყურა? ასე ვის მისდევდი, შე საცოდავო?

ამ შესახედავად უხეშ ქალს თბილი და მშვიდი ხმა ჰქონდა. ადგა, დაღმართზე ჩავიდა, ბრეზენტის ხელთათმნით წყალი მოიტანა, ბიმს ისევ აუწია თავი, ხელთათმანი ახლოს მიუტანა და ცხვირი დაუსველა.

ბიმმა წყალი ალოკა. შემდეგ უძლურად გააქნია თავი, კისერი გაჭიმა და ისევ ალოკა. მერე სვლეპა დაუწყო. ქალი ზურგზე უსვამდა ხელს. ის ყველაფერს მიხვდა: ვიღაც, ვინც ამ ძაღლს ძალიან უყვარდა, სამუდამოდ წავიდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაიკარგა, ეს კი საშინელებაა, თავზარდამცემად მძიმე ასატანია; სამუდამო განშორება იგივეა, რაც ცოცხალი ადამიანის დამარხვა.

ქალი ბიმთან გულს იოხებდა.

_ მეც, მეც ეგრე მომივიდა... მამაც და ქმარიც გავაცილე, ომში წავიდნენ... ხედავ, შავყურა, დავბერდი... და მაინც ვერ დავივიწყე... მეც მატარებელს მივდევდი... მეც დავეცი... და სიკვდილს ვნატრობდი... დალიე, დალიე, ჩემო კარგო, დალიე, შე საცოდავო.

ბიმმა წყალი თითქმის სულ დალია. ახლა მან თვალებში შეხედა ქალს და დარწმუნდა, კარგი ადამიანი იყო, და ულოკავდა ქალს უხეშ, კანდამსკდარ, ცრემლებით დასველებულ ხელებს.

ამრიგად, ბიმმა პირველად თავის სიცოცხლეში, მეორედ გაიგო ადამიანის ცრემლის გემო: პირველად პატრონის კურცხლისა, ახლა კი, აი, ამ გამჭვირვალე, მზეზე მოციმციმე, გაუქრობელი მწუხარებით დამლაშებული ცრემლისა.

ქალმა ხელში აიყვანა ძაღლი და რკინიგზის ლიანდაგიდან დაღმართზე ჩაიყვანა:

_ იწექი, იწექი, შავყურა. მალე მოვალ, _ უთხრა და იქით წავიდა, სადაც რამდენიმე ქალი რკინიგზის ხაზზე რაღაცას ჩიჩქნიდა.

ბიმი ამღვრეული თვალებით მისჩერებოდა ქალს, შემდეგ დიდი გაჭირვებით წამოდგა და ლასლასით, ნელა გაჰყვა უკან. ქალი მობრუნდა, დაელოდა. ძაღლი ძლივს მილასლასდა მასთან და დაწვა.

_ პატრონმა მიგატოვა? _ ჰკითხა ქალმა. _ წავიდა?

ბიმმა ამოიოხრა. ქალი მიხვდა.

ორივენი მუშებთან მივიდნენ. ყველანი ქალები იყვნენ, იმათაც ისე ეცვათ, როგორც კარგ ადამიანს, მათ გვერდით კი კეფაზე ქუდმოგდებული კაცი იდგა, პირში ჩიბუხი გაეჩხირა და ქალს გულმოსული ეუბნებოდა:

_ მატრონა, ძაღლს გადაჰყევი? მერე, ვინ უნდა იმუშაოს? ეჰ, მატრონა, მატრონა...

ბიმი მიხვდა, რომ ამ კარგ ადამიანს მატრონა ერქვა. ქალმა უბრძანა, გზის პირას წოლილიყო, თვითონ კი უზარმაზარი მარწუხი აიღო და სხვა ქალებთან ერთად შპალს ჩააფრინდა.

_ ერთი, ორი, მიდი! _ დაიღრიალა მამაკაცმა. _ ერთხელაც! ერთხელ კიდევ! _ ამაყად ყვიროდა იგი დოინჯშემოყრილი.

ყოველ მის შეძახილზე ქალები ერთსულოვნად გასწევდნენ ხოლმე ძელს. მარწუხებში მოქცეული ძელიც ემორჩილებოდა და მათკენ მიცოცავდა. ყოველი ასეთი გაწევის დროს ქალებს სახე უწითლდებოდათ, ერთერთს კი, გამხდარსა და სუსტს, პირიქით _ უფითრდებოდა, ულურჯდებოდა კიდეც. ეს ქალი მატრონამ ხელით გვერდზე გასწია და ისე უთხრა, როგორც ოდესღაც პატრონი ეუბნებოდა ხოლმე ბიმს, როცა მისი გაგდება უნდოდა:

_ წადი! დაისვენე, თორემ მოკვდები. _ შემდეგ მამაკაცს მიუბრუნდა: _ მიდი, მიდი, იყვირე, იყვირე, ანტიქრისტე!

_ ერთი, ორი, მიდი! _ დაიღრიალა მამაკაცმა, ქუდი გაისწორა და თითქოს დიდი გაჭირვებით დაიწყო: _ მიდით, მიდით, ქალებო, აბა, ერთხელ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კიდევ! ქმარი კავკასს მიდიოდა, იქამდე ვერ მიაღწია, დაქორწილდა გზაშიაო. ოხერი და ცუდი იყო... სდექ! დადე იარაღი!

სიტყვა «ოხერი» ბიმს ცხვირპაჭუასაგან ჰქონდა გაგონილი: იცოდა, ცუდი სიტყვა იყო. სხვა სიტყვებს კი ვერ მიხვდა.

ქალებმა მარწუხი გვერდზე გადადეს, სოლები აიღეს და მძიმე და გრძელი ჩაქუჩებით დაიწყეს მათი ჩაჭედება. მატრონა ადვილად, თითქოს თამაშობსო, სამი დარტყმით არჭობდა მანჭვალს, სუსტი დედაკაცი კი ყოველ დარტყმაზე ოხრავდა და კვნესოდა:

_ აჰ-ჰ! ვაი-ვაი!

_ მიდი, მიდი! _ შეუძახებდა ხოლმე კაცი და თან ჩიბუხს ტენიდა. _ მიდი, მიდი, ანისია. _ ქალთან მივიდა, _ შენკენ მოჭიმე და ისე დაარტყი, შენკენ მოჭიმე, უფრო ადვილია.

სუსტი ანისია სხვებზე მეტხანს აჯახირებდა სოლებს და ამიტომ ბოლოს ძალიან ჩამორჩა. ამ დროს ქალებისათვის გასაკვირველი და გაუგებარი ამბავი მოხდა: ბიმი მოდუნებული ნაბიჯით მივიდა ანისიასთან და მასაც, როგორც მატრონას, ბრეზენტის მწარე ხელთათმანები აულოკა. ყველანი შეჩერდნენ და გაოცებით მიაჩერდნენ.

შემდეგ «ოხერის» ბრძანებით, ქალები ბუჩქების ძირას მისხდნენ, თავთავიანთი ბოხჩიდან საჭმელი ამოიღეს და სადილობას შეუდგნენ. ბიმსაც მიაწოდეს. მან შეჭამა. ახლა უკვე კარგი ხალხის მიერ მიწოდებულ საჭმელს ჭამდა. ამაში იყო მისი ხსნა.

საღამოთი ბიმმა შფოთვა დაიწყო: მატრონასთან მიდიოდა, წინა თათებს მოუსვენრად აცეცებდა, ქალს სახეში მისჩერებოდა, შემდეგ ისევ უკან ბრუნდებოდა, წვებოდა, მაგრამ მალე ისევ მასთან მიდიოდა, მერე ისევ უკან იხევდა.

_ წასვლა გინდა, შავყურა? _ მიუხვდა მატრონა. _ წადი, წადი, შავყურა. აბა, მე სად უნდა წაგიყვანო? ადგილი არა მაქვს. წადი.

ბიმი გამოეთხოვა ქალს და წავიდა. ნელი ნაბიჯით, რომელიც ძაღლის ნაბიჯს არ ჰგავდა, ბიმი რკინიგზის ლიანდაგს გაჰყვა, რომ შინ დაბრუნებულიყო. გზა გზაა, ის გიჩვენებს, საით წახვიდე; თუ სწორ გეზს აიღებ, არასოდეს დაიკარგები. მხოლოდ ეს იყო, იმ რუხი კაცის გუშინდელი ცემისაგან მთელი სხეული აუტანლად ტეხდა, სიარულის დროს სუნთქვა უჭირდა, მაგრამ რა გაეწყობოდა! კარგია, რომ კეთილ ქალებთან დანაყრდა. თანაც ბილიკი, ბაზოს რომ მიჰყვებოდა, სწორი და გატკეცილი იყო. თანდათან მუხლში გაიმართა და ნელ-ნელა ძუნძულზე გადავიდა. რა გამძლე და ამტანიანები არიან ძაღლები!

კაცს რომ შეეხედა, ამაში უჩვეულო არაფერი იყო: რკინიგზის ლიანდაგის გასწვრივ ავადმყოფი ძაღლი მიძუნძულებდა, ეს იყო და ეს.

ქალაქის ახლოს გზა ორად გაიყო: კიდევ ერთი წყვილი რკინის უწყვეტი ზოლი გაიჭიმა გვერდით, შემდეგ სამი გახდა. ჯიხურთან ახლოს, მოულოდნელად, ერთიმეორის შენაცვლებით ორი წყვილი თვალი აციმციმდა: ხან მარცხენა ციმციმებდა, ხან მარჯვენა, ხან მარცხენა, ხან მარჯვენა. შუქი აქეთ-იქით აწყდებოდა. წითელი ფერი არც ერთ ცხოველს არ უყვარს: მგელს, მაგალითად, არ შეუძლია წითელი ალმების ხაზს გადაახტეს, მელია

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კი, რომელიც ამ წრეში მოხვდება, სამ-ოთხ დღე-ღამეს და ზოგჯერ მეტხანსაც რჩება შიგ. ასე რომ, ბიმმა გადაწყვიტა, გვერდი აევლო ამ უზარმაზარი ცოცხალი წითელი თვალებისათვის, რელსების მესამე ხაზზე გადავიდა, შეჩერდა და იმ მოციმციმე წითელ თვალებს შეხედა. წინ წასვლას ვეღარ ბედავდა. უცბად მის ფეხქვეშ რაღაცამ დაიღრჭიალა.

ბიმმა საშინელი ტკივილი იგრძნო, აყმუვლდა, მაგრამ თათი ვერაფრით ვერ გამოგლიჯა რელსებს. ისართან საშინელ მარწუხში მოექცა. ძაღლის გოდებიდან მოხლოდ ერთი რამის გაგება შეიძლებოდა: «ვაი, ვაი, მტკივა! მიშვე-ლეთ!»

ახლომახლო ხალხი არ იყო. ხალხისა რა ბრალი იყო. თავისი თათის გადაღრღნა ძაღლს არ შეუძლია. ამას ზოგჯერ ხაფანგში გაბმული მგელი სჩადის ხოლმე, ძაღლს ეს არ შეუძლია, იგი შველას ელის, ადამიანის დახმარების იმედი აქვს.

მაგრამ ეს რა არის? ორმა უზარმაზარმა თვალმა გაანათა გზა და თვით ბიმიც, ისინი ნელა და შეუბრალებლად მოიწევდნენ წინ, შიშისა და ტკივილისაგან ბიმი მოიკუნტა. მოსალოდნელმა უბედურებამ ხმა ჩაუწყვიტა. მაგრამ დიდთვალა რახრახა არსება ოცდაათიოდე ნაბიჯზე შეჩერდა, სინათლის ზონაში სიბნელიდან კაცი გამოვარდა და ბიმს ეცა. მაშინვე მეორეც იქ გაჩნდა.

_ ეს როგორ მოგივიდა, შე საცოდავო?!

_ რა ვქნათ? _ ჰკითხა მეორემ პირველს.

მათ თითქმის ისეთივე სუნი ასდიოდათ, როგორიც მძღოლებს. ორთავეს დიდმედლიანი ქუდი ეხურა.

_ თუმცა სადგურთან ახლოსა ვართ, გაჩერებისათვის მაინც გაგვჯორავენ, _ თქვა პირველმა.

_ ახლა სულერთია, _ თქვა მეორემ და ჯიხურში შევიდა.

ჩვენი საბრალო ბიმი მათ კილოზე (და არა სიტყვებით) მიხვდა, რომ ესენი მისი მხსნელები იყვნენ. მან გაიგონა, რომ ჯიხურში გულისწამღებად აწკრიალდა ზარი და ერთი წუთის შემდეგ მარწუხები მის თათს მოეშვა. მაგრამ ბიმი არ იძვროდა. ის გაქვავდა. მაშინ კაცმა ხელში აიყვანა და ლიანდაგს გადაღმა გადაიყვანა. იქ ბიმი ციბრუტივით დატრიალდა და გაჭეჭყილ თათს ლოკვა დაუწყო. მიუხედავად ამისა (როგორი დაკვირვებული არიან ძაღლები!), მატარებლის კარ-ფანჯრიდან ლაპარაკი ესმოდა. ახლა, როცა სინათლე აღარ აბრმავებდა, სიბნელეში მატარებელს ხედავდა, სხვადასხვა ხმები იმეორებდნენ სიტყვებს: «ძაღლი» და «მონადირე»; ეს სიტყვები კარგად იცოდა ბიმმა.

ბიმი მადლობელი იყო კეთილი ადამიანებისა. აი, ასე მოხდა ყველაფერი. ვიღაცამ სადღაც გადაიყვანა ისარი გზისა, რომლითაც ბიმი მიდიოდა, და იმ «ვიღაცას» ახლა სულაც არ ენაღვლებოდა, რომ რომელიღაც ძაღლს ისარში ფეხი ჩაჰყვა და დასახიჩრდა. ასეა თუ ისე, ბიმი აღარსოდეს ივლის რკინიგზის ლიანდაგზე. ამასაც მიხვდა, ისევე როგორც ახალგაზრდობაში მიხვდა, რომ იქ, სადაც ავტომანქანები დარბიან, სიარული არ შეიძლება.

დატანჯული და დასახიჩრებული ბიმი სამ ფეხზე ხტოდა, ხშირად ჩერდებოდა და ნატკენი თათის გაშეშებულ და უკვე შესივებულ თითებს ილო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კავდა, სისხლის დენა თანდათან შეწყდა, ის კი განუწყვეტლივ ილოკავდა და ილოკავდა, ვიდრე თითოეული დამახინჯებული თითი იდეალურად სუფთა არ გაუხდა. ეს ძალიან მტკივნეული იყო, მაგრამ რა უნდა ექნა, სხვა გზა არ ჰქონდა; ყოველმა ძაღლმა იცის, რომ თუ გტკივა, უნდა მოითმინო, ლოკო, ხმა არ ამოიღო.

შუაღამე გადასული იყო, როცა მშობლიურ კარს მიადგა. არა, არა, ივან ივანიჩის კვალი ისევ არ ჩანდა. ბიმს სურდა, კარზე მიეფხაჭუნებინა, როგორც წინათ იცოდა, მაგრამ ვერ შეძლო, ავადმყოფი თათის გამო უკანა თათებზე წამოდგომა კი არა, დაჯდომაც კი შეუძლებელი იყო. მას მხოლოდ სამ ფეხზე დგომა ანდა გაჭიმული წოლა შეეძლო. მაშინ კარის კუთხეს ცხვირი მიადო და შიგნიდან გამომავალი სუნი გასინჯა. პატრონი არ იყო. მაშ, სამუდამოდ წასულა. ასე იდგა დიდხანს და თითქოს თავით ეჭირა დასუსტებული ტანი. შემდეგ სტეპანოვნას კარს მიადგა და ხმამაღლა და მოკლედ, სასოწარკვეთით თქვა: «ჰამ! აქა ვარ»

სტეპანოვნამ თავში ხელი შემოირტყა.

_ ღმერთო ჩემო, ეს რა მოგსვლია! _ კარი გააღო, ძაღლი ივან ივანიჩის ბინაში შეუშვა და თვითონაც შიგ შეჰყვა. _ ვაი, შე უბედურო, შენა, ახლა რა გიყო? ივან ივანიჩიც რას მეტყვის?

ბიმი ის-ის იყო შუა ოთახში ფეხგაჭიმული დაწვა, რომ «ივან ივანიჩი» გაიგონა, თავი ასწია, ძლივძლივობით მიაბრუნა სტეპანოვნასაკენ და თვალმოუშორებლივ მიაჩერდა; ცხადია, ეკითხებოდა: «ივან ივანიჩი? სად არის?»

სტეპანოვნას, თუმცა ძაღლების მოვლა არ იცოდა, არ იცოდა, როგორ ეჭმია და ესმია მათთვის, მაგრამ სიბრალულის გრძნობა კი გააჩნდა. იქნებ სიბრალული დაეხმარა, გაეგო ბიმის გრძნობები, მიმხვდარიყო, რომ სიტყვებმა _ «ივან ივანიჩი» _ იმედის ნაპერწკალი აღძრა ავადმყოფი ძაღლის გულში...

_ ჰო, ჰო, ივან ივანიჩი, _ დაუდასტურა ქალმა. მოიცადე; ახლავე მოვალ. ქალი აჩქარებით გავიდა და მალე ივან ივანიჩის წერილით დაბრუნდა, ცხვირთან მიუტანა ბიმს და უთხრა: _ აი, ამას ხედავ? ივან ივანიჩის გამოგზავნილია.

ბიმი, საწყალი ბიმი, სიკვდილის პირას მისული და მკვდრეთით აღმდგარი, გასრესილი და გადარჩენილი, ავადმყოფი და იმედდაკარგული ბიმი აცახცახდა. ცხვირი ჩაყო წერილში და მისი კიდეები დაყნოსა. დიახ, დიახ, დიახ... მან აქ, აქ, ამ ადგილას გაუსვა თითები კონვერტს... სტეპანოვნამ კონვერტი იატაკიდან აიღო, გახსნა და წერილი ამოიღო. ბიმი ძლივძლივობით წამოდგა და ქალისაკენ გაიწია. სტეპანოვნამ კონვერტიდან სრულიად სუფთა ქაღალდი ამოიღო და ბიმს წინ დაუდო. ძაღლმა კუდი ააქიცინა: ქაღალდს ივან ივანიჩის თითების სუნი ასდიოდა, დიახ, მისი სუნია, განგებ გაუსვამს თითები ამ ქაღალდზე.

_ შენ გამოგიგზავნა, _ უთხრა სტეპანოვნამ. _ ასეც მწერს: ეს სუფთა ქაღალდი ბიმს მიეცითო. _ ქალი ქაღალდზე უთითებდა და ამბობდა: ივან ივანიჩი... ივან ივანიჩი...

ბიმი უცბად მოეშვა, იატაკზე დაწვა, გაიჭიმა, თავი ქაღალდზე დადო და ცრემლები ჩამოსცვივდა. თავის სიცოცხლეში პირველად ტიროდა. ეს იყო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმედისა და ბედნიერების ცრემლი, გარწმუნებთ, ყველაზე უკეთესი ცრემლი ამქვეყნად. იგი სიხარულით, შეხვედრითა და ბედნიერებით გამოწვეულ ცრემლზე ნაკლები როდი იყო.

...ღმერთმა ქნას, ჩემო ძვირფასო მკითხველო, მაგრამ დამიჯერე: სეტერმა სიცილიც იცის და ტირილიც.

სტეპანოვნას უკვე ესმოდა ძაღლისა, მაგრამ მას ისიც ესმოდა, რომ მარტო ვერ მოერეოდა ამ საქმეს, არ შეეძლო. დიდხანს იჯდა ბიმის გვერდით და თავის ცხოვრებაზე ფიქრობდა. მას ძალიან მოენატრა მშობლიური სოფელი, მოეწყინა ამ ქვის გალიებში, სადაც ადამიანები, რომლებიც ერთ სახლში, ზოგჯერ ერთ სადარბაზოშიც ცხოვრობენ, წლობით არ იცნობენ ერთმანეთს. ბოლოს მაინც მოიაზრა, რომ ბიმისათვის წყალი დაელევინებინა.

ო, როგორ სწყუროდა საბრალოს! ძლივს წამოდგა და ხარბად დაეწაფა წყალს, შემდეგ ისევ დაწვა და ისევ გაირინდა, თვალი დახუჭა, თითქოს ბურანში გაეხვია.

თითქმის თენდებოდა, როცა სტეპანოვნა ოთახიდან გავიდა, ისე ჩუმად მიაბიჯებდა, კაცს ეგონებოდა, მძიმე ავადმყოფი ადამიანის შეწუხებისა ეშინიაო.

შუა ოთახში კი მხოლოდ უპატრონო ძაღლი იწვა.

ბიმმა არ იცოდა, რამდენ ხანს ეძინა; იქნებ რამდენიმე საათი, ან იქნებ მთელი დღე-ღამე. ფეხის მწვავე ტკივილმა გამოაღვიძა. დღე იყო, რადგან მზე ანათებდა. მიუხედავად ტკივილისა, პატრონის გამოგზავნილი ფურცელი დაყნოსა. პატრონის სუნი ისეთი მძაფრი აღარ იყო, მაგრამ ამას უკვე რა მნიშვნელობა ჰქონდა, მთავარი ის გახლდათ, რომ ივან ივანიჩი სადღაც იყო და უნდა მოეძებნა. ბიმი წამოდგა, ჯამიდან წყალი მოსვა და სამი ფეხით ოთახში სიარული დაიწყო. თუმცა ტკივილს გრძნობდა, მაგრამ წინკარსა და ოთახს შუა დადიოდა, ოთახში დაბორიალებდა. ინსტინქტი უკარნახებდა: თუ ცალი გვერდი დაგიბუჟდა, თუ გტკივა, უნდა იარო. მალე მიხვდა, რომ ფეხს იატაკზე კი არ უნდა მიათრევდეს, მაღლა უნდა ასწიოს. ჰოდა, მალე ისე დაოსტატდა, სიარულში ფეხი ისე აღარ სტკიოდა. როცა სტეპანოვნამ საჭმელი მოუტანა, მან უკვე კუდი გაუქიცინა და გაახარა, შემდეგ ჭამა კიდეც. ან რატომ არ უნდა ეჭამა, თუკი იმედი გაუჩნდა და მის თავში ორი ჯადოსნური სიტყვა გაჩნდა _ «ეძებე» და «ელოდე».

მაგრამ რამდენი არ ემუდარა, რამდენი არ სთხოვა, სტეპანოვნამ გარეთ არ გაუშვა (შინ იჯექი, ავად ხარო). თუმცა ბოლოს ისიც მიხვდა, რომ ბიმი ცოცხალი არსება იყო და ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გარეთ უნდა გასულიყო. ქალმა, უეჭველია, არ იცოდა მომხდარი შემთხვევები, როცა ძაღლებს კუჭ-ნაწლავი გახეთქიათ, ანდა კუჭის შეკრულობის გამო სული შეხუთვიათ, თუ მათ სამ ან მეტ დღესარ უშვებდნენ გარეთ. ასეთი რამ ხშირად მომხდარა.

სტეპანოვნა ადამიანური სიბრალულითა და სიკეთით ხელმძღვანელობდა მთელ თავის სიცოცხლეში. მხოლოდ და მხოლოდ სიბრალულითა და სიკეთით, ეს იყო და ეს. მან საბელი ჩააბა ძაღლს საყელურში და ბიმიც კოჭლობით გაჰყვა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აი, ასე იდგნენ ეზოს შორეულ კუთხეში მოხუცი, ჭაღარა ქალი, და გამ-ხდარი, კოჭლი ძაღლი.

სადარბაზოდან ბავშვები გამორბოდნენ, სკოლაში მიეჩქარებოდათ, მაგ-რამ ბევრი მათგანი მიირბენდა მოხუცთან და ეკითხებოდა:

_ ბები, ბები, ბიმი რატომ დგას სამ ფეხზე?

ანდა:

_ ბიმკა, გტკივა?

მაგრამ გაკვეთილებს ხომ ვერ გააცდენდნენ: სკოლაში სიარული დიდი მოვალეობაა _ ყველაზე უპირველესი პასუხისმგებლობა ცხოვრებაში _ ოჯა-ხის წინაშე, მასწავლებლის წინაშე, მეგობრების წინაშე. ამიტომ დიდხანს არ ჩერდებოდნენ და გარბოდნენ. ეს გარემოება დიდად მნიშვნელოვანი აღმოჩ-ნდა სტეპანოვნასა და ბიმისათვის. თუმცა, მათ ეჭვი არაფრისა ჰქონდათ და ამიტომ თავის დროზე წავიდნენ შინ.

სადარბაზოსთან პალტიტიჩი (პავლე ტიტოს ძე რიდაევი) შეხვდათ. პალტიტიჩმა სტეპანოვნას უთხრა:

_ იცი რა, ეს ხვადი ძალიან კარგი ძაღლია და ამიტომ უნდა გაუფ-რთხილდე, რაკი მისმა პატრონმა ჩაგაბარა, გირჩევ, ჯაჭვით დააბა. უეჭვე-ლად, თორემ გაგექცევა, გაგეპარება. კარებში გავარდება და მორჩა.

_ მერედა, განა შეიძლება ასეთი ჭკვიანი ძაღლის დაბმა? _ გაუბედავად შეეპასუხა სტეპანოვნა.

_ რაო? შენც აღსაზრდელი ხარ, ქალო? გახსოვდეს: უპატრონო და დაუბ-მელი ხვადი თავისუფლებას იგრძნობს და დაიღუპება.

_ ის ხომ გაავდება, ჯაჭვით დაბმული ქოფაკივით იქნება.

_ გაიგე, მიხვდი, შე უვიცო, შენა! გაავდება, მაგრამ სამაგიეროდ, ცოცხა-ლი დარჩება. დააბი, დააბი, აი, ჩემი რჩევა. ამას რომ გეუბნები, სიკეთე მსურს, დააბი!

სახლმმართველის დაუმორჩილებლობა არ შეიძლებოდა. ამიტომ სტეპა-ნოვნამ მანეთად და ათ კაპიკად იყიდა ჯაჭვი და იმით გაჰყავდა ეზოში ბი-მი. ოთახში შესვლისას კი საყელურს ხსნიდა და კუთხეში აგდებდა. ეშმაკი დედაკაცი იყო სტეპანოვნა: არც მწვადს წვავდა, არც შამფურს. თუმცა, ეს კია, თვითონაც მხოლოდ ორჯერ თუ სამჯერ დასჭირდა ბიმის გარეთ გაყვა-ნა; ამის მიზეზი იყო ის არაჩვეულებრივი ამბები, რაც ბიმის გამო დატრი-ალდა.

თავი მეცხრე

პატარა მეგობარი, ცრუ ხმები, ბიმის საიდუმლო დასმენა და ავტორისეული გადახვევა.

სკოლაში, პირველივე დასვენებაზე, ბავშვები ახალ ამბებს რომ უყვე-ბოდნენ ერთმანეთს, ბიჭებმა ხმა გაავრცელეს: ჩვენს ეზოში ძაღლია წინათ ოთხ ფეხზე დადიოდა, ახლა კი სამზე დადის და ძალიან გამხდარია; წინათ მსუქანი იყო, ბეწვგადაგლესილი, ახლა კი გაბურძგნილია; მხიარული იყო, ახლა მოწყენილია, ბიმი ჰქვია, პატრონი მოსკოვში წაუყვანიათ საოპერაცი-ოდ. დეიდა სტეპანოვნას დაჰყავსო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამ ხმამ რომელიღაც მეთოდისტი მასწავლებლის ყურამდე მიაღწია. იმან კი განათლების მუშაკთა მორიგ სარაიონო თათბირზე გააშუქა ეს ამბავი თავისი ერთ-ერთი საინტერესო გამოსვლის დროს: ჩინებული ახალგაზრდობა გვეზრდება, იგი «ეზიარება სიკეთის იდეას, რომელიც შეიცავს სიბრალულს, როგორც ასეთს, დედამიწაზე მცხოვრები ყველა სულდგმულისადმი». ეს ყველაფერი მან დაასაბუთა ერთ-ერთი სკოლის დიდი ინტერესით რომელიღაც შავყურა ძაღლისადმი, რომლის პატრონი დიდი ხნით დაეწვინათ საავადმყოფოში საოპერაციოდ.

სამი დღე ზედიზედ ქალაქის რაიონის ყველა სკოლაში მასწავლებლები ბავშვებს ცხოველებისადმი სიბრალულზე ელაპარაკებოდნენ და უამბობდნენ, როგორ თბილად მოექცნენ ამა და ამ სკოლის მოსწავლეები ძაღლს. მაგრამ გადამეტებით წინდახედულნი აფრთხილებდნენ, ასეთ შემთხვევაში ძაღლი ცოფიანი არ უნდა იყოს, რადგან ცოფიან ძაღლს უნდა ერიდოთო. იმ სკოლაშიც, სადაც ტოლიკი სწავლობდა, მასწავლებელი ქალი ამასვე უყვებოდა ბავშვებს, თანაც უბრალოდ და გულში ჩამწვდომად.

_ აბა, წარმოიდგინეთ, ბავშვებო! ვიღაც გულქვა კაცს ფეხი მოუგლეჯია ძაღლისათვის. (ასე იცვალა ფერი ბიმის თაობაზე დარხეულმა ხმამ უკვე მასწავლებლებს შორის: რას იზამ ხმა _ ხმაა!) ეს არ ეკადრება საბჭოთა ადამიანს. უბედური შავყურა ძაღლი სამუდამოდ ხეიბარი დარჩა. _ ქალმა საჭირო ფურცელი მოძებნა რვეულში და განაგრძო: _ ახლა, ბავშვებო, დავწეროთ პატარა და თბილი თხზულება _ თავისუფლად დაწერეთ და არაფერი შეგეშალოთ, გეგმა-კითხვარს მოგცემთ.

და რვეულიდან დაფაზე გადაწერა:

1. რა ჰქვია თქვენს ძაღლს?
2. თეთრია, შავი თუ სხვა ფერისა?
3. ყურებდაცქვეტილია თუ ყურებჩამოყრილი?
4. კუდი აქვს თუ კუდმოჭრილია?
5. რა ჯიშისაა, იციან თქვენს ოჯახში?
6. ალერსიანია თუ ავი?
7. ეთამაშები? თუ ეთამაშები, როგორ?
8. იცის თუ არა კბენა? თუ კბენს, ვის?
9. უყვარს თუ არა ძაღლი შენს დედ-მამას?
10. რისთვის გიყვარს ძაღლი?
11. როგორ ექცევი სხვა ცხოველებს და ფრინველებს (ქათმებს, ბატებს, ცხვრებს, ირმებს, თაგვებს, და სხვ.)?
12. გინახავს თუ არა ოდესმე დომბა?
13. რატომ წველიან ძროხას, დომბას კი არა (შინაური და გარეული ცხოველები)?
14. უნდა გიყვარდეს თუ არა ცხოველები?

ტოლიკი თითქოს ეკლებზე იჯდა, არაფრის დაწერა არ შეეძლო, ბოლოს ვერ მოითმინა და საერთოდ სიჩუმეში იკითხა:

_ ანპალნა, რა ჰქვია შავყურა ძაღლს?

მასწავლებელმა ბლოკნოტში ჩაიხედა და უპასუხა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

_ ბიმი.

_ ბიმი! _ შესძახა ტოლიკმა, რომელმაც ამ შეძახილით მთელი კლასი აა-ფორიაქა. _ გამიშვით, ანპალნა, გთხოვთ! წავალ, ბიმს მოვძებნი, კარგად ვიცნობ _ ძალიან კეთილი ძაღლია. გთხოვთ! _ ეევედრებოდა ბიჭი საწყალო-ბელი ხმით მასწავლებელს და მზად იყო, მადლობის ნიშნად, ხელები დაე-კოცნა მისთვის.

_ ტოლია, მუშაობაში ხელს უშლი სხვებს. იფიქრე და თხზულება დაწე-რე! _ მკაცრად უთხრა მასწავლებელმა.

ტოლიკი დაჯდა. იჯდა, სუფთა ქაღალდს დასჩერებოდა და ბიმს კი ხე-დავდა. თითქოს სხვებთან ერთად მთელი გულისყურით ფიქრობდა თავი-სუფალ თემაზე, სათაურის მეტი კი ვერაფერი დაეწერა: «მე მიყვარს ცხოვე-ლები». მხოლოდ ზარის დარეკვის წინ დაიწყო სწრაფად პასუხების წერა. ზარის შემდეგაც კი ცოტა ხნით დაყოვნდა და მასწავლებელიც, როგორც ყო-ველთვის ასეთ შემთხვევაში, მაგიდასთან იჯდა და მოთმინებით ელოდა. ბოლოს მოღუშულმა ტოლიკმა, ღმერთმა უწყის, რის გამო უკმაყოფილომ, თავისი საკლასო თხზულება წინ დაუდო ანა პავლოვნას და გარეთ გავიდა.

რაკი თხზულება ყველაზე გვიან ჩააბარა, ანა პავლოვნამ, როგორც ყო-ველთვის ხდება ხოლმე, პირველად მისი დაწერილი წაიკითხა (რადგან ზე-მოდან იდო).

ტოლიკმა ზუსტად, გადაჭარბებითაც კი უპასუხა თავისუფალი თემის ყველა კითხვაზე. მისი ნაწარმოები პოეტურ ცდებსაც შეიცავდა, თუმცა ამ ცდებს პლაგიატის ელემენტები ერია პოპულარული სიმღერიდან, რომელ-საც ყველა ბავშვი იცნობდა. საერთოდ კი, ყველაფერი ასე გამოიყურებოდა:

მე მიყვარს ცხოველები

«მას ბიმი ჰქვია. თეთრია, შავყურა, ყურებპანტურა. კუდი ნამდვილი აქვს. მონადირე ძაღლის ჯიშისაა და არა ნაგაზისა. ალერსიანია. ერთხელ ვე-თამაშე, მაგრამ ვიღაც დუდღუნა კაცმა წაიყვანა. ცუდი მოხუცი იყო, არაფ-რის მაქნისი. არ იკბინება. ჩემს დედ-მამას მისი სიყვარული არ შეუძლია, სხვისია, კისერზე ყვითელი ფირფიტა ჰკიდია. რისთვის მიყვარს, არ ვიცი. უბრალოდ, მიყვარს ქათმები, ბატები, ცხვრები, ირმები და თაგვებიც მიყ-ვარს, თუმცა თაგვებისა მეშინია. დომბა ჯერ არ მინახავს, რადგან ქალაქში არ ცხოვრობს. ძროხას წველიან, რომ მაღაზიებში იყოს რძე და გეგმა შეას-რულონ. («ჭკუანაკლებია!» _ გაიფიქრა ანა პავლოვნამ). დომბას არ წველიან იმიტომ, რომ მაღაზიებში დომბას რძე არ იყიდება, არც არავის სჭირდება. ცხოველი უნდა გვიყვარდეს, ძაღლი კი ადამიანის საუკეთესო მეგობარია. ეს-ეს არის ლექსი შევთხზე:

დომბაც კარგია,
ირემიც კარგი,
და თაგვიც კარგი.
ძაღლი ყველაზე უკეთესია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზღვის გოჭებიც გავიჩინე, მაგრამ დედამ თქვა, ბინაში ცუდ სუნს აყენებენო, და სხვა გოგოს მისცა. ბიმს კი სულ ერთია, მაინც ვიპოვი, თუნდაც არ გამიშვათ, სულერთია, ვიპოვი. ვთქვი, ვიპოვი-მეთქი, და ვიპოვი კიდეც. მართალია, თქვენ ანა პავლოვნა ბრძანდებით, მაგრამ ჩემთვის სულ ერთია».

ანა პავლოვნამ თვალები დააჭყიტა: «დახე, რა ამბავია! ეშმაკმა იცის, რაზე ფიქრობს. რა ჩუმჩუმელა ყოფილა...» ამ ფიქრს აღარ გაჰყვა, რადგან პედაგოგი იყო და, უბრალოდ, თავისი მოვალეობის შეგნების გამო, ორიანი დაუწერა.

აი, რა ხდება ხოლმე. ანა პავლოვნა კარგ მასწავლებლად ითვლებოდა, ბავშვებს თითქოს უყვარდათ და უჯერებდნენ, გარდა ზოგიერთებისა, რომელთა გარეშე არც ერთი კლასი არ არის ხოლმე. უნდა მოგახსენოთ, აღზრდა რთული საქმეა, მეტისმეტად რთული, სწორედ ამიტომ იყო, რომ ტოლიკმა ეს თავისი ერთ-ერთი პირველი საკლასო თხზულება ასეთი დაწერა: უბრალოდ, გაუგებარი წყენის გამო, და, თანაც, რა თქმა უნდა, შეუგნებლად, თუ გავითვალისწინებთ, რომ ანა პავლოვნას მიერ მიცემულ თემაში, ზღვის გოჭებზე სიტყვაც კი არ იყო ნათქვამი. ვინ იცის, შემდეგში, როცა წამოიზრდება, შეიძლება მიხვდეს თავის ბავშვურ შეცდომას, მაგრამ ჯერჯერობით კი მან ეს ვერ მოისაზრა. შესვენების შემდეგ კლასშიც აღარ დაბრუნებულა. ეს კი უკვე არაჩვეულებრივი შემთხვევა იყო.

ტოლიკი თავისი ახალი რაიონიდან ძველში წავიდა, სკოლა [1]-ს მიაკითხა და ბავშვებისაგან ყველაფერი გაიგო: როდის ნახეს ძაღლი და სად ცხოვრობს, თავის სასიხარულოდ, ისიც გაიგო, რომ ფეხი მოწყვეტილი კი არა, მხოლოდ დაკიდებული ჰქონდა. და ბავშვებთან ერთად ბიმის სახლში წავიდა.

ზარის ღილაკს ხელი დააჭირა. ბიმმა შეკითხვით უპასუხა: «ჰაუ! ვინ ხარ?»

_ მე ვარ, ტოლიკი! _ შესძახა სტუმარმა. შემდეგ ბიჭმა გაიგონა, რომ ბიმმა ჭუჭრუტანას ცხვირი მიადო, ჩაიფრუტუნა და ჰაერი შეისუნთქა. _ ბიმ, მე ვარ, მე _ ტოლიკი.

ძაღლმა დაიწკმუტუნა, აყეფდა. ამით ის მიესალმა: «გამარჯობა, ტოლია!»

და ბიჭიც მიუხვდა, პირველად ჩასწვდა ძაღლის ენას.

სტეპანოვნამ, ყეფის ხმა და ადამიანის ძაღლთან საუბარი გაიგონა და გარეთ გამოვიდა:

_ რა გინდა, ბიჭო?

_ ბიმთან მოვედი.

ყველაფერი ადვილად გაირკვა და ორივენი ბიმთან შევიდნენ.

ტოლიკმა ვერ იცნო ძაღლი: გაძვალტყავებული, მუცელშევარდნილი, აბურძგნილი, გვერდმოქცეული, ნეკნებგამოყრილი, არა, არა, ეს ბიმი არ არის, არა. მაგრამ ძაღლის ჭკვიანმა, ალერსით სავსე თვალებმა უთხრეს ბიჭს: _ «ბიმი ვარ, ბიმი», ტოლია ჩაცუცქდა და თავის ნებაზე მიუშვა ძაღლი. ბიმი პიჯაკს, ნიკაპსა და ხელებს ულოკავდა და ბოლოს დრუნჩი მისი ფეხსაცმლის წვერს ჩამოადო. თითქოს დამშვიდდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სტეპანოვნამ ყველაფერი უამბო ამ უცნაურ ბიჭს, ყველაფერი, რაც კი იცოდა ბიმსა და ივან ივანიჩზე, მხოლოდ ვერ აუხსნა, სად და ვინ გაუჭეჭყა თათი.

_ ბედია, _ დაასკვნა ქალმა. _ ყოველ ძაღლს თავისი ბედი აქვს.

დედაკაცი მშვიდად, მაგრამ მწუხარებით ელაპარაკებოდა ბიჭს. სიბერით არ მოჰქონდა თავი და თანატოლივით ექცეოდა, რადგან თავის ცხოვრებისეულ დიდ გამოცდილებაზე წარმოდგენა არ ჰქონდა.

_ ფირფირა რა იქნა? _ ჰკითხა ტოლიამ. _ აკი ჰქონდა, თვითონ წავიკითხე.

_ ჰქონდა. რა გქვია?

_ ტოლია!

_ ტოლია კარგი სახელია. ჰქონდა, ვიღაცას მოუხსნია. _ ბიჭმა იფიქრა: «ალბათ, იმან მოხსნა, იმ ცუდმა კაცმა», _ მაგრამ ხმამაღლა არა თქვა, რადგან ამაში ჯერ კიდევ დარწმუნებული არ იყო. _ ღმერთო ჩემო, რა უნდა ვუყო? _ იკითხა სტეპანოვნამ და ბიმს შეხედა, _ მეცოდება კიდეც, არ ვიცი, რა მოვუხერხო. ბიითალი სჭირდება.

_ ბეითალი, _ გაუსწორა ქალს ტოლიამ, რომელიც ასევე ვერ გრძნობდა თავის უპირატესობას და კითხვაზე, _ «რა მოვუხერხოთო» _ უპასუხა: _ ყოველდღე, გაკვეთილების შემდეგ, მოვალ, ვასეირნებ, შეიძლება?

ასე იპოვა ბიმმა ახალი პატარა მეგობარი. ბიჭი ყოველდღე, ნასადილევს, ქალაქის მეორე მხრიდან მოდიოდა ბიმთან. მასთან ერთად დადიოდა ეზოში, ქუჩებსა და პარკში და ბავშვების სასიამოვნოდ ამაყად ამბობდა:

_ ძაღლი ადამიანის საუკეთესო მეგობარია.

ამ სიტყვების მნიშვნელობა სულ სხვა იყო, ვიდრე ეს ეწერა თხზულებაში, რომელიც გულნატკენობის დროს იყო დაწერილი.

მაგრამ ტოლიამ მტკიცედ გადაწყვიტა: ის ბოროტი კაცი ეპოვა და გულახდილად ელაპარაკა მასთან. თავის ახალ რაიონში დაუდარაჯდა და ბოლოს პირისპირ შეხვდა კიდეც.

_ ძია, _ მიმართა კაცს, შუბლზე ქუდი აიწია და ხელები უკან შემოიწყო, _ რატომ მოხსენით ფირფიტა ბიმს?

_ რაო, გაგიჟდი, ბიჭო?! _ კითხვითვე უპასუხა კაცმა.

_ თქვენ ხომ ფირფიტიანი წაიყვანეთ, მოწმეები მყავს.

_ და ფირფიტიანადვე გავუშვი. მიკბინა! გაუშვებ, მაშ, რას იზამ, როცა მგელივით იკბინება.

_ ცრუობთ, ბიმი ალერსიანი ძაღლია.

_ მე? მე ვცრუობ, ლეკვო?!. სად არიან შენი მშობლები? სად არიან-მეთქი შენი მშობლები? _ თქვი! _ აყვირდა კაცი.

ნაწილობრივ კაცი მართალი იყო. სწორედ ნაწილობრივ: არ ტყუოდა, როცა ამბობდა, ბიმმა მიკბინაო, და ამიტომ სრული უფლება ჰქონდა, აღშფოთებულიყო, მაგრამ ტყუოდა, როცა ამბობდა, საყელურიდან ფირფიტა არ მომიხსნიაო. მომხდარი ამბის ძირითად მიზეზად ფირფიტის მოხსნას კი არ თვლიდა, არამედ იმას, რომ ბიმმა უკბინა, მიზეზისა და შედეგის ადგილების შენაცვლება ყოველთვის მტკიცების ხელსაყრელი ხერხია. ღრმად იყო დარწმუნებული სიმართლეს ლაპარაკობდა, მაგრამ ის რომ სავსებით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მართალს არ ამბობდა, ეს უკვე მას არ ეხებოდა. მერედა, ვინ იცის, სად არის მიზეზი და სად შედეგი: ჯერ ძაღლმა უკბინა თუ ჯერ ფირფიტა მოხსნა? ეს საიდუმლოდ დარჩება ყველასათვის. მაგრამ ტოლიამ მტკიცედ იცოდა, რომ ბიმს არ შეეძლო ამ კაცისათვის ეკბინა, რადგან იგი, ესე იგი, ეს კაცი, ადამიანი იყო და არა რომელიღაც კურდღელი ანდა მელია. ამიტომ იყო, რომ კიდევ ერთხელ გაიმეორა:

_ მატყუებთ, ძია. არა გრცხვენიათ?

_ ჰაიტ! _ დაიღრიალა კაცმა და კოჭლობით წავიდა. მიდიოდა და თან უკანალს გვერდზე აქცევდა, ეტყობა, ბიმს ზორბად გაეკრა მისთვის კბილი.

საოცარია, როგორ არის ხოლმე მართალი ორივე მხარე, როცა ერთი სანახევროდ მართალს ამბობს, მეორემ კი არ იცის ამ სიმართლის მეორე ნახევარი.

კაცი კი მიდიოდა და ფიქრობდა: «ეს წვინტლიანები რომ მილიციაში წავიყვანო, დამაბეზღებენ, მოვლენ და ჩემს კოლექციას წამართმევენ... არა, საიუბილეოს, მეხუთასეს არ მივცემ, არა. მასში ხომ ოც ნიშანს მომცემენ!».. და გადაწყვიტა: «თავდაცვის საუკეთესო სახეა თავდასხმაო».

შინ განცხადება დაწერა და საბეითლო პუნქტში მიიტანა. იქ წაიკითხეს:

«...მორბოდა ძაღლი (უჯიშო, შავყურა სეტერი), გამოქანდა, მიკბინა, ჩემი ორგანიზმის სათანადო ადგილიდან მომაგლიჯა ხორცის ნაჭერი და გაიქცა... ცოფიანივით გარბოდა, კუდი და თავი მიწისაკენ დაეხარა, თვალები ჩასისხლიანებული ჰქონდა... ან უნდა დაიჭიროთ და მოსპოთ, რაც მაწანწალა ძაღლებზე მონადირეთა ბრიგადას უნდა დაევალოს, ან არადა, ზემდგომ ორგანოებში გიჩივლებთ, როგორც ბიუროკრატებსა და სამუშაოს გულგრილად შემსრულებლებს»... და ასე შემდეგ.

ბეითალი აღელდა.

_ რა ადგილას გიკბინათ? როდის? სად? რა პირობებში?

ცუდი კაცი ცრუობდა, როგორც ცრუობს ხოლმე წმინდა წყლის ცრუპენტელა, მხოლოდ ფანტაზია აკლდა. ექიმისათვის კი ყველაფერი ნათელი იყო მომჩივნის პირადი საბუთიდან, სახელდობრ, ის, რომ დაზარალებულს ქუჩაში უკბინა მაწანწალა ძაღლმა! სასწრაფოდ ტელეფონის ყურმილი აიღო და პასტერის პუნქტის მორიგე გამოიძახა.

სულ მალე, რამდენიმე წუთის შემდეგ, ავტომანქანით მოვიდა ექიმი ქალი, მომჩივანს შარვალი ჩაუწია, დახედა და ჰკითხა:

_ რამდენმა დღემ გაიარა?

_ დაახლოებით, ათმა, _ უპასუხა უნებურმა პაციენტმა.

_ ოთხი დღის შემდეგ გაცოფდებით, _ კატეგორიულად განაცხადა ექიმმა. მაგრამ, რადგან ამ განაჩენმა პაციენტი სრულიად არ ააღელვა, ქალს, ჩანს, რაღაც ეჭვი აღეძრა და ჰკითხა: _ რამდენი თვეა, რაც ტანი არ დაგიბანიათ?

_ კბენამდე სამი კვირით ადრე ვიბანავე. მერე კი მეშინოდა, ჭრილობა არ გამებინძურებინა, წთელი ქარი არ შემყროდა... სერიოზული ადგილია...

ბეითელმა შეაჩერა:

_ ეს ადგილი, მართლაც სერიოზული გაქვთ... ტელევიზორივით (დიდი ხუმარა ვინმე იყო ეს სიმპათიური ბეითალი).

www.PDF.ChiaturaINFO.GE

_ ეგ რა ჩაგიდენიათ! _ შესძახა ექიმმა ქალმა, როცა ერთხელ კიდევ დახედა ჭრილობას. _ პუნქტში! პუნქტში! პუნქტში! ახლავე დავუწყოთ ცოფის საწინააღმდელო შრატის შეშხაპუნება... მუცელში... ექვსი თვის განმავლობაში.

_ გაგიჟდით?! _ აღრიალდა ცუდი კაცი.

_ სულაც არ გავგიჟებულვართ, _ მშვიდად მოუჭრა ბეითალმა. _ თუ არ დაგვემორჩილებით, ძალას ვიხმართ, მილიციას მივმართავთ, რაკი ასეთი უვიცი კაცი ყოფილხართ, შინიდან წაგიყვანენ.

_ მე ვარ უვიცი?! _ შესძახა კაცმა. _ მერედა, იცით, თავის დროზე სად ვმუშაობდი?!

_ ეგ მე არ მეხება, _ უპასუხა ექიმმა ქალმა და უფრო მკაცრად დაუმატა: _ პუნქტში!

ახლა დამსმენს განსაზღვრულ დღეებსა და საათებში ნემსი უნდა გაეკეთებინა. ეს რა ხათაბალაში ჩავარდა: ძაღლი უკანალში ეცა. ექიმებმა კი მუცელში ნემსის ჩხვლეტა დაუნიშნეს.

შემდეგ კი, აი, რა მოხდა:

ღმერთმა იცის, სად დაუახლოვდნენ ერთმანეთს ეს კაცი და ის საძაგელი დედაკაცი, მაგრამ როგორღაც დაუახლოვდნენ. იქნება დიდი ხანია იცნობდნენ ერთმანეთს (ალბათ, ასე იყო). იმ დღეს კი ქუჩაში შეხვდნენ. ასეთები შორიდან სცნობენ ერთმანეთს, როგორც მეთევზე _ მეთევზეს, ბრიყვი _ ბრიყვს, ცილისმწამებელი _ ცილისმწამებელს. შეხვდნენ და ლაპარაკი დაიწყეს. გამოირკვა, რომ კაცისთვის შავყურა ძაღლს ეკბინა და გვერდულად ამიტომ დადიოდა.

_ ვიცი ეს ძაღლი! ღმერთმანი, ვიცი! _ ადუდღუნდა დედაკაცი. _ მეც მიკბინა.

კაცმა იცოდა, რომ ქალი ტყუოდა, მაგრამ ასე კი უთხრა:

_ განცხადება დავწერე, რომ დაიჭირონ და მოსპონ. ასე მიკარნახებს სინდისი.

_ სწორად უკარნახია! _ აღფრთოვანებით დაუდასტურა დედაკაცმა:

_ თქვენც დაწერეთ... თუ, რა თქმა უნდა, პატიოსანი ადამიანი ხართ.

_ მე? მე უკან არ დავიხევ!

და ქალმა იმავე საბეითლო პუნქტში იმავე დღეს მიიტანა განცხადება. გულის სიღრმეში კაცი ფიქრობდა (თავისთვის, რა თქმა უნდა): «რაკი იცრუე, იმ ექიმებმა შენც დაგინიშნონ მუცელში ნემსის ჩხვლეტაო». მას არ უყვარდა, როცა ტყუილს ეუბნებოდნენ, და ამით ამაყობდა. ასე რომ, დეიდაც გაება: კიოდა, იგინებოდა, იცრუა კიდეც, კერძოდ, ის თქვა, რომ პატარა ჭრილობა ჰქონდა და უკვე მოურჩა (ხელზე რომ ძველი ნაიარევი ჰქონდა, იმაზე უთითებდა). იმასაც ამბობდა, პატიოსანი საბჭოთა ქალი ვარ და საჩივარი საქმის სარგებლობისთვის დავწერე, ჰოდა, ამისათვის ნემსით უნდა დამსაჯონო.

საოცარია, მაგრამ, რატომღაც, დედაკაცი გაუშვეს, მისამართი ჩაიწერეს და უთხრეს, ხვალ სახლში მოვალთ ამ საქმის გამოსარკვევადო. ასეა თუ ისე, დედაკაცმა საშინლად შეიძულა ბიმი, ის კაციც, თუმცა, ნაკლებად, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ დღეში ჩააგდო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ორი ასეთი განცხადების გამო ორი დღის შემდეგ საოლქო გაზეთში გამოქვეყნდა ასეთი განცხადება:

«საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ უჯიშო, შავყურა სეტერი კბენს ხალხს. ვინც ამ ძაღლის ადგილსამყოფელი იცის ან ვისაც მან უკბინა, ვთხოვთ, გვაცნობოთ, ამა და ამ მისამართით... რათა იგი დავიჭიროთ ანალიზისათვის და აღმოვფხვრათ შესაძლებელი შედეგები. მოქალაქენო! გაუფრთხილდით თქვენსა და სხვების ჯანმრთელობას, არ დამალოთ»... და ა. შ.

უახლოეს დღეებში მოქალაქეთა აუარებელი წერილი მოვიდა. ერთ-ერთში ასეთი რამ ეწერა:

«...ამა წლის ამა და ამ თვის ამა და ამ რიცხვში სადგურის მიმართულებით გარბოდა ძაღლი (უჯიშო, შავყურა სეტერი), ის ვერაფერს ამჩნევდა და სულ პირდაპირ მირბოდა, ჯანმრთელი ძაღლები ასე არ გარბიან, _ ისინი არც პირდაპირ და არც გეზად არ გადაირბენენ ხოლმე მოედანზე; არამედ გვერდს უქცევენ ყველა წინააღმდეგობას და საგანს, რომელიც კი გზაზე ხვდებათ. კუდი ძირს ჰქონდა დაშვებული და თავიც დაეღუნა. ზემონახსენები ძაღლი (უჯიშო, შავყურა სეტერი) სრულიად საშიშია, მას შეუძლია უკბინოს საბჭოთა კავშირის რომელსაც გინდათ მოქალაქეს, უცხოელ ტურისტსაც კი, რომლებიც ჩვენში ჩამოდიან, ამიტომ იგი უნდა დაიჭირონ და ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე მოსპონ, რაც მოხსენებულია თქვენი პატივცემული გაზეთის განცხადებაში».

პეტიციას თორმეტი კაცი აწერდა ხელს.

სხვა წერილებიც იყო (ყველას ხომ ვერ დაასახელებ). აი, მაგალითად, ასეთი: «სწორედ ასეთივე ძაღლი, მხოლოდ არა შავყურა, გარბოდა პირდაპირ, როგორც ის ძაღლი...» ანდა: «ქალაქი სავსეა ძაღლებით, რომელია მათში ცოფიანი და რომელი არა, ვერაფრით გაიგებს კაცი». ანდა კიდევ: «ის ძაღლი სულაც არ არის ცოფიანი, თვითონ თქვენ, ბეითლები ხართ ცოფიანები», ან: «თუ ოლქის აღმასკომს არ შეუძლია ფართო მასშტაბით დააყენოს წლების მანძილზე დაგეგმილი ძაღლების მოსპობა, მაშ, საით მივდივართ, ამხანაგო რედაქტორო? სად არის თქვენი გეგმა? სად არის ქმედითი კრიტიკა და რატომ არ უგდებთ მას ყურს? პურის გამოცხობა ვიცით, მშრომელი კაცის ჯანმრთელობის დაცვა კი _ არა, მე პატიოსანი კაცი ვარ და ყოველთვის სიმართლეს ვამბობ. არავისიც არ მეშინია, თქვენ კი ამ ჩემს სიტყვებს ჩაუკვირდით. არაქათი გამომელია: ვწერ, ვწერ, მაგრამ რა გამოდის? არაფერი».

ერთი სიტყვით, წერილი იმდენი მოვიდა, რომ დიდი დისკუსია გაიმართა, რის შედეგადაც გაზეთში დაიბეჭდა სარედაქციო წერილი «ტომი ბინაში», რომელშიაც მოყვანილი იყო პედინსტიტუტის დოცენტის წერილიდან ამოკრეფილი ადგილები. ის დოცენტი ძაღლებისმოძულე იყო. რატომ სძულდა ძაღლები, ეს ძნელი გასაგებია, მაგრამ მის აზრს უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის: თუ ისინი სწორად გაუგებდნენ მას, მშობელთა ჯანმრთელობაზე ზრუნვის გამო, ბავშვობიდანვე დაიწყებდნენ ძაღლების დახრჩობას. იმ კაცს კი, რომელსაც სახლში ძაღლი ეყოლებოდა, კოლექტიურად და ერთსულოვნად დაუწყებდნენ ყიჟინს ქუჩაში: უქნარა! (ასეთი სახელი უწოდა დოცენტმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხალხს, ვისაც ძაღლები უყვარს), «თხუპნია!» (ესეც დოცენტის შემოქმედების ნიმუშია).

როგორც უკვე ვთქვით, ყველა წერილის ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ ერთს კი მაინც მოვიყვანთ, უკანასკნელს. სულ ორი პწკარისაგან შედგებოდა. მკითხველი, უბრალოდ, კითხულობდა: «ორივე ყური რომ შავი ჰქონდეს, ისიც მოვკლათ?» ეს იყო სამყაროს აბსტრაქტული აღქმისაგან შორს მდგომი მკითხველი პრაქტიკოსი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს წერილი იმ სტატიაში არ მოხვდა, არც სხვა გაზეთებში, უპასუხოდაც კი დარჩა. წარმოგიდგენიათ, რა უპატივცემულობაა ადამიანის მიმართ!

არის, არის კიდევ გულისხმიერი მკითხველი, მადლობა უფალს, ასეთი ხალხი ჯერ არ გადაშენებულა. ასეთი მკითხველი არ გაუშვებს შემთხვევას, თავისი აზრი არ გამოთქვას და ყოველგვარი უმსგავსობა არ დადაღოს. ასე მოხდა ამ ჩვენს ამბავშიაც: ბიმს უკვე მთელ ქალაქში ეძებდნენ, ცილი დასწამეს კარგ ძაღლს, მერედა, რისთვის? კარგი: ვთქვათ, უკბინა, ვთქვათ, ეს მართალია, გარემოება კი, რა დროსაც უკბინა, და ისიც, რომ ცოფიანია, _ ეს ხომ მტკნარი სიცრუეა. მზრუნველმა მკითხველმა, მისდა უნებურად, ყველაფერი ერთმანეთში აურია: მას აზრადაც არ მოსვლია, რომ ეს ცილისწამება იყო, ცილისწამებას კი, თუმცა მოკლე, მაგრამ მაგარი ფეხები აქვს.

მაგრამ რედაქტორმა დროზე შეამჩნია, რომ ეს დისკუსია სტიქიური იყო, როგორც ჩანდა, დაკბენილმა კაცმა გამოიწვია და, ორგანიზებული კი არა, თვითდინებადი გახლდათ. ამიტომ ბრძნულად მოიქცა: ნონპარელით დაბეჭდილი განცხადება მოათავსა გაზეთში (ასეთი შრიფტით დაბეჭდილ განცხადებას წაუკითხავად არ დატოვებს არც ერთი ერთგული მკითხველი): «შავყურა ძაღლი დაჭერილია. რედაქცია წყვეტს დისკუსიას ამ საკითხზე. ხელნაწერებს არ ვაბრუნებთ».

რედაქტორი იუმორისტი იყო, რასაც «მებრძოლი მკითხველი» ვერ იტანს.

მაგრამ ეს მართალი არ გახლდათ. ბიმი არავის დაუჭერია. უბრალოდ, ტოლიკმა სკოლაში რომ გაიგო განცხადების ამბავი, საღამოთი ბეითალის ბინა იპოვა, მივიდა და დარეკა, როცა კარი გაუღეს, უთხრა:

_ შავყურასაგან ვარ ბიმისაგან.

საკითხი მაშინვე გაირკვა: მეორე დღეს ტოლიკი ბიმთან წავიდა და წაიყვანა სამფეხა ძაღლი საბეითლო პუნქტში ბეითალთან. ექიმმა ძაღლი გასინჯა და თქვა:

_ მთელი ეს დისკუსია სიცრუე ყოფილა. ძაღლი ცოფიანი კი არა, ავადმყოფი, ნაცემი და დასახიჩრებულია. ეჰ, რა ხალხია! _ ამოიოხრა ბეითალმა.

სამაგიეროდ, გაუსინჯა გაჭეჭყილი თათი, მთელი სხეული. გამოუწერა მალამო და შინაგანი წამალი, გამოთხოვებისას კი ბიჭს ჰკითხა:

_ რა გქვია, ვაჟკაცო?

_ ტოლიკი.

_ კარგი ბიჭი ხარ, ტოლიკ, ყოჩაღ!

წასვლისას ბიმმაც მადლობა გადაუხადა ექიმს.

მაღალ, ვაჟკაცური შესახედაობის კეთილთვალებიან ექიმს წამლების სუნი ასდიოდა, თუმცა ავადმყოფი არ იყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

«კარგი კაცი ხართ, _ ანიშნა ბიმმა კუდითა და თვალებით. _ ძალიან კარგი!»

*

...ჩემო მეგობარო მკითხველო! შენ კი არა, რომელიც ფიქრობ, რომ თუ ცილისწამებით სავსე წერილი არ გაგზავნე სადაც ჯერ არს, ძაღლები შეჭამენ ყველა მოქალაქეს. არა, შენ არა. მე მივმართავ სხვას, ჩემს მკითხველს. მაპატიე, რომ ძაღლზე დაწერილ ლირიკულ-ოპტიმისტურ მოთხრობაში ზოგჯერ ორიოდე სატირულ სურათს ჩავურთავ, ამას შემოქმედების კანონების დარღვევად ნუ ჩამითვლი, რადგან ყოველ მწერალს თავისი «კანონები» აქვს. ჟანრების აღრევასაც ნუ დამაბრალებ, რადგან თვით ცხოვრება _ აღრევაა: სიკეთე და ბოროტება, ბედნიერება და უბედურება, სიცილი და მწუხარება, სიმართლე და სიცრუე გვერდიგვერდ ცხოვრობენ და ისე ახლოს, რომ ზოგჯერ მათი ერთმანეთისაგან გარჩევა ძნელია. უფრო ცუდი იქნებოდა ჩემთვის, რომ ჩემს ნაწერში ნახევრად სიმართლე შეგემჩნია. ნახევრად სიმართლე ნახევრად ცარიელ კასრსა ჰგავს. ნახევრად ცარიელ და ნახევრად სავსე კასრს შორის განსხვავების მტკიცებას კი აზრი არა აქვს.

მთავარი ის არის, რომ მე მომხრე ვარ, ვწერო ყველაფერზე და არა მხოლოდ ერთსა და იმავეზე. ერთსა და იმავეზე წერა მავნებელია. აბა, თავად იფიქრე! მხოლოდ სიკეთეზე რომ წერო, ეს ბოროტებისათვის მონაპოვარია, ბრწყინვალე რამ; მხოლოდ ბედნიერება რომ აღწერო, ხალხი უბედურებას ვეღარ დაინახავს და, ბოლოს და ბოლოს, ვეღარც კი შეამჩნევს მას; მხოლოდ სერიოზულ მშვენიერებას რომ უმღერო, ხალხი აღარ დასცინებს უმსგავსობას.

თავი მეათე
ფ უ ლ ი თ

ტოლიასა და სტეპანოვნას ზრუნვის წყალობით, ბიმი თანდათან გამოკეთების გზას დაადგა. ორიოდე კვირის შემდეგ კი თათმა მოშუშება დაიწყო, თუმცა გაბარდღნილი და, სხვებთან შედარებით, ფართო გახდა, ბიმი უკვე ცდილობდა მასზე დაებიჯებინა, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ძლივს აბიჯებდა. ტოლიას მიერ დავარცხნილმა ბალანმა ბიმს უკვე წესიერი შესახედაობა მისცა. მაგრამ თავი კი გამუდმებით სტკიოდა: იმ ბოროტი კაცის ცემის შემდეგ შიგ თითქოს რაღაც აერია. ზოგჯერ ბიმს თავბრუ ესხმოდა, მაშინ ის ჩერდებოდა, გაოცებული ელოდა, რა მოუვიდოდა, მაგრამ მერე კი, ღვთის წყალობით, ახალ შეტევამდე ყველაფერი გაუვლიდა ხოლმე. ასე ემართება უსამართლობით ტრავმირებულ ან გაოცებულ ადამიანსაც; ერთბაშად კი არა, მოულოდნელად, რამდენიმე ხნის შემდეგ უცბად ყურები წივილს დაუწყებს, თავბრუ დაესხმის, გული გადაუქანდება, ბარბაცით შეჩერდება და გაოცებული, მწუხარედ ელოდება, რა მოუვა. შემდეგ ყველაფერი გაუვლის და ზოგჯერ აღარც გაუმეორდება. ყველაფერი ხდება და ყველაფერი გაივლის ხოლმე. ადამიანი იგივე ცხოველია _ ოღონდ უფრო მგრძნობიარე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მხოლოდ გვიან შემოდგომაზე, როცა მაგარმა სუსხმა დაჰკრა, ბიმი ოთხივე ფეხზე დადგა, ოღონდ, ცოტა კოჭლობდა _ რატომღაც ფეხი დაუმოკლდა. დიახ, ბიმი ხეიბარი დარჩა, თუმცა თავის ტკივილის საქმე თითქოს მოუწესრიგდა. ჭეშმარიტად: ყველაფერი ხდება და ყველაფერი გაივლის ხოლმე.

მაგრამ პატრონი მაინც არა და არ ჩანს, წერილის ფურცელსაც დიდი ხანია აღარაფრის სუნი აღარა აქვს და კუთხეში გდია, როგორც ჩვეულებრივი, ყოვლად უმაქნისი ქაღალდი, ბიმს ისევ შეეძლო პატრონი ეძებნა, მაგრამ სეირნობის დროს ტოლიკი არასოდეს ხსნიდა თასმას. ბიჭს ისევ ეშინოდა გაზეთის განცხადებისა და იმ საძაგელი კაცისა. გამვლელ-გამომვლელებიც ზოგჯერ ეკითხებოდნენ: «ეს ის შავყურა ცოფიანი ძაღლი ხომ არ არისო». ბიჭი არაფერს პასუხობდა, სწრაფად გაეცლებოდა და თან უკან-უკან იხედებოდა. მას შეეძლო ეთქვა: «ის არ არისო», _ ჰოდა, მორჩებოდა და გათავდებოდა, მაგრამ სიცრუე არ ეხერხებოდა და თავისი გრძნობების დამალვაც არ შეეძლო _ შიშის, ეჭვის და სხვა გრძნობებისა; პირიქით, ყველაფერს პირდაპირ, დაუფარავად ამჟღავნებდა: სიცრუეს სიცრუეს ეძახდა, სიმართლეს კი _ სიმართლეს. უფრო მეტიც. მასში იუმორის გრძნობა აღიძრა, როგორც სამართლიანობის გამოთქმის ერთ-ერთი საშუალება, ნამდვილი იუმორისა, რომლის დროსაც სასაცილო რამეზე სრულიად უღიმღამოდ ლაპარაკობენ, თუმცა ამ გრძნობის პატრონი შეიძლება თავის გულში თითქმის ტიროდეს. ამისი პირველი გამოვლინება იყო ის საკლასო თხზულება, რომლის არსი თვითონაც არ ესმოდა. მას ჯერჯერობით წესიერად არაფერი ესმოდა, მხოლოდ ბუნდოვნად ხვდებოდა ზოგ რამეს.

ამგვარად, სპორტულ საშემოდგომო შარვალსა და ყვითელ ფეხსაცმელში გამოწყობილი ბიჭი, რომელსაც ბეწვის საშემოდგომო ქუდი ეხურა, ყოველ საღამოს ერთი და იგივე გზით სეირნობდა კოჭლ ძაღლთან ერთად. ისეთი კოხტა და სუფთა იყო, ყველა შემხვედრი ფიქრობდა: «მაშინვე ეტყობა, კულტურული ოჯახიდანაა»-ო.

იმისი მარშრუტის ახლოს მცხოვრები ხალხი თანდათან ეჩვეოდა მას, ზოგიერთი კი ერთმანეთს ეკითხებოდა: «ნეტავი ვისია ასეთი კარგი და წყნარი ბიჭიო».

ტოლიკი ძალიან დაუმეგობრდა სტეპანოვნას შვილიშვილს, თავის ტოლს, წყნარ, მოკრძალებულ ქერა ლუსიას, თუმცა რატომღაც ეუხერხულებოდა სასეირნოდ ისიც წაეყვანა. სამაგიეროდ, ივან ივანიჩის ბინაში ბავშვები ეთამაშებოდნენ ბიმს, ძაღლიც ერთგულებით, სიყვარულითა და დაჟინებული ყურადღებით პასუხობდა მათ. სტეპანოვნაც იქვე იჯდა საქსოვით ხელში და ხარობდა მათი ცქერით.

ერთხელ ბიმს ფეხებსა და კუდზე ბეწვს ვარცხნიდნენ. ამ საქმიანობაში რომ იყვნენ, ლუსიამ ჰკითხა ტოლიკს:

_ მამაშენი აქ, ამ ქალაქშია?

_ აქ არის, მაგრამ დილაადრიან სამსახურში მიჰყავთ, გვიან ღამე კი ისევ მოჰყავთ. საშინლად იღლება! ამბობს: «ნერვები დამაწყდაო!»

_ დედა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

_ დედას არასოდეს სცალია. არასოდეს. ხან მრეცხავი ჰყავს, ხან იატაკის მწმენდავი, ხან მკერავი, ხან კი დაუსრულებლად რეკავს ტელეფონი _ მოსვენება არა აქვს. მშობელთა კრებაზეც კი ვერ დადის ხოლმე.

_ ძნელია, _ ოხვრით, გულწრფელად და სევდიანად დაუდასტურა ლუსიამ. ტოლიკსაც მხოლოდ იმიტომ შეეკითხა, რომ ყოველთვის თავის დედ-მამაზე ფიქრობდა. ამიტომ იყო, რომ უთხრა: _ ჩემი დედ-მამა კი შორს არის, თვითმფრინავით წავიდნენ. მე და ბებია მარტონი დავრჩით.

ტოლიკი გაოცებით მისჩერებოდა სტეპანოვნასა და ლუსიას: მისთვის სრულიად გაუგებარი იყო, როგორ შეიძლებოდა, დედ-მამას შვილთან არ ეცხოვრა.

სტეპანოვნამ თვალებში შეატყო, რას ფიქრობდა ბიჭი. _ წასვლაც არ შეგვიძლია: ბინას უნდა გავუფრთხილდეთ, თორემ... წაგვართმევენ. ახლა ამ ბინასაც უნდა ვუყარაულოთ, ვიდრე ივან ივანიჩი ჩამოვა. მაშ, როგორ? სხვანაირად როგორ შეიძლება, ჩვენ ხომ მეზობლები ვართ.

ბიმი დააკვირდა სტეპანოვნას და მიხვდა: ივან ივანიჩი სადღაც არის! მაგრამ სად? უნდა ეძებოს, ეძებოს, და მან ხვეწნა დაუწყო, გარეთ გაეშვათ. მისი სურვილი განუხორციელებელი დარჩა. ძაღლი კართან დაწვა და ლოდინი დაიწყო. თითქოს იქ მყოფთაგან აღარავინ სჭირდებოდა. ლოდინი! აი, მისი ცხოვრების აზრი. უნდა ეძებოს და ელოდოს.

ტოლიკმა შეამჩნია, რომ სიტყვას «მეზობლები» ბებია სტეპანოვნა სწორად არ ამბობდა, მაგრამ ახლა, პირველი შეხვედრისაგან განსხვავებით, ხმა არ ამოუღია, რადგან უკვე პატივსა სცემდა მოხუცს, თუმცა, რომ გეკითხათ, ვერ გეტყოდათ, რისთვის, ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ ლუსიას კარგი ბებია იყო. აი, ბიმსაც ხომ უყვარს სტეპანოვნა. ტოლიკმა ასეც ჰკითხა ძაღლს:

_ ბიმ, სტეპანოვნა გიყვარს?

ბიმმა არათუ ყველას სახელი იცოდა და ესმოდა, რომ ყველა სულიერს სახელი ერქვა, თვით ქეციან ძაღლსაც კი, ბავშვები რომ ეტყოდნენ, ამისა და ამის ფლოსტი მოიტანეო, სწორედ იმისას მოიტანდა. ამიტომ ახლაც, ტოლიკისა და სტეპანოვნას გამოხედვასა და მოხუცის ღიმილზე მიხვდა, საქმე ბებია სტეპანოვნას ეხებოდა, ჰოდა, მივიდა და კალთაში ჩაუდო თავი.

წინათ სტეპანოვნა გულგრილად ექცეოდა ძაღლებს (ძაღლი ძაღლია, სხვა არაფერი!), ბიმმა კი თავი შეაყვარა თავისი გულკეთილობით და თავისი მეგობარი ადამიანისადმი ნდობითა და ერთგულებით.

გულთბილმა და საყვარელმა ოთხმა არსებამ შეიყარა თავი სხვის ბინაში _ სამმა ადამიანმა და ერთმა ძაღლმა. სტეპანოვნაც მშვიდად და გულდაჯერებულად გრძნობდა თავს. ამაზე მეტი რა უნდა ადამიანს სიბერეში.

შემდეგ, მრავალი წლის შემდეგ, ტოლიკს ხშირად გაახსენდება ეს საღამოს საათები და ღია იასამნისფერი ფანჯარა. გაახსენდება, რა თქმა უნდა, გაახსენდება, თუ მისი გული ღია დარჩება ადამიანისთვის და უნდობლობის წურბელა არ მიეკვრება მას. მაგრამ ამ დროს უცბად მოაგონდა:

_ ცხრა საათზე შინ უნდა ვიყო. ზუსტად ცხრაზე უნდა დავიძინო ლუსია, ხვალ. სახატავ რვეულს და ჩეხურ ფერად ფანქრებს მოგიტან. ასეთი ფანქრები არც ერთ მაღაზიაში არა აქვთ, ფულითაც კი ვერსად იყიდი. საზღვარგარეთულია!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

_ მართლა? _ გაუხარდა ლუსიას.

_ მამამ იცის, სად დადიხარ? _ ჰკითხა ბიჭს სტეპანოვნამ.

_ ა-რა, რა იყო?

_ უნდა უთხრა. უეჭველად უნდა უთხრა, ტოლიკ.

_ რომ არ მეკითხება? არც დედა მეკითხება. ცხრა საათისათვის ყოველთვის შინა ვარ.

ტოლიკი რომ მიდიოდა, ბიმი ძალიან სთხოვდა, გამიშვიო, მაგრამ ამაოდ. უფრთხილდებოდნენ და ეცოდებოდათ, იმას კი არ ფიქრობდნენ, რომ იტანჯებოდა და, თუმცა ისინი უყვარდა, მეგობრის ნახვა ქვეყანას ერჩივნა.

მეორე დღეს ტოლიკი არ მოვიდა. მერე, როგორ ელოდა ლუსია, ელოდა, რომ მოუტანდა ალბომს და ფანქრებს, რომლებიც მაღაზიაში არ იშოვება და ფულითაც ვერსად იყიდი. გოგომ ბიმსაც რამდენჯერმე გაუმეორა:

_ ტოლიკი არ ჩანს, ტოლიკი არ მოდის.

ბიმი, რა თქმა უნდა, მიხვდა, რატომ შფოთავდა გოგონა, ტოლიკის მოსვლის დროც გავიდა, ამიტომ იყო, რომ ისა და ლუსია ფანჯრიდან იცქირებოდნენ და ბიჭის მოსვლას მოუთმენლად ელოდნენ. მაგრამ ტოლიკი არ ჩანდა.

«ალბათ, მამას უთხრა», _ გაიფიქრა სტეპანოვნამ, ხმამაღლა კი თქვა:

_ ესეც შენი ძაღლი... უტოლიკოდ გაგვიჭირდება, ვინ ატარებს ბიმს?

ლუსიას გული შეეკუმშა, იგი ცუდს უგრძნობდა.

_ გაგვიჭირდება, დაეთანხმა ბებიას ათრთოლებული ხმით.

ბიმი გოგოსთან მივიდა, სახეზე აფარებულ მის პატარა ხელებს შეხედა და წაიყმუვლა (ნუ, ლუსია, ნუ), მას გაახსენდა, როგორ იჯდა მაგიდასთან სახეზე ხელებაფარებული ივან ივანიჩი. ეს ცუდ რამეს ნიშნავდა _ ბიმმა ეს იცოდა. ბიმი ასეთ შემთხვევაში პატრონთან მივიდოდა ხოლმე, პატრონი კი თავზე ხელს გადაუსვამდა და ეტყოდა: «გმადლობ, ბიმ, გმადლობ». აი ახლა ლუსიამაც სახიდან ხელი ჩამოიღო და ბიმს თავზე გადაუსვა.

_ აი, ეგრე, ლუსენკა, აი, ეგრე. ტირილი რა საჭიროა. ტოლიკი მოვა. მოვა, ნუ დარდობ, ჩემო კარგო, ტოლიკი მოვა.

ბიმი კოჭლობით მივიდა კართან, თითქოს სურდა ეთქვა: «ტოლიკი მოვა. წავიდეთ, მოვძებნოთ».

_ გარეთ გასვლას თხოულობს, _ თქვა სტეპანოვნამ. _ უკვე მესმის მისი. გაუყვანლობაც არ იქნება, ცოცხალი არსებაა...

ლუსიამ თავი ჯიუტად ასწია და მისთვის უჩვეულო მტკიცე ხმით თქვა:

_ მე თვითონ გავასეირნებ.

სტეპანოვნამ უცბად შეამჩნია, რომ გოგო დღითი დღე იზრდებოდა, და მასაც გული დასწყდა, რომ ტოლიკი არ მოვიდა.

...ქუჩაში ძაღლიანი გოგონა მიდიოდა. მას სამი ბიჭი შეხვდა.

_ გოგო, გოგო, _ არატრატდა ჩოფურა, წითური ბიჭი, _ შენი ძაღლი გოგოა თუ ბიჭი?

_ ბრიყვო! _ მოკლედ უპასუხა ლუსიამ.

სამივენი ლუსიასა და ბიმს შემოეხვივნენ. გოგონა მზად იყო ატირებულიყო უზრდელობისაგან, რასაც პირველად გადაეყარა ცხოვრებაში, მაგრამ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როცა დაინახა, რომ ბიმს ქეჩოზე ბალანი ყალყზე დაუდგა და თავი დაბლა დასწია, უცბად გული გაუმაგრდა და დაიყვირა:

_ გასწით აქედან!

ბიმმა ისე დაიყეფა და გაიწია, რომ ბიჭები აქეთ-იქით გაიფანტნენ. საკუთარი შიშის გამო ნაწყენმა ჩოფურამ კი პრანწიას ხმით შორიდან დაუძახა ლუსიას:

_ ე! ე! ხვადიანო გოგო! ე! უსირცხვილო! ე! ე!

ლუსია სახლისაკენ გაიქცა. ბიმიც, რა თქმა უნდა, გაჰყვა. თავის სიცოცხლეში ნახა პატარა ცუდი ადამიანი. ეს იყო ჩოფურა ბიჭი.

ამის შემდეგ ბიმს ძველებურად ისევ მარტოკას უშვებდნენ გარეთ. პირველად ლუსიაც გაჰყვებოდა ხოლმე, კუთხეში დადგებოდა და ბიჭივით სტვენდა, რომ ძაღლი შორს არ წასულიყო. შემდეგ სტეპანოვნა მარტოს უშვებდა დილაადრიან. ამის შემდეგ სულ მარტოკა სეირნობდა, საღამოთი კი ბრუნდებოდა და ჭამდა.

მაგრამ ყველაფერი ბედია! ერთხელ, გზაჯვარედინზე, ტრამვაის ხაზს რომ კვეთდა, ვიღაცამ დაუძახა:

_ ბიმ!

ძაღლმა მოიხედა. ტრამვაის კარიდან ნაცნობი მძღოლი ქალი იხედებოდა.

_ ბიმ, გამარჯობა!

ბიმი მივარდა და თათი გაუწოდა, ეს ხომ ის კეთილი ქალი იყო, ავტობუსის გაჩერებამდე რომ მიჰყავდა ხოლმე სანადიროდ მიმავალი ბიმი და მისი პატრონი. ის არის, ის!

_ დიდი ხანია აღარ მინახავს შენი პატრონი ივან ივანიჩი, ავად ხომ არ გახდა?

ბიმი შეკრთა: ამ ქალმა იცის ყველაფერი, ვინ იცის, იქნებ მასთანაც მიდის!

ვაგონი რომ დაიძრა, ძაღლი კიბეებს გადაევლო და შიგ შეხტა. ერთმა მგზავრმა ქალმა საშინლად იკივლა, მამაკაცი კი აღრიალდა («გასწი აქედანო»), ზოგიერთი ბიმს თანაუგრძნობდა და იცინოდა. მძღოლმა ვაგონი გააჩერა, კაბინიდან გამოვიდა, მგზავრები დაამშვიდა (ბიმმა ეს შეამჩნია) და ძაღლს უთხრა:

_ წადი, ბიმ, წადი, არ შეიძლება, _ თან ხელი მსუბუქად წაჰკრა და დაუმატა: _ უპატრონოდ არ შეიძლება. ივან ივანიჩის გარეშე არ შეიძლება.

რა გაეწყობა. რაკი არ შეიძლება, ბიმი დაჯდა, ცოტა ხანს იჯდა და შემდეგ წასული ტრამვაის მიმართულებით წაძუნძულდა, აქ დადიოდნენ ხოლმე ის და მისი პატრონი, აქ, ზუსტად აქ: აი, მოსახვევი კოშკთან, აი, მოგუშაგე მილიციელი, _ აქ იყო, აქ! ბიმი ტრამვაის ხაზს მისდევდა, მოსახვევშიაც კი არსად გადაჭრიდა ხოლმე: მილიციელმა დაუსტვინა. ბიმმა შეუჩერებლივ უკან მიიხედა და გზა განაგრძო. ის პატივს სცემდა მილიციელებს: მათ არასოდეს უწყენინებიათ, ისიც ახსოვდა, როგორ მიიყვანეს პირველად მილიციაში, _ ჭკვიან ძაღლს არაფერი დავიწყებია, _ იქიდან ის და დაშა შინ წავიდნენ და ყველაფერი კარგად დამთავრდა. უფრო მეტიც, მას ბევრჯერ უნახავს ძაღლიანი მილიციელი. ძაღლი შავი იყო, ერთი შეხედვით, თით-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქოს მეტისმეტად დინჯი, ერთხელ გაეცნო კიდეც ტროტუარზე: ივან ივანიჩ-მა და მილიციელმა ერთმანეთთან მიუშვეს ისინი და საშუალება მისცეს, საუბრით გული მოეჯერებინათ.

«ტყის სუნი ასდის», _ თქვა შავმა ძაღლმა და მილიციელს შეხედა.

_ გუშინ სანადიროდ ვიყავით, _ დაუდასტურა ივან ივანიჩმა.

«რა სუფთა ხარ!» _ უთხრა ბიმმა შავ ძაღლს, როცა დაყნოსვის კანონიერ პროცედურას ამთავრებდა.

«მაშ, სხვაგვარად როგორ შეიძლება? ასეთი სამუშაო მაქვს», _ მოჭრილი კუდის ქიცინით უპასუხა შავმა.

მომავალი მეგობრობის ნიშნად მათ ხელიც კი მოაწერეს ერთსა და იმავე ხის ძირას.

არა, მილიციელი კარგი კაცია, ძაღლები უყვარს, ასეთ რამეში ბიმს ვერ მოატყუებ.

და ისიც ნელ-ნელა გარბოდა, გარბოდა ტრამვაის ხაზის გასწვრივ, რადგან ახსოვდა, რომ რკინის ზოლზე ფეხის დადგმა არ შეიძლება _ იმწამსვე მიგასრესს.

ბოლო გაჩერებასთან ტრამვაის ხაზის წრეს შემოუარა და გაჩერდა. ცოტა ხანს იჯდა, იქაურობა მიათვალიერ-მოათვალიერა, ნახა, გარშემო კარგი ხალხი იყო. დიახ, სწორედ ასე გახლდათ. ეს უკვე კარგად ენიშნა. ივან ივანიჩი და ის, ამ ადგილას გადადიოდნენ ხოლმე ქუჩაზე და, აი, იქით მიდიოდნენ, სადაც ბოძია დარჭობილი, ზედ კი პატარა ფიცარია მიკრული. ბიმი აუჩქარებლად წავიდა და ავტობუსის მომლოდინე ხალხის მოკლე რიგის გვერდით დაჯდა. დააკვირდა: ცუდი ხალხი არ იყო.

ავტობუსი რომ მოვიდა, რიგი კარში შესრიალდა. ბიმიც ხალხს მიჰყვა, ის ყველაზე ბოლოს მიდიოდა, როგორც მორიდებულ ძაღლს შეჰფერის.

_ შენ საით! _ დაიღრიალა მძღოლმა, მაგრამ ერთხელ კიდევ რომ შეხედა, ჩაიმღერა: _ მოიცა, მოიცა, შენ ხომ გიცნობ!

ბიმი ზუსტად მიხვდა, რომ ეს ის მეგობარი იყო, პატრონს რომ ქაღალდი გამოართვა, და კუდი გააქიცინა.

_ ვახსოვარ ამ სამაგელს! _ შესძახა მძღოლმა. შემდეგ ცოტა იფიქრა და ბიმი კაბინაში მიიწვია: _ ჩემთან!

ბიმი კაბინაში დაჯდა, თან კედელს მიეკრა, რომ მძღოლისათვის ხელი არ შეეშალა. ძაღლი ღელავდა, რადგან ეს ხომ სწორედ ის მძღოლი იყო, ისინი რომ ოდესღაც ტყეში მიჰყავდა სანადიროდ.

ავტობუსი ქოთქოთებდა, მიდიოდა და მიდიოდა, მხოლოდ იმ ადგილას გაყუჩდა, სადაც ბიმი და მისი პატრონი ჩამოდიოდნენ და ტყისკენ მიემართებოდნენ ხოლმე. ბიმს ცეცხლი მოეკიდა! კარს ფხაჭნიდა. წკავწკავებდა. ითხოვდა: «გამიშვი, გამიშვი, სწორედ აქა მაქვს საქმეო».

_ იჯექი! _ მკაცრად შეუყვირა მძღოლმა.

ბიმი დაემორჩილა. ავტობუსი ისევ აქოთქოთდა. ერთი მგზავრი მივიდა მძღოლთნა, ბიმზე მიუთითა და ჰკითხა:

_ შენია?

_ ჩემია, _ უპასუხა მძღოლმა.

_ გაწვრთნილია?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

_ ნაკლებად... მაგრამ ჭკვიანია. აბა, უყურე: დაწექი! _ მიმართა ძაღლს.

ბიმი დაწვა.

_ იქნებ მომყიდო. ჩემი მომიკვდა, მე მწყემსი ვარ, მეცხვარე.

_ მოგყიდი.

_ რამდენი გინდა?

_ ოცდახუთი მანეთი.

_ ოჰო! _ თქვა მგზავრმა და მოშორდა, მანამდე კი ბიმს ყურზე ხელი მოუთათუნა და თქვა: _ კარგი ძაღლია, კარგი.

ეს კეთილი სიტყვები ბიმს კარგად ესმოდა, პატრონიც ამავე კეთილ სიტყვებს ეტყოდა ხოლმე, ამიტომ უცხო კაცის ნათქვამზე კუდი გააქიცინა.

ახლა ბიმმა უკვე არ იცოდა, სად მიდიოდა, მაგრამ სარკმელში იცქირებოდა და გზას ათვალიერებდა, როგორც ყოველი ძაღლი, რომელიც ახალ ადგილებში პირველად მგზავრობს: ასეთია ძაღლის წესი _ ის ყოველთვის კარგად იმახსოვრებს უკან დასაბრუნებელ გზას. საუკუნეების მანძილზე ადამიანებმა მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც დაკარგეს ეს ინსტინქტი, რაც ძალიან სამწუხაროა: უკან დასაბრუნებელი გზის დახსომება მეტად სასარგებლოა.

ერთ-ერთ გაჩერებაზე ის კარგი კაცი, ბალახების სურნელი რომ ასდიოდა, ავტობუსიდან ჩავიდა. მძღოლიც ჩაჰყვა, ბიმი კი ავტობუსში დატოვა, ძაღლი თვალს არ აშორებდა მათ. აი, მძღოლმა ბიმზე მიუთითა, შემდეგ კარგ კაცს მხარზე მოჰკიდა ხელი, კაცმაც გაუღიმა, ქაღალდები ამოიღო და მძღოლს მისცა, მერე ზურგჩანთა გადაიკიდა, კაბინაში შევიდა, ქამარი მოიხსნა, ძაღლს საყელურში ჩააბა და უთხრა:

_ აბა, წავიდეთ, _ შემდეგ კი, ავტობუსს ცოტაზე რომ დაშორდა, მობრუნდა და იკითხა: _ რა ჰქვია?

მძღოლმა კითხვის თვალით შეხედა ჯერ ბიმს, მერე მყიდველს, და მტკიცედ უპასუხა:

_ შავყურა.

_ სხვისია, ხომ? გამოტყდი.

_ ჩემია, ჩემი. შავყურა ჰქვია, შავყურა.

ამგვარად, ბიმი ფულზე გაყიდეს.

ძაღლს ესმოდა, სხვა რამე ხდებოდა, სულ სხვა რამე. მაგრამ კაცი, ბალახების სურნელი რომ ასდიოდა, კეთილი ადამიანი ჩანდა, და ცუდ გუნებაზე დამდგარი ბიმი გვერდით გაჰყვა მას.

დიდხანს იარეს ხმაამოუღებლად. უცბად იმ კაცმა პირდაპირ ბიმს მიმართა:

_ არა, შენ შავყურა არა გქვია: ძაღლს ასეთ სახელს არ არქმევენ. პატრონი თუ გამოგიჩნდა, იმ ჩემს თხუთმეტ მანეთს დამიბრუნებს, რა თქმა უნდა, დამიბრუნებს.

ბიმი გვერდზე თავგადაგდებული მისჩერებოდა იმ კაცს, თითქოს უნდოდა ეთქვა: არ მესმის შენი, არაო.

_ შენ კი, ჩემო ძმაო, ეტყობა, ჭკვიანი ძაღლი ხარ, კარგი.

აი, კაცმა კიდევ ერთხელ წარმოთქვა სიტყვები, რომლებსაც ხშირად ამბობდა ხოლმე ივან ივანიჩი. ბიმმა მადლობის ნიშნად კუდი გააქიცინა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

_ რაკი ასეა საქმე, იცხოვრე ჩემთან, _ დაასკვნა კაცმა და გზა განაგრძეს. გზაში ბიმმა ორიოდეჯერ სცადა, არ გაჰყოლოდა, თასმას ჭიმავდა და უკან იხედებოდა, (თითქოს ამბობდა: გამიშვი, ჩემი გზა იქით არისო).

კაცი ჩერდებოდა, ხელს უსვამდა ძაღლს და ეუბნებოდა:

_ წამოდი, წამოდი...

სულ ცოტა რამ იყო საჭირო, ბიმს ორიოდეჯერ უნდა ჩაევლო კბილი ქამრისათვის და შუაზე გადაეკვნიტა, მაგრამ მან იცოდა: საბელი იმისთვის არის, რომ ძაღლი ატარონ, და ძაღლმაც უნდა იცოდეს, დადგენილზე არც შორსა და არც ახლოს არ უნდა იაროს. ამიტომ თხოვნას თავი დაანება.

ჯერ ტყე-ტყე მიდიოდნენ. ყინვით დამშვიდებული, შიშველი, გათოშილი ხეები ჩაფიქრებულიყვნენ და მდუმარედ იდგნენ. ტყეში დამჭკნარი, სუსტი, დაბურული და მოსაწყენი ბალახი იყო. ბიმს გულზე სევდა მოაწვა.

შემდეგ დაიწყო შემოდგომის რბილი და საამური ნათესი, რომელიც ხალიჩასავით ეფარა დედამიწას. ბიმს გულზე მოეშვა. აქ უკვე თვალშეუდგამი სივრცე და უკიდეგანო ცა იყო. ძაღლის გვერდით მიმავალი კაცი მხიარულად სტვენდა. ასეთი რამ ყოველთვის კარგი იყო ივან ივანიჩის დროს. მაგრამ როცა გზა მზრალად მოხნულზე გადავიდა, პეიზაჟი ისევ მოსაწყენი გახდა: ცარცისწინწკლებიანი, შავ-რუხი მიწა დაიწყო, თანაც დაფშვნილი, მტვრად ქცეული, გაცვეთილი მიწა ალა-ალაგ ნახევრად მკვდარსა ჰგავდა.

კაცი გზიდან გადავიდა, მზრალად მოხნულს დაჰკრა და ამოიოხრა:

_ არ ვარგა, ჩემო ძმაო, _ უთხრა ბიმს. _ შავი ქარიშხლის ბრალია. არ ვარგა, არა.

სიტყვა «არ ვარგა» ბიმს ბევრჯერ გაუგონია თავისი პატრონისაგან. მან იცოდა, რომ ეს ნიშნავდა მოწყენილობას, სევდას ანდა იმას, რომ რაღაც ისე არ იყო, როგორც საჭიროა, სიტყვები «შავი ქარიშხალი» კი მან გაიგო, როგორც «შავყურა», მისთვის უცნობი ინტერპრეტაციით. ამ სიტყვას რომ მიწასთან რაღაც საერთო ჰქონდა, ეს ბიმისათვის მიუწვდომელი იყო. ჩანდა, კაცი მიხვდა ამას.

_ რა თქმა უნდა, შენ ძაღლი ხარ და ამისი არაფერი გაგეგება, მაგრამ ვის ვუთხრა? ჰოდა, ამიტომ შენთან ვჩივი, შავყურა... მოიცა, მოიცა! _ კაცმა ძაღლს შეხედა და დაუმატა: _ კარგი, შავყურა გერქვას. რაკი ეს სახელი ვთქვი, დაე, ეგრე იყოს.

მერე რა? ჯერ კიდევ სოფელში მისვლამდე ბიმმა იცოდა, რომ ახლა შავყურა იყო: კაცი მრავალჯერ ალერსიანად იმეორებდა:

_ შავყურა, ეს კარგია. _ ანდა: ყოჩაღ, შავყურა, კარგად მომდევ. _ ან ამის მსგავს რამეს, მხოლოდ აუცილებლად უმატებდა: «შავყურაო»

ამრიგად, ხალხმა ფულზე გაყიდა ბიმის კეთილი სახელი. კიდევ კარგი, რომ ბიმმა ეს არ იცოდა, როგორც არ იცოდა ის, რომ იმ ქაღალდებისათვის ზოგ ადამიანს შეუძლია გაყიდოს სინდისი, ერთგულება და გული. ნეტარ არს ძაღლი, რომელმაც ეს არ იცის!

მაგრამ ახლა ბიმმა უნდა დაივიწყოს თავისი სახელი.

რა გაეწყობა, როგორც ჩანს, ეს ასე უნდა ყოფილიყო, მაგრამ თავის მეგობარ ივან ივანიჩს კი ვერასოდეს დაივიწყებს. თუმცა სხვა ცხოვრება დაიწყო,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომელიც წინანდელს სულ არ ჰგავდა. მაგრამ მისი დავიწყება მაინც არ შეეძლო.

თავი მეთერთმეტე
შავყურა სოფლად

სოფელმა, სადაც ბიმი მიიყვანეს, გააოცა, აქაც ხალხი ცხოვრობდა, მაგრამ, ყველაფერი სულ სხვაგვარი იყო, ვიდრე იქ, სადაც დაიბადა და გაიზარდა. პატარა სახლები ზედ მიწაზე იდგა, კიბის ბაქნები არსად იყო, არც მრავალი ზღურბლი, კარების საკეტებსაც ტკაცანი არ გაჰქონდა, თუმცა ღამით კარებს შიგნიდან ურდულით კეტავდნენ, ყველა სახლი წიბოვანი მორუხო-მოთეთრო ფურცლებით იყო დახურული. დილით ყველა სახლიდან ერთსა და იმავე დროს ამოვიდოდა ხოლმე კვამლი, მაგრამ ეს პატარა სახლები არც არსად გარბოდნენ და არც მიფრინავდნენ, ჩამწკრივებულები იყვნენ და მშვიდად და წყნარად იდგნენ თავისთვის, არც ღრჭიალებდნენ.

მაგრამ ყველაზე საოცარი ბიმისათვის (ახლა შავყურასათვის) იყო ის, რომ აქ, ადამიანების გვერდით, ცხოვრობდნენ ძროხები, ქათმები, ბატები, ცხვრები, ღორები, რომელთა გაცნობა ერთბაშად როდი მომხდარა. ცხოველებს ადამიანების ყოველ პატარა სახლს უკან ჰქონდათ თავისი პატარა სახლები, რომლებიც ნამჯით, ზოგჯერ კი ლელით იყო დაფარული, გარშემო კი გამჭვირვალე კედელი ჰქონდა შემოკრული: ჯოხებისა და ფიჩხებისაგან მოწნული. აქ არავინ არავის არაფერს ერჩოდა _ არც ხალხი _ ცხოველებს და არც ცხოველები _ ხალხს, არც არავინ არავის ესროდა თოფს.

პირველ დღეს ბიმს წინკარის კუთხეში დაუგეს თივა. კაცმა თოკით დაბა, კარგად აჭამა, ლაბადა ჩაიცვა და სადღაც წავიდა, დღის დანარჩენი ნაწილი ბიმმა სიმარტოვესა და სიჩუმეში გაატარა. დაბინდებისას მას მოესმა, როგორ შემოვიდნენ ეზოში ფეხების ბაკუნით ცხვრები, როგორ დაიზმუვლა თავლაში ძროხამ (ეტყობა, რაღაცას ითხოვდა) და მალე ისევ ის კაცი შემოვიდა, მაგრამ მარტო კი არა, პატარა ბიჭი ახლდა, ბიჭს ლაბადა ჰქონდა მოხურული, ქუდი ეხურა, ხელში კი გრძელი ჯოხი ეჭირა. მასაც იმ კეთილი კაცივით გარუჯული სახე ჰქონდა, ცხვრის სუნი ასდიოდა.

_ აბა, ალიოშა, ნახე შენი ახალი ამხანაგი, _ უთხრა კაცმა ბიჭს.

ისინი ახლოს მივიდნენ ბიმთან.

_ მამილო, არ მიკბენეს?

_ არა, ალიოშა, ასეთებმა კბენა არ იციან... ეჰ, შე შავყურა... შავყურა კარგი ძაღლია. _ და კაცმა მსუბუქად მიუტყაპუნა ხელი ფერდებზე.

ბიმი იწვა და ყურდაცქვეტილი ათვალიერებდა ბიჭს. ბიჭმაც ხელი გადაუსვა.

_ შავყურა... შავყურა... _ და უფროსს მიმართა: _ მამილო, რომ ავხსნა არ გაიქცევა?

_ ჯერ ცოტა მოვიცადოთ, _ უთხრა მამამ და შიდა კარში შევიდა.

ბიმი წამოიწია, დაჯდა და ბიჭს თათი გაუწოდა, ამით მას სურდა ეთქვა: «გამარჯობა, კარგი ბიჭი ხარ».

_ მამილო! _ დაიყვირა ბიჭმა, _ მამილო, ერთი აქ მოდი!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კაცი დაბრუნდა:

_ გამარჯობა, შავყურა, _ უთხრა ბიჭმა და ხელი გაუწოდა.

ბიმი ერთხელ კიდევ მიესალმა. ორივე ადამიანს აშკარად მოეწონა ძაღლის გაზრდილობა. გაცნობის ამ პირველ წუთებს მნიშვნელობა ჰქონდა ბიმისათვის: მან გაიგო, რომ იმას, ვინც აქ მოიყვანა, «მამილო» ერქვა, ბიჭს კი _ ალიოშა. ჩვეულებრივი, სრულიად უბრალო ქოფაკებიც კი მალე იგებენ ადამიანის სახელებს, ბიმი კი... ეჰ, რა სალაპარაკოა! ჩვენ ხომ უკვე ვიცით, რა ძაღლიც იყო.

შემდეგ სულ რომ მოსაღამოვდა, დედაკაცი მოვიდა. უცნაურად ეცვა: თავზე ორი თავშალი ჰქონდა შემოხვეული, დაბამბული ჯუბა დოლივით ეკრა ტანზე, შარვალი ისეთივე ეცვა, როგორც იმ კეთილ დედაკაცს რკინიგზაზე, ომბოხებს რომ აჭედებდა. მაგრამ ამას მიწისა და ჭარხლის სუნი სდიოდა (იმ ტკბილი ფესვისა, რომელზედაც ზოგჯერ ბიმიც კი არ ამბობდა უარს). დედაკაცი შინ შემოვიდა, რაღაცა უთხრა ქმარს და მაშინვე წინკარიდან ეზოში გააბოტა ვედროთი ხელში. ბიმმა აქვე, ფეხმოუცვლელად, დაადგინა, რომ ერთი კარი წინკარიდან ქუჩაზე გადიოდა, მეორე _ პირუტყვისაკენ, მესამე კი _ შინ. _ მაგრამ ვერც ერთს ვერ მისწვდებოდა _ თოკი არ უშვებდა. აი, ეს იყო ყველაფერი, რაც ჯერჯერობით გაიგო.

ისევ დაწვა.

ეზოდან ცხვრის სუნი შემოდიოდა, მძაფრი სუნი. რას წარმოადგენენ ცხვრები, ეს ბიმმა დიდი ხანია იცოდა. წინათ ფიქრობდა, რომ ცხვრები ფარებად ცხოვრობენ, მინდორში დადიან, არაფერს აკეთებენ, მხოლოდ ჭამენ და ბღავიან. გვერდით კი ყოველთვის ბრეზენტისლაბადიანი, კომბლიანი კაცი მისდევს, ერთხელ ასეთი კაცი მივიდა ბიმთან და ივან ივანიჩთან, როცა ისინი თავის ბულულთან ისვენებდნენ, და ხელი ჩამოართვა ივან ივანიჩს, კაცს გაბურძგნილი ძაღლი ახლდა. ეს ძაღლი ბიმმა უჩვეულოდ გაიცნო. პირველად ბურძგნია საშინელი ყეფით გამოქანდა მისკენ, მაგრამ ბიმი გულაღმა დაწვა, ორივე თათი ასწია და უთხრა: «რა მოხდა? განა დავაშავე რამე?»

თავაზიანობამ, რა თქმა უნდა, აჯობა უხეშობას და გაბურძგნილმა ძაღლმა ენა აუსვა ბიმს, ცოტა გვერდზე გადგა და ქვაზე ხელი მოაწერა. ბიმმაც იგივე გააკეთა, ერთი სიტყვით, ეს ნიშნავდა: ზავი-ზავს. და ვიდრე ბიმის პატრონი იმ ძაღლის პატრონს ელაპარაკებოდა, ბევრი ირბინეს და ითამაშეს. ბიმი თავის ახალ ნაცნობზე იმდენად უფრო სწრაფი და მოქნილი აღმოჩნდა, რომ მისი დაუფარავი პატივისცემა დაიმსახურა. განშორების დროს (თავ-თავიანთ პატრონებს უნდა გაჰყოლოდნენ) ქვა დასუნეს, ერთმანეთს შეხედეს და გააგებინეს:

«ოდესმე აქ მოდი», _ უთხრა ბიმმა და ხტუნვა-ხტუნვით პატრონს გაჰყვა.

«ეჰ, მუშაობას რა ვუთხრა...» _ თქვა ბურძგნიამ და თავჩაქინდრულმა ზოზინით გასწია ფარისაკენ.

ასე იყო. აი, ახლაც ცხვრის სუნი მოდის, მეხსიერების ამაფორიაქებელი სუნი, რომელიც ივან ივანიჩს ახსენებს: სხვის წინკარში, სხვის სახლში, ბინდში მარტო დარჩენილ ბიმს გულზე ნაღველი შემოაწვა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შემდეგ მას მოესმა, როგორ რიტმულად შხრიალებდა რკინის ჭურჭელში რაღაც ნაკადი: შხრი-შხრი! შხრი-შხრი! ბიმმა არ იცოდა, რას ნიშნავს ეს «შხრი-შხრი! შხრი-შხრი!» უცნობი ხმები შეწყდა და მაშინვე ეზოდან შემოვიდა დედაკაცი იმავე ვედროთი ხელში. ვედროდან კი რძის სუნი ამოდიოდა. რა გემრიელი სუნი იყო. ქალაქში ბიმს რძის სუნი არასოდეს სცემია, არასოდეს _ ეს სულ სხვა იყო, მაგრამ მაინც რძეა _ ნამდვილად რძე. ქალაქში რძეს ადამიანის ხელისა და სხვადასხვა სასიამოვნო ბალახის სუნი არ უდის, ძროხისა ხომ, მით უმეტეს, _ აი, რა არის საოცარი... აქ კი ყველაფერი ეს ჩინებულ სურნელებად ქცეულიყო, რომელიც აოცებდა თავისი მომხიბლავი, რაღაც მოვარდისფრო სურნელებით. მოდი, ნუ ვიკამათებთ; თუკი ზოგჯერ ადამიანი არჩევს რძეს «რძისაგან», მაშ, როგორ არ გაარჩევდა ჩვენი ბიმი, რომელსაც ზემოშორეული ყნოსვა ჰქონდა; როგორ არ გაოცდებოდა იმ სუნით, რომელშიაც ადამიანის ხელების სურნელება არეული იყო ყვავილებისა და ბალახების სურნელებასთან. ამიტომ იყო, რომ სწრაფად წამოხტა და დედაკაცს კუდი გაუქიცინა. მაგრამ, არა მგონია, ქალს ბიმის აღტაცება გაეგო.

თავისი ხანგრძლივი ოთხი წლის ცხოვრების მანძილზე ძაღლს, სამწუხაროდ, არასოდეს ენახა, როგორ წველიდნენ ძროხებს. რძეს კი მაინც ძროხის სუნი ასდიოდა. ბიმისათვის ისევ გაურკვეველი იყო რაღაცა, მან რაღაც არ იცოდა. თუმცა, ყოველმა ძაღლმა ბევრი რამ არ იცის, და თუ რომელიმე ძაღლმა თქვა, ყველაფერი ვიცი და შემიძლია სხვებს ვასწავლო, როგორ და რა გააკეთოს ან სად გაიქცესო, ამას ქათამიც კი არ დაუჯერებს, მე კი გეტყვით, რომ არიან ასეთი ძაღლები, მაგალითად, სკოტ-ტერიერი აიღეთ: ისეთი შესახედაობა აქვს, თითქოს შტერი თავი სხვადასხვა იდეებით ჰქონდეს გამოტენილი (წვერი, გრძელი ულვაში და წარბები აქვს. ფილოსოფოსია, რა!), სინამდვილეში კი ბენტერაა, მბრძანებლობს, ნერვული ავადმყოფივით დღენიადაგ პატრონს ეჩხუბება და უსაზღვროდ მელაკუდობს. მერე, რა ჭკუაა? არავითარი! მხოლოდ გარეგნობა აქვს, მეტი არაფერი. შიგნით კი ბუმბული უყრია, ანდა სულ არაფერი.

არა, ბიმი სულ სხვა ვინმეა: ბიმი გულწრფელია და გულმართალი, თუ რამ არ იცის, არც დამალავს: რაც არ ვიცი, არ ვიციო თუ ვინმე არ უყვარს, ასეც ეტყვის: «ცუდი კაცი ხარ. გასწი აქედან! ჰამ!» და ზოგჯერ ისე დაჰყეფს, რომ ღმერთმა დაგიფაროს.

დედაკაცისათვის, რომელიც სადღაც ასეთ ღვთაებრივ რძეს შოულობდა, არ შეეძლო პატივი არ ეცა. ამიტომ იყო, რომ თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა კარს, რომელშიაც ის ქალი გავიდა ვედროთი ხელში.

მაგრამ ქუჩიდან ვიღაც მოადგა კარს და ერთბაშად შემოაღო.

«ვინა ხარ?» _ ჰკითხა ბიმმა და დაჰყეფა.

შემოსული წინკარიდან ისევ უკან გადაქანდა. კარებიდან მამილო გამოვარდა, სინათლე ჩართო და იკითხა:

_ ვინა ხარ?

_ მე ვარ, ბრიგადირი, _ უპასუხა უცნობმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შემდეგ ბრიგადირი წინკარში შემოვიდა. მამაკაცებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს (მაშასადამე, მეგობრები ყოფილან, ყეფა არ შეიძლება) და ბიმთან მივიდნენ.

მამილო ბიმთან ჩაცუცქდა, ზურგზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

_ ყოჩაღ, ყოჩაღ, შავყურა. ყოჩაღი ყოფილხარ, შენი საქმე გცოდნია. კარგი ძაღლი ხარ. თოკი მოხსნა და ოთახში შეუშვა.

მთავარი ის არის, რომ ოთახში კოჭლი ქათამიც იყო. _ ბიმმა შეხედა, ნაბული გააკეთა, წინა თათი ასწია, თუმცა გაუბედავად, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ იქ დამსწრეთ ეკითხებოდა: «ეს რა ფრინველია? ასეთი ჯერ არსად შემხვედრია...»

_ შეხედე, ბრიგადირო! _ შესძახა მამილომ. _ ეს ხომ ოქრო ძაღლია, ყველაფერი იცის!

მაგრამ რადგან ქათამმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია ბიმს, ძაღლი დაჯდა, თუმცა მაინც ცერად მისჩერებოდა ქათამს, რაც მის ძაღლურ ენაზე მოკლე და მრავლისშემცველ სიტყვებს ნიშნავდა: «დახე... ერთი ამას დამიხედეთ!.. დაიცა, მე შენ!» შემდეგ მიბრუნდა და იქ მყოფებს შეხედა.

_ ქათმებსაც ხელს არ ახლებს! _ შესძახა აღტაცებულმა ალიოშამ.

ბიმი ყურადღებით მისჩერებოდა ბიჭს სახეში.

_ თვალები! შეხედე, რა თვალები აქვს, დედი! ადამიანივით, _ ხარობდა ალიოშა. _ შავყურა, მოდი, მოდი... ჩემთან მოდი!

განა ბიმს არ ახარებდა ხოლმე სხვისი ჭეშმარიტი სიხარული? ადგა, ალიოშასთან მივიდა და გვერდით მიუჯდა.

ადამიანები მაგიდას მიუსხდნენ. ლაპარაკი დაიწყეს. მამილომ ერთ ბოთლ არაყს თავი მოხსნა. დედილომ საჭმელი მოიტანა, ბრიგადირმა ჭიქა ბოლომდე დაცალა, მამილომაც, დედილომაც. ბიჭმა შუა ოთახში დაუგდო პურის ნაჭერი, მაგრამ ბიმი ადგილიდან არ დაძრულა (ხომ უნდა ეთქვათ, «აიღეო!»).

_ ჩანს, ინტელიგენტია, _ შენიშნა სახეწამოწითლებულმა ბრიგადირმა, _ პურს არ ჭამს.

ქათამი კოჭლობით მივიდა და ბიმისათვის განკუთვნილი პური წაიღო. ყველას გაეცინა. ბიმი კი დიდი ყურადღებით მისჩერებოდა ალიოშას: აბა, რა დროს სიცილია, როცა მეგობრობის ვითარებაშიაც კი არ არსებობს ურთიერთგაგება.

_ დაიცა, ალიოშა, _ თქვა მამილომ, პურის ნატეხი იატაკზე დადო, ქათამი გააგდო და პირდაპირ ბიმს მიმართა: _ აიღე, შავყურა, აიღე!

ბიმმა სიამოვნებით გადასანსლა პურის გემრიელი ნატეხი, თუმცა არ შიოდა.

ბრიგადირმაც ასევე დაუგდო შაშხის ნაჭერი, თან გააფრთხილა:

_ არ შეიძლება!

ბიმი ერთ ადგილას იჯდა. ქათამი კოჭლობით, გვერდულად მიუახლოვდა შაშხს, ის-ის იყო ნისკარტი უნდა ეტაცა, რომ ბიმმა შეუფხუკუნა და კინაღამ ცხვირი ატაკა, ქათამი საწოლქვეშ შევარდა, ერთი სიტყვით, კომედია იყო.

_ შავყურა, აიღე! _ დართო ნება ბრიგადირმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბიმმა ზრდილობიანად შეჭამა ეს ნაჭერიც.

_ მორჩა! _ დაიძახა მამილომ. ის ხმამაღლა ლაპარაკობდა და, რომ წამოწითლდა, კიდევ უფრო გულკეთილი გახდა. _ შავყურა ნამდვილი სასწაულია, _ |თქვა და ძაღლს მოეხვია.

«კარგი ხალხია», _ გაიფიქრა ბიმმა... მამილოს ულვაშიც მოეწონა, ფაფუკი, რბილი; ეს მან მაშინ იგრძნო, როცა მამილო მოეხვია.

შემდეგ კი ისეთი საუბარი გაიმართა, რომლიდანაც ბიმმა მხოლოდ ერთი სიტყვა გაიგო _ «ცხვრები». სამაგიეროდ, ზუსტად განსაზღვრა რომ დასაწყისში ორი მამკაცი რაღაცაზე კამათობდა.

_ აბა, ხრისან ანდრეევიჩ, მოდი, საქმეზე ვილაპარაკოთ, _ ბრიგადირმა მხარზე ხელი ჩამოადო მამილოს. _ ცხვარს ჭამა ხომ უნდა?

_ უნდა, _ უპასუხა მამილომ. _ მე პირველ ოქტომბრამდე უნდა მემწყემსა. პირველმა ოქტომბერმა კი უკვე გაიარა.

_ ცხვარი კერძოა. კოლმეურნეებმა ყურები წაიღეს: თოვლი ჯერ არ მოსულა, საკვები ფეხქვეშაა, თოვლის მოსვლამდე ცხვარი საძოვარზე უნდა იყოსო. მართალს ამბობენ.

_ თოვლის მოსვლამდე ცხვარმა... მე, რა, რკინისა ხომ არა ვარ? ალიოშკაც რკინისა ხომ არა გგონია?

_ თოვლის მოსვლამდე, ხრისან ანდრეევიჩ, თოვლის მოსვლამდე, _ იმეორებდა ბრიგადირი, _ ორმაგ ხელფასს დაგინიშნავთ, გესმის? ორმაგს.

_ არ მინდა, არა, _ ამბობდა მამილო. _ დედაკაცი ჭარხალში ჩამჟავდა _ უნდა მივეხმარო, შენ კი მეუბნები: «თოვლის მოსვლამდეო».

მაგრამ მაინც ხელი ხელს დაჰკრეს და მორჩნენ ცხვარსა და თოვლზე ლაპარაკს. ლაპარაკის შემდეგ სამივემ პარმაღამდე გააცილა ბრიგადირი, ბიმი კი დაავიწყდათ.

მაგრამ ისიც გამოვიდა პირმაღზე, ეზოს შემოურბინა, ღობის უკან გაჩერდა, ცოტა ხანს ასე იდგა, შემდეგ ცხვრის სუნი შეისუნთქა, რასთანაც დაკავშირებული იყო ერთადერთ საყვარელ ადამიანზე მოგონება, და გაუბედავად დაჯდა.

ღამეა. შემოდგომის ბნელი ღამე სოფლად; წყნარი, მომავალი ზამთრის გამო განაბული, თუმცა მის შესახვედრად მომზადებული ღამე. ბიმისათვის ყველაფერი უცნობია ამ ღამეს. ძაღლებს საერთოდ, არ უყვართ ღამით მგზავრობა (გარდა მაწანწალა ძაღლებისა, რომლებიც ადამიანს გაურბიან, რადგან მათდამი რწმენა დაკარგეს), ბიმი კი... აბა, რა სალაპარაკოა, ის ჯერ ეჭვობდა, ფიქრობდა, ალიოშაც ისეთი კარგი პატარა ბიჭი იყო.

ყოყმანი ალიოშას ხმამ შეაწყვეტინა.

შეშფოთებული ბიჭი ხმამაღლა ყვიროდა:

_ შავ-ყუ-რაა!

ბიმმა მიირბინა და ბიჭთან ერთად შევიდა წინკარში.

ალიოშამ თავის ადგილზე დააწვინა, ქვეშ თივა ამოუგო, მოეფერა და დასაძინებლად წავიდა.

ყველაფერი მიჩუმდა. არ ისმოდა არც ტრამვაის, არც ტროლეიბუსის, არც საყვირების ხმა _ ყველაფერი უჩვეულო იყო.

ახალი ცხოვრება დაიწყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დღეს ბიმმა გაიგო, რომ მამილო არის ხრისან ანდრეევიჩი. და კიდევ _ მამა, დედილო კი _ პეტროვნა. მხოლოდ ალიოშა ალიოშაა, სხვა არაფერი. გარდა ამისა, ქათამი არ ეჯავრებოდა, თუმცა პატივსაც არ სცემდა: ძაღლის ჭკუით, ფრინველი აუცილებლად უნდა ფრინავდეს, ეს კი მხოლოდ დადიოდა და ამიტომ პატივისცემის ღირსი არც იყო, როგორც უფრთო და, ამასთან, დეფექტური. მაგრამ, აი, ცხვრები ივან ივანიჩს აგონებენ; ალიოშასაც ცხვრის სუნი სდის... პეტროვნასაგან მიწისა და ჭარხლის სუნი სცემს.. მიწის ამგვარი სურნელება კი ყოველთვის აღელვებდა ბიმს. ვინ იცის, იქნებ ივან ივანიჩიც მოვიდეს აქ...

ბიმი ჩათბუნდა სურნელოვან თივაში და დაიძინა. ასეთ თივაში, რომლის სუნიც უნებლიე ღიმილს იწვევს, ადამიანიც კი მაშინვე იძინებს, ხოლო ჩაძინების წინ ნედლი თივის სურნელებისაგან თვალში ცისფერი სინათლე უდგება. ბიმს ადამიანზე ბევრად უკეთესი ყნოსვა ჰქონდა, ამიტომ ამ სურნელების უნაზესი ელფერიც კი ამშვიდებდა და აწყნარებდა მის სევდას.

უთენია მამლის ყივილმა გააღვიძა. ოდესღაც მას ბევრჯერ გაუგონია ყივილი, მაგრას ასე ახლოს პირველად ესმოდა _ მამალი იქვე, კედელს უკან ყიოდა ხმამაღლა, გაბმით და ამაყად: «ყიყ-ლიყო-ო». მას სოფლის ყველა მამალმა უპასუხა (ცოტა მოგვიანებით ბიმმა გაიგო, რომ ეს მამალი წამომწყები იყო, და რომ ასეთი მამლები მოჩხუბრები არიან). ბიმი იჯდა და ყურს უგდებდა ამ საოცარ მუსიკას. მუსიკა ტალღებივით გადადიოდა სოფლის თავზე, ხან ახლოს ისმოდა, ხან შორს. ეს, ალბათ, იმაზე იყო დამოკიდებული, ვისი რიგი დგებოდა, უკანასკნელად კი რომელიღაც უსუსურმა მამალმა დაიყივლა ხრინწიანად, როგორც არ ეკადრება პატივსაცემ მამალს. დრო რომ გაივლის, ბიმი მიხვდება, ასეთი მამლები ლაჩრები არიან და გაურბიან უცხო მამლებს, რომლებიც ეზოში შემოიჭრებიან ხოლმე, თუმცა, ქათამთა საზოგადოების ყველა წესის მიხედვით, ეს ლაჩარი ვალდებულია თავი გამოიდოს მისთვის დაქვემდებარებული ქათმებისათვის. ის კი გარბის, ის ბრიყვი, სამაგიეროდ, ასეთი მამალი დაუნდობელია სხვების წიწილების მიმართ, კორტნის, ის ლეში ისა. არც ერთი მამალი, თუ მას საკუთარი ღირსების გრძნობა გააჩნია, არასოდეს ჩაჰკორტნის საიდანღაც შემოხეტებულ წიწილას. აი სწორედ ასეთმა მამალმა დაიყივლა უკანასკნელმა და ისიც მაშინ, როცა, როგორც ჩანს, დარწმუნდა, დრო არ შემეშალაო. ხალხი ასეთ მამლაყინწას მეკონიუნქტურეს დაარქმევდა, ბიმს კი ეს ამბავი სასაცილოდ არ ჰყოფნიდა. ამასთან, ბიმს, გამოუცდელობის გამო, ვერ წარმოედგინა, რომ ასეთი უნიათო, ნახევრადმამლების მიხედვით, დროს არავინ ანგარიშობდა.

ბიმი დაწვა და ჩასთვლიმა. უცბად სოფლის ერთი თავიდან მეორემდე ისევ გადაიარა საგალობელმა. ბიმი ისევ დაჯდა და ისევ სიამოვნებით დაუგდო ყური. შემდეგ, უკვე მესამედ, გაისმა მამლების ყივილი; ახლა უფრო ძლიერი, ხმამაღალი და ამაღლებული იყო. აჰ! რა კარგად მღეროდნენ! ძალიან კარგად! იმის წარმოდგენა კი, რასაც ისინი იქ, იმ სიშორეზე სჩადიოდნენ, ძნელია! ბიმმა ჯერ არ იცოდა, რომ საკოლმეურნეო ფერმაში დაუწერელი ნოტებით ერთხმად გაჰკიოდნენ, მღეროდნენ თოვლივით თეთრი, თავდაჯერებული ლამაზი მამლები. ბიმი რომ წინკარში არ ყოფილიყო ჩამ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წყვდეული, უეჭველად გაიქცეოდა და თავისი თვალით ნახავდა, მოუსმენდა ამ სასწაულს. მაგრამ წინკარი მისთვის გალია იყო.

კარის ჭუჭრუტანაში თანდათანობით სუსტად აღწევდა შემოდგომის რუხი განთიადი. ბიმი ადგა და წინკარი მიათვალიერ-მოათვალიერა: აი, ხორბლით სავსე პატარა კასრი დგას, ერთ კუთხეში სიმინდის ტაროებია დაყრილი, მეორეში კი _ კობოსტო. ეს არის და ეს.

გამოვიდა პეტროვნა ვედროთი ხელში. ბიმი მიესალმა. ქალი ეზოში გავიდა, ბიმიც გაჰყვა. ქალი ძროხას მიუჯდა, ბიმი იქვე ახლოს ჩაცუცქდა. ვედროში რძის ნაკადი აჩხრიალდა. გაოცებულმა ბიმმა წინა თათები ააფათურა: რძე! ძროხა მშვიდად იდგა და თავისთვის ცოხნიდა, თითქოს ონკანებმოშვებული, ცოცხალი, სიმპათიური ცისტერნა ჩურჩულებს და ბუყბუყებსო.

პეტროვნა ძროხის წველას მორჩა, ბიმს დაუძახა («შავყურა»), ჯამში რძე ჩაუსხა და გააფრთხილა, «არ შეიძლება», ცოტა ხანს იდგა, მერე უთხრა: «აიღე», შემდეგ კი მხიარულად, გულკეთილად გაიცინა და შინ შევიდა.

აჰ, ღმერთო ჩემო, რა რძე იყო! თბილი, სურნელოვანი, ბალახის სუნიც ჰქონდა, ყვავილებისა და მინდვრისაც. ერთი სიტყვით, ყველაფრისა ერთად და, ამის გარდა (ახლა უკვე ნამდვილად იცოდა!), თვით პეტროვნას ხელებისა, და არა, საერთოდ, ადამიანის ხელებისა, როგორც ბიმს ეს გუშინ შორიდან მოეჩვენა. ბიმმა რძე ამოსვლიპა, ჯამი მოლოკა, ყველაფერი მოისაქმა და სწრაფად დაათვალიერა ეზო. ძროხამ სრული ნდობით მიიღო, თავიც კი მოულოკა, რის გამოც ბიმმა ენა მიადო მის ხორკლიან დრუნჩს, რომელსაც რძის სუნი უდიოდა, ცხვრებმა ტიხარს გადაღმა ფეხები დაუბაკუნეს, თითქოს დაემუქრნენ, მაგრამ მაშინვე დამშვიდდნენ, რადგან დარწმუნდნენ, რომ ძაღლს არავითარი აგრესიული განზრახვა არ ჰქონდა. ღორმა და ორმა გოჭმა პირველად ყურადღება არ მიაქციეს, უბრალოდ, ერთმანეთს შორის ირონიულად წაიღრუტუნეს და არც კი გაინძრნენ, თუმცა ბიმისკენ თავით იწვნენ, გისოსთან. ასე შეხვდნენ მას ოთხფეხნი, მაგრამ ქათმებმა კი _ აი, ეს იყო სანახავი! კერძოდ, თვით ქათმები კი არა, არა, მხოლოდ წითელი მამალი, როგორც კი ქანდარიდან ჩამოხტა, ფრთები ააფრთხიალა, ავად აქოთქოთდა: «ყო-ყო-ყო-ყო!» და ძერასავით ეცა ბიმს, წითელბიბილოიანი წითელი მამალი მკერდითა და ბრჭყალებით ეძგერა ძაღლს (აი, როგორი მამლებიც არიან ხოლმე!). ბიმმა დაუღრინა და თათი გაჰკრა. და იმავე წუთს ფრთებჩამოყრილი მამალი გულშემატკივრებით ეზოს კუთხეში თავშეყრილი დედლებისაკენ გაიქცა. ბიმისაგან დარცხვენილი გარბოდა, ქათმებთან კი გმირივით მივარდა. დაიყვირა კიდეც: «გაქვთ სიცოცხლე, მე მას მივცხე!» ქათმები, რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, ერთხმად აქებდნენ. და, წარმოიდგინეთ, ბიმი თვალმოუშორებლივ, პატივისცემითაც კი მიაჩერდა მას: ბიმს ჯერ არ ენახა, რომ ფრინველი ასე ვაჟკაცურად დასხმოდა თავს ძაღლს, ეს კი რაღაცას ნიშნავს.

_ რა ამბავია? _ იკითხა წინკარიდან ეზოში გამოსულმა ხრისან ანდრეევიჩმა. მერე ქათმებს მიუბრუნდა და დაუტატანა: _ ჰაიტ! ძაღლისა შეგეშინდათ, თქვე დამთხვეულებო?! _ ბიმს საყელურში ჩასჭიდა ხელი, ქათმებთან მიიყვანა, ცოტა ხანს მათთან გააჩერა და მერე გაუშვა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბიმი გვერდზე გადგა და ზურგი შეაქცია: ჯანდაბას ამათი თავი! მას შემდეგ არც მამალი და არც დედლები აღარ მისულან მასთან, თუმცა შიშით, მაინცდამაინც, არ ეშინოდათ _ მხოლოდ ზოგიერთი თუ ჩაიკაკანებდა და ბიმს გზას დაუთმობდა. ბიმს რა? ქათმები თავისთვის დადიან, არც ფრენენ, არც ცურავენ, არც არავინ ესვრის მათ, მაშასადამე, ფრინველები კი არა, რაღაც სასაცილო არსებანი არიან. მამალი კი სულ სხვა საქმეა: სახურავზედაც აფრინდება, თითქმის ბიმზე ადრე გააფრთხილებს ყველას, უცხო კაცი მოდისო, და ღირსეულადაც ხელმძღვანელობს თავის სამწყსოს _ ჭიას არ შეჭამს ისე, რომ ხელქვეითი არ მოიხმოს და ზოგჯერ არ გაუყოს კიდეც, ასე რომ, იგი არ არცხვენს თავის წოდებას.

რადგან ბიმს მთელი კვირა ეზოდან არ უშვებდნენ, თავისთავად ყველას უფროსი გახდა. შუა ეზოში დაწვებოდა და ყველაფერს თვალს ადევნებდა. მეოთხე დღეს უკვე ყველა ქათამს იცნობდა სათითაოდ, და არაერთხელ, როცა ღობეზე სხვისი ქათამი გადმოფრინდა, იმდენი არბენინა, იმდენი, რომ ქათამი კიდევ დიდხანს კაკანებდა და სადღაც გარბოდა, შემდეგ კი ისევ ბრუნდებოდა, ერთ ადგილს ტკეპნიდა, თან შიშითა და ცნობისმოყვარეობით უკან იხედებოდა. სასაცილო ამბები იყო.

გოჭმა, მაგალითად, თვითონ შესთავაზა მეგობრობა: ბიმთან მივიდა, ჩაიღრუტუნა, სველი დრუნჩი კისერში ოდნავ ატაკა და სულელური უფერული თვალებით მიაჩერდა. ბიმმა ცხვირ-პირი აულოკა. გოჭს ეს ძალიან მოეწონა: სიამოვნებისაგან ახტა და ბიმის გვერდით, თითქმის მის ქვეშ, მიწის ჩიჩქნა დაიწყო. ძაღლმა გულმოწყალედ შეინაცვლა ადგილი. გოჭი კი ისევ მიეტმასნა: რაღაც გაუგებარი ჩაიდუდღუნა (ღორებს და ძაღლებს არ ესმით ერთმანეთისა, როგორც უცხოელებისა), დაწვა და ბიმის თბილზეწვიან ზურგს მიეკრა. ამიტომ ერთ-ერთ ცივ დღეს, როცა ბიმი თავს კარგად ვერ გრძნობდა (წინკარის კარი ჩაკეტილი იყო, ძაღლს შინ შესვლა არ შეეძლო), ეზოში არავის გაჰკვირვებია, რომ რბილ საგებზე გოჭებს შორის გაგორებულ, ორთავ მხრიდან გამთბარ ბიმს ტკბილად ეძინა. ასეთი მეგობრობის წინააღმდეგი არც გოჭების დედა იყო, პირიქით, როცა ბიმი საღორეში შედიოდა, გოჭების დედა ენერგიულად ოხრავდა, ტკივილისა კი არა, მოწოლილი მეგობრული გრძნობის გამო. ღორის ენის თავისებურება ბიმმა სრულიად ადვილად გაიგო, თუმცა შემდეგში ამაზე მეტს ვერაფერს მიაღწია ენათმეცნიერებაში. იქნებ ენის ცოდნა საჭიროც არ არის. ძაღლი და ღორი სულ არ ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მათ, მშვიდობითა და თანხმობით იცხოვრონ.

ბიმს ძალიან კარგად აჭმევდნენ და უკვე წამოზრდილი გოჭებიც, მუცლამდე რომ სწვდებოდნენ, ნებას აძლევდნენ, ზოგჯერ ცოტა რამ მათი როფიდან მიერთვა. ყოველ დილით ბიმი სვამდა ერთ ლიტრამდე რძეს, რაც აქ არაფრად მიაჩნდათ. თითქოს მეტი რაღა უნდა ნდომოდა ძაღლს? მაგრამ ეზო მაინც ეზოა, იგივე გალიაა, ბანაკი, რომელსაც ღობე აკრავს და ჩაკეტილ-ჩარაზული დიდი და პატარა კარი აქვს. აბა, რა მონადირე ძაღლის საქმეა წოლა, ქათმების დარაჯობა, გოჭების აღზრდა, მით უმეტეს, ისეთი შესანიშნავი ყნოსვის პატრონისა, როგორიც ბიმი იყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ის უკვე მიეჩვია ეზოს, მის მოსახლეობასაც, მაძღრისად ჭამაც არ აოცებდა, მაგრამ როცა ქარი მინდვრიდან უბერავდა, მოუთმენლად დადიოდა ღობიდან ღობემდე ანდა ღობესთან უკანა თათებზე დგებოდა, თითქოს სურდა, ცოტათი ამაღლებულიყო, და ცას შესცქეროდა, სადაც მსუბუქი და თავისუფალი მტრედები დანავარდობდნენ. შიგნით რაღაც ეწვოდა და ბუნდოვნად ხვდებოდა, რომ ასეთი კარგი მოვლის დროს მაინც მთავარი რაღაც აკლდა.

...აჰ, მტრედებო, მტრედებო, არაფერი იცით მაძღარ ძაღლზე, რომელიც ტყვეობაში ცხოვრობს.

ბიმმა ისიც იგრძნო, რომ რაკი არ უშვებდნენ, მაშასადამე, არ ენდობოდნენ. ყოველ დილით ხრისან ანდრეევიჩი და ალიოშა, ლაბადმოსხმულები, ჯოხებით ხელში, ეზოდან ცხვარს გარეკავდნენ ხოლმე და მთელი დღე აღარ ბრუნდებოდნენ. ბიმი კი, რამდენიც არ უნდა ეხვეწა, არ მიჰყავდათ, შინ ტოვებდნენ.

და, აი ერთხელ ბიმი ღობეზე ცხვირმიდებული იწვა, ქარს კი ამბავი მოჰქონდა: აი, აქვე, მინდორია, სადღაც სულ ახლოს ტყეც არისო. გვერდით თავისუფლება იყო. ჭუჭრუტანაში ძაღლიც დაინახა, ღობესთან გაირბინა და ბიმმა ვეღარ მოითმინა, თათით მიწა გამოთხარა ღობის ძირას, მერე კიდევ და... შრომას შეუდგა. რაც ძალა და ღონე ჰქონდა, მიწას თხრიდა: წინა თათებით თხრიდა და ქვეშ იქცევდა, უკანა თათებით კი უკან ისროდა, გაბარდღნილი თათითაც კი მუშაობდა, თუმცა ისე მარჯვედ ვერა, როგორც დანარჩენებით.

არავინ იცის, შემდეგში რა მოხდებოდა, მაგრამ როცა ბიმმა ღობეს ძირი თითქმის გამოუთხარა, ეზოში ცხვრები შემოვიდნენ. რომ დაინახეს, ღობის ძირიდან მიწა წვიმასავით მოდისო, ჭიშკრისაკენ გაქანდნენ, სადაც ალიოშა იდგა, რომელმაც ფარა მოდენა. ცხვრებმა ალიოშა წააქციეს და გიჟებივით გაცვივდნენ ქუჩაში. ალიოშა გამოეკიდა, ბიმი კი ყურადღებას არაფერს აქცევდა; თხრიდა და თხრიდა.

მაგრამ ამ დროს მასთან ხრისან ანდრეევიჩი მივიდა და კუდში სწვდა. ბიმი მკვდარივით გაირინდა თავის სოროში.

_ მოგწყინდა, შავყურა?_ ჰკითხა ხრისან ანდრეევიჩმა და მსუბუქად გამოსწია კუდით, რითაც ბიმს ეუბნებოდა, გამოძვერიო.

ბიმი გამოძვრა. რა გაეწყობა, რაკი კუდით გეწევიან!

_ რა მოგდის, შავყურა! _ გაოცდა ხრისან ანდრეევიჩი და შეცბუნებულმა უკან დაიხია. _ ხომ არ გაცოფდი?

ბიმს თვალები ჩასისხლიანებული ჰქონდა, ნერვულად თრთოდა და აჩქარებით სუნთქავდა, თითქოს ეს-ეს არის დაძაბული ნადირობა დაემთავრებინოს. მერე მოუსვენრად დაიწყო ეზოში სირბილი და ბოლოს ჭიშკრის ფხოჭნას შეუდგა. ძაღლი ჭიშკარს ფხოჭნიდა და თან უკან იხედებოდა, ხრისან ანდრეევიჩს მისჩერებოდა.

ხრისან ანდრეევიჩი შუა ეზოში იდგა ჩაფიქრებული. ბიმი მასთან მივიდა, დაჯდა, და თვალებით სრულიად გარკვევით უთხრა: «გამიშვი, გამათავისუფლე!» ძაღლი მუცელზე დაწა და ისე ჩუმად, გულსაკლავად აწკმუტუნდა, რომ ხრისან ანდრეევიჩი ჩაცუცქდა და მოფერება დაუწყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

_ ეჰ, შავყურა, შავყურა... ძაღლსაც თავისუფლება სურს. რა თქმა უნდა სურს! _ შემდეგ ბიმი წინკარში შეიყვანა, თივაზე დააწვინა, თოკით დააბა და ხორციანი ჯამი დაუდგა.

ეს იყო და ეს. სევდის მომგვრელი ამბავია, არა? მაძღარმა, მაგრამ ტყვეობაში ცხოვრებამ თავი მოაბეზრა ბიმს.

ხორცს პირიც არ დააკარა.

თავი მეთორმეტე
გაშლილ მინდორში, უჩვეულო ნადირობა, გაქცევა.

დილით, ჩვეულებრივად, როგორც ეს ყოველდღე ხდებოდა ხოლმე, ხრისან ანდრეევიჩის სახლში ყველაფერი დადგენილი წესით განმეორდა: სამუშაო დღის ზამბარამ გაშლა დაიწყო. მამლების მესამე დაყივლებაზე ძროხამ დაიზმუვლა, პეტროვნამ მოწველა და ღუმელი დაანთო: ალიოშა გამოვიდა, რომ ახლა უკვე თავის საყვარელ შავყურას მოჰფერებოდა, მამილომ ძროხას და ღორებს საკვები მისცა, ქათმებს საკენკი დაუყარა, მერე ყველანი მაგიდას მიუსხდნენ და ისაუზმეს. იმ დილით ბიმი სურნელოვან რძესაც კი არ მიეკარა, თუმცა ალიოშა ბევრს ეხვეწა. შემდეგ, ვიდრე დედ-მამა ოჯახში ფუსფუსებდა, ალიოშამ წყალი მოიტანა, გომური გაწმინდა და კიდევ ერთხელ სთხოვა ბიმს, ეჭამა. ცხვირს ჯამში უყოფდა, მაგრამ მოულოდნელად შავყურა თითქმის უცხო გახდა. სამუშაოდ წასვლის წინ ხრისან ანდრეევიჩმა უზარმაზარი დანა გალესა და კარს ზემოთ შემოდო.

მზე რომ ამოვიდა, პეტროვნა თავის სქელ ტანსაცმელსა და შალებში გაეხვია, პარკი და ის უზარმაზარი დანა აიღო, რომელიც მამილომ გალესა და წავიდა. ალიოშამ და მამამისმაც ლაბადები ჩაიცვეს და ბიმმა გაიგონა, როგორ გარეკეს ცხვარი ეზოდან.

ნუთუ მარტო მიატოვეს, თანაც ნახევრად ბნელ წინკარში თოკზე მიბმული? ბიმმა ვერ მოითმინა და მწარედ და უიმედოდ აყმუვლდა.

და, აი, კარი გაიღო, ხრისან ანდრეევიჩი შემოვიდა, ბიმი აუშვა, პარმაღზე გაიყვანა, შემდეგ კარი გარედან ჩაკეტა და გასწია ცხვრებისკენ, რომელთა გვერდით ალიოშა იდგა. მამამ ბიჭს ხელიდან ხელში გადასცა თოკჩაბმული ბიმი, თვითონ კი ცხვრებს თავში მოექცა და დაიძახა:

_ ავედით, ავედით!

ცხვრები უკან გაჰყვნენ. გზადაგზა ეზოებიდან გამოსული ხან ხუთი, ხან ათი ცხვარი უერთდებოდა. ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, საკმაოდ დიდი ფარა შედგა. ყველაზე წინ ისევ ხრისან ანდრეევიჩი მიდიოდა, უკან კი _ ალიოშა ძაღლით.

ყინავდა. მშრალი დღე იდგა, მიწა მაგარი იყო, თითქმის ისეთივე, როგორც ასფალტი ქალაქში, მხოლოდ ოკრობოკრო, უცბად თოვლის ფანტელები წამოვიდა და ცოტა ხნით ისედაც ცივი მზე დაფარა, მაგრამ მაშინვე გადაიღო; არც შემოდგომა იყო, არც ზამთარი, ეს იყო დროთა დაძაბული შენაცვლება, როცა სადაცაა დადგებოდა ზამთარი, ყველა რომ ელოდება და მაინც მოულოდნელად მოდის ხოლმე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცხვრები მხნედ მიაბაკუნებდნენ და კიკინებდნენ, თავის გაბმულ ენაზე საუბრობდნენ, რომლის გაგება, სიმართლე გითხრათ, შეუძლებელია. ბიმი რომ დააკვირდა, შეამჩნია: ფარას მიუძღოდა, ხრისან ანდრეევიჩს ფეხდაფეხ მისდევდა რქადაგრეხილი ყოჩი, ყველაზე უკან კი, ალიოშას წინ, კოჭლი, პატარა ცხვარი მიდიოდა. ალიოშა ზოგჯერ კომბალს უბიძგებდა ხოლმე, რომ სხვებს არ ჩამორჩენოდა, და იძახდა:

_ მამილო, ნელა იარე! კოჭლი ვერ მოგდევთ!

ხრისან ანდრეევიჩიც ნაბიჯს უკლებდა. მასთან ერთად, მთელი ფარაც უკლებდა ნაბიჯს.

ბიმი თოკჩაბმული მიდიოდა და ხედავდა, რა დიდი ამბით მიაბიჯებდა ფარის თავში მამილო, როგორ ემორჩილებოდნენ ყოველ მის მოძრაობას ცხვრები და როგორი საქმიანი გამომეტყველებით ადევნებდა თვალს ალიოშა ყოველი მხრიდან ცხვრებს. აი, ერთ-ერთი ცხვარი ფარას ჩამოშორდა, განზე წავიდა და გაყვითლებულ ბალახს წიწკნა დაუწყო. ალიოშა ბიმთან ერთად გამოეკიდა და დაიძახა:

_ საით წახვედი?! და ცხვარს წინ თავისი კომბალი დაუდო.

ცხვარი დაბრუნდა, ამ დროს მარცხენა მხარეს სამმა ცხვარმა ერთბაშად დამოუკიდებლობა მოინდომა და მწვანე ლაქისაკენ გასწია, მაგრამ ალიოშა ისევ გაიქცა და თავის ადგილას ჩააყენა სამივე. ბიმმა მალე მოისაზრა, რომ არც ერთ ცხვარს უფლება არ ჰქონდა, დანარჩენებს ჩამოშორებოდა. და ალიოშა ერთხელ კიდევ რომ გამოეკიდა განზე წასულ ცხვარს, მაგრად დაუყეფა დისციპლინისა და წესრიგის დამრღვევებს: «ჰამ-ჰამ-ჰამ!» _ ალიოშასავით გაუჯავრებლად გააფრთხილა წესის დამრღვევი. მისი ყეფა ნიშნავდა: «საით წახვედი?!»

_ მამილო! გესმის?! _ დაიძახა ალიოშამ.

ხრისან ანდრეევიჩი მობრუნდა და დაიძახა:

_ ყოჩაღ, შავყურა!

ხევის ფერდზე მან თავზემოთ ასწია კომბალი და კიდევ ერთხელ ასევე ხმამაღლა დაიყვირა:

_ გაშალეე! _ შემდეგ ნაბიჯი შეანელა და ფარას წინ გაუარა.

ალიოშაც იმასვე აკეთებდა, რასაც მამამისი, მხოლოდ აქ, ფარის ზურგში, აჩქარებით მიაბიჯებდა,ზოგჯერ გარბოდა კიდეც და ცხვრებს ხრისან ანდრეევიჩისაკენ ერეკებოდა. ფარა თანდათან ფართოდ გაიშალა და ბოლოს ბალახის წიწკნით ერთ მწკრივად გაიჭიმა. მწკრივის სიგანე ოთხ-ოთხ ცხვარზე მეტი არ იყო. ახლა ხრისან ანდრეევიჩი ცხვრებისაკენ შემობრუნდა, გაჩუმდა და მწკრივს თვალი გადაავლო. ვაცი მის გვერდით გაჩერდა. მწყემსმა პარკიდან პური ამოიღო, ყუა მოაჭრა და რატომღაც ყოჩს მისცა. ბიმმა არ იცოდა, რომ ყოჩს არათუ არ უნდა ეშინოდეს, არამედ უნდა უყვარდეს მწყემსი. თავისი უცოდნელობის გამო, მხოლოდ იმას ხედავდა, რომ მამილო კეთილი კაცია, და სხვა არაფერი. მამილო კი, სიმართლე რომ ვთქვათ, გარდა ამისა, ეშმაკიც იყო _ ყოჩი ზოგჯერ ძაღლივით დასდევდა და ძახილზე ყოველთვის ეხმაურებოდა. აბა, ბიმს სად შეეძლო მწყემსის სიბრძნეს ჩასწვდომოდა. ხრისან ანდრეევიჩმა კი ჩინებულად იცოდა, საკმარისი იყო თვალი მოეშორებინა ანდა დაღლილობისა და მცხუნვარე მზისა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გან მოთენთილს ჩასძინებოდა, რომ ფარას აცდენილი სულელი ყოჩი, თანაც თუ მას გვერდით ძაღლი არ ახლდა, ვინ იცის, სად წაიყვანდა ფარას. არა, ეს ყოჩი განსაკუთრებული გახლდათ, გაწვრთნილი, ამიტომ იყო, რომ კეთილი გულით მიიღო ბიმი.

ხრისან ანდრეევიჩმა ჩიბუხი გააბოლა და ალიოშას უთხრა:

_ ნუ აჩქარებ, ნუ აჩქარებ, აქ კარგი საძოვარია.

...მაშ რა გეგონა, ჩემო ძვირფასო მკითხველო? გვიან შემოდგომით ცხვრის ძოვება, მართლაც ძალიან ძნელია. საქმის უცოდინარი კაცი კარგ საძოვარზედაც კი ერთ კვირაში დაღუპავს ნახევარ ფარას _ ცხვარი ბალახს გათელავს, მორჩა და გათავდა. მაგრამ თუ კაცმა თავისი საქმე იცის, უხეირო საძოვარზედაც კი პირუტყვი მაძღარი და გასუქებული ეყოლება. ხომ ახერხებდა ხრისან ანდრეევიჩი უშენ ადგილებში, ხრამის კიდეებსა და ტრაქტორების ცხვირწინ ფარის ძოვებას. ამისთვის განსაკუთრებული ნიჭი, მოწოდება და პირუტყვის სიყვარულია საჭირო. მეცხვარეობა ძალიან მძიმე შრომაა, ამასთან, ლამაზიც. იმიტომ რომ, მწყემსი _ ზოგჯერ არც კი უფიქრდება ამას _ თავს ბუნების განუყოფელ ნაწილად, მის ბატონად და კეთილისმყოფელად გრძნობს. აი, რაშია ლაზათი. მკითხველი მაპატიებს, რომ დროებით დამავიწყდა ჩვენი ბიმი და გვიან შემოდგომით გაშლილ მინდორში მყოფ ადამიანზე დავიწყე ლაპარაკი.

მაშ, ასე, ცხვრები წიწკნიდნენ დაბალ ბალახს და ისე ხმაშეწყობილად აკნატუნებდნენ, რომ ეს ყველაფერი ერთ უწყვეტ, მშვიდ, თანაბარ და დამამშვიდებელ ხმად ისმოდა. ახლა მამილო და ალიოშა ახლოს იყვნენ ერთმანეთთან და უკვე ხმადაბლა მასლაათობდნენ. ხმამაღალი ყვირილი აღარ სჭირდებოდათ.

ალიოშამ მამას ჰკითხა:

_ მამილო, შავყურას თოკი მოვხსნა?

_ მოდი, ვსინჯოთ, მე მგონი, აღარ გაიქცევა. თავისუფლებას აბა ვინ გაექცევა. ახსენი თოკი. მაგრამ ჯერ ფარას ჩამოშორდი, განზე გადექი, იქ ეთამაშე, ცხვარი არ შეაშინო.

ალიოშამ დაიცადა, სანამ ცხვარი შორს წავიდოდა, ბიმს თოკი მოხსნა და მხიარულად დაუძახა:

_ შავყურა! მოდი, გავიქცეთ! _ და ფეხების ბაკუნითა და ხტუნვა-ხტუნვით მთიდან ხევში დაეშვა.

ბიმი სიხარულისაგან გადაირია, ისიც ხტოდა და ცდილობდა, სირბილის დროს ლოყა აელოკა ალიოშასთვის გვერდზე გარბოდა და, სრული თავისუფლებით აღტაცებული, ისარივით ბრუნდებოდა უკან. შემდეგ რაღაც ჯოხს დაავლო პირი, ალიოშასკენ გაქანდა და წინ დაცუცქდა. ალიოშამ ჯოხი გამოართვა, შორს გადააგდო და უთხრა.

_ მოიტანე, შავყურა!

ბიმმა ჯოხი მიუტანა და მისცა. ალიოშამ ჯოხი ერთხელ კიდევ გადააგდო, მაგრამ უკვე აღარ გამოართვა, ხევიდან ზემოთ ავიდა, ფარისაკენ გასწია და ძაღლს უბრძანა:

_ შავყურა, ეგრე გეჭიროს, ეგრე, წამოიღე!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბიმი პირში ჯოხგაჩრილი გაჰყვა ბიჭს. როცა ზევით ავიდნენ, ალიოშამ ჯოხის ნაცვლად ძაღლს თავისი ქუდი დააჭერინა. ბიმმა ისიც სიამოვნებით წაიღო, ალიოშა კი ხტუნვა-ხტუნვით გარბოდა და იმეორებდა:

_ გეჭიროს, შავყურა, გეჭიროს ჩემო კარგო. ყოჩაღ, აი, ყოჩაღ! _ მაგრამ ფარასთან ჩუმად მივიდნენ («ცხვარი არ შეაშინო») და ალიოშამ უბრძანა: _ მამილოს მიეცი!

ხრისან ანდრეევიჩმა ხელი გაუწოდა, ბიმმა ქუდი მისცა.

მწყემსებმა მოულოდნელად აღმოაჩინეს ძაღლის ახალი თვისება. სამივენი აღტაცებულნი იყვნენ.

ერთი კვირაც არ გასულა, რომ ბიმი თავისი ჭკუით მიხვდა, ახალი მოვალეობა გამიჩნდაო; თავგასული ცხვრების უკან მობრუნება, მათი თვალყურის დევნება იმ დროს, როცა ბალახს ძოვენ. მაგრამ იმასაც მიხვდა, რომ ხელი არ უნდა შეეშალა ცხვრებისათვის, როცა სოფელში შესულნი თავ-თავიანთი სახლებისაკენ მიაბაკუნებდნენ.

ბიმმა გაიცნო ორი ძაღლი, კოლმეურნეობის უზარმაზარ ფარას რომ სდარაჯობდნენ. ამ ფარას სამი მეცხვარე მწყემსავდა, ყველანი დიდები იყვნენ და ყველას ლაბადა ეცვა. თუმცა კოლმეურნეობისა და კოლმეურნეთა ფარები შორიშორს იყვნენ და ერთმანეთში არ ირეოდნენ, მაგრამ შემოდგომით ღია სადგომებში მოკლე შეჩერების დროს ალიოშა კოლმეურნეობის მწყემსებთან გარბოდა და ბიმიც მისდევდა, რომ კოლმეურნეობის ძაღლები ენახა. კოლმეურნეობას კარგი ძაღლები ჰყავდა, ჩალისფერები, ხშირბეწვიანები, დიდები, ოღონდ მშვიდები და წყნარები, ბიმსაც კი მშვიდად და თავმდაბლად ეთამაშებოდნენ, ფარის გარშემო ჩუმად დადიოდნენ, ბიმს კი არა ჰგავდნენ, რომელიც ხტოდა ანდა ჩორთით გარბოდა, _ იმ ძაღლებს საკუთარი ღირსების გრძნობა გააჩნდათ. ბიმს ძალიან მოსწონდა ისინი, ცხვარიც კარგი იყო.

ბიმისთვისაც თავისუფალი, შრომით აღსავსე ცხოვრება დაიწყო. თუმცა სამივენი დაქანცულები და ამის გამო დადუმებულები ბრუნდებოდნენ შინ, მაგრამ თავისუფლები იყვნენ და ურთიერთნდობას გრძნობდნენ, ასეთ ცხოვრებას ძაღლიც კი არ გაურბის ხოლმე.

მაგრამ ერთხელ, სრულიად მოულოდნელად, თოვლი წამოვიდა, ქარი ამოვარდა, დატრიალდა და ქარბუქად გადაიქცა, ხრისან ანდრეევიჩმა, ალიოშამ და ბიმმა შეაქუჩეს ცხვარი, ცოტა ხანს ერთ ადგილას იდგნენ და ფარა შუადღისას სოფელში გარეკეს. ცხვრებს თეთრად დაათოვა, ადამიანის მხრებიც თოვლით იყო დაფარული, დედამიწაც, ყველგან თეთრი თოვლი იყო, მინდორშიც იმის მეტი არაფერი ჩანდა. დადგა ზამთარი, ციდან ბარად ჩამოვიდა.

არ ვიცი, ხრისან ანდრეევიჩმა გადაწყვიტა, რომ ისეთ ძაღლს, როგორიც ბიმი იყო, არც თოკით დაბმა და არც ბურვაკებთან ძილი არ ეკადრებოდა, თუ სხვა რამე მიზეზის გამო, ის კია, ახლა ბიმი ღამეს თბილ ჯიხურში ათევდა, რომელიც იმავე წინკარის კუთხეში იდგა და რბილი თივით იყო გამოტენილი. საღამოს კი ბიმი ოჯახის წევრივით სახლში შედიოდა და მანამდე რჩებოდა, ვიდრე არ ივახშმებდნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

_ რა დროს ზამთარია. ჯერ ადრეა, _ უთხრა ერთხელ ხრისან ანდრეევიჩმა პეტროვნას.

სიტყვა «ზამთარს» ისინი ხშირად იმეორებდნენ და რაღაცაზე წუხდნენ, თუმცა ბიმმა უკვე იცოდა: ზამთარი თეთრი, ცივი თოვლი იყო.

იმ საღამოს პეტროვნა თოვლის ფიფქებით დაფარული დაბრუნდა შინ. სველი იყო, სახე ქარისაგან აქერცლოდა და გასივებოდა. ბიმმა დაინახა, რომ ქალმა დათოვლილი ტანსაცმელი გაიხადა, ხელებს აქნევდა და კვნესოდა. ხელები დახეთქილი და დაწითლებული ჰქონდა, ზედ მიწისფერი ლაქები ეყარა, ისეთივე, როგორიც ბიმს თათებზე ჰქონდა. მერე ქალმა ხელები ცხელ წყალში ჩაყო, იბანდა და დიდხანს, ძალიან დიდხანს რაღაც მალამოთი იზელდა, თან ოხრავდა. ხრისან ანდრეევიჩი კი პეტროვნას მისჩერებოდა თითქოს რაღაცაზე წუხდა (ამას ბიმი სახეზე ამჩნევდა).

მეორე დილით კი ხრისან ანდრეევიჩმა დანები გალესა და ოთხივენი ეზოში გავიდნენ. ჯერ სწორ, გადათეთრებულ მინდორში მიდიოდნენ, თოვლი თხელი იყო, ასე, ნახევარი თათის სისქე იქნებოდა, ისე რომ, სიარული არ ჭირდა. გარშემო სიჩუმე გამეფებულიყო, მაგრამ ციოდა. შემდეგ იმ მინდორში გაჩნდნენ, სადაც ჩამწკრივებული იყო ფოთლებწაფარებული ჭარხლის პატარა გროვები. ყოველ გროვასთან პეტროვნასავით ჩაცმული ქალები ისხდნენ, ხმაამოუღებლად და გულმოდგინედ რაღაცას აკეთებდნენ.

ოთხივენი ერთ-ერთ ასეთ პატარა გროვასთან მივიდნენ და გარშემო შემოუსხდნენ. ბიმი ყურადღებით აკვირდებოდა, რა ხდებოდა აქ. პეტროვნა ჭარხლის მკლავს ჩაეჭიდა, ფესვით მარდად თავისკერ მოატრიალა და _ ჩიკ! _ დანა ჩამოჰკრა: ფოთლები ძირს დაცვივდა. კიდევ ჩიკ-ჩიკ _ დანა ჭარხლის თავზე გადაატარა, ჭარხალს თავი გაუსუფთავა და გვერდზე გადააგდო. ხრისან ანდრეევიჩმაც ზუსტად იგივე გაიმეორა. ალიოშამაც, მხოლოდ მამაზე უფრო ყოჩაღად, და წავიდა და წავიდა! ჩიკ-ჩიკ! _ ჭარხლის ფოთლები ძირს ცვივა. კიდევ _ ჩიკ-ჩიკ! _ და ჭარხლის თავი სუფთავდება. თრახ! _ ჭარხალი განზე, ახალგასუფთავებული ჭარხლის გროვაში ეცემა.

იქვე ახლოს, ასეთსავე გროვასთან, მხოლოდ ერთი დედაკაცი იჯდა და იმასვე აკეთებდა. მეორე გროვასთანაც ასე იყო, მხოლოდ იქ ორი-სამი ადამიანი იჯდა. ასე იყო მთელ მინდორზე: კარვებივით დაწყობილი ჭარხალი და ჩაფუთნული, ხელისგულებდამსკდარი და სიცივისაგან სახეშეშუპებული ქალები მოჩანდნენ. ყველა შიშველი ხელით მუშაობდა ანდა ბრეზენტის მსუბუქი ხელთათმანი ეცვა. ჩიკ-ჩიკ! _ და მორჩა, ჭარხალს ფოთლები აღარ ჰქონდა. ჩიკ-ჩიკ! _ კაცი დანას გვერდზე დებს და ხელებს უბერავს, ისრესს და ისევ: ჩიკ_ჩიკ-ჩიკ! _ ჭარხლის თავი სუფთავდება. საათივით მუშაობდნენ.

ცივა, დანების ცქერაში ბიმს შესცივდა, ამიტომ ტანი შეიბერტყა და შორიახლოს არემარის დათვალიერებას შეუდგა. როცა გათბა, ისევ თავისიანებთან დაბრუნდა, თუმცა გზადაგზა სხვა ქალებიც ეპატიჟებოდნენ, ჩვენთან მოდიო (სოფელში უკვე ყველამ იცოდა, რაც იყო შავყურა).

შემდეგ მათთან მოვიდა ახალგაზრდა, გამხდარი ქალი, მარტოდმარტო რომ მუშაობდა. რაღაცას ჩიოდა, ცხვირს იხოცავდა, მერე პეტროვნას გვერდით დაჯდა და ხელისგულები უჩვენა. პეტროვნამაც უჩვენა თავისი ხე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლისგულები. დანაღვლიანებულმა ქალმა დაახველა, მკერდზე ბრეზენტის ხელთათმანი მიიდო და გაყუჩდა. იმ ქალს ნატალია ერქვა.

პეტროვნა _ ჩიკ-ჩიკ! ხრისან ანდრეევიჩი _ ჩიკ-ჩიკ! ალიოშა _ ჩიკ-ჩიკ! და ხელებსა და ლოყებს იზელდნენ. პეტროვნა ჩიკ-ჩიკ!.. და უცბად _ ტკაპ!.. იმ საცოდავ ქალს თვალიდან კურცხალი ჩამოუგორდა და ფოთოლზე დაეცა. ქალმა სახეზე სახელო აიფარა და თავისი გროვისაკენ წავიდა.

_ ღმერთმა დაგვიფაროს, შენც არ გაცივდე, _ უთხრა პეტროვნამ ალიოშას, მივიდა, თბილი ყელსახვევი გაუსწორა, ტილოს ქამარი მოიხსნა და ალიოშას ბეწვის ქურთუკზე შემოარტყა.

ბიმიც ცხვირს ალიოშას ქურთუკში სჩრიდა, პეტროვნას ეხმარებოდა. მაგრამ ალიოშას, როგორც ბიმმა დაადგინა, არც ისე სციოდა, როგორც ეჩვენებოდათ, ის მამილოსა და პეტროვნაზე უფრო თბილი იყო (ბიმი ამას ადამიანებზე უკეთ გრძნობდა).

_ იცი, რა, ალიოშა, _ მიმართა შვილს ხრისან ანდრეევიჩმა, რომელიც ორი კაცის საქმეს აკეთებდა (ბიმმა ყურები ცქვიტა), _ წადი, შავყურასთან ერთად ირბინე, ცოტა გათბით.

და ბიმი ყინვისაგან გაქვავებული ჭარხლის მინდორში ბიჭს გამოედევნა. მინდორი გარდიგარდმო გადაჭრეს. ალიოშას დასცხა, ქუდი მოიხადა, შალი მოიხსნა, იღლიაში ამოიდო, ქუდსაც ყურები აუწია და ისე დაიხურა. ტყის ზოლის გვერდით, ხშირ, გაყვითლებულ ბალახში, ძაღლი შეჩერდა, შეისუნთქა, აქეთ-იქით სირბილი დაიწყო და, ალიოშასთვის მოულოდნელად, გაქვავდა.

ალიოშა მივარდა.

_ რა არის აქ, შავყურა?! _ ბიმი უძრავად იდგა და ბრძანებას ელოდა. ალიოშა მიხვდა, რაც ხდებოდა, _ ეცი! ეცი!

ბიმი ელოდა მაგიურ სიტყვას _ «წინ»! მაგრამ ალიოშამ კიდევ უფრო ხმამაღლა დაიყვირა:

_ ეცი!

ბიმი ფრთხილად წავიდა წინ და კაკბების გუნდი ააფრინა.

ალიოშა ბიმთან ერთად დაუყოვნებლივ უკან გაიქცა. ბიმი მიხვდა, რომ მათ ისევ ურთიერთგაგება აკლდათ (ალიოშამ არ იცოდა ივან ივანიჩის სიტყვები), მაგრამ, მიუხედავად ამისა, გვერდით მისდევდა ბიჭს. გაწითლებულმა და სულშეხუთულმა ბიჭმა კი თავის მშობლებს უამბო, როგორ აღმოაჩინა ბიმმა კაკბები და როგორ «დააფეთა» ისინი.

_ მონადირე ძაღლია, ნასწავლი, _ თქვა ხრისან ანდრეევიჩმა. ეჰ, თოფი მოგვცა და სანადიროდ წაგვიყვანა, ა?

თოფი? ნადირობა? რა ნაცნობი და ძვირფასი სიტყვებია ბიმისათვის! მან იცის, ეს რას ნიშნავს.

ძაღლმა კუდი ააქიცინა და ლაქუცი დაუწყო ხრისან ანდრეევიჩს, პეტროვნას, ალიოშას, ის გარკვევით და ნათლად ელაპარაკებოდა მათ თავის ენაზე, მაგრამ აქ მისი ენა არავის ესმოდა: თოფისთვის არავინ გაქცეულა და არც უთოფოდ ასულან სანადიროდ. ბიმი ალიოშას ზურგს უკან დაჯდა, მის ტყაპუჭს მიეკრა და ჩაფიქრდა, ყოველ შემთხვევაში, ასეთი გამომეტყველება ჰქონდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უკვე შეღამებულზე დაბრუნდნენ შინ, დაღლილები და შეციებულები. რამდენიმე დღის შემდეგ კი საერთოდ აღარ წასულან ჭარხლის გასასუფთავებლად, თავის ნაკვეთს მორჩნენ.

ახლა პეტროვნა აღარსად დადიოდა და, როგორც ჩანდა, კმაყოფილი იყო. მთელი დღე რაღაცას აკეთებდა: ძროხას უვლიდა, სარეცხს და იატაკს რეცხავდა, კომბოსტოს კეპავდა, კარაქს დღვებდა და ღუმელს ანთებდა, რაღაცას ხარშავდა, კერავდა, ტანსაცმელს აკერებდა, ძროხისთვის როფი გაჰქონდა _ ყველაფერს ვერც კი ჩამოთვლი. ბიმი თვალყურს ადევნებდა მის მუშაობას.

ალიოშასთან ერთი ფაქიზი ქალი მოვიდა, წიგნებით ხელში, პეტროვნას რაღაც უსაყვედურა, მაგრამ როგორც ბიმმა შეამჩნია, გულმოსული არ ჩანდა. ორივენი იმეორებდნენ სიტყვებს: «ალიოშა», «ცხვრები», «ჭარხალი». მეორე დღეს, დილით, ალიოშამ წიგნები წაიღო და წავიდა. მას შემდეგ ყოველდღე იკარგებოდა, ხრისან ანდრეევიჩიც ერთსა და იმავე დროს სადღაც მიდიოდა, ორთითი მიჰქონდა, იქიდან რომ ბრუნდებოდა, ნაკელის სუნი ასდიოდა.

ერთ ჩვეულებრივ საღამოს, როცა ყველანი ვახშამს შეექცეოდნენ, შემოვიდა მაღალი, მხარბეჭიანი, ძვალმსხვილი, სახეგაბარდღნილი კაცი, მელიასებური პატარა თვალები ჰქონდა და მელიის ტყავის ქუდი ეხურა. ბიმმა შეამჩნია, რომ ხრისან ანდრეევიჩმა შემოსულს არ გაუღიმა, არც წამოდგა, რომ მისალმებოდა, როგორც ჩვეულებრივ იცოდა ხოლმე და ხელიც არ ჩამოურთმევია.

_ გამარჯობა, _ გულგრილად, ქუდმოუხდელად თქვა სტუმარმა.

_ გაგიმარჯოს, კლიმ, _ უპასუხა ხრისან ანდრეევიჩმა. _ დაბრძანდი.

სტუმარი მერხზე ჩამოჯდა, თუთუნი გაახვია, უზარმაზარი პაპიროსი გააკეთა, ბიმს მიაშტერდა და იკითხა:

_ მაშ, ეს არის შავყურა? _ (ბიმი სმენად იქცა). _ სანადიროდ თუ არ წაიყვანა ვინმემ, დაიღუპება ან გაიქცევა. მომყიდე: ოცდახუთს მოგცემ.

_ არ იყიდება, _ უთხრა ხრისან ანდრეევიჩმა, ვახშამი დაამთავრა, და მაგიდიდან წამოდგა.

სამ ნაბიჯზე მყოფი ბიმი ადვილად მიხვდა: სტუმარს კურდღლის სუნი ასდიოდა. ახლოს მივიდა, კუდი ააქიცინა და შიგ თვალებში შეხედა მელიის ტყავის ქუდიანს, რაც ბიმის ენაზე ნიშნავდა: «ვხვდები, მონადირე ხარ».

_ ხედავ? _ ჰკითხა კლიმმა. _ შავყურა გრძნობს, ვისთანაც აქვს საქმე. გეუბნები, მომყიდე-მეთქი.

_ ვერ მოგყიდი, ვერა, კლიმ, საოლქო გაზეთში სამი მანეთი გავგზავნე, აქამდე ეს ალიოშამაც არ იცოდა, გამოვაცხადე: «ვიპოვე თეთრი, შავყურა მონადირე ძაღლი». პასუხიც მივიღე: «გთხოვთ, ნუ აცხადებთ, დრომდე თქვენთან იცხოვროს». არ ვიცი, საქმე რაშია, მაგრამ ვგრძნობ, ეს ძაღლი კარგი რამეა, გაფრთხილება უნდა.

_ დაღუპავ, მომყიდე, _ არ ეშვებოდა კლიმი, რომელსაც უკვე ბრაზი ერეოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

_ არა, ეგ საქმე არ გამოვა, _ მოუჭრა ხრისან ანდრეევიჩმა, _ ისე კი, სანადიროდ წაიყვანე ხოლმე, მხოლოდ იმავე დღეს დამიბრუნე. დაე, შავყურამ თავის ჯიშს არ უღალატოს, როგორც წესდებით არის დადგენილი.

_ ასე რომ, არ ვყიდით, _ ჩაერია ალიოშაც.

_ კარგი, ეგრე იყოს, _ უკმაყოფილოდ თქვა კლიმმა, ქეჩოზე ხელი მოუცაცუნა ბიმს და წავიდა.

ნავახშმევს, ფარნის სინათლეზე ხრისან ანდრეევიჩმა ბატკანი დაკლა, უკანა ფეხებით ძელზე ჩამოკიდა, გაატყავა, გამოშიგნა, გარეცხა და დილამდე ფარდულში დატოვა.

პეტროვნა მთელი საღამო ხან კვერცხებს აწყობდა კალათში, ხან კარაქით ტენიდა ქილებს, ანდა ერბოს ასხამდა შიგ. შემდეგ ამ ქილებს კოხტად ალაგებდა თეთრი წნელისაგან მოწნულ საბაზრო კალათებში.

აი, ახლა კი ბიმი მიხვდა, რომ ყოველივე ამას (გატყავებულ ბატკანს, კვერცხებს, კარაქსა და კალათებს) ბაზრის სუნი ჰქონდა. ამ სუნს კარგად ცნობდა: ივან ივანიჩის ძებნაში ხომ ქალაქის ყველა კუთხე-კუნჭული გაიცნო! და ახლა ბიმი აღელდა! ბაზარი, ქალაქი, კალათები, საკუთარი ბინა _ ყველაფერი ერთ რამედ გადაინასკვა: ივან ივანიჩი იქ არის, იქ. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს.

დილით ხრისან ანდრეევიჩმა სუფთა ტილოში გაახვია უკვე გაფიჩხული ბატკანი, კანაფი შემოუჭირა და მხარზე შეიგდო. პეტროვნამ სამხრეზე ჩამოკიდა ორი კალათა, ასწია და მხრებზე გაიდო. როგორ სთხოვდა ბიმი ყველას, წამიყვანეთო! ის ხომ გასაგებად ეუბნებოდა, დაჟინებით აგებინებდა: «მეც თქვენთან მინდა წამოსვლა, საქმე მაქვს, წამიყვანეთო»...

არავის ესმოდა მისი განცდები. უფრო მეტიც: ხრისან ანდრეევიჩმა, ბატკანს რომ მხარზე მოხერხებულად იდებდა, ალიოშას უთხრა:

_ შავყურა დაიჭირე, არ გამოუშვა, თორემ გამოგვეკიდება.

ალიოშამ ძაღლს საყელურში ჩასჭიდა ხელი და პარმაღზე შეაჩერა. მამილო და დედილო კი ნელა გაჰყვნენ გზატკეცილს ავტობუსის გაჩერებისაკენ. ბიმი თვალს არ აშორებდა მიმავლებს. ყურადღებას არ აქცევდა ალიოშას ალერსს და შეგონებებს და ასე მისჩერებოდა მათ, ვიდრე თვალს არ მიეფარნენ.

მალე მოვიდა კლიმი თოფითა და ზურგჩანთით. სანადირო აბგა და სავაზნე არ ჰქონდა (ბიმმა მაშინვე შეამჩნია მონადირის აღკაზმულობის ნაკლი). მაგრამ თოფი ხომ ეკიდა! აი, მთავარი რა იყო. ბიმმა ნდობით გაიწია მონადირისაკენ და აქვე დადგინდა, რომ ვაზნები ჯიბეში ეყარა. ესეც დიდი უწესობაა, მაგრამ მთავარი იყო თოფი. თოფიან კაცს სადაც გინდა წაჰყვებოდა. დიდი ხნით თუ ცოტა ხნით, ეს სულ ერთია _ წაჰყვებოდა კი. ასეთია მეძებარი ძაღლის ბუნება და ბიმიც გამონაკლისი არ გახლდათ: მას ცოტა ხნით გაუყუჩდა სევდა, უკანასკნელ დღეს რომ აღეძრა. თოფთან დამოკიდებულებაში ბიმი ჩვეულებრივი მონადირე ძაღლი იყო. ნუ ვიტყვით, ლოგიკა არ ჰქონდაო, ჭეშმარიტებას მხოლოდ პრაქტიკით აღიქვამდა, თუმცა ძაღლებს შორის უჭკვიანესი ეთქმოდა. მას კიდევ ბევრი განსაცდელი ელოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ძაღლი იყო. ბრალს ნუ დავდებთ.

_ აბა, შავყურა, წავიდეთ სანადიროდ, _ უთხრა კლიმმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბიმმა მის წინ ხტუნვა დაიწყო: «სანადიროდ, სანადიროდ».

კლიმმა ტყავის საბელი ჩააბა.

ალიოშამ გააფრთხილა:

_ ძია კლიმ, სადაც შავყურა დადგება, გაიჭიმება და გაქვავდება, იცოდე, იქ კაკბები იქნება. უნდა დაუყვიროთ «ეცი», თორემ ადგილიდან არ დაიძვრება.

_ მართლა?

_ ნამდვილად. ეს კარგად ვიცი, _ დინჯად უპასუხა ბიჭმა. _ გაკვეთილი მაქვს მოსამზადებელი, თორემ გაჩვენებდით.

_ ცოტა რამ ჩვენც გვესმის, პირველად ხომ არ მივდივარ, ნადირობის უნახავი ხომ არა ვარ, _ დაარწმუნა კლიმმა.

ამგვარად, დიდი ხნის შესვენების და დიდი განცდების შემდეგ, ბიმი სანადიროდ წავიდა. პირველად არაფერი შეხვედრიათ, გარდა აქოთებული ქრცვინის სორისი.

_ თხარე, _ უთხრა კლიმმა.

ბიმს ასეთი რამ არ ესმოდა, ამიტომ განზე გადგა და გაოცებული დაჯდა.

შუადღისას ძალიან დათბა. მზემ გამოიხედა, თოვლის თხელი ფენა გალღვა. ბიმის ფეხქვეშ ტალახი ჭყაპუნებდა. ფეხებზე ბეწვი დაუსველდა და გაეთხუპნა, ძაღლი გამხდარი და შეუხედავი გახდა, როგორც ყოველი დასველებული მეძებარი. მაგრამ ბიმი წესიერად ეძებდა, ბუჩქნარის ნაპირას კაკბების სუნი იკრა და ნაბული გააკეთა. კლიმმა დაუყვირა:

_ ეცი!

ძაღლი შეაკრთო კლიმის ღრიალმა და ფრინველები ერთი ნახტომით ააფრინა (ვაი, ვაი, რა შეცდომაა!), მაგრამ თოფი არ გავარდნილა. ბიმი მობრუნდა. მონადირე ცალლულიან თოფში ტენიდა ვაზნას და ვერ ახერხებდა. შემდეგ გამოღება დაიწყო, ვერც ეს მოახერხა, ბიმი დაჯდა, იმ ადგილს არ სცილდებოდა, სადაც კაკბები ააფრინა, მონადირესთან არ მიდიოდა, მაგრამ თვალს კი არ აშორებდა. კლიმმა ახლა გინება დაიწყო. ისე იგინებოდა, საღამოთი ქუჩაში გამოსული მთვრალები რომ იგინებიან: ფეხზე რომ ვერ დგებიან და ან ერთმანეთს აგინებენ, ანდა, უბრალოდ, ბნელ ღამეს შეუკურთხებენ ხოლმე. ეს კი არ ბარბაცებდა, მაგრამ მაინც იგინებოდა.

ბოლოს კლიმმა ვაზნა გამოიღო, მეორე ჩადო და თოფი დაკეტა, მაგრამ გაბრაზებული იყო და რაღაცით ბიმის ნაცნობ ბოროტ კაცსა ჰგავდა.

_ აბა, ეძებე! _ უბრძანა კლიმმა ბიმს. _ ეძებე, შავყურა.

ბიმმა ზურგი შეაქცია, ქარის საპირისპირო მხარეს გავიდა და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ამბობდა: «რა გაეწყობა, ვეძებო».

მაგრამ ძაღლი აპათიური გახდა, ეს მას კოჭლობით სირბილზე ეტყობოდა. ისეთი ხალისი აღარ ჰქონდა, როგორც ფრინველების აფრენამდე. კლიმმა ეს ძაღლის ფიზიკურ სისუსტედ ჩათვალა. მას არ ესმოდა, რომ ეს ადამიანისადმი უნდობლობის დასაწყისს წარმოადგენდა. ბიმი ირიბად გამოხედავდა ხოლმე, არც ჩერდებოდა და არც უახლოვდებოდა, კარგა შორ მანძილზე ეჭირა თავი. თითქოს არც ეძებდა, მხოლოდ თვალყურს ადევნებდა მონადირეს, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითი იყო. დაუოკებელმა და მარა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დიულმა გატაცებამ, რომელიც იარსებებს მანამ, სანამ მონადირე ძაღლები არსებობენ, თავისი გაიტანა. კაცმა რომ თქვას, ბიმი კლიმს კი არა, თოფს მიჰყვებოდა.

მოულოდნელად კურდღლის სუნი ეცა. ასეთ ცხოველებზე ივან ივანიჩს ბიმთან ერთად არ უნადირია, თუმცა ორიოდეჯერ ძაღლს მათზე ნაბული გაუკეთებია. კურდღლებთან ხომ ნაბული არ შეიძლება. საკმარისია შეჩერდე, რომ მაშინვე გაიქცევიან, მათი დევნა არ შეიძლება _ პატრონი ნებას არ აძლევდა. მართალია,ზაფხულობით კურდღლები ზოგჯერ ნაბულს უძლებენ და არ გარბიან, მაგრამ ამ დროს ივან ივანიჩი ყოველთვის თავისთან იხმობდა ძაღლს, ერთხელ ერთი ცეროდენა კურდღელი თათიდან გამოაცალა და გაუშვა. ასე რომ, კურდღელი ფრინველი არ არის. მიუხედავად ამისა, ბიმი გაჰყვა კურდღლის სუნს, პირდაპირ მივიდა, სველი, გვერდმოქცეული, ნატკენ ფეხს დააწვა და ნაბული გააკეთა. მაგრამ არა, ხეიბარს უკვე ძველებური ნაბული აღარ ჰქონდა, მხატვრული შესახედაობა აკლდა.

_ ეცი! _ დაიღრიალა კლიმმა.

უნდა აღვნიშნოთ, თბილ ამინდში და, მით უმეტეს, ტალახში, კურდღელი მაგრად წევს, ბიმი კი ჯერ კიდევ ადგილიდანაც არ დაძრულა, თითქოს სურდა ეთქვა: სწორად არ ყვირიო.

_ ეცი, შე კოჭლო ოხერო, შენა! _ დაიღრიალა კლიმმა.

ბიმმა კურდღელი წამოაგდო და დაწვა, როგორც საჭიროა გასროლის წინ.

კლიმის თოფმა ზარბაზანივით დაიგრიალა. კურდღელმა მოქუსლა, მაგრამ თანდათან უკლო სირბილს, შემდეგ დაჯდა, მერე ნახნავის კვალში დაიმალა და თვალს მიეფარა.

კლიმი გიჟივით გაჰკიოდა:

_ მიდი, მიდი! ალა-ლა-ლა-ლა! მიდი! _ და იქით გარბოდა, სადაც კურდღელი დაიმალა.

ბიმმა, თუმცა კლიმის გვერდით გარბოდა, იცოდა, რომ ყველაფერი უწესოდ ხდებოდა: მონადირე არ უნდა გარბოდეს ძაღლივით, ბიმი თვითონაც იპოვიდა კურდღელს, თუკი ივან ივანიჩი უბრძანებდა.

სულშეხუთული კლიმი შეჩერდა და წარმოუდგენელი ხმით აყვირდა:

_ ეძებე, ბრიყვო, საცოდავო ხეიბარო!

ბიმი, ცოტა არ იყოს, ნაწყენი წავიდა წინ. კურდღლის სუნი წინათაც დიდად არ აღელვებდა, ახლა კი, როცა უკან კლიმი მოაბოტებდა, მით უმეტეს. მაგრამ მაინც ბიმი კურდღლის კვალს გაჰყვა, ნაბული გააკეთა, დაელოდა იმ საზიზღარ სიტყვას _ «ეცი» _ და კურდღლის წამოსაგდებად გადახტა, მაგრამ კურდღელი კვალიდან ამოძვრა და ავადმყოფივით წაბარბაცდა. კლიმმა გაისროლა, კურდღელი მაინც გაიქცა. კიდევ გაისროლა, კურდღელი კი ისევ კოჭლობით გარბოდა, თან გზადაგზა ჩერდებოდა. მიუხედავად ტალახისა, ბიმი იწვა, როგორც წესია, და ბრძანებას ელოდა.

კლიმი ისევ ღრიალებდა:

_ მიდი, მიდი ბრიყვო! _ და კურდღელზე უთითებდა.

ბიმმა ისევ მოძებნა დაჭრილი ნადირი და ისევ ნაბული გააკეთა. მესამე ნაბული! და იმ ბრიყვმა კვლავ ააცდინა. კურდღელი ისევ გაიქცა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაბრაზებული კლიმი ვერ მიხვდა, რომ შავყურა დაჭრილი ცხოველის დაგლეჯასა და დახრჩობას ჩვეული არ იყო, რომ ასეთი საქციელი ინტელიგენტი სეტერის ღირსებას არ შეეფერებოდა, რომ სეტერი ვერ იტანს ასეთ მონადირეებს, როგორიც ის იყო. როცა უკანასკნელად კურდღელი თვალს მიეფარა (ახლა უფრო ყოჩაღად გარბოდა, ეტყობა, ღია ჭრილობა ჰქონდა), კლიმი ისევ გაცოფდა: მივიდა ბიმთან, ხშირად იმეორებდა სიტყვა «დედას» და, როგორც ჩანს, გაბოროტებით და სიძულვილით წყევლიდა ბიმს.

დამჯდარმა ბიმმა ზურგი შეაქცია კლიმს, სცადა, თოფისთვის თავი აერიდებინა. და ამ დროს კლიმმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უზარმაზარი ჩექმის წვერი შიგ მკერდში ამოჰკრა...

ბიმმა დაიგმინა, ადამიანივით დაიგმინა.

«ვა-ა-ი! _ შესძახა ბიმმა და დაეცა, _ ვაი, ვაი... _ იძახდა ახლა ადამიანის ენით ბიმი. _ ვაი... რისთვის?» და გაწამებული და დატანჯული სახით მისჩერებოდა ადამიანს, მას არაფერი ესმოდა და თავზარდაცემული იყო.

შემდეგ ძლივს წამოდგა ოთხივე ფეხზე, ოდნავ წაბარბაცდა და ისევ დაეცა.

_ ეს რა ჩავიდინე! _ თავში ხელი შემოიკრა კლიმმა. _ ახლა ხომ ოცდახუთი მანეთის გადახდა მომიწევს! ეს რა ფული დავკარგე! _ და ჩქარი ნაბიჯით წაუნძულდა, თითქოს ბიმის შეხედვას გაურბოდა.

იმ დღეს კლიმი სოფელში არ გამოჩენილა. საღამომდე სადღაც დაეთრეოდა. შუაღამისას ფეხაკრეფით შეძვრა თავის ქოხში, რომელიც სოფლის განაპირას იდგა.

ბიმს რაღა დაემართა, სად იყო?

ბიმი მარტოდმარტო ეგდო სველ, ცივ მიწაზე, მარტოდმარტო მთელ დედამიწის ზურგზე. დარტყმისაგან შიგნით რაღაც ჩასწყდა და ეს «რაღაც» თბილი გახდა, სული შეეხუთა, გულზე მოუჭირა, გონება დააკარგვინა. მაგრამ, აი, დაახველა და წააღებინა, ამოისუნთქა და იგრძნო, სუნთქვა ტკივილსა ჰგვრიდა. პირდაღებული კიდევ ერთხელ სწვდა ჰაერს და დაახველა, ძალა მოიკრიბა, თავი წამოსწია, მინდორი ისე ქანაობდა, თითქოს წყალდიდობა იყო და ბიმი ტალღებზე დაცურავდა. მერე გაიჭიმა და დაჯდა: მინდორი ტოკავდა, მზეც თოკზე ჩამოკიდებულივით ქანაობდა.

დღეს ბიმს იმაზე მეტი მოსთხოვეს, ვიდრე შეეძლო. უთხრეს: შენ უნდა, უნდა კი არა, ვალდებული ხარ, გააკეთო ის, რის გაკეთებაც არ შეგიძლია, თუ შენს სინდისსა და პატიოსნებაზე ხელს არ აიღებ. მერე ამ დავალების შეუსრულებლობისათვის სასტიკად სცემეს. ბიმი კი არ იკადრებს, დაჭრილი ცხოველი დაახრჩოს, არ შეუძლია.

«რი-ის-თვისა... რი-ის-თვის... _ ჩუმად წკმუოდა ბიმი. _ სადა ხარ, ჩემო კეთილო მეგობარო... სა-ად?.. სად?..» _ ბიმი სულ უფრო ხმადაბლა ჩიოდა და ბოლოს დაჩუმდა.

შორიდან რომ ვინმეს დაენახა, იფიქრებდა, გაშლილ, ტალახიან მინდორში მკვდარი ძაღლი გდიაო. მაგრამ ეს ასე არ იყო.

აი, ტანის უკანა ნაწილი ასწია, ფეხებს დაეყრდნო და არ წაიქცა. ნაბიჯი გადადგა _ კიდევ არ წაიქცა. ცოტა ხანს იდგა. კიდევ გადადგა ნაბიჯი და ნახნავზე წაბორიალდა, თათებს მიათრევდა და თავის ნაკვალევს შლიდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

...ო, ძაღლის დიდო ვაჟკაცობავ და დიდო მოთმინებავ! რა ძალამ შეგქმნათ ასეთი ძლიერნი და ამოუწყვეტელნი, რომ სიკვდილის პირას მისულნიც კი წინ მიდიხართ, მიათრევთ სხეულს? თუმცა ნელ-ნელა, მაგრამ მაინც წინ მიდიხართ. წინ, იქით, სადაც შეიძლება დაგხვდეთ ნდობა და სიკეთე გულსუფთა, უბედური, მარტოხელა, დავიწყებული ძაღლისადმი.

და ბიმი მიდიოდა, თუმცა ძლივს, მაგრამ მაინც მიდიოდა. სისხლს არწყევდა და მაინც არ ჩერდებოდა, ფორხილებდა, მუხლებს ძალას ატანდა და მიდიოდა. ქანცგამოცლილი მიწაზე წვებოდა, ფეხზე დგებოდა და ისევ წინ მიიწევდა.

ნაკადულთან ხარბად დაეწაფა წყალს, ცოტა უკეთ გახდა. რაღაც უკარნახებდა, წყლიდან შორს წასვლა არ შეიძლებაო. მართლაც, უახლოეს ზვინამდე მიაღწია, მიწამდე ჩამოწეული ნამჯის ქვეშ შეძვრა და გაყუჩდა. ასე ებრძვიან ძაღლები სნეულებას და კაცისა და ცხოველის თვალს ემალებიან; ეს მათ თვით ბუნებამ ასწავლა. დიდება მის კანონიერ წესრიგსა და გონივრულ მიზანშეწონილობას!

რამდენ ხანს იწვა ბურანში გახვეული, არ იცოდა, მაგრამ გონს რომ მოვიდა, მკერდში მწვავე ტკივილი იგრძნო, თავბრუ დაესხა და, რადგან შინაგანად იგრძნო, ახლა რაღაც დამემართებაო, ზვინიდან გამოძვრა. ცოტა ხანს ჰაერზე იწვა, მიხვდა, ბალანი გაშრობოდა. დაჯდა. შემოდგომის ბალახი ახლა აღარ ქანაობდა, არც ზვინი ქანაობდა, არც მზე. მზე დამტკბარიყო და ცოტას ათბობდა. ბიმმა ძლივს მიაღწია ნაკადულამდე, წყალი დალია, შემდეგ კიდევ და კიდევ დალია. ცოტას დაისვენებდა და ისევ სვამდა, მაგრამ ბოლოს უკვე ყლუპ-ყლუპად. ნაკადულის ახლოს წვრილი, ჯერ კიდევ მწვანე ისლი შეამჩნია (ყინვა მალე ვერ ერევა), ისლი ჭანგას ჰგავდა. ბიმმა ჭამა დაუწყო. ადამიანები ვერასოდეს გაიგებენ, რამ უკარნახა ამ შეუხედავი ბალახის ჭამა. მან კი იცოდა, რომ აუცილებლად უნდა ეჭამა სწორედ ისლი, და ჭამდა კიდეც. შემდეგ ნახა უკვე ნახევრად გამხმარი ნაგვიანევი გვირილა. ბიმმა გვირილაც შეჭამა, მერე ისევ ნაკადულთან დაბრუნდა, წყალი დალია და სოფლისაკენ გასწია. მიდიოდა სულ წინ და წინ.

დაბინდებისას ძლივძლივობით მიაღწია სოფელს, მაგრამ არ შევიდა. დიახ, როგორ არა! იქ ხომ კლიმი იყო.. არა, მას არ გაჰყვება. კლიმს შეუძლია ისევ საყელურში ჩაჰკიდოს ხელი და მერე... არა, ეს არ მოხდება.

ბიმმა თივის ზვინში მოიკალათა, ცოტა ხანს დაისვენა. გვერდიდან ოროვანდის სუნი ეცა, გასინჯა, ხმელი იყო, ზედ მიწასთან მოკვნიტა და მის ძირს ღრღნა დაუწყო. ესეც იცოდა, რომ ოროვანდის ჭამა აუცილებელი იყო.

დიდი და მრავალმხრივია ძაღლის საექიმო ცოდნა. გაცოფებული ძაღლი ავადმყოფობის დასაწყისში ტყეში გაუშვით: ორი კვირის შემდეგ არაქათგამოცლილი, მაგრამ ჯანმრთელი დაბრუნდება. კუჭაშლილი ძაღლი ორი-სამი დღით სტეპში ან ტყეში წაიყვანეთ: ბალახებით მოირჩენს თავს. სწორედ ძაღლისაგან უნდა ისწავლოთ, როგორ უმკურნალოთ მას. ბუნებამ იმდენად ჩაუნერგა ამის მდიდარი «ცოდნა» ძაღლს, რომ ადამიანს ყოველთვის აოცებს ეს ამბავი.

...ღამემ გაიარა, შემოდგომის გრძელმა ღამემ, გულისა და სულის ამაფორიაქებელმა ღამემ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მამლებმა პირველად იყივლეს, ბიმმა არ დაუცადა, როდის იყივლებდნენ მეორედ და მესამედ, არ დაუცადა გათენებისწინა ყივილს. წამოდგა, მაგრამ სიარული ვერ შეძლო, რადგან მკერდი სტკიოდა, თავს ძალა დაატანა, რომ გამართულიყო: ორჯერ დაწვა და ისევ წამოდგა, მერე ნელ-ნელა წაფრატუნდა.

როგორც იქნა, ხრისან ანდრეევიჩთან მილასლასდა, ორი საფეხური აიარა და პარმაღზე დაწვა. სახლში სიჩუმე სუფევდა.

ვინ იცის, იქნებ დღეს იქ დარჩენილიყო, მაგრამ გვერდით, სულ ახლოს, ჩაიარა კლიმმა,_ ჩუმად, ქურდულად მიიპარებოდა. ბიმი აცახცახდა. ძაღლი მზად იყო, სულის ამოსვლამდე დაეცვა თავი. გაიღვიძა განწირულის სიამაყემ, რომელიც მაშინ იღვიძებს, როცა განწირულს დასაკარგავი აღარაფერი აქვს. მაგრამ კლიმი რიკულზე გადმოწვა და ჩუმად უთხრა:

_ მოხვედი, შავყურა? _ და აჩქარებით, ლაჩრულად გაქუსლა უკან, თითქოს გამხიარულდა კიდეც.

ბიმს ძალა არ ჰყოფნიდა, დასწეოდა და შური ეძია მზაკვრული წიხლისათვის. ყეფაც არ შეეძლო, რადგან დასახიჩრებული მკერდიდან ხრიალის მეტი არაფერი ამოსდიოდა. მაგრამ ბიმს ისიც არ უნდოდა, კლიმი უცბად მოსულიყო და ცდილიყო, წაეყვანა. ამიტომ ადგა, ეზოს შემოუარა, ბურვაკები, ძროხა და ცხვრები დასუნა, ცოტა ხანს დაჯდა. მერე ადგა და სოფლიდან წავიდა. არადა, როგორ უნდოდა თავის მეგობარ ბურვაკებს გვერდით მისწოლოდა!

...მამლებმა მესამედ იყივლეს. თენდებოდა.

გზატკეცილის მიმართულებით მიდიოდა ძაღლი. ცოფიანივით თავი დაბლა დაეხარა. კუდი უსიცოცხლოდ ეკიდა. უცხო თვალისთვის, მართლაც, ავადმყოფობის უკანასკნელ სტადიაში მყოფ ცოფიანს ჰგავდა. კაცს ეგონებოდა, პირველ საგანს წააწყდება თუ არა, წაიქცევა და იქვე მოკვდებაო. ეს იყო ჩვენი ბიმი, ჩვენი კეთილი და ერთგული ბიმი. ის თავისი პატრონის, ივან ივანიჩის საძებნელად მიდიოდა სწორედ იმ ძველი გზით, რომლითაც აქ მოიყვანეს.

სოფლიდან ავტობუსის გაჩერებამდე ხუთი-ექვსი კილომეტრი იყო, მაგრამ სადღაც შუა გზაზე ბიმს ისევ გამოელია ძალა და თივის ზვინამდე ძლივს მიაღწია. ვიღაცას, ღამით რომ თივას იპარავდა, ზვინში ხვრელი დაეტოვებინა, ჰოდა, ბიმი შიგ შეძვრა. დიდხანს იწვა, თითქმის მთელი დღე, მზის ჩასვლისას კი გამოვიდა თავისი სამალავიდან. სწყუროდა, მაგრამ წყალი არ იყო. ტკივილი მკერდს უღრღნიდა, თუმცა სუნთქვა ისე აღარ უჭირდა და თავბრუც არ დაესხა, როცა გზა განაგრძო. გზაში ახლა ნეგოს ზოლს წააწყდა, და შეჭამა ეს ყვითელი, გამხმარი ყვავილებიც, რომლებიც ფერს არ იცვლიან ყვავილობიდან დაწყებული _ მომავალ გაზაფხულამდე. გვირილის ბუჩქიც ნახა. მაგრამ უკვე დაყვავილებული იყო, ამიტომ თესლი პირში ჩაებნა და ყელში უღიტინებდა. ამის გამო კიდევ უფრო მოსწყურდა. მინდვრის ერთ-ერთ გზაზე რომ გადადიოდა, ნაურმალში დამდნარი თოვლისაგან დარჩენილ გუბეს წააწყდა. ასე შეუნახა გზამ წყალი. ბიმმა წყურვილი მოიკლა და გზა განაგრძო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეღამებულზე, როგორც იქნა, გზატკეცილს მიაღწია. ცოტა ხანს დაჯდა, მზერით გააცილა თვალისმომჭრელად მოციმციმე ავტომანქანების ფარნები და უკვე იცოდა, საით წასულიყო, მაგრამ ღამით კი არა! ვაითუ კლიმი შეხვდეს ან ის ბოროტი, ცუდი კაცი? ან მგელი?!

ბიმმა გადაწყვიტა, საავტომობილო გზას არ მოშორებოდა, ღამე სადმე ახლოს დამალულიყო. ავტობუსის გაჩერებასთან მილასლასდა, იქ პატარა სახლი იდგა, რომელსაც ერთი კედელი აკლდა. შიგნით განიერი მერხები იდგა, ბიმი ერთ-ერთის ქვეშ შეძვრა, კუთხეში მიიკუნჭა და ლოდინი დაიწყო.

მიუხედავად სისუსტისა, მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. გზაზე ავტომობილები დარბოდნენ _ გზა ღამითაც ცოცხლობდა. იმ გაჩერებასთან, სადაც ბიმი იწვა, ავტობუსი სვლას ანელებდა, მერე გზას განაგრძობდა, რადგან მგზავრები არ იყვნენ.

ღამე თუმცა დაძაბული და სნეული იყო, მაგრამ, ღვთის მადლით, თბილოდა, _ შემოდგომამ ერთხელ კიდევ სძლია ზამთარს.

*

სოფელში რაღა მოხდა ამ დღე-ღამის განმავლობაში, როცა ბიმი იქ არ იყო?

ხრისან ანდრეევიჩი და პეტროვნა დაბინდებისას დაბრუნდნენ ბაზრიდან. ალიოშა შინ არ დახვდათ. სახლი დაკეტილი იყო. შევიდნენ შინ, ქალაქში ნაშოვნი ფული დათვალეს და სკივრში შეინახეს, რომ მეორე დღეს შემნახველ სალაროში შეეტანათ. ამ დროს ალიოშაც მოვიდა.

_ სად დაიკარგე? _ ჰკითხა მამამ.

_ კლიმთან ვიყავი.

_ შავყურა არ მოუყვანია?

_ ნადირობიდან ჯერ არ დაბრუნებულა.

_ მოვა. მოიყვანს, არსად დაიკარგება, _ დაამშვიდა ბიჭი პეტროვნამ და ახალი სვიტრის მიზომება დაუწყო.

_ ეგ კი ეგრეა, მაგრამ კლიმი ცუდი კაცია, ქურდბაცაცაა... მარტო კოლმეურნეობისას რომ იპარავდეს, კიდევ არა უშავს, ის არავისია, მაგრამ კოლმეურნეებსაც რომ პარავს? მაგისთანა კაცის გადაკიდება _ მტრისას, ყველას ეშინია, ჯანდაბას მისი თავი, წაიყვანოს ხოლმე შავყურა სანადიროდ.

_ როგორ თუ «არავისია?» _ იკითხა ალიოშამ. _ ჩვენი არ არის?

_ ეგ, რა თქმა უნდა, ეგრეა... შემეშალა... მართალს ამბობ, ჩვენია... მაგრამ როგორ აგიხსნა? იქ ჩვენია, აქ კი _ ჩემი. აი, მაგალითად, ვთქვათ ასე: სკოლა ჩვენია, ბავშვებიც _ ჩვენი, შენ კი ჩემი ხარ. ანდა ასე: მინდვრები ჩვენია, კარმიდამო კი _ ჩემი... მაშასადამე, საქონელიც ასეა: ჩვენი და ჩემი, მიხვდი?

_ მივხვდი, მაშ, რა!.. შენ კი თქვი: «არავისიო».

_ მაგას სწორს აბობ: სულ რომ არავისი იყოს, არ შეიძლება.

მამა ყოველთვის ისე ელაპარაკებოდა ალიოშას, როგორც დიდს. ალიოშაც ასევე პასუხობდა:

_ მაშ, კლიმმაც ჩვენიდან წაიღოს და არა ჩემიდან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

_ ფაქტიურად ეგრეა, _ დაასკვნა მამამ, _ მეცა და შენც ხომ მოგვაქვს... ცოტაოდენი თივა ან ჭარხალი ძროხისათვის? მოგვაქვს, თავმჯდომარისაგან დაფარულად, მაგრამ ცოტა მაინც მოგვაქვს, ეს თავმჯდომარემაც იცის, ბრიგადირმაც, ყველამ იცის. ამას ვერსად გაექცევი: ჩვენი დოვლათიდან მოგვაქვს. უსინდისოდ კი არა, სინდისიერად მოგვაქვს, შარშანდელი ზვინებიდან ვაძრობთ, ანდა მინდორში დარჩენილ აუღებელ ჭარხალს ვთხრით, მაშ, როგორ? საქონელს კვება ხომ უნდა!

_ ფაქტიურად ეგრეა, _ დაუდასტურა ცამეტი წლის გლეხმა, რომელსაც უკვე მწყემსობაც შეუძლია, «თავისი» საქონლის მოვლაც; თუ დრო აქვს _ დედასთან ერთად კარაქის შედღვებაც, და, რა თქმა უნდა, ყინვაში «ჩვენი» ჭარხლის გასუფთავება და «ჩემი» კარტოფილის ამოღება.

ხრისან ანდრეევიჩი კი ახსნას განაგრძობდა:

_ წესდების მიხედვით ვმოქმედებთ: იქ ჩვენია, აქ კი _ ჩემი. აი, მე ბატკანი ქალაქში წავიღე გასაყიდად. მაშ, როგორ? ხალხს ხომ ჭამა უნდა _ ეს ჩვენი მოვალეობაა. დედამაც კვერცხი წაიღო, კარაქიც. ყველაფერი წესდების მიხედვით ხდება, ყველაფერი დაგეგმილია. ცხოვრება, ალიოშა, კარგად მოგვარდა, მასწავლებელზე და თავმჯდომარეზე ნაკლებად როდი ვართ ჩაცმულ-დახურულები, ტელევიზორიცა გვაქვს, სხვა ასეთებიც, საჭირო ფულიც გაგვაჩნია, მუშაობით რომ ბევრს ვმუშაობთ, ეს არაფერია, მუშაობა აკაჟებს ადამიანს. მხოლოდ, აი, არყის სმა არ ვარგა, _ ჭკუას არიგებდა ბიჭს ხრისან ანდრეევიჩი.

_ მერედა, რატომ სვამ, _ სამართლიანად შენიშნა ალიოშამ. _ რაკი არ ვარგა, არ ვარგა. აბა, არყის სმაში რა ყრია?

_ მაგას მართალს ამბობ, _ დაეთანხმა მამა. _ მაგრამ ბრიგადირს ხომ უნდა ვცე პატივი, ეს ხომ ჩვენი მოგონილი არ არის... კლიმი კი ვინ არის? ქურდი. სირცხვილი არ არის, მეზობელთან მიხვიდე და ქათამი მოპარო? სინდისგარეცხილი უნდა იყო, ეს რომ ჩაიდინო. მაგრამ რას იზამ, დაღუპული კაცია.

შავყურას ლოდინში ხრისან ანდრეევიჩმა და ალიოშამ თერთმეტ საათამდე ისაუბრეს. შემდეგ ეზოს შემოუარეს, გოჭებთან შეიხედეს, პარმაღის ქვეშაც (იქნებ კლიმს გამოექცა და დაიმალაო). ბოლოს ხრისან ანდრეევიჩი თვითონ წავიდა კლიმთან.

კლიმის ცოლმა ნატალიამ, წყნარმა და გაუბედურებულმა ნატალიამ, სწორედ იმან, იმ დღეს ჭარხლის ფოთოლზე რომ თვალიდან ცრემლი ჩამოუვარდა, საწყალობელი ხმით უთხრა:

_ ჯერ არ მოსულა ის მაწანწალა. ალბათ, სადღაც დარჩა ღამის გასათევად, ის უწმინდური, ისა, ანდა გაილეშა. ვაი ჩემს თავს, უბედურს! ახლა, ალბათ, ხვალამდე აღარ მოვა. ძაღლს კი არ დაგიკარგავთ, კარგად ვიცნობ, მოგიყვანთ...

შინ დაბრუნებულმა ხრისან ანდრეევიჩმა ყველაფერი უამბო ალიოშას და ორივენი დაწვნენ დასაძინებლად, თან ჩუმად ლაპარაკობდნენ, რომ დედა არ გაეღვიძებინათ, არც ერთს არ გაუგია, როგორ დაბრუნდა შავყურა და პირმაღზე დაწვა, როგორ ფეხაკრეფით მოვიდა კლიმი და როგორ გაიქცა, როგორ გაეცალა ბოროტ ადამიანს მათი ახალი კეთილი მეგობარი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დილით მამამ გააღვიძა ალიოშა.

_ ადექი. პარმაღზე ახალი ნაკვალევია, შავყურა მოსულა.

ორივემ ერთად დაუწყო ძებნა: ეძახდნენ, უსტვენდნენ, მაგრამ შავყურას ამის გაგონება უკვე აღარ შეეძლო. ხრისან ანდრეევიჩმა თითქმის ძუნძულით გასწია კლიმთან, გააღვიძა.

_ მოგიყვანეთ, აკი მოგიყვანეთ, _ უკმაყოფილო ხმით ბუბუნებდა კლიმი. _ ნაშუაღამევს მოგიყვანეთ, შენი გაღვიძება არ მინდოდა... თუ გინდა, ჩემს ნაკვალევს გიჩვენებ. შე კი ამ დილაადრიან გამაღვიძე, ამაფორიაქე. როგორ გგონია, ადამიანურად იქცევი? შენი ძაღლი ნადირობისათვის უვარგისია. რა ოხრად მინდა. აღარასოდეს წავიყვან.

ხრისან ანდრეევიჩმა კამათი არ დაუწყო: ასეთი კაცის გადაკიდება არ ღირდა.

მამა-შვილმა მთელი სოფელი მოიარა, ბოსტნებიც, კოლმეურნეობის ეზოშიც შეიარეს (იქნებ ძაღლებთან მივიდაო სტუმრად). არა, არავის ენახა შავყურა. დაიკარგა, გაქრა.

_ მაშასადამე, კლიმს უცემია, _ მიხვდა ხრისან ანდრეევიჩი. _ გაქცეულა ჩვენი შავყურა.

ალიოშას კი ამ დროს დარდისა და სიბრალულისაგან გული ეწვოდა. ის პარმაღის იატაკს დააჩერდა: ნაკვალევი უკვე გამშრალიყო, მაგრამ ის ადგილი, სადაც შავყურა იწვა, შესამჩნევი იყო. ალიოშა დაიხარა და მოულოდნელად ყვირილით შევარდა შენ:

_ მამილო! სისხლი!

მამა გარეთ გამოვარდა, დააკვირდა: იმ ადგილას, სადაც შავყურას თავი დაედო, სისხლთან შერეული ნერწყვის წინწკლები დარჩენილიყო.

_ მხეცი! _ თქვა ხრისან ანდრეევიჩმა. მერე ცოტა დაფიქრდა და ალიოშა გააფრთხილა: _ იცოდე, ის კაცი არ გადაიკიდო, ალიოშა, რამე უბედურებას შეგამთხვევს. აი რა, მოდი, შავყურას კვალს გავყვეთ.

გაჰყვნენ კვალს და ავტობუსის გაჩერებასთან მივიდნენ. გზადაგზა ეძებდნენ და ეძახდნენ ძაღლს, გაჩერებასთან დიდხანს იდგნენ, ელოდნენ, მერე კი შინ წავიდნენ. იფიქრეს, თუ აქეთ წამოვიდა, ახლა უკვე შორს იქნებაო. იმ დღეს სულ ახლოს ჩაუარეს იმ ზვინს, რომელშიაც ისვენებდა მათი შავყურა, ბიმი.

საღამოთი ალიოშა რამდენჯერმე გავიდა პარმაღზე, ელოდა, ეძახდა. შემდეგ წინკარში შემოვიდა, თივით გატენილ ძაღლის ჯიხურთან დაჯდა და დაუფარავად, ბავშვურად ატირდა. ბიჭი ტიროდა და სახელოთი იწმენდდა ცრემლებს, რომლებიც მისდა უნებურად სცვიოდა თვალებიდან.

ხრისან ანდრეევიჩმა გაიგონა ალიოშას ტირილი. წინკარში გამოვიდა, სინათლე აანთო.

_ შენ რა, ტირი, ბიჭო? _ გაიოცა მამამ.

_ ჰო, _ უპასუხა ათრთოლებულმა ალიოშამ.

მამამ კოჟრებიანი ხელისგული თავზე გადაუსვა შვილს და უთხრა:

_ ეგ კარგია, ალიოშა... უგულო არ ყოფილხარ, შვილო...

პეტროვნაც გამოვიდა.

_ შავყურა გენანება? _ ჰკითხა ბიჭს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

_ მენანება, დედილო, მენანება!..

_ ეს როგორ მოგივიდა, კაცო! _ ასლუკუნდა ქალიც, _ მაგრამ რას იზამ, ალიოშა, რა გაეწყობა... ალბათ, ასე უნდა მომხდარიყო...

...ამ დროს კი ბიმი ავტობუსის გაჩერებაზე მერხქვეშ იწვა.

იწვა და ელოდა. მხოლოდ ერთ რამეს ელოდა _ გათენებას.

თავი მეცამეტე
ტყის საავადმყოფო
დედ-მამა
ელჭექი ტყეში

ინათა თუ არა, ბიმმა სცადა წამომდგარიყო, მაგრამ გაუჭირდა, გაუჭირდა კი არა, ვერ შეძლო. მოკუნტული ბიმი ვერ იშლებოდა: შიგნით რაღაც გაქვავებოდა და შეწებებოდა. ძლივძლივობით (ისე, როგორც ძაღლს არ სჩვევია), ქათამივით ჯერ ცალი უკანა ფეხი გასწია, შემდეგ _ მეორე. ორივეთი კედელს მიებჯინა და მერხის ქვემოდან გამოძვრა, ცოტა ხანს იწვა, მერე ცოცვა-ცოცვით პავილიონიდან გამოფოფხდა, დაჯდა. დაბუჟებული ფეხები თითქმის გაუთავისუფლდა. ბიმმა სძლია ტკივილს და ფეხი გადადგა. ჩუმი წკმუტუნით იხშობდა ტკივილს და ისე მიდიოდა, ჯერ გაჭირვებით, მიწაზე ფეხების თრევით, შემდეგ კი _ სულ უფრო და უფრო გამართულად.

ძუნძული სცადა _ ტკივილი ასე უფრო ნაკლებად აწუხებდა. და, აი, ძუნძულით ნელ-ნელა გასწია წინ. კაცს, რა თქმა უნდა, მოეჩვენებოდა, თითქოს ძაღლი არც მირბოდა და არც ერთ ადგილას იდგა, მხოლოდ ფეხებს აფხარკალებდა, სხეულს კი არც ანძრევდა. ბიმს ასე ერჩია. მან იგრძნო, რომ ბალახები და მოძრაობა შველოდა, და ისიც მიძუნძულებდა და მიძუნძულებდა გზის ბაზოზე.

დიდხანს მირბოდა, შეიძლება სამი ან იქნებ ოთხი საათიც (რა თქმა უნდა, უმეტესად ჩერდებოდა და წვებოდა ხოლმე). მისი სიჩქარე ფეხით მიმავალი კაცის სიჩქარეს უდრიდა, თუმცა, შეიძლება ცოტა კიდევაც აღემატებოდა. მაგრამ ესეც კარგი იყო!

უცბად, მისთვისაც მოულოდნელად, ავტობუსის ის გაჩერება იცნო, სადაც ნადირობის წინ ისა და ივან ივანიჩი ჩამოდიოდნენ ხოლმე. დიახ, იცნო!

პავილიონთან ხალხი იდგა. ავტობუსს ელოდნენ. ბიმი შეჩერდა, ხალხს მარცხნივ აუქცია გვერდი და იმ გზაზე გავიდა, რომლითაც სანადიროდ დადიოდნენ ხოლმე. ვიღაცამ დაუსტვინა, ვიღაცამ კიჟინი ატეხა, ვიღაცამ კი დაიყვირა: «ცოფიანიო!» ბიმი ამას ყურადღებას არ აქცევდა. შეეცადა კი, უფრო ჩქარა ევლო, ოთხზე გადასულიყო, მაგრამ ვერ მოახერხა, სიჩქარეს ვერ მოუმატა, მხოლოდ უფრო გაუჭირდა.

მთავარია, იქ მივიდეს, იქ, სადაც შეიძლება უკვე მივიდა ან შეიძლება მალე მივიდეს ივან ივანიჩი.

ტყის ნაპირას შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა და შიგ შევიდა. მაშინვე იპოვა ნაცნობი კორდი და პატარა ჯირკთან გაქვავდა, ცოტა ხანს იდგა, ადგილიდან ფეხმოუცვლელად დაყნოსა იქაურობა, ჯირკს გარშემო შემოუარა, მიწა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დასუნა და უცბად როგორღაც გაბედულად დაწვა ძირს დაცვენილ ფოთლებზე, აი, აქ, ყოველთვის აქ იჯდა ხოლმე ივან ივანიჩი ნადირობის წინ. ბიმმა თავი გასწია და ყვითელ ფოთლებს გაუსვა სწორედ იმ ადგილას, სადაც ოდესღაც მისი მეგობრის ფეხები იდგა, თუმცა ყოველგვარი სუნი უკვე დიდი ხანია გამქრალიყო.

დღე კი თბილი იყო, მეტად თბილი!..

*

გვიან შემოდგომაზე მოხდება ხოლმე, პირველი თოვლის შემდეგაც კი, ზაფხული დაბრუნდება, მიმავალ შემოდგომას თავის ოქროს კუდს გამოსდებს და შემოდგომა დადნება, გაინაზება და მიჩუმდება, მსგავსად ალერსიანი ძაღლისა, რომელსაც ქალი ეფერება და მაშინ ტყეს მოეფინება უკანასკნელი სურნელი დაცვენილი ფოთლებისა, ასკილის ლალისფერი ნაყოფისა, ქარვისფერი კოწახურისა, წიწაკასავით მწარე და მძაფრი ხარისჩლიქასი, წყლით გაჟღენთილი ხელუხლებელი თეთრი სოკოსი, რომელიც თუმცა დაშლილა, მაგრამ ისევ ისე სურნელოვანია და წარსულ ამინდს გვაგონებს; ყველაფერს მოედება მოღიმარი, კეთილი სული, იგი სოჭიდან არყის ხისაკენ გასწევს, არყის ხიდან _ მუხისაკენ, მუხა კი ძალის, ტყის ძლიერებისა და მარადიულობის მძლავრი სურნელით უპასუხებს მას. ამ სურნელებაში არის რაღაც მარადიული და აღმოუფხვრელი, რაც განსაკუთრებით იგრძნობა შემოდგომის მიმავალ თბილ, რბილ და ალერსიან დღეებში, როცა იგი უკვე თავდახსნილია გულის გამაწვრილებელი წვიმისაგან, პირველი ყინვების გაავებული თავდასხმებისა და ყველაფრის დამბურავი ჭირხლის მჩხვლეტავი ნემსებისაგან. ყველაფერმა გაიარა, ყველაფერი წარსულშია. თითქოს შემოდგომა სიზმარში ხედავს ზაფხულს, ჩვენ კი მადლმოფენილი სილამაზის სიდიადითა და დედამიწის სულისჩამდგმელი სურნელებით წარმოგვიდგენს თავის ღვთაებრივ ზმანებებს. ნეტავი მას, ვინც ბავშვობიდანვე შეძლო შეეწოვა ყოველივე ეს და მთელი სიცოცხლის მანძილზე ისე ატარა, რომ ერთი წვეთიც არ დაღვარა ბუნებისაგან ბოძებული ჭურჭლიდან.

ასეთ დღეებში ტყეში ყოვლისმიმტევებელი ხდები, ამასთან, შენი თავისადმი მომთხოვნი, დამშვიდებული გულით უერთდები ბუნებას. შემოდგომის ზმანებათა ამ საზეიმო წუთებში გსურს, დედამიწაზე არ არსებობდეს არც სიცრუე, არც ბოროტება. და მიმავალი შემოდგომის სიჩუმეში ნაზი თვლემით მოცული, როცა ცოტა ხნით გავიწყდება მომავალი ზამთარი, ხვდები: საჭიროა მხოლოდ სიმართლე, მხოლოდ სახელი, მხოლოდ სუფთა სინდისი, და ყველაფერ ამაზე უნდა ითქვას სიტყვა: სიტყვა მიმართული პატარა ადამიანებისადმი, ოდესმე რომ დიდები გახდებიან, და დიდებისადმი, რომლებსაც არ დავიწყებიათ. რომ ოდესღაც ბავშვები იყვნენ.

შეიძლება ამიტომ ვწერ წიგნს ძაღლის ბედზე, მის ერთგულებაზე, ღირსებასა და თავდადებზე; იმ ძაღლის ბედზე, რომელსაც იმ შემოდგომის თბილ დღეს პატარა ჯირკთან მოეკალათებინა და ტყეში დარბოდა.

*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაშ, ასე. ბუნების ერთ-ერთ უბედნიერეს დღეს ტყეში იწვა უბედური ძაღლი ბიმი. დღე კი _ ღმერთო ჩემო! _ როგორი თბილი იყო.

მაგრამ მიწა ხომ ცივი იყო. ამიტომ ბიმი ჯირკის ძირას მოიკუნტა, თითქოს ჯირკი პატრონის ფეხები ყოფილიყოს, ცოტა დაისვენა, მერე ადგა და ნელ-ნელა გაჰყვა ტყეს, რაღაცას ეძებდა. მოშივდა. ახლად მოჭრილ ოფთან შეჩერდა და მისი ნოყიერი ქერქის ღრღნა დაიწყო. ოფის ქერქი დომბების საყვარელი, გემრიელი საჭმელია, იცოდა კი ბიმმა, რომ ეს ქერქიც სამკურნალო იყო მისთვის? არა მგონია.

იქნებ ადამიანები ვერც კი ხვდებიან, რომ ძაღლების უმძაფრეს ყნოსვას შეუძლია სასარგებლო სურნელების მავნესაგან გარჩევა. ხომ არ დაუწყო ბიმმა შხამიან ხარისჩლიქას ჭამა! ვალერიანის ფესვთან კი შეჩერდა. რატომ უყვართ ძაღლებსა და კატებს მისი სუნი? ესეც არავინ იცის, მაგრამ ბიმმა ორიოდეჯერ ძლივძლივობით მოთხარა მის გარშემო ფაფუკი ფოთლებით დაფარული მიწა. ძირი მოაკვნიტა და შეჭამა, მერე კიდევ შეჭამა. ვალერიანის ძირი ზედ მიწის ძირას არის, ამიტომ მისი პოვნა ადვილია, იმდენი შეჭამა, რამდენიც საჭირო იყო, არც მეტი, არც ნაკლები. მერე ერთ ადგილზე დატრიალდა, თითქოს დასაწოლ ადგილს ტკეპნისო, მაგრამ ადგილი არ მოეწონა (ესეც, ვინ იცის, რატომ). პატარა წრე შემოხაზა, შემდეგ ამაზე პატარა, ფოთლებით ამოვსებული, ომის შემდეგ დარჩენილი ძველი სანგარი ნახა, შიგ ჩაძვრა და ერთ ადგილას დატრიალდა. უკვე ღრმა და რბილი საწოლი მოტკეპნა, თუმცა, როგორც ჩანს, დაწოლა არ უნდოდა; თითქოს ძილს ებრძოდა, მაგრამ ერთბაშად დაეცა საწოლზე და მაშინვე მაგრად ჩაეძინა. ვალერიანმა თავისი გაიტანა. ტამბოვის ოლქში მას ჭყიმს ეძახიან, მაგრამ არსად, არც ერთ ოლქში, არც ერთ ჯანმრთელ ძაღლს არ უჭამია და არც ჭამს ჭყიმს, შეიძლება ზოგიერთმა მხოლოდ დრუნჩი გაუსვას, ავადმყოფები კი ჭამენ. ამ შემთხვევაში ინტელიგენტი ბიმი სხვა ძაღლებზე ნაკლები როდი იყო.

ჰოდა, ადგა და შეჭამა. ამიტომ გთხოვთ, ჩუმად იყოთ, ჩუმად, აი, იმ ორმოში სძინავს ჩვენს კეთილ ბიმს.

უკვე მესამე დღეა არაფერი უჭამია გარდა ბალახებისა. და ტკივილისა და დაძაბულობის გამო არ უძინია, ასე მაგრად დიდი ხანია არ სძინებია. ორმოში თბილოდა და სიჩუმე მეფობდა. შემოდგომის შესაფერისად მიჩუმებული ტყე სდარაჯობდა ავადმყოფი ბიმის სიმშვიდეს, ბალახებითა და მაცოცხლებელი ჰაერით მკურნალობდა. მადლობელი ვარ შენი, ტყეო.

ბიმმა მხოლოდ დაღამებისას გაიღვიძა, ზემოთ ამოძვრა, თუმცა სიარული უძნელდებოდა, მაგრამ უფრო ნაკლებ, ვიდრე დილით. მხოლოდ ჯერ ძალ-ღონე არ ჰქონდა. შიგნით თითქოს ცოტა მოეშვა. ბიმი მშობლიურ ჯირკთან მივიდა, ცოტა ხანს დაჯდა და ისევ თავის ბუნაგში დაბრუნდა. ისევ დაჯდა, ისევ ყნოსვით მოსინჯა ჰაერი, მიიხედ-მოიხედა: გარშემო სიმშვიდე სუფევდა. და ისევ ჩაწვა თავის თბილ, მყუდრო, ღრმა ორმოში. ალბათ, კარგი სიზმარი ნახა. აუცილებლად ნახა, რადგან კუდს ოდნავ აქიცინებდა.

ასე იძინა მთელი ღამე და არც შესცივნია.

გათენებისას ჩუმმა ფაჩუნმა გააღვიძა. თავი ასწია: ვიღაც ფოთლებს ქექავდა. ორმოდან ამოძვრა და უქარო ამინდში ცხვირით ძლივსშესამჩნევი ჰა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერის მიკროსკოპული ნაკადები ამოიკითხა: ტყის ქათამია, _ დაასკვნა ბოლოს.

მონადირის დაუძლეველმა გატაცებამ დაძაბა სუსტი სხეული და შეანელა ტკივილი, გულ-ღვიძლს რომ უწვავდა. ტყის ქათამი ხუთიოდე ნაბიჯზე იყო მისგან. იგი ფეხებით ქექავდა ფოთლებს, ნისკარტს რბილ მიწაში ყოფდა, ზუსტად უმიზნებდა პატარა ხვრელს, იქიდან ჭია გამოჰქონდა და სიამოვნებით ჭამდა. ფრინველი ცალ ფრთას მიათრევდა. (აი, ასეთ დაჭრილ ფრინველებს ტოვებენ ვაი-მონადირეები და შემდეგში ეს ფრინველები ან მელიის მსხვერპლნი ხდებიან, ანდა, დიდ ყინვამდე გაძლება თუ მოახერხეს, მერე მაინც იღუპებიან).

ბიმმა თათი გადადგა _ მუშაობაში გართულმა ტყის ქათამმა ვერაფერი გაიგონა და თავისი საქმე განაგრძო. მასაც უფლება არა აქვს, დრო დაკარგოს. თბილ ამინდში ჭია მიწის ზედაპირთან ახლოს ამოდის ანდა სულაც სქელ ფოთლებქვეშ წევს. ბიმი ფრინველს მიეპარა, ნაბული გააკეთა და გაშეშდა. არავინ დაუძახა: «მიდიო!», თვითონ დაიძრა ადგილიდან, უნდოდა ფრინველს ზემოდან დახტომოდა და თათებით მიწაზე გაეკრა, მაგრამ ნახტომი არ გამოუვიდა. დაეცა და ტყის ქათამს კბილები სტაცა. ცოტა ხანს გვერდზე იწვა, შემდეგ მუცელზე დაწვა და.. ნანადირევი შეჭამა. მთლიანად შეჭამა. ბუმბულის მეტი არაფერი დარჩენია, ნისკარტიც კი, რომელიც, როგორც ბიმმა დაადგინა, სრულიად რბილი ჰქონდა, შეჭამა.

ეს როგორ მოხდა, გაწვრთნილმა, მონადირის გამოცდილი ხელით გაწვრთნილმა ბიმმა სახელი შეირცხვინა და ნანადირევი შეჭამა? მეც მაგაზე ვფიქრობ. ეს იმიტომ, რომ ძაღლსაც სწყურია სიცოცხლე. ამის მეტს ვერაფერს იტყვის კაცი.

საქმე ის არის, რომ ძალა მოემატა, მოსწყურდა, ბიმმა გუბე მონახა, რომლის მაგვარი ბევრია სტუმართმოყვარე ტყეში, და წყურვილი მოიკლა. უკან დაბრუნებულს გზად თაგვის სუნი ეცა და თაგვიც პირველ კერძს დააყოლა. შემდეგ ბალახს დაუწყო ძებნა. პირველ ყოვლისა, მოგლიჯა გარეული ნივრის ნახევრად გამხმარი ღეროები, გადმოაფურთხა, სამაგიეროდ, მისი თავი ამოთხარა, შეჭამა და დაიღმიჭა (რაც უნდა იყოს, მაინც ნიორია). ძაღლი ტყეში მილასლასებდა და პოულობდა იმას, რაც სჭირდებოდა. ღმერთმა იცის, საიდან გაიგო, რომ ნიორი იოდის ორ თუ სამ მეათედ პროცენტს შეიცავს. ამაზე პასუხს ვერავინ გაგცემთ. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ გაჭირვების დროს, თითქმის სიკვდილის პირას მისულს, ორი დღის წინ გამოცხადებასავით მოევლინა მისი შორეული წინაპრების გამოცდილება, რომელიც უხსოვარი დროდან, მოსე წინასწარმეტყველის დროიდან იყო დაპროგრამებული. ესეც ბუნების სასწაული გახლდათ.

ბიმმა კიდევ ხუთი დღე იმკურნალა, ჭამდა, რასაც ღმერთი მისცემდა, მაგრამ მკურნალობით კი დაჟინებით მკურნალობდა. ისევ თავის მოწყობილ ორმოში ეძინა, ახლა რომ მის დროებით თავშესაფრად იქცა. ერთხელ მძინარე კურდღელსაც კი წააწყდა, მაგრამ მისი ხორცი ვერ იგემა, რადგან კურდღელი წამოხტა და მოუსვა. ბიმს არც კი უცდია, გამოჰკიდებოდა. ნადირს ჯანმრთელი სეტერიც ვერ დაეწეოდა, ბიმი კი _ მით უმეტეს, ამაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. მხოლოდ თვალი გააყოლა და ტუჩები მოილოკა, ეს იყო და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეს. მაგრამ ტყე მფარველობდა, ბიმმა როგორღაც გაიტანა თავი, ცუდად, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც გაიტანა. თუმცა ავადმყოფობისა და უხეირო კვების გამო გახდა, მაგრამ ბალახებმა თავისი საქმე გააკეთეს _ ბიმი ცოცხალიც დარჩა და გზის გაგრძელებაც შეძლო, რომ მეგობარი ადამიანი მოეძებნა. ეს გონებამ კი არა, ისევ გულმა, ერთგულებამ და თავდადებამ უკარნახა.

ჯირკიანი კორდის მორიგი დათვალიერების დროს ბიმი დაწვა, მერე ისევ ადგა, ისევ დაწვა და ისევ ფეხზე წამოდგა. ალბათ, იფიქრა, ივან ივანიჩის აქ მოსვლას ვერ ვეღირსებიო და ისევ ორმოსთან დაბრუნდა, მერე ისევ ჯირკთან მივიდა, იქაც და აქაც თითო წუთს ჩერდებოდა და ისევ უკან ბრუნდებოდა. ამ გარბენ-გამორბენაში ძალიან დიდი მოუთმენლობა ეტყობოდა. მოუსვენრობა სულ უფრო მატულობდა. ბოლოს ბიმმა გვერდით ჩაურბინა ჯირკს და შეუჩერებლივ, მსუბუქი ძუნძულით გზატკეცილისაკენ გაემართა. ეს საღამო ჟამს მოხდა, როცა მზე უკვე ჩასვლას აპირებდა.

*

ქალაქში ბიმი გვიან საღამოთი მივიდა. იქ სრულიად სხვაგვარი სინათლე იყო, ვიდრე ღამით _ ტყეში, და სწორედ ეს აწუხებდა ბიმს. ასეთი რამ მას არასოდეს დამართნია. ფრთხილად, აჩქარებით მიდიოდა, რამდენადაც ჯანმრთელობა აძლევდა ნებას და მიდიოდა, რა თქმა უნდა, შინ, პატრონთან; სტეპანოვნასთან; ლუსიასთან, ტოლიკთან; ყველანი, ალბათ, იქ არიან. მაგრამ მისთვის მულოდნელად, ჯერ კიდევ ქალაქის ახალ გარეუბანში, ტყუპისცალებივით ერთმანეთის მსგავს სახლებს შორის, ბიმმა გადაწყვიტა, გვერდი აექცია საშიში უბნისათვის, სადაც ცუდი კაცი ცხოვრობდა. შორს შემოუარა, გვერდით ქუჩაზე შეუხვია და ღობეს მიადგა. ღობის შემოვლა დაიწყო თუ არა, უცბად ჭიშკრის წინ გაშეშდა; ეს ხომ ტოლიკის ნაკვალევია! ბიჭს, რომელიც ასე შეიყვარა ბიმმა, აქ გაევლო, სულ ახლახანს გაევლო. ჭიშკარი დაკეტილი იყო, მაგრამ ბიმი არც დაფიქრებულა, ისე გაძვრა მის ქვეშ და პატარა მეგობრის კვალს გაჰყვა. ეს-ეს არის გაუვლია, ეს-ეს არის. ეს იყო პაწაწინა ბაღი _ პარკი, რომლის შუაშიც იდგა პატარა ორსართულიანი სახლი. კვალმა იქ მიიყვანა.

ბიმი მივიდა კართან, რომელშიაც სულ ცოტა ხნის წინათ შევიდა ტოლიკი. პატარაობიდანვე მიჩვეული იყო, ნდობით მოკიდებოდა ყოველ კარს, და ამასაც ფხაჭუნი დაუწყო. პასუხი არავინ გასცა. ბიმს არ ესმოდა, რომ მის ასეთ საქციელს ამჟამად შეიძლება გულუბრყვილობით გამოწვეული თავხედობა დარქმეოდა. მაგრამ ერთხელ კიდევ, ახლა უფრო ძლიერად მიაფხაჭუნა.

კარს უკნიდან ქალის ხმა მოისმა:

_ ვინ არის?

_ «მე, _ უპასუხა ბიმმა. _ «ჰამ!»

_ ეს რა ამბავია, ტოლიკ! ვიღაც მოვიდა შენთან ძაღლით. ესღა გვაკლდა!

«მე ვარ, მე! _ თქვა ბიმმა. _ ჰამ, ჰამ!»

_ ბიმ, ბიმ! _ აყვირდა ტოლიკი და კარი გააღო. _ ბიმ, ძვირფასო ბიმ, ბიმ, ბიმკა! _ და მოეხვია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბიმი ხელებს, ქურთუკსა და ფლოსტებს ულოკავდა ბიჭს და თვალებში მისჩერებოდა. რამდენი იმედი, რწმენა და სიყვარული გამოსჭვიოდა ამდენი უბედურების გადამტანი ძაღლის თვალებიდან!

_ დედა, დედიკო, შეხედე, რა თვალები აქვს. ადამიანისა, ნამდვილი ადამიანის! რა ჭკვიანია, თვითონ მომძებნა. დედა, თვითონ მიპოვა...

მაგრამ მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ მეგობრები თავისი შეხვედრით ხარობდნენ, დედას ხმა არ ამოუღია. ხოლო როცა ისინი დამშვიდდნენ, იკითხა:

_ ის არის?

_ დიახ, _ უპასუხა ტოლიკმა, _ ბიმია, ბიმი კარგია.

_ ახლავე გააგდე.

_ დედა.

_ ახლავე-მეთქი!

ტოლიამ გულში ჩაიკრა ბიმი.

_ არა, დედა, არა. გთხოვ, გემუდარები! _ და ატირდა.

ზარის მუსიკალური ხმა გაისმა. შემოვიდა კაცი. მან კეთილი, მაგრამ დაქანცული ხმით იკითხა:

_ რა ამბავია, რა მოხდა? ტირი, ტოლიკ? _ კაცმა პალტო გაიხადა, შემდეგ ფეხსაცმელი, ფლოსტები ჩაიცვა, ბიჭთან და ძაღლთან მივიდა და თქვა: _ რა გატირებს, სულელო? _ და თავზე ხელი გადაუსვა ბიჭს, ბიმს კი ყურზე მოუთათუნა. დახე! როგორი გამხდარია!

_ მამა, მამიკო... ძალიან კარგი ძაღლია, ნუ გააგდებ!

ამის გაგონებაზე დედა აყვირდა:

_ აი, ასეა ყოველთვის: მე ერთს ვეუბნები, შენ მეორეს. ამას ჰქვია აღზრდა? აფუჭებ ბიჭს. _ ქალმა თქვენობით დაუწყო ლაპარაკი: _ იდაყვებს დაიკბენთ, სემიონ პეტროვიჩ, მაგრამ გვიან იქნება.

_ დაიცა, დაიცა, ნუ ყვირი. დამშვიდდი, _ და უკან ოთახში გაიყვანა სადაც ქალი კიდევ უფრო ხმამაღლა ყვიროდა, კაცი კი ამშვიდებდა.

ბიმმა მხოლოდ ის გაიგო, რომ დედა წინააღმდეგი იყო მისი, მამა კი _ მომხრე, და რომ ბიმი ჯერჯერობით ტოლიკთან დარჩებოდა. ადამიანსაც კი არ დასჭირდებოდა სიტყვების გაგება, ყველაფერს კარგად მიხვდებოდა, ყურებიც რომ დაეცოთ მისთვის. აქ კი ყურებდაუცობელი და ჭკვიანთვალებიანი ძაღლი იდგა და როგორ არ გაიგებდა! მართლაც, ტოლიკმა თავის ოთახში გაიყვანა ბიმი (იქ მხოლოდ და მხოლოდ ტოლიკის სუნი იდგა).

არც ბიმს და არც ტოლიას აღარ გაუგონიათ ტოლიას დედ-მამის შემდგომი ლაპარაკი.

მათ ოთახში კი ამ დროს, აი, რა ხდებოდა:

_ ტოლიკის თანდასწრებით ასეთ რამეს რატომ მეუბნები: «ბავშვს გააფუჭებო»? ეს ხომ დამღუპველია მისთვის.

_ ის კი დამღუპველი არ არის, რომ აშკარად ავადმყოფი ძაღლი, მაწანწალა, ასეთ გაკრიალებულ ბინაში მოჰყავს? გაგიჟდი? ღმერთმა იცის, რას შეჰყრის ბავშვს. ნებას არ მოგცემთ, ახლავე გააგდე ძაღლი!

_ ეჰ, ქალო, ქალო! _ ამოიოხრა სემიონ პეტროვიჩმა, _ წარმოდგენა არა გაქვს ტაქტიკაზე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

_ ჯანდაბამდე გზა გქონიათ მაგ თქვენი ტაქტიკიანად!

_ აი, ისევ შენსას იწყებ... ჭკუით უნდა მოიქცე, ჭკუით, არც ტოლიკს უნდა მივაყენოთ ტკივილი და ძაღლიც უნდა გავუშვათ. _ შემდეგ ცოლს რაღაც ჩასჩურჩულა და დაასკვნა: _ ასეც მოვიქცევით გავაგდებთ.

_ მაშინვე გეთქვა, შე დალოცვილო, _ დამშვიდდა დედა.

_ ტოლიას თანდასწრებით ხომ ვერ გეტყოდი... შენ კი სულელო, გაიძახი: «ჯანდაბას ტაქტიკაო», და ლოყაზე ხელი მოუცაცუნა (ესე იგი, შერიგდნენ).

ორივენი ტოლიასთან შევიდნენ. დედამ თქვა:

_ კარგი, ეგრე იყოს, იცხოვროს ჩვენთან....

_ რა თქმა უნდა, იცხოვროს, მხარი დაუჭირა მამამ.

ტოლიას ძალიან გაუხარდა. მადლიერი თვალით მისჩერებოდა დედ-მამას, ბიმის ამბავს უამბობდა და ძაღლს აჩვენებინებდა, რაც იცოდა.

ბედნიერი ოჯახი იყო, სადაც ყველანი კმაყოფილნი იყვნენ ცხოვრებით.

_ მხოლოდ ერთი პირობით, ტოლიკ, არავითარ შემთხვევაში ბიმმა შენს ოთახში არ იცხოვროს. წინკარში იქნება, _ დაასკვნა მამამ.

_ კარგი, კარგი, ეგრე იყოს, _ დაეთანხმა ტოლიკი. ბიმი ძალიან სუფთა ძაღლია. კარგად ვიცი.

ბიმმა, რა თქმა უნდა, შეამჩნია, რომ მამა კარგი კაცი იყო, მშვიდი, საკუთარ თავში დარწმუნებული და აუჩქარებელი. შემდეგ კი, როცა ტოლიამ ოთახებში გაატარა, აქაც შეამჩნია, რომ მამა მარტოკა ჭამდა გაზეთით ხელში და ამას მშვიდად და დაჯერებულად აკეთებდა. კარგი კაცია მამა, იგივე სემიონ პეტროვიჩი.

დიდხანს ულოლიავებდა ტოლია ძაღლს: დავარცხნა. ცოტაოდენი აჭამა (მამამ უთხრა: «მშიერ ძაღლს ბევრი არ აჭამო, შეიძლება დაღუპოო»). დედას პატარა ლეიბი მოსთხოვა (ახალთახალი), წინკარის კუთხეში გაუშალა და უთხრა:

_ აი, შენი ადგილი, ბიმ, ადგილზე!

ბიმი უყოყმანოდ დაწვა. ის ყველაფერს მიხვდა: ჯერჯერობით აქ იცხოვრებდა, პატარა ადამიანის ალერსმა და ყურადღებამ გაათბო.

_ ძილის დროა, ტოლიკ, უკვე თერთმეტის ნახევარია. წადი დაწექი, _ უთხრა მამამ.

ტოლიკი დაწვა, დაძინების წინ ბიჭი ფიქრობდა:

«ხვალ სტეპანოვნასთან წავალ და ვეტყვი, ბიმი ჩემთან იცხოვრებს, ვიდრე ივან ივანიჩი დაბრუნდება-მეთქი». _ ამ ფიქრში რომ იყო, გაახსენდა: როცა შინაურებს უამბო, სტეპანოვნასთან დავდივარ, მას შვილიშვილი ლუსია ჰყავს და ბიმს სასეირნოდ დავატარებო, დედა აყვირდა, მამამ კი უთხრა: «დღეის შემდეგ იქ აღარ ივლიო». ტოლია ატირდა, მამა მიუბრუნდა დედას და უთხრა: «ჩვენ დაგვავიწყდა, რა არის ტაქტიკა!» თავზე ხელს უსვამდა ტოლიას და ეუბნებოდა: _ «რას იზამ, უნდა გაიზარდო, დიდი კაცი გახდე და არა მეძაღლე. და ბებერ დედაკაცებთან არ უნდა იარო. ეს ასეა, რა გაეწყობა?» ახლა კი ბიმი მასთან იცხოვრებს და «მოხუც დედაკაცებთან» სიარული არ დასჭირდება... მხოლოდ ერთხელ მივა სტეპანოვნასთან, რომ ყველა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფერი უამბოს... ლუსიასთანაც... ლუსია კარგი გოგოა... ბიმს კი, ალბათ, უკვე სძინავს. კარგი ძაღლია ბიმი!

ამ ფიქრში გართულმა ბიჭმა მშვიდ, ნათელ ძილს მისცა თავი.

...შუაღამისას ბიმს ხმაური მოესმა. თავაუწევლად გაახილა თვალები და დაინახა: მამა ფრთხილად მივიდა ტელეფონთან, ცოტა ხანს იდგა, ყური მიუგდო, შემდეგ ყურმილი აიღო და ჩურჩულით მხოლოდ ორი სიტყვა ჩასძახა:

_ მანქანა... ახლავე.

ამ სიტყვების მნიშვნელობა ბიმმა, რა თქმა უნდა, ვერ გაიგო, მაგრამ შეამჩნია, რომ მამა შეშფოთებით მისჩერებოდა ტოლიკის კარს. შემდეგ მოუსვენრად გადახედა ძაღლს, სამზარეულოში გავიდა. ფეხაკრეფით გამოვიდა იქიდან, თოკი და რაღაც ბოხჩა გამოიტანა. ბიმმა მოისაზრა: საქმე სხვანაირად იყო: მამა გამოიცვალა, თავის თავს არა ჰგავდა. შინაგანი ალღო უკარნახებდა დაეყეფა, ტოლიასთან გაქცეულიყო. ბიმიც სწორედ ასე მოიქცეოდა, მაგრამ მამა მივიდა მასთან და ხელი გადაუსვა (მაშასადამე, ყველაფერი რიგზეა), შემდეგ საყელოში თოკი ჩააბა, პალტო ჩაიცვა, კარი ჩუმად გააღო და გარეთ გაიყვანა.

სადარბაზოს კართან ცოცხალი ავტომობილი თუხთუხებდა.

და აი, ბიმი უკანა დასაჯდომზე ზის და მიდის. წინ, საჭესთან, კაცია, გვერდით სემიონ პეტროვიჩი უზის. ბოხჩიდან, რომელიც ბიმის გვერდით დევს, ხორცის სუნი მოდის, კისერზე თოკი აბია, ადამიანები დუმან. ღამეა, კუპრივით ბნელი ღამე. ცა ღრუბლებს დაუფარავს. ღრუბლები, ხრისან ანდრეევიჩის სახლში რომ თუჯის ნაჭერი გდია, იმის ფერია, უკუნეთი ღამეა. ასეთ ღამეში ძაღლს არ შეუძლია, მანქანიდან თვალი ადევნოს არემარეს და უკან წამოსასვლელი გზა დაიმახსოვროს. ბიმმა არც ის იცოდა, სად მიჰყავდათ. ეს რა ძაღლის საქმეა. მიჰყავთ და მორჩა. მხოლოდ თოკი რა საჭიროა? მოუსვენრობა საბოლოოდ მოერია, როცა ტყესთან მივიდნენ და გაჩერდნენ.

სემიონ პეტროვიჩმა ბიმი შიგ შუაგულ ტყეში შეიყვანა, თან თოფიც წამოიღო. სულ თავქვე მიდიოდნენ, ხრამში, განაკაფს ფარნით ანათებდნენ. გზა უზარმაზარი მუხებით შემორტყმულ პატარა კორდს მიადგა. აქ სემიონ პეტროვიჩმა ბიმი თოკით ხეზე მიაბა, ბოხჩა გახსნა, ხორციანი ჯამი ამოიღო, უხმოდ წინ დაუდგა ბიმს და უკან წავიდა. მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, უკან მოიხედა, ბიმი ფარნის შუქით დააბრმავა და უთხრა:

_ კარგად იყავი, _ და წავიდა.

ბიმი თვალს აყოლებდა ფარნის შუქს და დუმდა. არაფერი ესმოდა, გაოცებული და გულნატკენი იყო. თავით ფეხამდე კანკალებდა. თუმცა თბილოდა, ჰაერიც კი დახუთული იყო, რაც უჩვეულოა შემდგომისათვის.

ავტომობილი წავიდა. წავიდა «იქ», _ მიმავალი ავტომობილის ხმაზე განსაზღვრა ბიმმა. ხმა სულ უფრო და უფრო შორიდან ისმოდა და ბოლოს მიწყდა. ამ ხმამ თითქოს მიმართულება უჩვენა ძაღლს, იმ შემთხვევისათვის, თუ რამე მოხდებოდა.

ტყე დუმდა.

ტყეში, შემოდგომის უკუნეთ ღამეში, ბუმბერაზ ხეებქვეშ იჯდა თოკით მიბმული ძაღლი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და სწორედ ამ ღამეს ისეთი რამ მოხდა, რაც იშვიათად მოხდება ხოლმე: თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც მოხდა: ნოემბრის ბოლოს, ასეთი საოცარი დათბობის დროს, სადღაც შორს, შორს, დაიქუხა.

ბიმი იჯდა, ტყეს ყურს უგდებდა და რამდენზედაც ყნოსვა უწევდა, ირგვლივ ყველაფერს ამოწმებდა. ძაღლისთვის ადვილია, თუ ერთხელ მაინც ყოფილა ტყეში, გაარკვიოს, რა ტყეა. ამიტომ ბიმი მალე მიხვდა, რომ იმ ადგილას იმყოფებოდა, სადაც ერთხელ პატრონს ახლდა მგლებზე ნადირობის დროს. მართლაც, ის ტყე იყო. მაგრამ მგლის სუნი ჯერჯერობით არსაიდან მოდიოდა. ბიმი გვერდით მიეკრა ხეს, მოიკუნტა, უკუნეთ სიბნელეში ჩაინთქა, მასში გაითქვიფა. უმწეო და ეული, მიტოვებული ადამიანისაგან, რომლისთვისაც არაფერი დაუშავებია.

შინაგანად, სადღაც თავისი არსის სიღრმეში, ინსტინქტით, ბიმი ხვდებოდა, რომ ტოლიასთან წასვლა ახლა საჭირო არ იყო, რომ ახლა მხოლოდ მშობლიურ კარს მიადგებოდა, სხვას არა. და ისე მოუნდა თავის სახლში წასვლა, რომ თოკი დაავიწყდა, დარჩენილი ძალ-ღონე მოიკრიბა, გაიწია და... დაეცა! ტკივილმა, მკერდს რომ უღრღნიდა, მთელ ტანში დაუარა და მოცელა. ახლა იგი უძრავად იწვა, ოთხივე თათგაჭიმული. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, ძაღლი წამოდგა და ისევ ხის ძირას დაჯდა, თითქოს ბედს დაემორჩილა.

სიბნელეში კიდევ დაიგრგვინა, მაგრამ ახლა უფრო ახლოს. გრგვინვამ მძიმედ და ფართოდ გადაუარა ტყეს. ქარი ამოვარდა, ხეების ტოტები აკვნესდნენ, თითქოს უბედურებას მოელოდნენ, უფრო სუსტები კი შეირხნენ, ერთ მშფოთვარე შავ გრგვინვად იქცნენ და ამ გრგვინვაში გარკვევით გამოირჩეოდა ნახევრად გამხმარი ვერხვის კვნესა; უკვე გადატეხილი და გაცვეთილი ხე რიტმულად ჭრიალებდა. ზედ ძირში, მისი ყრუ, სევდიანი კვნესა ტყის ხმაურზე მეტად აშინებდა ბიმს.

ტყე კი განუწყვეტლივ ხმაურობდა. ქარი სულ უფრო და უფრო მძვინვარებდა და თვით მუხებსაც კი აკვნესებდა. ახლა ქარი იყო აქ ერთადერთი და სრული ბატონ-პატრონი. ბიმს მოეჩვენა, თითქოს ვიღაც უზარმაზარი და ყორანივით შავი გადაეფარა ბერმუხებს, უიმედო, მომაკვდავ ბებერ ვერხვსა და ამ საშინელ პირობებში ჩავარდნილ ძაღლს, და ეს ვიღაც შავი ლაბადის კალთებს აბერტყავდა ხეების კენწეროებს, მათ ტანს ედებოდა, საშინელი ძალით აქანავებდა, იმანჭებოდა, იგრიხებოდა და ათას ხმაზე გაჰკიოდა.

ბიმს ისე შეეშინდა, რომ ტკივილი დროებით დაავიწყდა, ხეს მიეკრა. ქარმა ტყეში სუსხი მოიტანა, ამიტომ ხრამის ფსკერზე საშინელი სიცივე დატრიალდა და ძვალსა და რბილში გაუარა ძაღლს. ასე ხდება ყოველთვის, ნაგვიანევ დათბობას მკვეთრი სიცივე მოსდევს ხოლმე. ბიმმა ადგილი მოიანაცვლა, ხის მეორე მხარეს გადავიდა, ქარს მოეფარა. ისე დაჯდა, რომ ქარის საწინააღმდეგო მხარეს ყნოსვით, მეორე მხარეს კი თვალებით დაჰკვირვებოდა. მაგრამ წინ სიბნელე მეფობდა. ბიმი კანკალებდა.

უეცრად ელვამ გავარვარებულ დანასავით გაკვეთა წყვდიადი და ერთი წამით გაანათა გაანჩხლებული ტყე. შემდეგ კი ზემოთ რაღაცამ დაიგრიალა, დაეცა, აზანზარდა, ზღართანი მოადინა და ტყის სხვადასხვა მხარეს გაგორდა. ელვამ და ჭექამ თითქოს შამანი შეაშინეს და მან მოქუსლა, შემდეგ უეც-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რად გაჩუმდა, ახლა წვიმის წვეთები ადგაფუნდა. წვიმა ხანმოკლე, მაგრამ ძლიერი და ცივი იყო. მერე გადაიღო.

ტყე ახლა ჩუმად ბუზღუნებდა. ნაომარივით იბერტყებოდა, ყველაფერს იწესრიგებდა. მაგრამ უეცრად ვერხვმა დაიწრიპინა, ტკაცანი გაადინა, მოტყდა და ძირს წამოვიდა. გზადაგზა სხვა ხეებს ედებოდა, მეგობრებს ეთხოვებოდა, შემდეგ შემზარავად ახმაურდა და სევდანარევი, სიკვდილისწინა უიმედობით მოცული, ტოტების მსხვრევით მიწაზე დაენარცხა: უკანასკნელი ბრძოლა გადაიტანა და დაეცა. ვერხვი ბიმის ახლოს იდგა. ძაღლს აშინებდა ხის სიკვდილის ხმა და ისიც, რომ იგი თითქოს ზედ თავზე ეცემოდა, იმწუთას მან თავისი საბედისწერო მუხისაგან უკან დაიხია, თოკი დაჭიმა, მაგრამ... თოკი თოკია.

გათოშილი, ავადმყოფი, დატანჯული ბიმი დილამდე ერთ ადგილას იჯდა: მის წინ ხორციანი ჯამი იდგა. მაგრამ არც კი მიჰკარებია.

გათენებისას სადღაც შორს აყმუვლდა მგელი. მხოლოდ ერთი მგელი, სხვები კი არ გამოხმაურებიან: როგორც ჩანდა, დილის გამოძახილაზე ტყეში იმის მეტი მგელი არ ყოფილა. ის იყო ყველაზე ეშმაკი მგელი, მაშინ რომ მონადირეებს გადაურჩა. ბიმს ბალანი ყალყზე დაუდგა, კბილები აუკაწკაწდა და სმენად იქცა. ძაღლი ღრმად ისუნთქავდა ჰაერს, ყნოსვით იჭერდა მას. იგი მტრის შესახვედრად მოემზადა. ვერასოდეს იფიქრებდა, რომ გააჩნდა თავდაცვის ვაჟკაცობა, რომელსაც შეიძლება სასოწარკვეთილების გმირობა ვუწოდოთ, (ხომ უკბინა იმ ცუდ კაცს და კინაღამ წააქცია!), მაგრამ ამჯერად მგელი არ მოსულა. ქარი ჩადგა, ასე რომ, ნადირი შორიდან ვერ იგრძნობდა ძაღლის სუნს, ტყის ამ უბანში შეძუნძულების დრო კი, როგორც ჩანდა, ჯერ არ დამდგარიყო. მაგრამ ამ დაძაბულ ლოდინში ბიმმა, თავისთვის შეუმჩნევლად, ისე მოჭიმა თოკი, რომ საყელურმა კინაღამ დაახრჩო. მაშინ ძაღლმა ხისკენ დაიხია, მის ტანს მიაწვა, უკანა კბილებით თოკს სწვდა და... გადაკვნიტა, თითქოს დანით გადაჭრაო.

აღსრულდა!

ბიმი გათავისუფლდა, თუმცა მარტოდმარტო იყო ამ უსიერ ტყეში.

ყოველი ძაღლი, ბოლოს და ბოლოს, ასე მოიქცევა ხოლმე, თუმცა სხვადასხვა ჯიშისა ამას სხვადასხვანაირად სჩადის: დაბმული მოდარაჯე ძაღლები თოკს მაშინვე გადაღრღნიან, რადგან მათ მტკიცე ჯაჭვი უყვართ; ფინია თუმც არ გადაღრღნის, მაგრამ ფართხალს იწყებს, ტრიალებს, ჩხავის და შეიძლება დაიხრჩოს კიდეც; მწევრები დიდხანს ფიქრობენ, მაგრამ ბოლოს გადაკვნეტენ; გარეულ ფრინველზე მონადირე ინტელიგენტი ძაღლი მრავალი დღე იჯდება პატრონის მოლოდინში, მაგრამ თოკს მხოლოდ საშიშროების ან სასოწარკვეთილების ჟამს გადაკვნეტს, როცა მისთვის ცხადი გახდება, რომ აღარავინ მიეშველება. აი, ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც: დრო დადგა და ბიმმა გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა.

ძაღლი ფრთხილად მოშორდა ხეს, თან უკან-უკან იხედებოდა, ტყეს ყურს უგდებდა. უეცრად შორახლოს კაჭკაჭმა შემოსძახა: «აქ ვიღაც არის, ვიღაც არის, ვიღაც არის!» ბიმი მაშინვე, კაჭკაჭის გაფრთხილებისთანავე, გაჩერდა ახლად ამოყრილი მუხნარის ტევრში, რომელიც ბებერ, სქელ მუხას შემორტყმოდა. ტკივილს თითქმის აღარ გრძნობდა, სადღაც შორს, სიღრმე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ში მიმალულიყო. ძაღლი ფოთლებზე დაწვა, კისერი გაჭიმა და თავი მიწას მიაკრა. კაჭკაჭმა სულ ახლოს დაიყვირა _ ბიმმა იგი მაღალ ხეზე დაინახა. რა თქმა უნდა, მაშინვე გაეცლებოდა აქაურობას, მაგრამ კაჭკაჭი საშიშროებას იმ მხრიდან ანიშნებდა, საითაც ბიმი უნდა წასულიყო. ძაღლი შემკრთალი ელოდა მტერს, თანაც მტკიცედ. გარდა ამისა, მადლობელი იყო კაჭკაჭისა, თავის დროზე რომ ამცნო საშიშროება. გმადლობ, კაჭკაჭო, გმადლობ! მხოლოდ გარეული ნადირი აგინებს ამბის ამ შესანიშნავ მომტანს, კუდტელეგრაფიან ფრინველს, უანგაროდ რომ ემსახურება ტყის მშვიდობიან მცხოვრებთ. კაჭკაჭი რომ არ იყოს, ვინ მიაწვდიდა ინფორმაციას ტყის ცხოვრების თაობაზე ტყის მორბენალსა და მფრინავ მოსახლეობას?

ძუ მგელი კორდის კიდეზე გამოვიდა და შეჩერდა. წინა ფეხი მრუდე ჰქონდა (ეს იმას ნიშნავდა, რომ ოდესღაც ადამიანისგან დაჭრილი იყო). კოჭლობით კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ზუსტად ბიმისაკენ მიაბრუნა თავი და ერთბაშად... მისკენ ისკუპა, მაგრამ ნახტომი შეეშალა, ნატკენმა ფეხმა შეუშლა ხელი. ბიმი უკანასკნელ წუთს გვერდზე გადახტა და გაუსხლტა.

ნადირი მობრუნდა და თითქოს სამ ფეხზე შეხტაო, ისევ ბიმისაკენ გაქანდა. მაგრამ ძაღლი ბზრიალასავით დატრიალდა და მუხას მოეფარა. ზურგით ხის ფუღურო იგრძნო და მაშინვე, როგორც კი მგელმა ხელმეორედ ააცდინა, შიგ შეძვრა, იქიდან თავისი დაკრეჭილი კბილები გამოაჩინა, დაიღრინა და ისე აყეფდა, როგორც არასოდეს უყეფია თავის სიცოცხლეში, _ შეუწყვეტლივ, კვალს ადევნებული მწევარივით, ანდა ბუნაგს მიმდგარ ყეფიასავით. ტყეში ძაღლის მხოლოდ ერთადერთი სიტყვა გაისმოდა, რომელიც ყველასათვის გასაგებია: «უბედურება! უბედურება!» ტყემ კი ეს სიტყვა აიტაცა და ექოთი ეხმარებოდა: «უბედურება! უბედურება!»

გმადლობ, ტყეო, გმადლობ!

და კაჭკაჭიდან კაჭკაჭამდე ტელეგრაფზე უფრო სწრაფად გაქანდა მღელვარე ცნობა: «ვიღაცა ვიღაცას ჭამს, ვიღაცა ვიღაცას, ვიღაცა ვიღაცას...» კორდზე მყოფი მეტყევე მიხვდა, ძაღლის გაცოფებული ყეფა და კაჭკაჭის ასეთი მოუსვენრობა ავის მომასწავებელი უნდა იყოსო. თოფი აიღო, ფინდიხით დატენა და ტყეში შევიდა. თამამად მიაბიჯებდა, რადგან ტყე თითქმის მისი სახლი იყო, ტყის მობინადრენი კი კარგად იცნობდნენ მას. ისიც იცნობდა მათ უმრავლესობას, იმ ძუ მგელსაც იცნობდა, მაგრამ რატომღაც არ კლავდა. «იქნებ ძუ მგლის კანონიერ, კუთვნილ ტერიტორიაზე რომელიმე ახალგაზრდა მონადირემ შეაბოტა, ნადირისა შეეშინდა. თვითონ ხეზე აძვრა, ძაღლი კი დასაგლეჯად მიატოვა?» _ გაიფიქრა მან და ნაბიჯს მოუმატა. ყეფა შორიდან ისმოდა, მგლის ხევის ბოლოდან, მაგრამ უეცრად შეწყდა. «მორჩა!» _ გადაწყვიტა მეტყევემ და ნაბიჯს უკლო, თუმცა გზისთვის არ გადაუხვევია. ეჰ, უნდა ავჩქარებულიყავი, ავჩქარებულიყავი!

ნეტავ რა მოხდა ამ დროს ასწლოვანი მუხის ძირას?

ძუ მგელი გამოცდილი იყო: ადგა და ფუღუროს მოშორდა, რომ ბიმი გაჩუმებულიყო (მგელმა იცოდა, ძაღლის ყეფისას ყოველთვის თოფიანი კაცი გამოჩნდებოდა ხოლმე). ბიმიც იმიტომ გაყუჩდა, რომ ძუ მგელი აღარ უტევდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მგელმა ადგილი გამოიცვალა, უფრო ახლოს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაჯდა ძაღლთან და მიაშტერდა. ასე იჯდა ორი ძაღლი ერთმანეთის პირის-პირ: გარეული, ბიმის შორეული ნათესავი და ადამიანის მტერი, და ინტელიგენტი, რომელსაც ადამიანის კეთილი გულის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია. მგელს სძულს ყველა ადამიანი, ბიმი კი ყველას შეიყვარებდა, რომ ყველა მათგანს კეთილი გული ეჩვენებინა მისთვის; ძაღლი _ ადამიანის მეგობარი _ და ძაღლი _ ადამიანის მტერი _ თვალებში მისჩერებოდნენ ერთმანეთს.

თუმცა მგელს ესმოდა, ხის ფუღუროში ვერ შეეტეოდა, მაგრამ მაინც მივიდა ახლოს და დრუნჩი მისკენ გასწია. კბილებდაკრეჭილმა ბიმმა სიღრმეში შეიწია, მაგრამ აღარ ყეფდა, რადგან თავის ციხე-სიმაგრეში მიუღწეველი იყო.

ვინ იცის, როდემდე გასტანდა ეს ამბავი, მაგრამ მგელმა ამ დროს ჰაერი შეიყნოსა, ფუღუროს მკვეთრად აქცია ზურგი, და დაიხარა, როგორც საშიშროების დროს იცის ხოლმე, და ნელ-ნელა კორდისაკენ გასწია, სწორედ იმ მუხისაკენ, რომელზედაც ბიმი იყო მიბმული. იგი თავზარდაცემული, კუდამოძუებული მიდიოდა.

ბიმზე ნადირობით დაბრამვებულმა გვერდი აუქცია ამ ადგილს, რადგან ღამის წვიმამ თითქმის გადარეცხა ყოველგვარი სუნი, ახლა კი, როგორც კი ქარმა წამოუბერა, მაშინვე აღმოაჩინა ხეზე გამობმული თოკი და ხორციანი ჯამი. ო, კარგად იცოდა, ეს რას ნიშნავდა: აქ ადამიანი ყოფილა! თოკს ადამიანის სუნი უდიოდა, რკინისა კი _ მრგვალ საგანს. კვალიც ადამიანისა იყო. ხორცი ხომ მისატყუარს ნიშნავს, ვერაგობას, ხაფანგს. მგელი შეჩერდა, შემდეგ გადახტა და, როგორც დიდ საშიშროებას, ისე გაეცალა იქაურობას. ასე გაექცევა ხოლმე მგელი გამოუცდელი კაცის ხელით დაგებულ ხაფანგს, რომელიც შენიღბული არ არის და ადამიანის სუნიც უდის.

ბიმს გაექცა ტყეში მობინადრე უკანასკნელი ამაყი და მამაცი ძუ მგელი.

...ერთადერთი სულიერი, რომელიც მგელსა სძულს _ შენა ხარ, ადამიანო. დედამიწაზე დადიან უკანასკნელი მგლები და შენ ხოცავ ტყისა და მინდვრის ამ თავისუფლებისმოყვარე სანიტრებს, რომლებიც ასუფთავებენ მიწას სიბინძურისაგან, ლეშისა და ავადმყოფობისაგან და ისე აწესრიგებენ ცხოვრებას, რომ მხოლოდ ჯანსაღი შთამომავლობა დარჩეს. დადიან უკანასკნელი მგლები... დადიან იმისათვის, რომ მოსპონ ქეციანი მელიები, რათა სხვებს ააშორონ გადამდები სნეულებანი; დადიან იმისათვის, რომ ექინოკოკით დაუძლურებულმა კურდღელმა ტყესა და მინდორში არ გაავრცელონ ეს ავადმყოფობა და სუსტი და ბიწიერი შთამომავლობა არ გააჩინონ; დადიან იმიტომ, რომ ტულარემიის მატარებელი თაგვების მომრავლების წლებში მათი სინსილა გაწყვიტონ.

როცა ღამით სევდიანად და გულსაკლავად ყმუიან მგლები, შენს სულს, ადამიანო, რატომღაც აკრთობს ეს გულახდილი და პირდაპირი განცხადება: «მე ვარ! მე ვარო!» შენ ხომ იცი, ადამიანო, რომ ძუ მგელი არ ერჩის ძაღლის ძუძუმწოვარა ლეკვს და ღვიძლი შვილივით შეითვისებს ხოლმე; თოთო ბავშვსაც არაფერს ავნებს, თავის ბუნაგში მიათრევს და ძუძუებისაკენ უბიძგებს. რამდენჯერ მომხდარა, რომ მგელს მგელკაცი გაუზრდია! ტურას ასეთი რამ არ შეუძლია. ძაღლებსაც არ შეუძლიათ. განა მგელი პირს დააკარებს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მის არემარეზე მცხოვრებ ცხვარს? არასოდეს, მაგრამ შენ მაინც გეშინია მგლისა, ადამიანო. ასეთ სიძულვილს, რომელიც გონებას ახშობს (ცხოველებისაგან განსხვავებით), შეუძლია ზოგჯერ ისე მოერიოს ადამიანის არსებას, რომ სასარგებლო ჩაითვალოს მავნედ და მავნე კი _ სასარგებლოდ.

მაგრამ უკანასკნელი მგლები ჯერ კიდევ დადიან დედამიწაზე.

ერთი მათგანი გაექცა ადამიანის საძულველ და საშიშ სუნს და არა ბიმს. ჩვენ არ ვიცით, რით გათავდებოდა მათი შეხვედრა და კიდევ რამდენ ხანს იჯდებოდა მგელი ფუღუროსთან. ვინ იცის, იქნებ დამეგობრებულიყვნენ კიდეც (მგელი ხომ მარტოხელა ძუ იყო, ბიმი _ ხვადი). ნუ ვილაპარაკებთ იმაზე, რაც არ მომხდარა, მხოლოდ გავიხსენოთ, რომ ადამიანს ბევრჯერ უნახავს ძაღლი მგლის ხროვაში, მაგრამ ბიმს ასეთი ხვედრი ასცდა.

მგელი რომ გაიქცა, ბიმს დაზიანებულ მკერდში თავისთავად აუტყდა ძლიერი ტკივილი, ქოშინი აუვარდა, ამიტომ ფუღუროდან გამოძვრა და იქვე დაეცა. დაე, მოხდეს, რაც მოსახდენია! და ხორცს მაინც არ მიეკარა, მას შემდეგ კი, რაც ცოტა ხანს იწვა და წამოდგომა შეძლო, მხოლოდ ერთიღა დარჩენოდა: ევლო სულ წინ, ვიდრე ძაღ-ღონე ეყოფოდა.

და ბიმი წავიდა. დიდხანს და ძლივძლივობით ადიოდა უზარმაზარ, კილომეტრიან აღმართზე. სადღაც, შუა გზაზე, ის წააწყდა ძუ მგლის კვალს, რომლის გადაკვეთაც ვერ გაბედა (მგელი ხომ აქედან იყო წამოსული), ამიტომ შეუხვია ხშირ, გაუვალ, ეკლიან ბარდნარში და ამ დროს... მგელი დაინახა. იქვე, თავის წინ, დაინახა მკვდარი მგელი. ეს ის მგელი იყო, სასიკვდილოდ დაჭრილმა რომ მონადირეთა წრეს თავი დააღწია. მის გარშემო ჯერ კიდევ დაძრწოდა ძუ მგელი და დროდადრო იქაურობას ამცნობდა ადამიანისათვის თავზარდამცემ თავის სევდას. ბიმმა დაინახა, რომ მკვდარ მგელსაც კი ბრჭყალები მთელი რჩება და ისინი შიშს იწვევენ.

ძაღლმა ნახევარი წრე გააკეთა და, რამდენადაც ძაღ-ღონე ჰყოფნიდა, სწრაფად გასწია უკან, იმავე ბილიკისაკენ, რომლიდანაც მგლის კვალმა გადაახვევინა.

ბოლოს ზემოთ ავიდა, იმ ადგილას შეჩერდა, სადაც წუხელ მანქანა იდგა, მიიხედ-მოიხედა და სწორედ იქით წავიდა, საითაც საჭირო იყო, შინისაკენ. და ისევ ძალა ელეოდა, ისევ წვებოდა ხან თივის ზვინში, ხან ფიჭვის წიწვში, გზადაგზა ისევ ბალახებს ეძებდა და ჭამდა.

გზატკეცილზე გამხდარი, კოჭლი ძაღლი მირბოდა. სულ წინ მიიწევდა, სულ წინ, თუმცა ნელა, დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც წინ მიისწრაფოდა, იმ კარისაკენ, სადაც სიკეთე ეგულებოდა, რომელთანაც ბიმს სურდა დაწოლილიყო და დალოდებოდა, დალოდებოდა პატრონს. დალოდებოდა ნდობასა და ჩვეულებრივ, უბრალო ადამიანურ მოფერებას.

ტოლიკი სადღაა, როგორ არის, რა ქნა, დილით რომ გაიღვიძა და ძაღლი არ დახვდა?

ჯერ ჩაცმულიც კი არ იყო, რომ პერანგის ამარა, ბიმთან გაიქცა და უეცრად დაიყვირა:

_ დედა! სად არის ბი-მი?! სად არის?!

დედამ დაამშვიდა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

_ ბიმს გარეთ გასვლა მოუნდა, მამამ გაუშვა და აღარ დაბრუნებულა. გაიქცა. მამა ეძახდა, ეძახდა, მაგრამ მაინც გაიქცა.

_ მამა! _ ატირდა ბიჭი. _ ტყუილია, ტყუილი, ტყუილი! _ ნიფხავპერანგიანი ბიჭი საწოლზე დაეცა და ყვირილი დაიწყო წყენით, მუდარითა და იმის იმედით, რომ ეს ასე არ იყო: _ ტყუილია, ტყუილი, ტყუილი!

ახლა სემიონ პეტროვიჩმა დაუწყო დამშვიდება:

_ მოვა, მოვა.,... თუ არ მოვა, თვითონ მოვძებნით და მოვიყვანთ. აუცილებლად მოვიყვანთ, ვიპოვით. _ ძაღლი ხომ ნემსი არ არის.

ტოლიკმა ტირილი შეწყვიტა და ერთ წერტილს მიაშტერდა. შემდეგ მშობლებს მიაჩერდა. ცრემლები მოიწმინდა და მტკიცედ თქვა:

_ სულ ერთია, ვიპოვი.

ისე დარწმუნებით თქვა ეს სიტყვები, რომ დედ-მამამ შიშით გადახედა ერთმანეთს და თვალებით ანიშნა: «ბიჭს საკუთარი აზრი აქვსო».

იმ დღიდან ტოლიკი შინაც და სკოლაშიც სიტყვაძვირი გახდა, თავისი ახლობლების მიმართ კი გულჩათხრობილი და დაძაბული.

ის ბიმს ეძებდა. ქალაქში ხშირად უნახავთ, რომ სუფთად ჩაცმული ბიჭი, ბედნიერი, კულტურული ოჯახიშვილი, აჩერებდა გამვლელს, რომლის სახეც მოეწონებოდა, და ეკითხებოდა: ძია, შავყურა თეთრი ძაღლი არ გინახავთ?

თავი მეთოთხმეტე
მშობლიური კარისაკენ მიმავალი გზა.
სამი ფანდი

ქალაქს რომ უახლოვდებოდა, ფეხები თითქმის აღარ ემორჩილებოდა. ის ხომ ისევ ისე მშიერი იყო. აბა, რა უნდა შეეჭამა გზატკეცილის გასწვრივ? არაფერი. შეიძლება საზამთროს გადაგდებული ქერქი, მაგრამ ეს ხომ საკვები არ არის. ასეთი ძაღლისათვის საჭიროა ხორცი, კარგი სალაფავი, პურჩაყრილი ბორში (თუ მორჩათ, რა თქმა უნდა), ერთი სიტყვით, ყველაფერი, რასაც, ჩვეულებრივ, ადამიანი ჭამს. ბიმი კი თითქმის ორი კვირა ნახევრად მშიერი იყო. ასეთი ავადმყოფობის დროს (მას ხომ ჩექმით მკერდი ჰქონდა დაზიანებული) ასეთი შიმშილობა თანდათანობით კვდომაა. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ძუ მგელთან შეხვედრისას მაგრად იტკინა რკინაზე დაჭეჭყილი ფეხი და სამი ფეხითღა დაჩაკუნობდა, ადვილად წარმოიდგენთ, რა შესახედაობა ჰქონდა მშობლიურ ქალაქში შესვლისას.

მაგრამ კეთილ ადამიანს რა გამოლევს ქვეყანაზე? ქალაქის გარეუბანში პაწაწინა ცალკარიან და ცალფანჯრიან სახლთან შეჩერდა. სახლის გარშემო აგურის, ქვის ფილების, ფიცრების, რკინისა და სხვადასხვა ხარახურის გორები იდგა. იქვე, გვერდით კი, მეორე მხარეს, წამოჭიმულიყო უზარმაზარი ახალი სახლის ნახევარი, მას არც კარ-ფანჯარა ჰქონდა და არც სახურავი. ქარი გამომტვრეულ ფანჯრებში გადი-გამოდიოდა, რიყის ქვითა და აგურით ნაშენ სართულებში სისინებდა, ფიცრების ხროვებში მღეროდა, სამშენებლო ამწის კენწეროში ღმუოდა და ყველგან სხვადასხვა ხმა ჰქონდა. ასეთი სურათი არ აოცებდა ბიმს (ყველგან გაუთავებელი მშენებლობა მიდიოდა), სი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მართლე რომ თქვას კაცმა, ხეტიალის დროს არაერთხელ მიუმართავს მშენებლებისათვის თხოვნით: «მაჭამეთ, ბიჭებო, რა». მათ ესმოდათ ძაღლის ენა და აჭმევდნენ ხოლმე. ერთხელ ერთ-ერთმა ხუმარამ სადილობის დროს კონსერვის ქილაში ჩაასხა ერთი კოვზი არაყი და ბიმს შესთავაზა.

_ აბა, გადაჰკარი მათი სადღეგრძელო, ვინც აქ პატიოსნად შრომობს, არ ქურდობს.

ბიმს ეწყინა და ზურგი შეაქცია.

_ სწორია! _ შესძახა ხუმარამ. _ ვერავის სადღეგრძელოს ვერ დალევ, კეთილგონიერო. მე ეს ნამდვილად ვიცი.

ბიჭებმა ბევრი იცინეს. ხუმარას ყველა შურიკს ეძახდა. სამაგიეროდ, იმავე შურიკმა მაღაზიაში ნაყიდ ნამდვილ ძეხვს (და არა სანოვაგიდან ამოღებულს) დიდი ნაჭერი მოაჭრა და ცხვირწინ დაუდო ბიმს:

_ აჰა, ესეც შენ, სიმართლისათვის, შავყურა, აიღე, ჭკუის კოლოფო. _ და გათხუპნილ კომბინეზონიან ხალხს ისევ გაეცინა. შურიკმა კი, როგორც ჩანს, თავის ნათქვამს ყველაზე სასაცილო რამ დაუმატა:

_ თორემ წუხელ ღამით, ჩემო ძმაო, აქ ფიცრები ისევ ორ მესამედზე დავიდა, გახმა.

და ხალხს ისევ გაეცინა, თუმცა იმ ბიჭს არც კი გაღიმებია:

შურიკის ნათქვამი ბიმმა თავისებურად გაიგო: გაიგო, რომ არაყი ძაღლს აწყენს, და თუ დალევს, ძეხვით გაუმასპინძლდებიან; იმასაც მიხვდა, რომ ეს ბიჭები, აგურის, ფიცრისა და ცემენტის სუნი რომ უდით, კარგები არიან. ბიმს სწორედ ასე მოეჩვენა, რომ შურიკი მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ ამაზე ლაპარაკობდა.

ეს რომ გაიხსენა, არაქათგამოცლილი ბიმი იმ პატარა სახლის საყარაულოს კართან დაწვა.

ადრიანი დილა იყო. ქარის მეტი გარშემო არავინ იყო. ცოტა ხნის შემდეგ საყარაულოში ვიღაცამ დაახველა და თავის თავს დაელაპარაკა. ბიმი წამოდგა და იმავე კანონის მიხედვით, კარზე დააფხაჭუნა. კარი, რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, გაიღო. ზღურბლზე წვერიანი კაცი გამოჩნდა. ქუდის ცალი ყური ჩამოშვებული ჰქონდა, მეორე კი აწეული; ლაბადა ტყაპუჭზე ჰქონდა მაგრად შემოცმული, ერთი სიტყვით, გამოვიდა პიროვნება, რომელიც, ბიმის აზრით, სრულიად სანდო იყო.

_ ე, სტუმარი მომსვლია! რას დამსგავსებიხარ, შე საცოდავო, შე უსახლკარო, შენა. შემოდი, შემოდი.

ბიმი საყარაულოში შევიდა და ხმაამოუღებლივ დაწვა, თითქმის დაეცა კარის ზღურბლთან. დარაჯმა პურს ნაჭერი ჩამოაჭრა, ვედროში ჩააგდო, წყლით დაალბო და ბიმს გაუწოდა. ძაღლმა მადლიერების გრძნობით შეჭამა, შემდეგ თავი თათებზე დადო და პაპას მიაჩერდა.

ამის შემდეგ ცხოვრებაზე გააბეს საუბარი.

დარაჯობა ყველგან მოსაწყენია, და ამ დროს ცოცხალი არსება მისჩერებოდა მას გაკვირვებული, ადამიანური, ნაწამებ-ნატანჯი და ამიტომ გაოცების გამომწვევი თვალით.

_ ზედ გეტყობა, ცუდად ცხოვრობ, შავყურა... რაო? _ ჰკითხა კაცმა პირველ ყოვლისა, _ ბინის ორდერის რიგი არ დამდგარა? თუ რა მოხდა? მეც, ჩე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მო ძმაო, ეგრე ვარ: რიგი მოდის და მიდის, მიხეი კი უბინაოდ რჩება. აი, რამდენი სახლი ააშენეს, მე კი ამ ჯიხურთან ერთად ადგილიდან ადგილზე გადავდივარ. აი, მაგალითად, რომ წახვიდე და წერილის მოწერა დააპირო, სად უნდა მომწერო? არსად. მეხუთე წელია, უმისამართოდ ვცხოვრობ. «ჩMI-12, მიხეის», _ ეს არის ჩემი მისამართი. დამცირების მეტი არაფერია. საჭმელ-სასმელი, რამდენიც გინდა, იმდენი მაქვს, ჩასაცმელ-დასახურიც, თუ გინდა, ჰალსტუხი გაიკეთე და შლაპა დაიხურე, მაგრამ სახლი კი ჯერ-ჯერობით არა მაქვს, გესმის? არა მაქვს. რა გაეწყობა, დროებითი სიძნელეებია...სახელად კი მიხეი მქვია. მიხეი გახლავარ, _ თითს მკერდზე იცემდა მოხუცი და ბოთლიდან ცოტ-ცოტას წრუპავდა (სიტყვის მარაგი გამოელეოდა თუ არა, მოწრუპავდა).

ბიმმა თავისებურად, ძაღლურად, კარგად გაიგო მიხეის მონოლოგი, ესე იგი, მისი შესახედაობის, კილოსი, გულკეთილობისა და უბრალოების მიხედვით, დაადგინა, რომ მიხეი კარგი კაცი იყო. თუმცა, სიტყვების გაგებას რა მნიშვნელობა აქვს (ძაღლისათვის ეს სულაც არ არის საჭირო). მთავარია, კაცს გაუგო. ბიმი მიუხვდა მოხუცს და მაშინვე ჩათვლიმა, შემდგომ საუბარს ყურს აღარ უგდებდა, თუმცა, მოსაუბრის პატივისცემის გამო, ხან ახელდა თვალს და ხან ხუჭავდა, ძილს ებრძოდა.

მიხეი კი იმავე კილოთი განაგრძობდა:

_ აი, შენ დაიძინებ და არაფრის დარდი არა გაქვს, მე კი ეს არ შემიძლია, კონტროლი დამესხმის თავს: «სად არის მიხეიო?» _ იკითხავს. «არ არისო», _ უპასუხებენ. «. აუცილებლადო მოხსენითო». აი, ასეა, ძმაო, საქმე. საგუშაგოზე რომ არ გნახონ ან დაგეძინოს, მაშინვე ცხვირში ამოგკრავენ. «სად არის მიხეიო? არ არისო, მოხსენით მიხეიო!» ჰოდა, მორჩა და გათავდა.

მთვლემარე ბიმი მხოლოდ ამას არჩევდა: «მიხეი... მიხეი... მიხეი.,.. მორჩა და გათავდა».

მიხეიმ ორიოდე ყლუპი კიდევ გადაჰკრა, ულვაშები მოიწმინდა, პურს მარილი მოაყარა, დაყნოსა და ჭამა დაუწყო, თანაც ბიმს მიუბრუნდა.

_ აი, რა გითხრა, შავყურა, ძაღლთან გულის მოფხანა კარგია: ვერც სიტყვას შემოგიბრუნებს, ვერც ვერავის ვერაფერს ეტყვის, შენ კი ცოტა მოგეშვება... აი, მე, მიხეი დარაჯი ვარ, თოფიანი დარაჯი. მაგრამ, ვთქვათ, ქურდი მარტო არ არის! რა ქნას მიხეიმ? ვერაფერსაც ვერ იზამს. ჰოდა მორჩა და გათავდა. ამბობენ, ამისათვის კანონი არსებობსო, კარგია, კანონი რომაა, თუ დაიჭირე ხუთ წელს მიარტყამენ იმ ძაღლსა და მამაძაღლს. დიახ! მაგრამ უნდა დაიჭირო, აი, რაშია საქმე. მარტომ როგორ უნდა დაიჭირო? დიახ, აი, შენ ძაღლი ხარ, ჩავსვამ კალათში ოციოდე კურდღელს და ყველას ერთად გავუშვებ, შენ კი დასაჭერად გამოგადევნებ. ისინი აქეთ-იქით გაიქცევიან, წადი და სდიე. ვთქვათ, ერთი დაიჭირე. სხვები? გაიქცე-ვი-ან! _ მიხეიმ ისე გულიანად გაიცინა, რომ ბიმმა თავი ასწია, თითქოს თვითონაც უნდა გაღიმებოდა.

მაგრამ ამის თავი სად ჰქონდა.

კარი გაიღო. შემოვიდა კაცი, ისიც დარაჯი, და თქვა:

_ შემცვლელი მოგივიდა, დაწექი, მიხეი, დაიძინე!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიხეი ტახტზე მიწვა და მაშინვე დაეძინა. შემცვლელი კი მაგიდასთან მივიდა და მიხეის ადგილზე დაჯდა. ცოტა ხნის შემდეგ ბიმი შეამჩნია.

_ ნეტავ ეს ჭოტი ვინ ბრძანდება? _ ჰკითხა მან ბიმს (როგორც ჩანს, ძაღლის დიდ თვალებს მიაქცია ყურადღება).

ბიმი დაჯდა, როგორც ამას ზრდილობა მოითხოვდა, უღონოდ გააქნია კუდი («ავად ვარ, პატრონს ვეძებო»). შემცვლელმა ვერაფერი გაიგო, ისევე როგორც მრავალ კაცს არ ესმის ძაღლისა, კარი გააღო და ბიმს ფეხი წაჰკრა:

_ გასწი აქედან, შე მაიმუნო.

ბიმი იმ რწმენით გავიდა, რომ შემცვლელი საძაგელი ადამიანი იყო. მაგრამ სიარული არ შეეძლო, მიხეიმ რომ წყალში დამბალი პური აჭამა, რატომღაც კიდევ უფრო დასუსტდა და ძილიც ერეოდა. ბიმი ახლად მშენებარე სახლში შევიდა, ფიჭვის სუნით გაჟღენთილ ნახერხში შეძვრა და მაგრად დაიძინა.

მთელი დღე არავის შეუწუხებია. ასე იწვა საღამომდე. დაბინდებისას ქვედა სართული მოიარა, ფანჯარაზე თითქმის ნახევარი პური იპოვა, დიდი ნაწილი შეჭამა (მაძღრისად), მცირე კი გარეთ გამოიტანა და თხრილის გვერდით, რბილ მიწაში ჩაფლა, ეს ყველაფერი საფუძვლიანად გააკეთა, როგორც წესი და რიგია, თუმცა ძალა არ ჰქონდა, მაგრამ ძაღლის წესი: «პურის ნატეხი შავი დღისათვის შეინახეო», _ უნდა დაეცვა. ახლა იგრძნო, რომ გზის გაგრძელება შეეძლო, და თავისი მშობლიური კარისაკენ გასწია.

იმ მშობლიური კარისაკენ, რომლის იქითაც ნდობა, გულუბრყვილო, წმინდა სიმართლე, შებრალება, მეგობრობა და თანაგრძნობა იმდენად ბუნებრივ და აბსოლუტურ უბრალოებამდე იყო დაყვანილი, რომ თვით ამ ცნებათა განმარტებას აზრი არ ჰქონდა. მერედა, რა საჭირო იყო ბიმისათვის ყოველივე ამის გააზრება? ჯერ ერთი, როგორც ძაღლების წარმომადგენელს, მას არ შეეძლო ეს გაეკეთებინა, მეორეც ის, რომ კიდეც რომ ცდილიყო მიეღწია ჰ ო მ ო ს გონების მიუღწეველ სიმაღლემდე, დაიღუპებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ მის გულუბრყვილობას ადამიანები ჩათვლიდნენ წარმოუდგენელ თავხედობად და ბოროტმოქმედებადაც კი. მართლაც, ასეთ შემთხვევაში ბიმი აუცილებლად დაუწყებდა კბენას არამზადებს, მშიშრებს, მატყუარებს (აუცილებლად), ბიუროკრატს კი ნაწილ-ნაწილ შეჭამდა და ა. შ. დაკბენდა შეგნებით და მის შესრულებულ მოვალეობად ჩათვლიდა და არა ისე, როგორც უკბინა იმ საზიზღარ ცუდ კაცს, მხოლოდ მას შემდეგ, როცა მან ულმობლად სცემა. არა. ის კარი, საითაც ბიმი მიისწრაფოდა, მისი არსების ნაწილი, მისი ცხოვრება იყო. აი, ასეა, არც ერთ ძაღლს ქვეყანაზე მისთვის ჩვეული ერთგულება გასაოცარ რამედ არ მიაჩნია. მაგრამ ადამიანები მიეჩვივნენ, ძაღლის ეს გრძნობა ჩათვალონ გმირობად. მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა მათგანს არ გააჩნია მეგობრობისადმი ისეთი თავდადება და მოვალეობისადმი ისეთი ერთგულება, რომ ეს იყოს მათი ცხოვრების აზრი და ფესვი, თვით არსების ბუნებრივი საფუძველი, როცა სულის კეთილშობილება თავისთავად ნაგულისხმევი მდგომარეობაა.

კარი, საითკენაც მიეშურებოდა ბიმი, მისი მეგობრის კარი იყო და, მაშასადამე, თვით მისი, ბიმის კარი. ის მიდიოდა ნდობისა და სიცოცხლის მიმნიჭებელი კარისაკენ, ძაღლს სურდა, იქამდე მიეღწია და ან მეგობრის მოს-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვლას მოსწრებოდა, ან მომკვდარიყო, ქალაქში მის მოსაძებნად უკვე ძალა არ ჰყოფნიდა. მას შეეძლო მხოლოდ ლოდინი. მხოლოდ ლოდინი.

მაგრამ, რა ვქნათ, თუ იმ ღამითაც ბიმმა თავის სახლამდე ვერ მიაღწია?!

ჯერ ერთი, მას ცუდი კაცის რაიონისათვის უნდა შემოევლო, ამისათვის კი აუცილებლად ტოლიკის სახლთან უნდა ჩაევლო. მართლაც, ასე მოხდა. ბიმი თავისი პატარა მეგობრის ჭიშკართან გაჩნდა და მას არ შეეძლო, უბრალოდ, არ შეეძლო, მისთვის, როგორც უცხოსათვის, ისე აექცია გვერდი. ცოტა ხნით აგურის მაღალ ღობესთან დაწვა, ორად მოიკეცა და თავი გვერდზე გადააგდო. ყველა გამვლელი იფიქრებდა: ან დაჭრილია, ან მომაკვდავი, ანდა სულაც, მკვადრიაო.

არა და არა, ბიმი ამ სახლის კარს არ მიადგება, არა. ღობესთან ტკივილი და სევდა ცოტა მოეშვება და თავისი სახლისაკენ გასწევს. იქნებ... იქნებ თვით ტოლიკიც მოვიდა აქ? რა უფლება გვაქვს, ბიმს ულოგიკობაში დავდოთ ბრალი, თუკი ლოგიკა მისთვის მიუწვდომელია? და ბიმი სრულიად ულოგიკოდ იწვა ძაღლის სევდიან პოზაში.

გვიანი ღამე იყო.

მანქანა მოვიდა, სიბნელეს ღობის ნაწილი გამოსტაცა. შემდეგ მთელი ღობე გაანათა და თვალისმომჭრელი ორი თვალი მიაშტერა ბიმს. ბიმმა თავი ასწია და ნახევრად დახუჭული თვალებით მიაჩერდა ავტომანქანას. მანქანამ ნელა ჩაიბუყბუყა და კარი გაიღო... ბოლის სუნი ახშობდა სუნს ადამიანისა, რომელიც ბიმისაკენ მიდიოდა, მაგრამ როცა იგი ავტომანქანის შუქმა გაანათა, ძაღლი წამოჯდა: მისკენ სემიონ პეტროვიჩი მოდიოდა. კაცი მიუახლოვდა, რომ დარწმუნდა, ბიმი იყო, თქვა:

_ თავი დააღწიე?! დახე..

ავტომანქანიდან მეორე კაციც გადმოვიდა (ის, რომელმაც ჭექა-ქუხილის წინ ბიმი ძუ მგელთან წაიყვანა), ბიმს შეხედა და გულკეთილად თქვა:

_ ჭკვიანი ძაღლი ყოფილა, ასეთი არ დაიღუპება.

სემიონ პეტროვიჩი ბიმისაკენ წავიდა, გზადაგზა ქამარს იხსნიდა.

_ ბიმ, ბიმკა... შენ კარგი ხარ... ბიმკა... ჩემთან, ჩემთან...

ო, არა, არა! ბიმს უკვე მისი აღარ სჯეროდა, ამ კაცის ნდობა დაჰკარგოდა და მასთან აღარ მივიდოდა, თუნდაც კეთილი განზრახვით ეძახდეს. შეიძლება სემიონ პეტროვიჩს მართლაც სურდა ტოლიკისათვის დაებრუნებინა ძაღლი, რადგან მიხვდა ბიჭის მდგომარეობას, მაგრამ ვერ მოგართვეს: ბიმი გაიქცა, კი არ წავიდა, გაიქცა. ღობეს გაჰყვა და განათებული გზით გაექცა სემიონ პეტროვიჩს. ნეტავ საიდან მოიკრიბა ამდენი ძალა?!

სემიონ პეტროვიჩი გამოედევნა. მეორე კაცმა სცადა, გზა გადაეჭრა. ბიმმა სინათლიდან სიბნელეში შერგო თავი, ფორთხვით ჩავიდა თხრილში და აქ უკვე ლასლასით წავიდა. მაგრამ იმ გზას კი არ გაჰყვა, რომლითაც ავტომანქანის ფარნების შუქით განათებულ თხრილამდე მირბოდა, არამედ საწინააღმდეგო მხარეს გაჰყვა. განსაცდელის ჟამს ბიმს ისევ მისი წინაპრების გამოცდილება გამოადგა: «კვალი არიეო», _ ამბობს იგი. ასე მოიქცევიან ხოლმე მელიები, მგლები და სხვა ცხოველები. ეს არის ხერხი [1]1, რომელსაც ნადირი დევნის დროს იყენებს. მელიას და მგელს შეუძლიათ ისე მოხერხებულად დაბრუნდნენ უკან თავისი ნაკვალევით, რომ მხოლოდ გამოცდილი მონა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დირე და ისიც შემდეგ, ბრჭყალებით დატოვებულ კვალზე მიხვდება, რომ მოატყუეს; ხერხი [12] _ ეს არის ყულფი (წავიდა მარცხნივ, დაბრუნდა მარჯვნივ) ან კვალის დაბლანდვა (საკუთარი უკანა კვალიდან გვერდზე გადახტომა); ხერხი [13] _ დრომდე ჩაწოლა: კვალი უნდა არიო, დრომდე ყრუ ადგილას ჩაწვე და ყური მიუგდო (თუ გაიარეს, ადგილიდან არ დაიძრა, თუ პირდაპირ მოდიან, ყველაფერი თავიდან დაიწყე და ისევ არიე). ნადირობის ყველა ამ ხერხს კარგად იცნობენ ნამდვილი მონადირეები, მაგრამ სემიონ პეტროვიჩი მონადირე არასოდეს ყოფილა, თუმცა ხელში თოფი სჭერია და ყოველ წელს ნადირობის სეზონის გახსნას ესწრება.

ერთი სიტყვით, სემიონ პეტროვიჩი ფარნით ხელში ერთ მხარეს გაიქცა, ბიმი კი _ მეორე მხარეს. ბიმს მისი მხსნელი თხრილი შველოდა. მაგრამ, აი, თხრილი გათავდა და ბიმი ტორსით ამოყვანილ კედელს მიადგა, რომლის გვერდითაც ექსკავატორის ხაპი ეკიდა. ჩანდა, ხაფანგიდან თავს ვერ დაიძვრენდა: ჩამოსვლა კი შეეძლო, მაგრამ ზევით ასასვლელად ძალა არ ჰყოფნიდა: გვერდით კედლებია, წინაც _ კედელი. ჯანმრთელი რომ ყოფილიყო, ოთხ ფეხზე მდგარი, მაშინ სხვა საქმე იქნებოდა, ახლა კი მხოლოდ ამოსვლა შეეძლო, ამოხტომა კი _ არა.

იჯდა, იჯდა ბიმი და მერე ხაპს მიაჩერდა, ზემოთ რომ ეკიდა. ძლივ-ძლივობით უკანა ფეხებზე დადგა, წინა ფეხებით კი კედელს დაეყრდნო, მიწის ნაყარს შეხედა და ისევ დაჯდა. კაცს ეგონებოდა, ფიქრობსო, მაგრამ ის მხოლოდ ყურს უგდებდა: ხომ არავინ მომდევსო. შემდეგ მოპირდაპირე სწორ კედელზე აიწია და შეამჩნია, რომ ფარანი ერთსა და იმავე ადგილას დაციმციმებდა, აქეთ-იქით დაბარბაცებდა, მერე კი სულაც ჩაქრა. მან ისიც დაინახა, როგორ წავიდა უკან ავტომანქანა და ახლა უკვე გვერდიდან წამოვიდა მისკენ. ბიმი თხრილის კედელს მიეყრდნო და ათრთოლებულმა ყური მიუგდო; ავტომანქანამ სულ ახლოს, გვერდით ჩაუარა.

ახლომახლო ყველაფერი დაჩუმდა, შორიდან კი მოისმოდა: ნელ-ნელა, მოკლედ ჯიყჯიყებდნენ ავტომანქანები, ღრჭიალებდა ტრამვაი _ ყველა ეს ხმა ნაცნობი და უცნაური იყო ბიმისათვის.

შემოდგომის ბნელ, ცივ ღამეს, თხრილში იჯდა ძაღლი და ახლა მთელ ქვეყანაზა ვერავინ უშველიდა. ბიმს კი სჭირდებოდა, ძალიან სჭირდებოდა თავის კართან მისვლა. სცადა შემხტარიყო, მაგრამ დავარდა (ახტომა სად შეეძლო!). მერე ნელა, ფრთხილად გაჰყვა ისევ თავის ნაკვალევს. ყურებდაცქვეტილი მიდიოდა და ზოგჯერ კედლებს თათით სინჯავდა. ერთ ადგილას პატარა ფლატე აღმოაჩინა, ზედ შედგა, უკანა ფეხებზე აიწია _ წინა თათებით ნაყარს მისწვდა. ბიმმა მიწის თხრა დაიწყო ზემოდან ქვემოთ. რაც მეტს მუშაობდა, მით უფრო იზრდებოდა ნაყარი. ბიმი ისვენებდა და ისევ მუშაობდა. როგორც იქნა, მოახერხა, მკერდით თხრილის ნაპირს დაყრდნობოდა, სამაგიეროდ, ნაყარიდან მიწის ჩამოღება ვეღარ შეძლო. მაშინ ძირს ჩამოცურდა და დაწვა. როგორ უნდოდა, ყმუილი დაეწყო, პატრონისათვის ან ტოლიკისათვის მოეხმო, მთელი ქალაქის გასაგონად საშინელი ხმით დაეყმუვლა, მაგრამ იძულებული იყო, დადუმებულიყო: მან ხომ კვალი არია და დაიმალა. უცბად წამოდგა, მიწის ბორცვიდან უკან დაიხია, ტკივილი დაივიწყა, მთელი სხეული ჩვარივით აიქნია, ბორცვზე უკანა ორი თათით შეხტა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ზედ თხრილის ნაპირას დაეცა, იმ ორმოში, თვითონვე რომ ამოთხარა, როცა მიწას ძირს ყრიდა.

ნეტავ როგორ გადალახა წარმოუდგენელი ტკივილი და სისუსტე? ვინ იცის... როგორ მოიკვნეტს ხოლმე მგელი თათს, როცა ხაფანგში მოჰყვება? ვერავინ იტყვის, როგორ ახერხებს, თავისი კბილით მოიღრღნას საკუთარი თათი. შეიძლება მხოლოდ ივარაუდო, რომ მგელი ამას სჩადის თავისუფლებისადმი ინსტინქტური ლტოლვის გამო, ბიმმა კი საკუთარი თავი დაივიწყა სიკეთისა და ნდობის კარისაკენ დაუოკებელი სწრაფვის გამო.

ასე იყო თუ ისე, ბიმი მახეს გადაურჩა, ზემოთ ამოძვრა და ახლა ორმოში იწვა.

ცივი ღამე იყო. ქვისა და რკინის ქალაქს ეძინა. მაგრამ ღამითაც კი, ძილში, აუჩქარებლად ღრჭიალებდა. ბიმი დიდხანს უგდებდა ყურს. შემდეგ კი, თუმცა გათოშილი იყო, მაგრამ მაინც წამოდგა და წავიდა.

გზად ერთ-ერთი სახლის სადარბაზოში შელასლასდა მხოლოდ იმიტომ, რომ სისუსტის გამო ცოტა ხანს უნდა მიწოლილიყო. პირდაპირ ქუჩაზე დაწოლა არ შეიძლებოდა. დაიღუპებოდა (მას არაერთხელ უნახავს ავტომანქანებით გასრესილი ძაღლები), თანაც ასფალტზე ცივა. იქ კი, სადარბაზოში, თბილ რადიატორს მიეხუტა და დაიძინა.

შუაღამისას სხვის სადარბაზოში ეძინა უცხო ძაღლს.

ასეც ხდება ხოლმე.

შეიბრალეთ ასეთი ძაღლი.

თავი მეთხუთმეტე
უკანასკნელ კართან
რკინის ფურგონის საიდუმლოება

გათენებული არ იყო, რომ გაეღვიძა. არ უნდოდა მიეტოვებინა ასეთი თბილი, სტუმართმოყვარე ადგილი, სადაც ძილი არავინ დაუფრთხო. მოეჩვენა, თითქოს ძალა მოემატა, სცადა, ფეხზე დამდგარიყო, მაგრამ ერთბაშად ვერ მოახერხა. მაშინ წამოჯდა. ეს შეძლო, თუმცა თავბრუ დაეხვა (როგორც მაშინ, მკერდში წიხლი რომ ამოჰკრეს). კედლები ცალ მხარეს გადაქანდა. კიბის მოაჯირი აცახცახდა. მისი საფეხურები ერთ გორაკად იქცა და გარმონივით გავიდ-გამოვიდა, ნათურა ჭერთან ერთად აქანავდა. ბიმი თავჩაქინდრული იჯდა და ელოდა, რა მოუვიდოდა შემდეგში.

თავბრუმ ისევ ისე უცბად გადაუარა, როგორც უცბად დაეწყო და ბიმი მუცლით ჩაცოცდა პარმაღზე. სადარბაზოს კარი ღია დახვდა, იქ ცოტა ხანს იჯდა გამაგრილებელ ნიავზე, შემდეგ კი მაინც წამოდგა. თითქმის გრძნობას კარგავდა. ამის გამო ტკივილს ვერ გრძნობდა. ადამიანთათვის შეუცნობელ შინაგან ძაღლურ ნებისყოფას დამორჩილებული, იგი ეზოდან გავიდა და ჭირიანივით წალასლასდა.

არა მგონია, სახლამდე მიეღწია, რომ სანაგვეს არ წასწყდომოდა, რომელშიაც პატარა ძაღლი იქექებოდა. ბიმი მივიდა და დაჯდა. ბალნიანმა და უსუფთაო ძაღლმა დასუნა ბიმი და კუდი ააქიცინა

ბურძგნიამ, ჰკითხა: «საითო?!»

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბიმმა მაშინვე იცნო ბურძგნია: მინდორში გაიცნო იმ დღეს, როცა ლელის ფესვს ღრღნიდა. ამიტომ იყო, რომ ნდობითა და სევდიანად მხოლოდ თვალებით უპასუხა:

«ცუდად არის ჩემი საქმე, დაო».

ძაღლი სანაგვეს მიუბრუნდა, ბიმისაკენ თავი მოაბრუნა და კუდი ააქიცინა, თითქოს სტუმარს ეპატიჟებოდა: «აქ ცოტა რამ არის, მოდი, მოდი!»

მერე, როგორ გგონიათ? მართლაც, აქ ცოტა-ცოტა რაღაცა იყო: პურის ნატეხი, თევზის თავი, ჰოდა, ბიმი გაძღა. ძალ-ღონე თანდათან უბრუნდებოდა, მალე ტუჩები მოილოკა. ბურძგნიას მადლობა უთხრა და გზას გაუდგა. ახლა ბევრად უფრო გამართულად მიდიოდა.

არა, სანაგვე გაჭირვების დროს დიდ რამეს ნიშნავს! ამ დროიდან ბიმი უფრო მეტი პატივისცემით მოეკიდებოდა ასეთ ადგილებს, რომ...

ამის მოყოლა ძნელია.

რუხ გარიჟრაჟზე, როცა გუშინდელი ნისლის ნაფლეთები გამჭვირვალე ლურჯი ბოლივით მოეფინა მიწას, ბიმმა, როგორც იქნა, მიაღწია თავის სახლამდე... აი, ისიც! აი, ფანჯარა, საიდანაც ის და ივან ივანიჩი მისჩერებოდნენ ამომავალ მზეს. იქნებ ახლაც მოადგეს ფანჯარას! ბიმი ქუჩის მოპირდაპირე მხარეს დაჯდა და სიხარულითა და იმედით თვალმოუშორებლივ მიაჩერდა სახლს. კარგად გახდა, ქუჩაზე გადასვლა დაიწყო, თუმცა აჩქარებულად, მაგრამ თავაუწევლად, თითქოს იღიმებოდა, თითქოს დაუვიწყარ მეგობართან შეხვედრას ელოდა. ეს იყო ბედნიერების წამი და განა არის ისეთი სულიერი, რომელიც მოლოდინის ჟამს უფრო ბედნიერი არ არის, ვიდრე თვით ბედნიერების დროს.

აი, ასე, შუა ქუჩაში, მშობლიური სახლის წინ, მისი კარიდან სულ ახლოს, ბიმი ბედნიერად გრძნობდა თავს ხელახლა აღძრული იმედის გამო.

მაგრამ უეცრად საშინელი რამ დაინახა: სახლიდან ის საძაგელი დედაკაცი გამოვიდა. შიშისაგან თვალდაჭყეტილი და მთელი სხეულით აცახცახებული ბიმი დაჯდა. დედაკაცმა აგური ესროლა. ბიმი აჩქარებით ისევ ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა.

ამ დილაადრიან ქუჩაში ხალხი არ იყო, მეეზოვეებიც კი არ გამოსულიყვნენ ცოცხით ხელში. მხოლოდ დედაკაცი და ბიმი მისჩერებოდნენ ერთმანეთს. ქალმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, ერთ ადგილას მდგარიყო და არ გაეშვა ძაღლი, ფეხებიც კი ფართოდ გაშალა სიმტკიცისათვის, დოინჯი შემოიყარა და ქანდაკებასავით გაქვავდა თაღის შუაგულში; ბიმს ქედმაღლურად, ამაყად,ზიზღით და საკუთარი ღირსების, უპირატესობისა და ალალმართლობის გრძნობით მისჩერებოდა. ძაღლი კი უძლური იყო, მას მხოლოდ საიმედო კბილებიღა შერჩენოდა, რომლებიც ასევე საშიშნი იყვნენ ამ უკანასკნელ, სიკვდილისწინა ჭიდილში. მან ეს იცოდა, არ დავიწყებია, ამიტომ ოდნავ დაიხარა და წინა კბილები გამოაჩინა. ადამიანი და ძაღლი თვალს არ აშორებდნენ ერთმანეთს. ეს წუთები ხან გრძლივად მოეჩვენა ბიმს.

...ვიდრე ადამიანი და ძაღლი თვალმოუშორებლივ აკვირდებიან ერთმანეთის მცირეოდენ მოძრაობასაც კი, მივუბრუნდეთ თვით დედაკაცს, თუმცა ზოგი რამ უკვე ვიცით მასზე ბიმის თავგადასავლის წინა ნაწილიდან. დედაკაცი სავსებით უსაქმური იყო: სრულიად თავისუფალი გახლდათ კა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პიტალისტის ექსპლოატაციისაგან, სოციალიზის წინაშე კი რომ მოვალეობა ეკისრა, ამაზე შორეული წარმოდგენაც არ ჰქონდა. შრომითაც თავს არ იწუხებდა, მხოლოდ და მხოლოდ კუჭის მონა იყო, თუმცა ვერ ამჩნევდა ამ მონობის უღელს. კუჭის ამოყორვის გარდა, მაინც ჰქონდა რაღაც მოვალეობები. მაგალითად, ჯერ კიდევ გათენებამდე, ყველაზე ადრე დგებოდა ამ ხალხმრავალი სახლის მობინადრეთა შორის. თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა, გაეგო შემდეგი: უცხოთაგან ვინ გამოვიდოდა გათენებისას ამა თუ იმ სადარბაზოდან, ვის ფანჯარაში ენთო სინათლე იმ დროს, როცა ყველას მაგრად ეძინა; ვინ წავიდა სათევზაოდ ან ვისთან ერთად; პირველი ვინ წაიღებდა სიბნელეში რამეს სანაგვეზე გადასაყრელად. შემდეგ სანაგვესთან მივიდოდა და გაარკვევდა, რა მოხდა: თუ ბოთლები იყო, მაშ, ცოლს უმალავდა; თუ ძველი, უვარგისი პალტო, მაშასადამე, რომელიღაც ძუნწი შინ ინახავდა უსარგებლო ჩვარს; თუ გაფუჭებული ხორცი _ დიასახლისი არ ვარგებულა... და ასე შემდეგ. თუ გაუთხოვარი ქალი გათენებისას დაბრუნდა, ეს დედაკაცისათვის დიდი ზეიმია. ძაღლები და მათი პატრონები სძულდა, ამიტომ იყო, რომ მათი თვალთვალი მისთვის ყველაზე უპირველესი ღონისძიება გახლდათ. ქალი საშინელი სიტყვებით ლანძღავდა მათ, ამ სიტყვების მარაგი კი არ ელეოდა, რაც მის დიდ მეხსიერებასა და ერუდიციაზე ღაღადებდა.

ყოველივე ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ყოველდღიური ინფორმაციისათვის, როცა იგი მასავით უსაქმურ ქალებთან ერთად დიდხანს იჯდა მზრუნველობით შეღებილ მერხებზე და მოახსენებდა, ვინ რას წარმოადგენს. ამ დროს არც არავინ და არც არაფერი ავიწყდებოდა. ნიჭიერი დედაკაცი ბრძანდებოდა. ასეთ დაუბეჭდავ ბიულეტენს იგი რეგულარულად უშვებდა ხოლმე, ეს მას თავის მეორე მოვალეობად მიაჩნდა საზოგადოების წინაშე. ასეთ საქმეში ჩახედულობა საერთაშორისო საკითხებსაც კი შეეხებოდა (ჩემი ყურით გავიგონე: სადაცაა ომი დაიწყება, ბურღული უნდა მოვიმარაგოთ და მარილი); მის მსგავსთა დახმარებით ხმა ვრცელდებოდა, მაგრამ ახლა უკვე «ამას და ამას» ასახელებდნენ, დოცენტია, ტყუილს როგორ იტყვის, ჩემი ყურით გავიგონეო.

ყველაფერ ამასთან ერთად, დედაკაცი თავის თავს «საბჭოთა ქალს» უწოდებდა, იგი ამაყობდა ამით და სჯეროდა, რომ ეს ასე იყო. ისიც სჯეროდა, რომ მისი მიძინებული სინდისი სხვებისათვის მისაბაძი იყო. მას რომ შვილი ჰყოლოდა, რა კაცი გამოვიდოდა!

მაგრამ კვირაში ორ დღეს ისვენებდა: კვირას რაღაცას ყიდულობდა გლეხებისაგან ბაზარში, ორშაბათს კი წინა დღით ნაყიდს ყიდდა. ამიტომ, თუმცა ქათმები არ ჰყავდა, არც ბოსტანი და სათევზაო ბადე გააჩნდა, მაინც ყიდდა კვერცხს, ქათმებს, პომიდორს, ცოცხალ თევზსა და ყველაფერს, რაც ადამიანის არსებობისათვის აუცილებელია. თავის ამ მესამე მოვალეობის წყალობით დედაკაცს ჰქონდა შემნახველი სალაროს წიგნაკი და შეძლებულად ცხოვრობდა, რის გამოც არსად და არასოდეს უმუშავია. ცხოვრობდა კეთილმოწყობილ ბინაში, როგორც მის მაღალ კულტურას ეკადრებოდა. ჰქონდა ორი კარადა, სამი სარკე, ბაზარში ნაყიდი სურათი «გოგონა და გედი», თიხის დიდი არწივი, ნახერხიდან გაკეთებული უჭკნობი ყვავილები,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაცივარი და ტელევიზორი. ყველაფერი ჰქონდა, რაც საჭიროა, გამოუსადეგარი კი _ არაფერი...

მაშ, ასე, დედაკაცი თაღის ცენტრში იდგა და ბიმი გვერდს ვერ აუქცევდა. ამიტომ უნდა წასულიყო. ახლავე უნდა წასულიყო, მაგრამ ძალა არ შესწევდა, მშობლიურ სახლს მოშორებოდა, გადაწყვიტა, კბილები დაეკრიჭა და დაეცადა, ვიდრე მტერი არ წავიდოდა; დაელოდებოდა, რამდენი ხანიც დასჭირდებოდა.

მაგრამ, აი, რუხ ბურუსში გამოჩნდა ავტოფურგონი და მოულოდნელად დედაკაცსა და ბიმს შორის ჩადგა. მუქი რუხი, თუნუქშემოკრული ფურგონი უფანჯრო იყო. იქიდან ორი კაცი გამოვიდა და დედაკაცისაკენ გაემართა. ბიმი ადგილიდან ფეხმოუცვლელად თვალყურს ადევნებდა მათ.

_ ვისი ძაღლია? _ იკითხა ულვაშიანმა და ბიმზე მიუთითა.

_ ჩემი, _ ამაყად უპასუხა დედაკაცმა, ისე რომ არც კი დაფიქრებულა.

_ რატომ არ დაამწყვდევ? _ იკითხა მეორემ, ახალგაზრდა ბიჭმა.

_ მიდი, სინჯე, ხედავ, თოკის ნაგლეჯი კისერზე ჰკიდია _ გადაღრღნა. ყველას კბენს, გაცოფდა ოხერი. აუცილებლად გაცოფდა.

_ დააბი, თორემ წავიყვანთ, _ თქვა ულვაშამ.

_ ჩემი ხელით დავწერე განცხადება! _ ვიყავი კიდეც, სადაც საჭიროა. ვთხოვე, წაიყვანეთ-მეთქი, მერე რა! არაფერი, ბიუროკრატებით არის სავსე ქვეყანა! _ დედაკაცი უკე გაჰკიოდა: _ სული ამომხადეს იმ ბიუროკრატებმა!

_ მიდი! _ მიუბრუნდა ულვაშიანი უულვაშოს.

ახალგაზრდამ ავტომანქანიდან მცირეკალიბრიანი თოფი გადმოიღო, ულვაშიანმა კი _ ფურგონის გვერდით მიმაგრებული საჭერი გრძელი ჭოკი, ბოლოზე რომ რკალი და ბადე ჰქონდა მიმაგრებული. მოწყობილობა ცხვრისოდენა პეპლების დასაჭერ ბადეს ჰგავდა. პირველი თოფიანი მივიდა, შემდეგ კი ულვაშა, რომელმაც ბადე მოამზადა.

ბიმმა თოფი დაინახა თუ არა, კუდი ააქიცინა, ამით სურდა ეთქვა: «თოფი, თოფი! თოფს ვიცნობ!»

_ გველაქუცება, _ თქვა ბიჭმა, _ აბა, სადაური ცოფიანია, მიდი.

ულვაშიანი წინ გამოვიდა. ბიმს ძაღლების სუნი ეცა.

_ «რა თქმა უნდა, კარგი ხალხი ხართ!» _ მთელი თავისი შეხედულებით ამბობდა ბიმი, მაგრამ უცბად ფურგონიდან მოისმა ძაღლის სევდიანი ყმუილი, იგი უიმედოდ და მწუხარედ ყმუოდა. ბიმი ყველაფერს მიხვდა, მიხვდა, ატყუებდნენ! თოფიც კი ტყუილი იყო. ყველაფერი ტყუილი! გვერდით გაქანდა, მაგრამ... რაღა დროს, ბადის რკალი გადაეფარა. ბიმი მაღლა ახტა და აღმოჩნდა ბადეში, რომელიც ახლა მის მიერვე რკალის კიდეზე იყო გადაკიდებული...

ბიმი თოკებს ღრღნიდა, კბილებს აკრაჭუნებდა, ცოფიანივით ხრიალებდა და ბნედიანივით გამწარებული აქეთ-იქით აწყდებოდა. მალე უკანასკნელი ძალა გამოელია და გაყუჩდა.

მეძაღლეებმა სწრაფად შეტენეს ბადე ფურგონში და ბიმი იატაკზე დააგდეს.

კარი დაიკეტა.

ულვაშა მიუბრუნდა მოულოდნელად გამხიარულებულ დედაკაცს:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

_ რას იკრიჭები? რაკი ძაღლის მოვლა არ იცი, არც უნდა ტანჯო. თვითონ ჭამით ბაყაყივით გაგსიებია დრუნჩი, ძაღლი კი შიმშილით მოგიკლავს, ძაღლსაც კი აღარა ჰგავს (კაცი თვალმახვილი აღმოჩნდა: დედაკაცის დიდი ტუჩების ძირს დაშვებული კუთხეები, გადღაბნილი ცხვირი და გადმოკარკლული თვალები, მართლაც, «ბაყაყის დრუნჩს» მოგაგონებდათ).

_ მე, მე, საბჭოთა ქალს შეურაცხყოფას მაყენებ, შე აქოთებულო მეძაღლე, შენა! უ, შე გველო! და მოხსნა გუდას პირი, როგორც ყოველთვის, სალანძღავი სიტყვა არ ელეოდა. მისი პირიდან სრულიად თავისუფლად ამდიოდა სიტყვები, რომელთა დაწერა ქაღალდზე შეუძლებელია; როგორც ჩანდა, ისინი დაპროგრამებული იყო: ღილს დააჭერ თუ არა, მაშინვე გამოხტებიან.

_ შენ, ეი, მანდ, ნუ ილანძღები! _ დაუყვირა დედაკაცს ბიჭმა. _ თორემ, აი ამ ბადეს მაგ თავზე გადაგაცვამ და რკინის ყუთში შეგიძახებ. შენისთანა ადამიანებს წელიწადში ერთხელ მაინც თითო კვირით უნდა სხამდნენ, აი, ასეთ ფურგონში, _ ბადიან რკალს ხელი წამოავლო და მტკიცე ნაბიჯით გასწია დედაკაცისაკენ.

დედაკაცი გაიქცა შეურაცხყოფისათვის საჩივრის დასაწერად. დაწერა კიდეც ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის სახელზე. საჩივარში თვით თავმჯდომარესაც მეძაღლეებზე ნაკლებ როდი ლანძღავდა. ქალი პასუხს არაფერზე აგებდა, საზოგადოების წინაშე არავითარ მოვალეობას არ გრძნობდა, სამაგიეროდ, ყველასაგან პასუხისმგებლობას მოითხოვდა: ესეც მისი მოვალეობის ერთ-ერთი ნაწილი იყო, როგორც საზოგადოებრივი ნებისმიერი პარაზიტისა.

...დიდი და ყვითელი მზე იმ დილით ცივი და მოღუშული ამოვიდა, როგორც ეს ზამთრის პირას იცის ხოლმე. ისე უხალისოდ და დუნედ მოიშორა დილის მტრედისფერი ნისლი, რომ ალაგ-ალაგ დაგლეჯილი ბლონდივით გადაეფარა ქალაქს, ამიტომ ერთ ქუჩაზე სინათლე იყო, მეორეზე კი ბინდბუნდი მეფობდა.

თუნუქშემოკრული მუქი რუხი ავტოფურგონი ქალაქს გასცდა და მაღალი კედლით შემოზღუდული ცალკე მდგომი სახლის ეზოში შევიდა. ჭიშკარზე აბრა ეკიდა: «უცხოთათვის შესვლა აკრძალულია _ ჯანმრთელობისათვის საშიშია». ეს იყო კარანტინი, აქ ცოფიანი ძაღლები მოჰყავდათ და წვავდნენ. აქვე მოიყვანდნენ ხოლმე მაწანწალა ძაღლებს, როგორც ეპიდემიის შესაძლებელ გამავრცელებლებს; ამათ არ წვავდნენ, მეცნიერებს უგზავნიდნენ, ანდა ტყავს აძრობდნენ. ინფექციური სნეულებით დაავადებულ სხვა ცხოველებს კი მკურნალობდნენ, თუ ისინი ამას იმსახურებდნენ, მაგალითად, ცხენებს სულის ამოსვლამდე ასმევდნენ წყალს და მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში ხოცავდნენ _ თუ ქოთაო სჭირდათ. ახლა ეს ავადმყოფობა იშვიათია, ცხენები თითზე ჩამოსათვლელნი გახდნენ და ქოთაო ვისღა შეეყრება.

ის კაცები, რომლებმაც ბიმი დაიჭირეს, ამ ეზოს უბრალო მუშები იყვნენ და მათზე ცუდი არ ითქმოდა. მეტსაც ვიტყვი, მათ ყოველთვის საშიშროება ემუქრებოდათ _ მძიმე ავადმყოფობა შეჰყროდათ, ანდა ცოფიან ძაღლს დაეკბინა. დროდადრო ისინივე იჭერდნენ ქალაქში მოხეტიალე ძაღლებს, ანდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თვით პატრონების თხოვნით მიჰყავდათ. ეს მოვალეობა მათ არასასიამოვნოდ და მძიმედ მიაჩნდათ, თუმცა, გარდა ძირითადი ხელფასისა, ყოველ დაჭერილ ძაღლში ზედმეტ გასამრჯელოს იღებდნენ.

ბიმს არ გაუგონია, როგორ შევიდა ეზოში რკინის ფურგონი, არც ის, როგორ გამოვიდა ის ორი კაცი კაბინიდან და სადღაც წავიდა: უგრძნობლად ეგდო.

ორი-სამი საათის შემდეგ მოვიდა გრძნობაზე ჩვენი ბიმი. მის გვერდით იჯდა მისი დიდი ხნის ნაცნობი ბურძგნია, რომელიც ამ დილით სანაგვესთან ნახა, ახლა ის ცხვირსა და ყურებს ულოკავდა ბიმს.

საოცარი არსებაა ძაღლი! აი, ვთქვათ, ძუკნას მოუკვდა ლეკვი, ის კი მაინც ულოკავს მას ცხვირს, ყურებს, ულოკავს დიდხანს, ძალიან დიდხანს, ასევე დიდხანს უზელს მუცელს. ხდება ხოლმე, რომ ლეკვი გამოცოცხლდება. საერთოდ, ძაღლებს დაზელა ახალშობილის მოვლის უეჭველ პირობად მიაჩნიათ - ეს საოცარი რამ არის.

ბურძგნიაც ბუნების ჩვენთვის უცნობი შთაგონებით ლოკავდა ბიმს. ეტყობა, წანწალის დროს ბევრი რამ ესწავლა და ენახა, შეიძლება აქაც პირველად არ იყო.

მზის წვრილმა სხივმა შემოაღწია კარის ჭუჭრუტანაში და ბიმს დაეცა. ძაღლმა თავი ასწია. რკინის ციხეში მხოლოდ ორნი იყვნენ: ისა და ბურძგნია. ბიმმა ტკივილის გადალახვა სცადა და სხეულის მდგომარეობის შეცვლა მოინდომა, მაგრამ პირველი ცდით ეს ვერ მოახერხა. მეორედ რომ სცადა, ოთხივე თათი ქვეშ ამოიდო და ცივი რკინისაგან, რომელზედაც იწვა, მკერდი გაითავისუფლა. ასევე შეციებული ბურძგნია სულ ახლოს მიუწვა მას და მოიბღუნძა. ამან ცოტა გაათბო ორივე.

რკინის სატუსაღოში იწვა ორი ძაღლი და ბედს ელოდა.

ბიმი თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა კარს, მზის პაწაწინა სხივს, ნათელი სამყაროს ერთადერთ მაცნეს. მაგრამ აი, სულ ახლოს თოფი გავარდა. ბიმი შეტოკდა, ო, როგორი ნაცნობი იყო მისთვის ეს ხმა! მან ივან ივანიჩი მოაგონა. თოფის ხმა ხომ ნადირობას ნიშნავდა, ტყეს, თავისუფლებას. იგი მოხმობაც იყო, თუ ძაღლმა გზა დაკარგა ანდა ფრინველის ან კურდღლის კვალმა გაიტაცა. ნეტავ საიდან მოიკრიბა ძალა ბიმმა ამ გასროლის შემდეგ? წამოდგა. ლასლასით მივიდა კართან, ცხვირი ჭუჭრუტანას მიადო და თავისუფლების ჰაერი შეისუნთქა. თითქოს აღსდგაო, მან ქანქარასავით დაიწყო სიარული ფურგონის ერთი კუთხიდან მეორემდე. შემდეგ ისევ კართან მივიდა, ისევ ჭუჭრუტანას მიადო ცხვირი და ისევ ჰაერს დაუწყო ყნოსვა. ბოლოს სხვადასხვა სურნელების მიხედვით დაადგინა: ეზოში ამაფორიაქებელი რაღაც ხდებოდა. ბიმი გაუჩერებლად დადიოდა, თუნუქზე ბრჭყალებს აფხაჭუნებდა, თითქოს ხურდებოდა, რაღაცისთვის ემზადებოდა, იმართებოდა.

ვინ იცის, რამდენმა დრომ გაიარა, ეს ძნელი სათქმელია, მაგრამ ბიმმა კარზე ფხაჭუნი დაიწყო.

ეს კარი კი სრულებით არ ჰგავდა იმ კარებს, რომლებიც ბიმს უნახავს: ეს კარი თუნუქით იყო შემოჭედილი. ალაგ-ალაგ დაგლეჯილი წვეტიანი ლა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქები აჩნდა. მაგრამ ეს იყო კარი, ახლა ერთადერთი კარი, რომლიდანაც შეიძლებოდა ეღაღადა შველასა და თანაგრძნობაზე.

ცივი და ყინვიანი ღამე დადგა.

ბურძგნია აყმუვლდა.

ბიმი კი აფხაჭუნებდა და აფხაჭუნებდა, კბილებით ღრღნიდა თუნუქის ნაფლეთებს და უკვე იატაკზე დაწოლილი ისევ აფხაჭუნებდა, ეძახდა. ემუდარებოდა.

გათენებისას ფურგონში სიჩუმე ჩამოვარდა: ბურძგნია აღარ ყმუოდა, ბიმიც მიჩუმდა, ხანდახან თუ ჩამოუსვამდა თუნუქს თათს, არავინ იცის, ძალა აღარ ჰყოფნიდა თუ ბედს დაემორჩილა, რადგან იმედი დაკარგა და უდრტვინველად ელოდა თავის ბედს. ჯერჯერობით ეს რკინის ფურგონის საიდუმლოება იყო.

თავი მეთექვსმეტე

შეხვედრები ძებნის დროს, ბიმის ნაკვალევი მიწაზე, ოთხი გასროლა

თურმე ქალაქში კვირაობით უფრო მეტი ხალხია, ვიდრე ჩვეულებრივ დღეს: მიდიან, მირბიან, ყიდულობენ, ყიდიან, მატარებლებში, ავტობუსებში, ტროლეიბუსებსა და ტრამვაებში ისე არიან ჩატენილები, როგორც კასრებში _ დამარილებული თევზი. გიჟებივით გარბიან ქალაქიდან. შუადღისას ეს ფუსფუსი ცოტა ცხრება, საღამოთი კი ისევ იწყება: ზოგი სოფლიდან და ტყეებიდან ბრუნდება, ზოგი კი ქალაქიდან ისევ თავის სახლში _ სოფელსა და ტყეებში მიდის.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ერთ-ერთ კვირადღეს ხრისან ანდრეევიჩი ალიოშასთან ერთად ქალაქს ეწვია. მათ მოილაპარაკეს, რომ ალიოშა ეცდებოდა, შავყურა მოეძებნა, მამა კი ამ დროს სანოვაგეს გაყიდდა ბაზარში. ხრისან ანდრეევიჩს წინათაც მოჰყავდა ხოლმე შვილი ქალაქში და სრულიად უშიშრად უშვებდა სასეირნოდ (ალიოშამ ტრამვაის ნომერი იცოდა, ავტობუსის «თავისი» გაჩერებაც, ცუდ რამეს კი არავითარ შემთხვევაში არ ჩაიდენდა), სამ მანეთსაც აძლევდა ხოლმე, რომლითაც შეეძლო ეყიდა, რაც სურდა, ან სადაც უნდოდა, იქ წასულიყო: თუნდ კინოში და თუნდა ცირკში. ამჯერად კი ხრისან ანდრეევიჩმა «გულის ჯიბეში» ჩაიყო ხელი, ალიოშას თხუთმეტი მანეთი მისცა და უთხრა:

_ თუ შავყურას წააწყდე სადმე და არ მოგცენ, თუმნიანი მიეცი. თუ თუმანს არ დაგჯერდებიან _ თორმეტი. თუ ამაზედაც არ დაგყაბულდნენ, თხუთმეტი ჩაუთვალე. თუ ეგეც არ მოისურვონ, მისამართი ჩაიწერე და მაშინვე ჩემკენ გამოქანდი: თვითონ მივალ. არ დაიგვიანო, ოთხი საათისათვის ავტობუსთან იყავი, ახლა დღე მოკლეა, დაგვაღამდება. შავყურას ამბავი კულტურულად იკითხე ხოლმე: «შეიძლება შეგეკითხოთ, ამხანაგო?» ამის შემდეგ კი მოახსენე: ასე და ასეა ჩვენი საქმე, სოფლელები ვართ-თქო, მწყემსები, უძაღლოდ არ ვვარგივართ, ის კი დაგვეკარგა, ქალაქში გამოგვექცა-თქო. კეთილი ხალხი ბევრია, ყველას ჰკითხე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

...ქალაქში დადიოდა გლეხი დარბაისელი ბიჭი და დროგამოშვებით შემხვედრ ხალხს, მათ, ვინც მისი აზრით, ნდობის ღირსი იყო, ეკითხებოდა:

_ შეიძლება შეგეკითხოთ, ამხანაგო? ჩვენ, ესე იგი, მწყემსები ვართ...

ძალიან ბევრი მსუქანი ხვდებოდა, განსაკუთრებით _ ქალები, ასეთებს არაფერს ეკითხებოდა (ალბათ, უქნარები არიან, რაკი ასე უზომოდ გასუქებულანო). მაგრამ სწორედ მსუქანი ამხანაგი, რომელმაც ბიჭის შეკითხვა გაიგონა (ბიჭი მას კი არა, სხვას ეკითხებოდა), შეჩერდა და ურჩია სადგურზე წასულიყო (მის ჭიშკარში დღის განმავლობაში მთელი ახალგაზრდობა გაივლის და ვინმეს ეცოდინებაო). ბიჭი კი არც ერთი არ გაუშვია, რომ არ ეკითხა.

სწორედ ამავე დროს ტოლიკი გამოვიდა სახლიდან ბიმის საძებნელად. უკვე მესამე დღე იყო, დაჟინებით ეძებდა ძაღლს, მაგრამ მხოლოდ გაკვეთილების შემდეგ, დღეს კი გადაწყვიტა, დილიდან მოეძებნა: კვირა დღეა, სასწავლებელში წასასვლელი არა ვარო.

ქალაქში დადიოდა სუფთა ბიჭი, კულტურული ოჯახის შვილი, გამვლელ-გამომვლელებს სახეში მისჩერებოდა, თითქოს აკვირდებოდა, და ზოგიერთებს, ვინც თვალში მოუვიდოდა, ეკითხებოდა:

_ ძია, უკაცრავად, შავყურა ძაღლი ხომ არ გინახავთ?.. თეთრი, ყვითელწინწკლებიანი?.. არ გინახავთ? საწყენია, ბოდიში.

მიუხედავად იმისა, რომ მშობლებისაგან აკრძალული ჰქონდა, ტოლიკი ერთხელ უკვე იყო სტეპანოვნასთან, ლუსიას მიუტანა ჩეხური ფანქრები, რომლებსაც ვერც ერთ მაღაზიაში ვერ იყიდდი, და სახატავი რვეული. უამბო კიდეც, რომ ბიმი მასთან იყო, ღამე გაათია. შემდეგ კი გაქრა. სტეპანოვნასაგან კი შეიტყო, რომ ივან ივანიჩმა, რომელიც მას არასოდეს ენახა, წერილი გამოგზავნა და თვითონაც მალე ჩამოვა, დღესაც, საღამო ხანს, ტოლიკი აუცილებლად ერთხელ კიდევ გაივლის მათთან, იქნება რამე გაიგეს ბიმზე, თანაც ლუსია დაჰპირდა, ჩემს დახატულ სურათს _ «ჩვენს ბიმს» _ გაჩუქებო.

სადგურთან ახლოს, ერთ-ერთ ქუჩაზე, ტოლიკთან მივიდა ცამეტიოდე წლის მზემოკიდებული, ჩასკვნილი ბიჭი. ახალი კოსტიუმი ეცვა, ისეთივე, როგორიც დიდებს აცვიათ, და ჰკითხა:

_ შეიძლება შეგეკითხოთ, ამხანაგო?

ტოლიკს ეამა, რომ დიდი კაცივით მიმართეს, და სიამოვნებით უპასუხა:

_ შეიძლება, _ და თავის მხრივაც ჰკითხა: _ რა გინდა მკითხო?

_ მწყემსები ვართ, ძაღლი დაგვეკარგა, ქალაქში წამოვიდა. იქნებ სადმე ნახე? თეთრია, ყვითელწინწკლებიანი, ცალი ყური კი კუნაპეტივით შავი აქვს. ფეხიც...

_ რა ჰქვია იმ შენს ძაღლს?

_ შავყურა, _ უპასუხა ალიოშამ.

_ ბიმია, _ თქვა ტოლიკმა, _ ბიმი!

ძნელი არ არის იმის მიხვედრა, როგორ აუხსნეს ბიჭებმა ერთმანეთს ყველაფერი: ტოლიკმა დაადგინა, სად და როდის იყიდეს ბიმი და როდის გამოიპარა სოფლიდან. ალიოშაც მიხვდა, რომ ტოლიკთან შავყურა მივიდა და არა რომელიმე სხვა ძაღლი. ყველაფერი ემთხვეოდა, მაშასადამე, ბიმი სად-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ღაც აქ იყო, ქალაქში. არც უფიქრია, ვის ერგებოდა ძაღლი, თუ მას იპოვიდნენ. მთავარი იყო, მოეძებნათ, მოეძებნათ, სასწრაფოდ მოეძებნათ.

_ ჯერ სადგურთან დავდგეთ, _ უთხრა ალიოშამ, _ ასე მირჩია ერთმა კაცმა.

_ აქ აუარებელი ხალხი ირევა, არ შეიძლება, ვინმეს არ ენახოს, _ დაეთანხმა ტოლიკი.

ასეთი ძებნის გულუბრყვილობა ცხადი იყო, მაგრამ არა ალიოშასა და ტოლიკისათვის. ისინი, უბრალოდ, ამხანაგურმა გრძნობამ, ერთმა სურვილმა და ბიმისადმი სიყვარულმა გააერთიანა. მათ სწამდათ, ძაღლს იპოვიდნენ, აი, რაში იყო მათი მოქმედების მთავარი აზრი. წარმოსახვა კი თვალწინ უხატავდა სურათს, რომ ბიმი შეიძლება თვითონაც შეხვედროდათ სადმე.

_ შემდეგ კი გზად იმ შენს სტეპანოვნასთან შევიაროთ, _ ერთბაშად გადაწყვიტა ალიოშამ. _ იმას არ ასცდება, ფაქტიურად, მასთან მიდის. უეჭველად მასთან. სხვაგვარად არ შეიძლება. აქ მისი სახლია.

_ შევიაროთ, _ დაეთანხმა ტოლიკი.

მას მოსწონდა ალიოშას დარბაისლური ლაპარაკი, მისი გულუბრყვილობა და უბრალოება. ასეთი ნაცნობობა ცხოვრების ბოლომდე გრძელდება და ბედნიერია ის ბიჭი, ვისაც ქუჩა კეთილ მეგობარს აჩუქებს და არა ვიღაცა გაიძვერას.

ბიჭებმა უკვე ასიოდე კაცს ჰკითხეს და ისევ ისეთ ხალხს ირჩევდნენ, ვისთვისაც შეკითხვის მიცემა შეიძლებოდა.

იმ დილითვე სადგურის აფუსფუსებულ ბაქანზე ჩქარი მატარებლის ვაგონიდან ჩამოვიდა ჯოხზე დაყრდნობილი, ყავისფერპალტოიანი ჭაღარა კაცი. მან სადგური გაიარა, შეჩერდა და მიიხედ-მოიხედა: ასე იცის ხოლმე ადამიანმა, რომელიც დიდი ხანია არ ყოფილა მშობლიურ მხარეში და უკან დაბრუნებული ამოწმებს, ყველაფერი ადგილზეა თუ არა და ხომ არაფერი შეცვლილა. სწორედ ამ დროს მასთან მივიდა ორი უცნობი ბიჭი, ერთ-ერთმა მათგანმა, რომელსაც ეტყობოდა, სოფლელი იყო, ჰკითხა:

_ შეიძლება შეგეკითხოთ, ამხანაგო?

ჭაღარამ თავი გვერდზე ოდნავ დახარა, რომ ღიმილი დაეფარა, და უპასუხა:

_ რა თქმა უნდა, ამხანაგო.

მეორემ, ქალაქელმა კი განაგრძო:

_ ერთი ეს მიბრძანეთ, შავყურა ძაღლი არ გინახავთ, თეთრი, ყვითელწინწკ...

ჭაღარამ ბიჭს მხარზე ხელი მოუჭირა და დაუფარავი მღელვარებით შესძახა:

_ ბიმი?!

_ დიახ, ბიმი, ნახეთ? სად?

სამივენი სადგურის წინ გაშენებულ პატარა ბაღის მერხზე ჩამოსხდნენ. სამივე ეჭვმიუტანლად ენდობოდა ერთმანეთს, თუმცა ბიჭები სრულებით არ იცნობდნენ მოხუც კაცს, არ იცოდნენ, რომ სწორედ ეს იყო ივან ივანიჩი, ბიმის პატრონი, ერთბაშად ვერც კი მიმხვდარიყვნენ, თვით მას რომ არ ეთქვა, ივან ივანიჩი ვარო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეიძლება ნაცნობებსაც ერთბაშად ვერ ეცნოთ: წელში ოდნავ მოხრილიყო, გამხდარიყო, სახეზე ნაოჭები მომატებოდა (გულთან ახლოს ოპერაცია კურორტზე ყოფნა როდია), მაგრამ თვალები კი ისევ ძველებური დარჩენოდა, ყურადღებიანი, გულისყურიანი, თითქოს შიგ გულში სწვდებოდნენ ადამიანს. მხოლოდ ამ წაბლისფერი თვალებით შეიძლებოდა მიმხვდარიყო კაცი, რომ ახლა თოვლივით გათეთრებული მათი პატრონი ოდესღაც შავგვრემანი ყოფილა. ტოლიკმა უამბო ყველაფერი, რაც ბიმზე იცოდა, რომ კოჭლია და ავადმყოფი. ალიოშამაც მოკლედ და გასაგებად უამბო როგორ ცხოვრობდა შავყურა სოფლად. ბიჭებს ყველაფერი მოსწონდათ ივან ივანიჩისა, მოსწონდათ, რომ ზოგჯერ ბიჭებს მხარზე ხელს ჩამოადებდა და ისე ესაუბრებოდა. ისიც მოსწონდათ, სიტყვას რომ არ გააწყვეტინებდა და ისე ელაპარაკებოდა. მოსწონდათ მისი ჭაღარა, მოსწონდათ სახელიცა და მამის სახელიც. მთავარი კი ის იყო, რომ ეს უცხო ბიჭები უყვარდა; ეს ხომ ცხადზე უცხადესი იყო, თორემ, ბოლოს ასეთ რამეს რატომ იტყოდა:

_ კარგი ბიჭები ხართ. მოდი, დავმეგობრდეთ... ახლა კი ჩემთან წამოდით. როგორც ჩანს, ბიმი უკვე შინ არის.

გზაში ფრთხილად გამოჰკითხა ბიჭებს და სულ ადვილად გაიგო, ვინ იყვნენ, საიდან, ვისი შვილები, რას აკეთებდნენ და ვის რა მოსწონდა.

_ ცხვარს მწყემსავ? ეგ კარგი საქმეა, ალიოშა. სკოლაშიაც სწავლობ? ალბათ, გიჭირს, არა?

_ ცხვრის ძოვებას ცოდნა უნდა, _ მამასავით უპასუხა ალიოშამ. _ ძნელი საქმეა. ფარა ისე უნდა გაამწკრივო, რომ ბალახი არ დატკეპნოს... ეს ადვილი როდია, ისე დავიღლები ხოლმე, რომ ფეხზე ძლივს ვდგავარ. გარდა ამისა, უთენია უნდა ადგე. ძნელია, ძაღლი თუ გყავს, ადამიანზე უკეთ გეხმარება, მით უმეტეს, თუ ამ საქმისა არა გესმის რა. უძაღლოდ არაფრით არ შეგვიძლია. მეცხვარეები ვართ. უსათუოდ გვჭირდება.

_ შენ, ტოლიკ, რას აკეთებ? _ ჰკითხა ივან ივანიჩმა.

_ მე? _ გაიოცა ტოლიამ. _ სკოლაში დავდივარ.

_ საქონელი თუ გყავთ? _ შეეკითხა ალიოშა ტოლიკს.

_ არა, არა გვყავს, _ უპასუხა ბიჭმა. _ ზღვის გოჭები გვყავდა და დედამ არ გამიჩერა... ყარანო.

_ ჩვენთან ჩამოდი, გაჩვენებ: ოქრო ძროხა გვყავს _ მუცელქვეშაც რომ შეუძვრე, ხმას არ გაგცემს, ფეხს არ გაანძრევს. ქუდსაც მილოკავს, ხელისგულებსაც. მამალი გვყავს, მაგრამ რა მამალი. ყველა მამალს სჯობია. ჩვენი სოფლის მამლების თავია. გათენებისას პირველი ის იწყებს ყივილს, მერე სხვებიც აჰყვებიან ხოლმე. ასეთი მამალი იშვიათია... ძაღლი კი არა გვყავს. გვყავდა, მაგრამ მოგვიკვდა. შავყურა გამოგვექცა. _ ალიოშამ ამოიოხრა. _ გული მწყდება... ძალიან ალერსიანი იყო...

ივან ივანიჩმა სტეპანოვნას კარზე დარეკა. დედაკაცი ლუსიასთან ერთად გამოვიდა და მოთქმა დაიწყო:

_ ვაი, ივან ივანიჩ! რა პასუხი უნდა გაგცე? ბიმი აღარ არის. აი, სამი დღის წინათ ტოლიკთან იყო, სახლში კი აღარ მოვიდა.

_ არ მოვიდა, _ ჩაფიქრებით თქვა ივან ივანიჩმა, მაგრამ ბიჭების გულის გასაკეთებლად დაუმატა: _ ვიპოვით, უეჭველად ვიპოვით.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სტეპანოვნამ ივან ივანიჩს მისი ოთახის გასაღები მისცა და ხუთივენი ოთახში შევიდნენ. ოთახში ყველაფერი ისე იყო, როგორც ივან ივანიჩს დაეტოვებინა: წიგნების იგივე კედელი, რომელმაც ახლა უკვე ალიოშა გააოცა, საწერი მაგიდა და იგივე სისუფთავე, მხოლოდ, სტეპანოვნას წყალობით, ოთახი ახლა უფრო სუფთა იყო. მაგრამ შიგ სიცარიელე სუფევდა _ ბიმი არ იყო. მის საწოლზე საწერი ქაღალდის სუფთა ფურცელი და ივან ივანიჩის წერილი ეგდო (სტეპანოვნას ესეც კი შეენახა). ივან ივანიჩმა სტუმრებს ზურგი შეაქცია და თავდახრილი იცქირებოდა ფანჯარაში. სტეპანოვნას მოეჩვენა, თითქოს ჩუმად დაიკვნესა.

_ ნამგზავრი ხარ, ივან ივანიჩ, ცოტა ხანს წამოწექი, _ ურჩია ქალმა.

ივან ივანიჩი საწოლზე წამოწვა და საერთო მდუმარებაში ჭერს მიაშტერდა, სტეპანოვნა კი ცდილობდა, მისთვის ტკივილი გაექარვებინა.

_ მაშ, ოპერაციამ კარგად ჩაიარა? რაკი ჩამოხვედი, ახლა ყველაფერი კარგად იქნება.

_ კარგად, სტეპანოვნა, კარგად. გმადლობთ, გეთაყვა, ყველაფრისათვის. ღმერთმა ქნას, ნათესავები ექცეოდნენ ისე ერთმანეთს, როგორც თქვენ ექცევით უცხო ადამიანს.

_ ე-ე, დახე, დახე, რას ამბობს! რა სისულელეა! აბა, რა ძნელი საქმეა, მეზობელს მიეშველო. ოღონდ სიკეთე იყოს და... სტეპანოვნა უხერხულობასაც კი გრძნობდა, როცა აქებდნენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ივან ივანიჩი ადგა, ბავშვებს შეხედა და თქვა:

_ ასეთი გეგმა მაქვს: თქვენ აქ, ჩვენს რაიონში ეძებთ, უფრო თამამად ჰკითხეთ ხოლმე: ბიმი სადღაც ახლოს უნდა იყოს. მე კი... _ ცოტა ხანს იფიქრა. _ მე კი ერთ ადგილას წავალ... იქნებ მოდარაჯე ძაღლებს შეეკედლა... სადმე.

გასვლისას ლუსიამ ტოლიკს მისცა სურათი «ჩვენი ბიმი». ტოლიკმა ალიოშას გადასცა, ალიოშას გაუკვირდა:

_ თვითონ დახატე?

_ თვითონ, უპასუხა ლუსიამ.

_ მხატვარი ხარ?

_ ა-რა, _ გაეცინა ლუსიას. _ მეხუთეში გადავედი.

სურათზე ბიმი ძალიან ჰგავდა თავის თავს: შავი ყური, შავი ფეხი, თეთრ ბეწვზე მოფენილი ყვითელი წინწკლები და დიდი თვალები, მხოლოდ ცალი ყური მეორეზე გრძელი ჩანდა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა.

ამგვარად, ალიოშა და ტოლიკი ისევ ბიმის საძებნელად გაეშურნენ. ისევ სახის მიხედვით არჩევდნენ გამვლელ-გამომვლელებს (მხოლოდ ახლა უფრო საფუძვლიანად თათბირობდნენ), ისევ იმ შეკითხვებს აძლევდნენ და ბიმის ნიშნებს აცნობებდნენ.

ივან ივანიჩმა კი ჯერ კიდევ საწოლზე წამოწოლილმა გადაწყვიტა, საკარანტინო უბანში წასულიყო. ძაღლების დამჭერები გაეფრთხილებინა, ბიმის ნიშნები მიეცა, ფული ეჩუქებინა, რომ ეცნობებინათ, თუ ძაღლს სადმე თვალს მოჰკრავდნენ. ვინ იცის, იქნებ ბიმი ახლა იქ იყო. ტოლიკისაგან ოთხშაბათ ღამეს წამოსულა, მაშასადამე, სამი დღის წინ. უნდა ვიჩქარო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტაქსი იქირავა და მალე საკარანტინო უბნის ჭიშკართან იდგა. გარდა დარაჯისა, არავინ დახვდა, გამოსასვლელი დღე იყო, მაგრამ ივან ივანიჩის შეკითხვებზე დარაჯმა სიამოვნებით უპასუხა:

_ ხუთშაბათს და პარასკევს ძაღლები არ დაუჭერიათ. გუშინ დაჭერილები კი ფურგონში ყრიან. რამდენია, ეშმაკმა იცის, მაგრამ კი არიან. ხვალ ექიმი მოვა და იტყვის: რომელი მეცნიერებას გამოადგება, რომელს დასაძინებელი ნემსი გაუკეთონ და ტყავი გააძრონ, ისიც ხდება, რომ ტყავიანად ფლავენ მიწაში.

_ მონადირე ძაღლებსაც იჭერენ? _ ჰკითხა ივან ივანიჩმა.

_ იშვიათად, მათ არ ხოცავენ, არც მეცნირებას აძლევენ დასაგლეჯად, ჯერ პატრონს დაელოდებიან, მონადირეთა კავშირს დაურეკავენ, ასე და ასეა საქმე, მოდით, გაარკვიეთო, მაშ! ექიმებიც ამისთვის არიან. ფურგონში ერთი მონადირე ძაღლი ზის, ივანემ მითხრა, თეთრია, ქეციანი, მაწანწალა, თვითონ მისმა პატრონმა დედაკაცმა ჩამაბარაო. ჰო, იქნებ ქმარი მოუკვდა და მეტი გზა არ ჰქონდა.

«ის არის თუ არა?» _ გაიფიქრა ივან ივანიჩმა და დარაჯს სთხოვა:

_ ფურგონთან მიმიშვი, გეთაყვა, ჩემს ძაღლს ვეძებ, შესანიშნავი ძაღლია. იქნებ ის ზის ფურგონში. მიმიშვი.

დარაჯი შეუდრეკელი კაცი გამოდგა.

_ შესანიშნავ ძაღლებს ფურგონში არ სვამენ. მავნე პირუტყვი მოჰყავთ, რომ თავისი ჭირი სხვებს არ გადასდონ, _ მტკიცედ და გადაჭრით თქვა და სახე შეეცვალა: ნიკაპი მაღლა ასწია და ხელი გააქნია, ამით თითქოს სურდა, ჭიშკრის გარეთ მდგომი დამწუხრებული და ამ შემთხვევაში უძლური მთხოვნელი მოეშორებინა. დარაჯიც ვერ გაჰქცეოდა ცთუნებას, თავისი უფლებით დამტკბარიყო, ამიტომ მკაცრად უთხრა: _ ხედავ? «შესვლა აკრძალულია». წაიკითხე და გაიგე, _ მიუთითა ჩარჩოიან შუშაზე, რომლის ქვეშაც ოქროს ასოებით ეწერა: «შესვლა აკრძალულია _ ჯანმრთელობისათვის მავნებელია».

ივან ივანიჩმა ეზოში შესვლის იმედი დაკარგა, მაგრამ მაინც უთხრა:

_ ეჰ, შე კაი კაცო შენა!.. ოპერაცია გადავიტანე, ომის შემდეგ ნამსხვრევი ოც წელიწადს გულით ვატარე, დავბრუნდი და ბიმი არ დამხვდა, დაიკარგა.

_ ეგ როგორ, ოც წელიწადზე მეტი ნამსხვრევი გულით ატარე? აი, აქ? _ დარაჯი, მოულოდნელად, ისევ იმ კაცად გადაიქცა, როგორიც შეხვედრის დაწყებამდე იყო. _ დახე! ვისაც უნდა უამბო, არ დაგიჯერებს. ამიტომაა, რომ... სიტყვა არ დაამთავრა, ურდულ გამოსწია და ივან ივანიჩი შეიპატიჟა: შემოდი, შემოდი. მხოლოდ არავის უთხრა.

იმის იმედით, რომ ბიმს საბელით წაიყვანდა, ივან ივანიჩმა ტაქსი დაითხოვა და ფურგონისაკენ გასწია. მართლაც, დიდი იმედით მიდიოდა: თუ ბიმი აქ არის, ახლავე ნახავს, მოეფერება. თუ არადა, მაშასადამე, ცოცხალია და უეჭველად იპოვის.

_ ბიმ, საყვარელო ბიმკა... ბიჭო... ჩემო სულელო ბიმ, _ ჩურჩულებდა ეზოში მიმავალი.

და, აი, დარაჯმა ფურგონის კარი გააღო.

ივან ივანიჩი უკან გადმოქანდა და გაშეშდა...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბიმი ცხვირით იწვა კარისაკენ. ლაშები და ღრძილები თუნუქის ნაგლეჯების კიდეებით ჰქონდა დაგლეჯილი. წინა თათების ბრჭყალები ჩასისხლიანებოდა. როგორც ჩანდა, დიდხანს, დიდხანს აფხაჭუნებდა კარს, სულის ამოსვლამდე აფხაჭუნებდა. და მერე, რა ცოტა რამ სურდა! თავისუფლება და ნდობა _ მხოლოდ ეს, სხვა არაფერი.

ბურძგნია კუთხეში მიიყუჟა და აყმუვლდა.

თოვლი წამოვიდა. ორი ფანტელი ცხვირზე დაეცა ბიმს და... არ გადნა.

...ამასობაში კი უფრო მეტად დამეგობრებული ალიოშა და ტოლიკი ქალაქში დადიოდნენ... ყველას ეკითხებოდნენ ბიმის ამბავს და ბოლოს, ამ კითხვა-კითხვაში, იმ საბეითლო პუნქტამდეც მიაღწიეს, სადაც ტოლიკმა ოდესღაც ბიმი მიიყვანა. იქ მორიგესაგან გაიგეს, რომ ძაღლები არ ჰყავდათ, და თუ ძაღლი დაეკარგათ, პირველ ყოვლისა, საკარანტინო უბანს უნდა მიაკითხონ, რადგან მათ ძაღლის დამჭერები ჰყავთ.

ჩვენი ბიჭები ისეთები როდი გახლდნენ, რომელთაც შეუძლიათ პაპას ასეთი მისამართით გაუგზავნონ წერილი: «სოფელში პაპას». ამიტომ საათიც არ გასულა, რომ ავტობუსის გაჩერებიდან აჩქარებული ნაბიჯით საკარანტინო უბნისაკენ მიდიოდნენ.

ჭიშკარში ივან ივანიჩი შეხვდათ. ბიჭები რომ დაინახა, ფეხს აუჩქარა, მათთან მივიდა და უთხრა:

_ თქვენც აქ მოხვედით?

_ აქ გამოგვაგზავნეს, _ უთხრა ალიოშამ.

_ ბიმი აქ არის? _ ჰკითხა ტოლიკმა.

_...

_ არც ყოფილა? _ ჰკითხა ახლა უკვე ალიოშამ.

_ არა, ბიჭო... ბიმი აქ არ არის... და არც ყოფლია, _ ივან ივანიჩი ცდილობდა, გულზე მოწოლილი ბოღმა დაეფარა, მის მდგომარეობაში ეს ძალიან ძნელი იყო.

და მაშინ ტოლიკმა ხშირი წარბები ასწია, შუბლი შეიჭმუხნა და უთხრა:

_ ივან ივანიჩ, არ მოგვატყუოთ..,. გთხოვთ.

_ ბიმი აქ არ არის, ბიჭებო, _ უფრო მტკიცედ და დამაჯერებლად გაიმეორა ივან ივანიჩმა. _ უნდა ვეძებოთ, ვეძებოთ.

წვრილი თოვლი მოდიოდა. ჩუმი თოვლი, თეთრი თოვლი, ცივი თოვლი, მიწას რომ ეფინება ცხოვრების ხელახალ დასაწყისამდე _ გაზაფხულამდე, რომელიც ყოველ წელს მეორდება.

თოვლივით ჭაღარა კაცი მიჰყვებოდა თეთრ მინდორს. გვერდით ხელიხელჩაკიდებული ორი ბიჭუნა მისდევდა, რომლებიც თავისი საერთო მეგობრის საძებნელად მიეშურებოდნენ და თვალებში იმედი უკრთოდათ.

ზოგჯერ სიცრუეც სიმართლესავით წმინდაა და სპეტაკი. მომაკვდავიც იღიმება ხოლმე და ამშვიდებს საყვარელ ადამიანებს, «უკეთა ვარო». დედაც მხიარულ სიმღერას უმღერის უიმედოდ ავადმყოფ ბავშვებს და უცინის.

ცხოვრება კი მიდის, მიდის იმიტომ, რომ არსებობს იმედი, ურომლისოდაც სასოწარკვეთილება მოკლავდა ცხოვრებას.

*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მთელი დღე ბიჭებმა ბიმის ძებნაში გაატარეს. დაბინდებისას კი ტოლიკმა ტრამვაით მიაცილა ალიოშა ავტობუსის «ჩვენს» გაჩერებამდე.

_ ეს მამაჩემია, _ გააცნო მამა ალიოშას.

ხრისან ანდრეევიჩმა ხელი ჩამოართვა.

_ გასაგებია: მაშასადამე, მეგობარი გიშოვია. ალიოშასთან მოდიხარ სტუმრად? წამობრძანდი.

ტოლიკის ნაცვლად ალიოშამ უპასუხა:

_ მერე ჩამოვა, მეც ჩამოვალ... ივან ივანიჩთან. ძებნას თავს არ დავანებებთ.

_ კარგი, ეგრე იყოს, კეთილი, შინ მაიმბობ ყველაფერს, ახლა კი გახედე, ჩვენი ავტობუსი მოდის!

ავტობუსში ჩასხდომამდე ალიოშამ დაუბრუნა მამას თხუთმეტი მანეთი.

_ სრულადაა, კაპიკიც არ აკლია.

_ გასაგებია, _ სევდიანად თქვა მამამ.

ტოლიკმა ხელი დაუქნია მიმავალ ავტობუსს. სევდაც ერეოდა, რომ ახალ მეგობარს შორდებოდა. თანაც უხაროდა, ასეთი მეგობარი შევიძინეო. ახლა ტოლიკი იმის იმედითაც იცხოვრებს, რომ ალიოშას შეხვდება ხოლმე. ეს ყველაფერი კი ბიმის წყალობით მოხდა, რომელმაც ასეთი ღრმა კვალი დატოვა ქვეყანაზე.

სახლში ტოლიკმა მტკიცედ უთხრა მამას:

_ ბიმი სადღაც ქალაქშია. უეჭველად ვიპოვით, ჩვენ მას ვიპოვით.

_ ვინ «ჩვენ»?

_ ალიოშა, ივან ივანიჩი და მე... აი, ნახავ, ვიპოვით.

_ ვინ ალიოშა? ვინ ივან ივანიჩი? _ იკითხა დედამ.

_ ალიოშა სოფლელი ბიჭია, მამამისს ძია ხრისანი ჰქვია, ივან ივანიჩი კი არ ვიცი, ვინ არის... კეთილი კაცია... ბიმის პატრონი.

_ ბიმი რაღად გინდა, თუ პატრონი გამოუჩნდა? _ ჰკითხა მამამ.

ტოლიკმა ვერ უპასუხა, რადგან შეკითხვის მეტისმეტი სირთულისა და მოულოდნელობის გამო, ვერ გაიგო, და ჩუმად თქვა:

_ არ ვიცი.

გვიან ღამით, როცა ტოლიკს უკვე ეძინა და სიზმრებში ხედავდა, როგორ ულოკავდა ალიოშას ძროხა ქუდს, დედა და მამა სხვა ოთახში ისხდნენ და კამათობდნენ.

_ უყურადღებოდ გყავს შვილი მიტოვებული, _ მკაცრად უთხრა მამამ.

_ შენ რაღას მიკეთებ? _ სიტყვა შეუბრუნა დედამ.

_ ვმსახურობ.

_ მე კი სამსახურზე უარესი მოვალეობა მაკისრია, შენ ადგები, სამსახურში წახვალ და მორჩა, აღარაფერი გეკითხება. მე კი, მე... მარტო სახლის დალაგებამ სული ამომხადა.

_ სადაც უნდა იმუშაო, სულ ერთია, მოვალეობა გაწევს, რომელიც პატიოსნად უნდა შეასრულო. მე ახლა სულ სხვა რამეზე ვლაპარაკობ: ვინ უნდა აღზარდოს ტოლიკი? შენ თუ მე? ან იქნებ ორივემ? თუ ასეა, საერთო ენა უნდა გამოვნახოთ.

_ ალბათ, არც შენ და არც მე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

_ მაშ ვინ? _ არ ეშვებოდა მამა.

_ მთელ იმედს სკოლაზე ვამყარებ, _ უპასუხა დედამ უკვე მშვიდად.

_ და ქუჩაზე? არა? _ ისევ შეუტია მამამ.

_ თუნდაც ქუჩაზე. მერე რა? ყველა ბავშვი ქუჩაშია...

_ პატიოსნებას, პატიოსნებას ვინღა ჩაუნერგავს? გეკითხები! ხმას აუწია მამამ.

_ აჰა, წაიკითხე, თუმცა, მე თვითონ წავიკითხე. ყური მიგდე. _ დედა კითხულობდა. მაგრამ მიყოლებით კი არა, ცალკე სტრიქონებს გლეჯდა გაზეთიდან: _ «ორგანიზებულობა, თვალყურის გამუდმებული დევნება, მკაცრი აღრიცხვა, მომთხოვნელობა _ აი, რა ნერგავს ადამიანში პატიოსნებას...» «პატიოსანი კაცი უნდა აამაღლო...» გესმის? უნდა აამაღლო! ჯანდაბას თქვენი თავი, ჯანდაბას! _ დაიყვირა დედამ და ტახტზე გულაღმა დაწვა.

მამას სულაც არ სურდა გაეღრმავებინა კამათი, მას დედა უყვარდა. დედასაც უყვარდა, შერიგებით კი მამა ყოველთვის პირველი ურიგდებოდა ხოლმე. ხანგრძლივად გაბუტულებიც არასოდეს ყოფილან, ამჯერადაც მამამ შემარიგებელი კილოთი თქვა:

_ რა გაეწყობა. უნდა გავერკვეთ, ვეცდები, ბიმი მოვნახო, ვეცდები. პატრონი გამოსჩენია. ეს იმას ნიშნავს, რომ ტოლიკი სახლში აღარ მოათრევს ძაღლს, თუ ვიპოვით, ჩვენი ავტორიტეტი გაიზრდება ტოლიკის თვალში.

_ არა, ის სიტყვები არ უთქვამს, რომლებიც ენაზე ედგა, არა. იმ საღამოს სემიონ პეტროვიჩი აფორიაქებული იყო, არც საკუთარი თავის სჯეროდა: ბიჭი იზრდებოდა და მამას გვერდს უქცევდა, მამამ კი ყოველდღიურ ფუსფუსში ეს ვერ შეამჩნია. სემიონ პეტროვიჩი ჩაფიქრდა. გაახსენდა, როგორ ნახა ერთხელ მდინარის პირას, ლუდხანაში, უწვერულვაშო ჭაბუკი, კედელთან რომ იდგა. ბარბაცებდა, ყვიროდა და გულამოსკვნილი ტიროდა... ამ მოგონებამ შეაშოფთა სემიონ პეტროვიჩი, თავზარდაცემულმა წარმოიდგინა ხუთიოდე წლის შემდეგ ლუდხანასთან მდგარი ტოლიკი და გული შეეკუმშა. ცოლთან მივიდა, გვერდით მიუჯდა და ჩუმად, ქალისთვის მოულოდნელი, შემარიგებელი კილოთი ჰკითხა:

_ იქნებ კარგი ძაღლი ვუყიდოთ ტოლიკს?.. ან ბიმი გამოვთხოვოთ მის პატრონს, ჰა? კარგ ფულს მივცემ. რას იტყვი?

_ ეჰ, არ ვიცი, არა, სემიონ. მოდი, ეგრე იყოს, ვიყიდოთ.

რა თქმა უნდა, სემიონ პეტროვიჩმა ვერ გაითვალისწინა, რომ მეგობრობისა და ნდობისა არც ყიდვა შეიძლება, არც გაყიდვა. არც ის იცოდა, ძალიანაც რომ მოენდომებინა, ბიმს ვეღარ იყიდდა. მაგრამ ბიმმა, ჩვენმა კეთილმა ბიმმა, ტოლიკის მამის გულშიც დატოვა კვალი. იქნებ ეს სინდისის ქენჯნა იყო. მას ვერავინ და ვერასოდეს გაექცევა, თუ სინდისი იდეალურად სწორ წნელს არა ჰგავს: ასეთისა მოღუნვაც შეიძლება და, სურვილის მიხედვით, გაშლაც _ ეს თქვენზეა დამოკიდებული. მაგრამ ბიმზე ფიქრი ღამითაც კი არ ასვენებდა სემიონ პეტროვიჩს.

იმ ღამით კი ბიმი თუნუქით მოჭედილ იმავე ფურგონში ეგდო. ტოლიკის მამა ხვალვე დაიწყებს მის ძებნას. იპოვის, ჩასწვდება კი რკინის ფურგონის საიდუმლოებას, მიხვდება სინათლის, თავისუფლებისა და ნდობისაკენ ბიმის სწრაფვის ძალასა და დაუოკებლობას?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არა, ეს არ მოხდა სრულიად უბრალო მიზეზის გამო. მეორე დღეს, ორშაბათს, დილით, ივან ივანიჩმა აიღო შალითაჩამოცმული სანადრიო თოფი და საკარანტინო უბანში წავიდა. იქ შეხვდა იმ ორ მეძაღლეს, რომელთაგანაც მწუხარებით შეიტყო, რომ ბიმი ზედ მის სახლთან დაეჭირათ. კაცები აღშფოთებულები იყვნენ იმ დედაკაცის საქციელით და უშვერი სიტყვებით, უმოწყალოდ აგინებდნენ. ივან ივანიჩს ის აწუხებდა, რომ ბიმი ვერაგობისა და ცილისწამების მსხვერპლი გამხდარიყო. ის არ ამტყუნებდა ამ ორ მუშას, თავის მოვალეობას რომ ასრულებდნენ. თუმცა ახალგაზრდა, როგორც ჩანდა, თავს დამნაშავედ გრძნობდა. თუნდაც იმიტომ, რომ დედაკაცს დაუჯერა.

_ ეჰ, რომ მცოდნოდა... _ სიტყვა ვერ დაამთავრა და ავტოფურგონის გარსაცმს დაარტყა ხელი. _ აი, მოდი და, დაუჯერე ასეთ გველს.

ივან ივანიჩმა სთხოვა, ბიმი ტყეში წამოიღეთო, და ხუთი მანეთი შესთავაზა. ისინი სიამოვნებით დათანხმდნენ. სამივენი იმავე ფურგონის კაბინაში ჩასხდნენ.

იმ კორდზე, სადაც ყოველი ნადირობის წინ ივან ივანიჩი პატარა ჯირკზე ჩამოჯდებოდა და ტყეს ყურს უგდებდა, მოწყენილი ბიმი კი ჩამოცვენილ ფოთლებს დრუნჩს უსვამდა, ჯირკიდან სულ რამდენიმე მეტრის დაშორებით, ჩაფლეს ბიმი. ზემოდან კი მსუბუქად და თხლად დააყარეს თოვლში არეული თეთრი ფოთლები.

ტყე თანაბრად ხმადაბლა ხმაურობდა.

ივან ივანიჩმა შალითიდან თოფი ამოიღო, შიგ ვაზნები ჩადო, თითქოს ჩაფიქრდა. მერე ჰაერში გაისროლა.

ხმაურის გამო ტყემ ყრუდ, უდრტვინველად, როგორც ეს შემოდგომით იცის ხოლმე, სევდიანი ექოთი უპასუხა. გასროლა სადღაც შორს კვნესით მიწყდა.

ივან ივანიჩმა კიდევ ერთხელ გაისროლა და კიდევ ერთხელ დაუცადა, როდის დაიკვნესებდა ტყე.

ორივე თანამგზავრი გაოცებით შესცქეროდა ივან ივანიჩს. მაგრამ მან ფეხმოუცვლელად კიდევ ორი ვაზნით დატენა თოფი და აბსოლუტურად თანაბარი შუალედებით, რომელსაც იგი ხმის სადღაც შორს ჩაკვდომით საზღვრავდა, კიდევ ორჯერ გაისროლა, შემდეგ თოფს შალითა ჩამოაცვა და პატარა ჯირკისაკენ წავიდა.

უფროსმა ჰკითხა:

_ ოთხჯერ რატომ გაისროლე?

_ ასეთი წესია, _ უპასუხა ივან ივანიჩმა, _ რამდენი წლისაც იყო ძაღლი, იმდენჯერ უნდა გაისროლო. ბიმი იყო... ოთხი წლისა. ყოველი მონადირე ასეთ დროს ქუდს მოიხდის და უხმოდ დგას.

_ დახე! _ ჩუმად გაიოცა ახალგაზრდამ. _ როგორც უბედურების დროს... _ მერე ფურგონთან მივიდა, კაბინაში შეძვრა და კარი მიიხურა.

ივან ივანიჩი თავის ჯირკზე ჩამოჯდა.

ტყე კი სულ ერთ ხმაზე ხმაურობდა და ხმაურობდა, თითქმის ისე, როგორც ზამთარში იცის ხოლმე _ ცივად და მოუსვენრად, ერთი ბეწო თოვლი იდო. წესისა და რიგის მიხედვით უკვე დიდი ხანია უნდა მოსულიყო, მაგ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რამ ძალიან დაიგვიანა. შეიძლება ამიტომაც ტყის ხმაური ახლა ბუზღუნა, მოსაწყენი, მძინარე და იმდენად უიმედო იყო, რომ კაცს ეგონებოდა, აღარც ზამთარი დადგება და არც გაზაფხული მოვაო.

მაგრამ უეცრად ივან ივანიჩმა იმ სიცარიელის ნაცვლად, რომელიც გულში უკანასკნელი მეგობრის დაკარგვის შემდეგ დარჩა, სითბო იგრძნო. მაშინვე ვერც კი მიხვდა, რა იყო ეს. ეს კი იყო დაახლოება იმ ორ ბიჭთან, რომლებიც მასთან, თავისდა უნებურად, ბიმმა მიიყვანა. ეს ბიჭები მასთან მოვლენ, არაერთხელ მოვლენ.

ძალიან უცნაურ ვინმედ მოეჩვენა ძაღლის დამჭერ იმ ორ კაცს ივან ივანიჩი, როცა კაბინაში ჩაჯდომისას თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

_ ტყუილია. თოვლიც მოვა, გაზაფხულიც უეჭველად დადგება. თეთრყვავილებიც გაიხარებენ... რუსეთში ზამთარიც იცის და გაზაფხულიც. აი, როგორია ჩვენი რუსეთი: ზამთარიც და გაზაფხულიც უეჭველად დადგება.

*

უკან რომ ბრუნდებოდნენ, ახალგაზრდამ გზატკეცილის პირას მდებარე პატარა სოფლის ახლოს გააჩერა მანქანა და ბურძგნია გამოუშვა.

_ არ მსურს, არ მინდა! _ დაიძახა მან. _ სოფელში გაიქეცი, ძაღლო, თავს უშველე! _ იქ ხელს არავინ გახლებს.

_ რას სჩადი! რას სჩადი! იციან, რომ ორი ძაღლი იყო! _ დაუყვირა კაბინიდან უფროსმა.

_ ერთმა თავი მოიკლა, მეორე გაგვექცა, მორჩა და გათავდა! არ მინდა, არაფერი არ მინდა, არ მსურს. მორჩა და გათავდა.

ბურძგნია გაიქცა, გზატკეცილს რომ გასცდა, დაჯდა, ფურგონს გაოცებული თვალი გააყოლა და თავის გზას გაუდგა; გაიქცა სოფლისაკენ, ხალხთან. ჭკვიანი ძაღლი აღმოჩნდა.

ჯერ კიდევ ტყეში გაიგო ივან ივანიჩმა, რომ ახალგაზრდას ივანე ერქვა, უფროსსაც _ ივანე. სამივეს ივანე ერქვა _ უიშვიათესი შემთხვევა იყო. ამან უფრო დაახლოვა ისინი და კეთილ ნაცნობებად დაშორდნენ ერთმანეთს. საერთო კი მხოლოდ ერთი რამ ჰქონდათ: სამივემ დამარხა ძაღლი, რომელმაც ძაღლის ციხეს ვერ გაუძლო. ხდება ხოლმე, რომ ადამიანები დიდ საქმეში ხვდებიან ერთმანეთს და ისევ შორდებიან, მაგრამ ისეც ხდება, რომ მცირე რამ საქმე საიდუმლოდ აკავშირებს მათ.

როცა ივან ივანიჩი კაბინიდან გადმოვიდა და ახალგაზრდა ივანეს დაპირებული ხუთი მანეთი გაუწოდა, მან ხელი განზე გასწია და იგივე სიტყვები თქვა:

_ არ მსურს, არ მინდა, მორჩა და გათავდა!

საბოლოოდ, ცხადი გახდა, რომ ისიც თავის თავს დამნაშავედ თვლიდა ბიმის დაღუპვაში; ეტყობა, მკვდრის საყვედურს გრძნობდა. რას იზამ, მკვდრების საყვედური ყველაზე საშინელი საყვედურია, რადგან მათგან ვერ ეღირსები ვერც შენდობას, ვერც წუხილსა და ვერც სიბრალულს, ბოროტების ჩამდენის მიმართ. მაგრამ ახალგაზრდა ივანემ მეტისმეტად ახლოს მიი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტანა გულთან მის მიერ ჩადენილი პატარა შეცდომა, და ეს სასახელოა მისთვის. აი, კეთილი, ერთგული, თავდადებული ძაღლის კიდევ ერთი კვალი ამქვეყნად. უფროსი ივანე კი სინდისის ქენჯნას არ განიცდიდა _ მან ივან ივანიჩს ხუთი მანეთი გამოართვა, გულის ჯიბეში ჩაიდო, მადლობა გადაუხადა. აქ სასაყვედურო არაფერია. მან დაპირებული ფული მიიღო, ბიმის დაჭერის დროს კი მხოლოდ თავის მოვალეობას ასრულებდა.

...იმავე დღეს სემიონ პეტროვიჩმა ძებნა დაიწყო. პირველ ყოვლისა, გაზეთში გაჩნდა განცხადება: «დაიკარგა ძაღლი, სეტერი, თეთრი, შავყურა, სახელად ბიმი, მეტისმეტად ჭკვიანი და გაწვრთნილი. გთხოვთ, ამა და ამ მისამართით გვაცნობოთ მისი ადგილსამყოფელი. მიიღებთ კარგ გასამრჯელოს».

დიდი ქალაქი ბიმზე ალაპარაკდა. წკრიალებდა ტელეფონის ზარები, მოდიოდა მკითხველების თანაგრძნობის წერილები, აქეთ-იქით დარბოდნენ მძებნელები.

ასე გაითქვა ორჯერ სახელი ბიმმა: ერთხელ სიცოცხელში _ როგორც ცოფიანმა, და მეორედ _ სიკვდილის შემდეგ _ როგორც «უჭკვიანესმა». ეს უკანასკნელი უეჭველად სემიონ პეტროვიჩის წყალობა იყო.

მაგრამ ბიმის კვალს ვერ მიაგნეს ვერც ზამთრის განმავლობაში და ვერც შემდეგ. აბა, ვის უნდა სცოდნოდა მისი ამბავი? ახალგაზრდა ივანემ თავი დაანება საკარანტინო უბანში მუშაობას და გასაგები მიზეზის გამო, არ გამოეხმაურა განცხადებას: უფროსი ივანე კი ივან ივანიჩმა გააფრთხილა: კრინტი არ დაძრაო! სხვას კი არავის უნახავს, რომ ბიმი ტყეში იწვა, ახლად გაყინულ მიწაში, ზევიდან თოვლის ფიფქი ეყარა და ვერასოდეს ვეღარავინ ნახავდა.

ზამთარი იმ წელიწადს მეტისმეტად მკაცრი იყო, ორჯერ შავი ქარბუქიც კი ამოვარდა. ამ ქარბუქების შემდეგ თეთრი თოვლი მინდორში სულ მთლად გაშავდა. მაგრამ ტყეში, იმ ჩვენს ნაცნობ კორდზე, მაინც სპეტაკი და თეთრი იყო. ტყემ დაიფარა.

თავი მეჩვიდმეტე
ტყემ ამოისუნთქა

(ბოლოსიტყვის ნაცვლად)

და ისევ დადგა გაზაფხული. მზე ერეკებოდა ზამთარს. ისიც დაუძლურებული, ნახევრად დამდნარი, დასუსტებული ფეხებით გარბოდა. მას კი ნელ-ნელა, ფეხდაფეხ მოსდევდა თბილი დღეები. ისინი ცეცხლს უკიდებდნენ მოხუცს და ჭუჭყიან თეთრ ნაფლეთებად გლეჯდნენ. გაზაფხული ყოველთვის შეუბრალებლად ექცევა მომაკვდავ ზამთარს.

და, აი, ნაკადულები დამშვიდდნენ, აღარსად მიიჩქარიან, სულ უფრო და უფო პატარავდებიან, წვრილდებიან და წვრილდებიან, ღამით კი თითქმის სრულებით ირინდებიან. გვიანი გაზაფხული დადგა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

_ ასეთი გაზაფხული კარგი მოსავლის მომასწავებელია, _ თქვა ხრისან ანდრეევიჩმა, როცა ამას წინათ ალიოშასთან ერთად ივან ივანიჩთან გაათია ღამე.

მალე ისინი საძოვარზე გარეკავენ ცხვარს, მაგრამ ალიოშა, ვიდრე არ დაითხოვენ, მხოლოდ «გააცილებს» ხოლმე მამას და ფარას დილით, საღამოთი კი სოფლის გარეთ შეხვდება.

ალიოშა რამდენჯერმე მარტოც ჩამოსულა აქ. ასეთ დღეებში ის და ტოლიკი განუყრელნი იყვნენ და ისევ ბიმის ძებნას განაგრძობდნენ, მაგრამ როცა ყველანი ერთად ივან ივანიჩთან ჩაის სვამდნენ, ხრისან ანდრეევიჩმა ასე განსაჯა:

_ რაკი ბიმის ამბავი გაზეთში დაიბეჭდა და არსად გამოჩნდა, ეს იმას ნიშნავს, რომ შორს სადღაც წაიყვანეს. რუსეთი დიდია, სად წახვალ, სად მონახავ. რომ დაღუპულიყო, ვინმე აუცილებლად განცხადებას გამოეხმაურებოდა: ასე და ასეაო. თქვენი ძაღლი დაიღუპა, აქა და აქ ვნახეო. მთავარი ის არის, რომ ცოცხალია. ყველა როდი პოულობს თავის ძაღლს. და ამ შემთხვევაში, ფაქტიურად, ვერას გააწყობ. _ და ისე გახედა ივან ივანიჩს, რომ ჩანდა, ერთმანეთისა ესმოდათ. ბოლოს დაუმატა: _ ასე რომ, ბავშვებო, მისი ძებნა უსარგებლოა. სწორს ვამბობ თუ არა, ივან ივანიჩ?

ივან ივანიჩმა თახმობის ნიშნად თავი დაუქნია.

იმ დღიდან ძებნა შეწყვიტეს. _ დარჩა მხოლოდ ხსოვნა, ბიჭების გულში სამუდამო ხსოვნა. იქნებ მრავალი წლის შემდეგ მათ, ესე იგი, ჩვენმა ბიჭებმა, ბიმის ამბავი უამბონ თავიანთ შვილებს. ყოველი მამა ან პაპა, თუ მას ოდესმე მეგობარი ძაღლი ჰყოლია, უეჭველად უამბობს შვილებსა და შვილიშვილებს სასეირო ან სამწუხარო ამბავს, რომლებიც მის ძაღლს შემთხვევია. და მაშინ მოზარდს მოუნდება, საკუთარი ძაღლი ჰყავდეს.

წასვლისას ხრისან ანდრეევიჩმა უბეში ჩაისვა ერთი თვის ნაგაზი, რომელიც ივან ივანიჩმა აჩუქა. ალიოშა სიხარულით ცას ეწია.

...ოთახში კი ამ დროს ძველ ფეხსაცმელს დაათრევდა ახალი ლეკვი, ესეც ბიმი, ჯიშიანი, ტიპიური ფერის მქონე ინგლისური სეტერი. ეს ლეკვი ივან ივანიჩმა სანახევროდ იყიდა თავისთვის და ტოლიკისათვის.

მაგრამ ძველი მეგობარი კი არასოდეს დაავიწყდება, ვერ დაივიწყებს იმ სიხარულს, რომლსაც ბიმი ალიონზე ნადირობის დროს ანიჭებდა ხოლმე, ვერ დაივიწყებს ვერც მის კეთილ გულს და ყოვლისმიმტევებელ მეგობრობას. ერთგული მეგობრისა და მისი სევდიანი ბედის მოგონება აწუხებდა მოხუც კაცს. სწორედ ამიტომ მივიდა იმავე კორდზე და ისევ იმ პატარა ჯირკზე ჩამოჯდა. მერე მიიხედ-მოიხედა. ტყის მოსასმენად იყო აქ მოსული.

გაზაფხულის არაჩვეულებრივად მშვიდი დღე იყო. ცას თეთრყვავილებით მოერთო კორდი (თეთრყვავილები ცის წვეთებია დედამიწაზე). ბევრჯერ განმეორებულა ეს სასწაული ივან ივანიჩის ცხოვრებაში და, აი, ისევ მოვიდა გაზაფხული, ჩუმი, მაგრამ ძლიერი თავისი უბრალოებით, და ყოველთვის საოცარი _ სიცოცხლის დაბადების განუმეორებელი სიახლით.

ცვარმოპკურებული ტყე ის-ის იყო იღვიძებდა. ჯერ ისევ გაუშლელი ფოთლების ნაზ წვერებზე ლიცლიცებდა მზის სხივი. ივან ივანიჩს მოეჩვე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნა, რომ ცისფერიატაკიან, ცისფერგუმბათებიან და ცოცხალი მუხებისსვეტებიან დიდებულ ტაძარში იჯდა, ყველაფერი სიზმარს ჰგავდა.

მაგრამ უცბად... ნეტავ ეს რას უნდა ნიშნავდეს? ხის კენწეროებს გადაუარა ხმაურმა _ ტყემ, ღრმად ამოიოხრა. ეს ამოოხვრა ძალიან ჰგავდა შვების ოხვრას იმის გამო, რომ ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ ხეები ხელახლა იღვიძებდნენ, რასაც გაშლილი კვირტების ოდნავ გაღივებული წვერების სახით გვამცნობდნენ, თორემ რატომ მოხდა, რომ ტოტები შეირხა და მაშინვე წიწკანამ დაუსტვინა. კოდალამ კი მხნედ და მუსიკალურად დაიწყო კაკუნი _ კოდალა მეგობარს ეძახდა და ტყეს სიყვარულის დასაწყისს აუწყებდა! იგი ხომ ტყის ქათამივით ერთი პირველთაგანი იძლევა ნიშანს გაზაფხულის საზეიმო სიმფონიის დაწყებისა ნიშანს. მაგრამ ტყის ქათამი დაბინდებისას ჩუმად, ფრთხილად იძახის ზემოდან: ხორ! ხორ! ხორ-ხორ! ესე იგი, კარგია _ კარგიო! კოდალა კი, რომელმაც თავის გამხმარ ფუღუროს ისევ მიაგნო, სიხარულის პირველქმნილი საკრავით გაშმაგებით, გაბედულად და მტკიცედ იუწყება: «რ-რ-ა სი-ლლა-მა-ზეა!»

აშკარაა: სწორედ ამიტომ ამოიოხრა ასეთი შვებით ტყემ, რომ სასწაული დაიწყო და იმედის განხორციელების ჟამი დადგა. ფრინველებიც გამოეხმაურნენ მას, ბუმბერაზსა და მხსნელს. ივან ივანიჩს ეს მკაფიოდ ესმოდა. ისიც ხომ სწორედ იმიტომ მოვიდა აქ, რომ ყური დაეგდო ტყისა და მის ბინადართათვის.

და ისიც ბედნიერი იქნებოდა, როგორც ყოველი წლის ამ დროს, რომ კორდის კიდეზე თეთრყვავილებით დაუფარავი ლაქა არ მოჩანდეს. მასზე მხოლოდ შარშანდელ, ჩამოცვენილ ფოთლებთან არეული ახალი მიწა მიგანიშნებდა. გაზაფხულზე და, მით უმეტეს, ბუნების საერთო ლხენის დაწყებისას, სევდის მომგვრელია ასეთი ლაქის ცქერა.

სამაგიეროდ, ქვემოდან ივან ივანიჩს ალერსიანი და უმანკო თვალებით მისჩერებოდა ახალი პატარა ბიმი. მან უკვე დაიპყრო ტოლიკის გული და გულკეთილობით დაიწყო თავისი ცხოვრება.

«ნეტავ რა ბედი ელის? _ გაიფიქრა ივან ივანიჩმა. _ არა, არა, აუცილებელი არ არის, რომ ახალ ბიმს, რომელმაც ეს-ეს არის დაიწყო ცხოვრება, იგივე ბედი ეწიოს, რაც ჩემს მეგობარს. ასეთი რამ არ მინდა, არა».

ივან ივანიჩი წამოდგა, წელში გასწორდა და თითქმის დაიყვირა:

_ არ მინდა, არა!

ტყემ რამდენჯერმე მოკლედ გაიმეორა: «არ მინდა არა... არა... ა-რა..» და დადუმდა.

გაზაფხული იდგა. მიწაზე ციდან ჩამოსული ცვარი იდო.

სიჩუმე მეფობდა. ისეთი სიჩუმე, თითქოს არსად ბოროტება აღარ იყო.

მაგრამ... მაინც ტყეში ვიღაცამ... გაისროლა! სამჯერ გაისროლა.

ვინ? რისთვის? ვის ესროლეს?

იქნებ ბოროტმა ადამიანმა დაჭრა ის ლამაზი კოდალა და მერე ორი გასროლით ბოლო მოუღო...

ან იქნებ რომელიღაც მონადირემ თავისი მკვდარი ძაღლი დამარხა, რომელიც სამი წლისა იყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

«არა, სიმშვიდე არ სუფევს არც ამ ცისფერ, ცოცხალი მუხებისსვეტებიან ტაძარში», _ გაიფიქრა ივან ივანიჩმა, ქუდი მოიხადა და ცას მიაპყრო მზერა. და ეს საგაზაფხულო ლოცვას ჰგავდა.

ტყე დუმდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE